1 მსოფლიო ბანკი, გლობალური ეკონომიკური პერსპექტივები, 2022 წლის იანვარი

ჩვენი ბიზნეს მოდელი

ჩვენ გვაქვს მომხმარებლებზე ორიენტირებული ბიზნეს-მოდელი, რომელიც ფოკუსირდება ჩვენი მომხმარებლების ყოველდღიური საჭიროებების მომსახურების საუკეთესო გამოცდილების შექმნაზე. ჩვენი სტრატეგია ეყრდნობა მდგრადი განვითარების, დიჯიტალიზაციის, ინოვაციებისა და ეფექტურობის ძირითად პრინციპებს, და შექმნილია ყველა დაინტერესებული მხარისთვის ღირებულების შესაქმნელად.

ჩვენი ბაზრები

წამყვანი უნივერსალური ფინანსური ინსტიტუტი საქართველოში, რომელიც ფინანსური მომსახურებების სრულ სპექრტს სთავაზობს:

- საცალო საბანკო მომსახურება
- კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო საქმიანობა (CIB)
- მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) საბანკო მომსახურება
- ლიზინგი.

ჩვენი მიდგომა

- **ძირითადი აქცენტი დიჯიტალიზაციასა და ინოვაციაზე**

  წლების განმავლობაში შექმნილი საუკეთესო ციფრული შესაძლებლობები, რომლებიც განპირობებულია ინოვაციებში უწყვეტი ინვესტიციით, გვეხმარება ეფექტური ზრდის უნარის განვითარებაში.

- **მონაცემთა სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობები**

  ჩვენი მონაცემთა სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობა, რომელიც ჩვენი “value proposition”-ის შემუშავებაში გამოიყენება, გვეხმარება მომხმარებლებისთვის მაქსიმალური ღირებულების შექმნაში პერსონიზირებული შეთავაზების გზით.

- **მომხმარებელთა მომსახურების ბრწყინვალე ხარისხი და ბრენდის მაღალი ცნობადობა**

  მომხმარებელთა კმაყოფილებაზე ორიენტირება ჩვენი სამუშაოს ამოსავალი წერტილია და გვეხმარება მათთან ნდობაზე დაფუძნებული გრძელვადიანი ურთიერთობების შექმნაში.

- **ბრწყინვალე კორპორაციული მართვა და ძლიერი კორპორატიული კულტურა**

  ჩვენი გამორჩეული მართვის სტანდარტები მაგალითს ქმნის ყველა თანამშრომლისთვის და ხელს უწყობს პასუხისმგებლიან ქცევას ყველა წამოწყებაში.

რას გთავაზობთ

- **ბიზნესის ზრდა**
  უზრუნველყოფილია ჩვენი წამყვანი ქართული საბანკო ფრანჩიზათი..
- **შემოსავლის მრავალფეროვანი წყაროები**
  სტაბილური წმინდა საპროცენტო მარჟა და არასაპროცენტო შემოსავლის სხვადასხვა წყაროები.
- **აქტივების მაღალი ხარისხი**
  ყველა სეგმენტში რისკების გონივრული მართვის შედეგად.
- **ეფექტურობის მაღალი დონე**
  უზრუნველყოფილია დიჯიტალიზაციისა და ავტომატიზაციის მაღალი დონით, როგორც ფრონტ-, ისე - ბექ-ოფისებში.
- **ძლიერი ლიკვიდურობა და სოლიდური კაპიტალის პოზიცია**
  უზრუნველყოფს ჩვენი ბიზნეს-მოდელის სტაბილურობას და ეკონომიკურ სირთულეებთან გამკლავების უნარს.

როგორ ვქმნით ღირებულებას

- **მომხმარებლები**
  მომხმარებლებს ვთავაზობთ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს და მომსახურების საუკეთესო ხარისხს.
- **კოლეგები**
  მხარს ვუჭერთ ჩვენი კოლეგების პროფესიულ განვითარებას და ვთავაზობთ საინტერესო კარიერულ შესაძლებლობებს.
- **ინვესტორები**
  მდგრადი უკუგების შექმნა ჩვენი აქციონერებისთვის და სანდო პარტნიორობის გაწევა ჩვენი კრედიტორებისთვის.
- **საზოგადოება**
  ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, ასევე აქტიური მონაწილეობა კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე (CSR) მიმართულ საქმიანობებში.

ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტები

ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტები ჩვენი მისიის შესრულებაში გვეხმარება, რათა ადამიანების ცხოვრება უფრო მარტივი გავხადოთ.

თითოეული ეს პრიორიტეტი ყურადღებით შეირჩა და კარგად იქნა მოფიქრებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთის შემავსებლები იყვნენ ისე, რომ ერთ-ერთის პროგრესი მეორეს განვითარებას უწყობდეს ხელს.

ზრდის უზრუნველსაყოფად, ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ინოვაციური პროდუქტები და მომსახურებები და შევქმნათ კლიენტთა მომსახურების უბადლო ხარისხი. ეს კი მოითხოვს ძლიერი ციფრული და მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობების შექმნას. ამავდროულად, ჩვენი ზრდა სხვადასხვა სეგმენტში და პროდუქტში მხარს უჭერს ჩვენი შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაციას და აძლიერებს ჩვენს მოქნილობას. დიჯიტალიზაციის მაღალი დონე ასევე საშუალებას გვაძლევს გავაუმჯობესოთ ეფექტურობის დონე და შევამციროთ ხარჯები. ეს, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს ჩვენი ძალისხმევა მივმართოთ მომხმარებელთა კმაყოფილებისა და ჩვენი ღირებულებების შეთავაზების გაძლიერებისკენ.

სტაბილური ზრდა

ჩვენი მიზანია ლიდერის პოზიციის შენარჩუნება საქართველოში და ბაზართან ერთად ზრდა. ბაზარზე პენეტრაციის მაღალი დონის მიუხედავად, საქართველოს საბანკო სექტორი კვლავ გვთავაზობს ზრდის მომხიბვლელ შესაძლებლობებს, განსაკუთრებით კონკრეტულ ქვესეგმენტებში, როგორიც არის იპოთეკა და მიკროსესხები.

ჩვენმა ძლიერმა საბანკო ფრანჩიზამ საქართველოში, რომელსაც საფუძვლად დაედო მომხმარებელთა მომსახურების გამორჩეული ხარისხი, ბრენდის ცნობადობის მაღალი დონე და მოწინავე ციფრული შესაძლებლობები, ჩვენი არსებული მომხმარებლების შენარჩუნების და ახალი კლიენტების მოზიდვის შესაძლებლობა მოგვცა, რამაც გამოიწვია საკრედიტო პორტფელის 11.5%-იანი ზრდა 2021 წელს, რაც უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში 17.3%-იან მატებას შეადგენს. აღნიშნულზე მეტწილად იმოქმედა ლარში გაცემული სესხების ზრდამ. სეგმენტების მხრივ, ზრდა მრავალმხრივი იყო. კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესი და MSME სეგმენტები შესაბამისად წელიწადში 12.3%-ით (უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში 19.5%-ით) და 17.6%-ით (უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში 23.3%-ით) გაიზარდა, ხოლო საცალო სეგმენტი გაიზარდა 7.2%-ით (უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში 11.5%-ით) იმავე პერიოდში. კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესის სეგმენტში ზრდა მსხვილ და საშუალო კორპორატიული მომხმარებლების შეძენას უკავშირდება, ხოლო მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხრივ ჩვენ ორიენტირებული ვართ მცირე და მიკრო ქვესეგმენტებში წილის ზრდაზე. ამავდროულად, ჩვენი საცალო პორტფელის ზრდა გამოწვეული იყო იპოთეკური და სამომხმარებლო სესხებით.

2021 წელს ჩვენი დეპოზიტების პორტფელი 17.8%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით, რაც მეტწილად განპირობებული იყო საცალო და კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესის დეპოზიტების ზრდით, რაც ჩვენი მომხმარებლების ლოიალობას და ნდობას ასახავს. უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში ზრდამ 23.1% შეადგინა.

შედეგად, ჩვენ შევინარჩუნეთ ბაზარზე ლიდერის პოზიცია როგორც სასესხო, ისე - დეპოზიტების მხრივ, რამაც შესაბამისად 38.8% და 40.4% შეადგინა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

ჩვენი შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია

ჩვენი ბიზნეს-მოდელი მრავალფეროვანია სხვადასხვა მიმართულებით. ჩვენ ვემსახურებით დიდი რაოდენობით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საქართველოში, ვთავაზობთ მათ ფინანსური გადაწყვეტილებების ფართო სპექტრს. ჩვენი შემოსავლის მთავარი წყაროა წმინდა საპროცენტო შემოსავალი, რომელიც ჩვენი საოპერაციო შემოსავლის 70%-ს შეადგენდა 2021 წელს და მასზე უპირატესად მოქმედებს ჩვენი საკრედიტო ოპერაციები. ჩვენი წმინდა საკომისიო შემოსავლის გამომუშავება ხდება გადახდებით, საანგარიშსწორებო ოპერაციებით, ასევე საგარანტიო წერილებით და აკრედიტივებით. როგორც საზოგადოება, რომელიც მეტწილად ნაღდი ფულით ახდენს ანგარიშსწორებას, საქართველო ზრდის მომხიბვლელ შესაძლებლობებს იძლევა ჩვენი გადახდების ოპერაციებისთვის, ხოლო ჩვენი ციფრული არხები საშუალებას გვაძლევს ეფექტურად გავზარდოთ ოპერაციების მასშტაბები და შემოსავლის გამომუშავების უნარი.

ჩვენი მოწინავე ციფრული შესაძლებლობების გამოყენება

ჩვენი დიჯიტალიზაციის სტრატეგია მთელ კომპანიაზე ვრცელდება - ფრონტ-ოფისიდან - ბექ-ოფისამდე, და მოიცავს როგორც გაყიდვებს, ისე - ტრანზაქციის ოპერაციებს. ჩვენ მუდმივად ვახორციელებთ ინვესტიციას ტექნოლოგიებში და შევიმუშავებთ ახალ ციფრულ პროდუქტებს, გლობალური ტენდენციების კვალდაკვალ.

ჩვენი ტრანზაქციული ბიზნესი საცალო მომსახურების და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტებში ძირითადად დისტანციური არხებით ხორციელდება, რაც იწვევს საცალო ტრანზაქციების განტვირთვის კოეფიციენტის 97%-მდე ზრდას. ეს იმას ნიშნავს, რომ 3%-ზე ნაკლები ტრანზაქციები ფილიალებში ხორციელდება. მობილური და ინტერნეტ ბანკი კომუნიკაციის უპირატეს არხად რჩება ჩვენი მომხმარებლებისთვის, სადაც აქტიური საცალო ციფრული მომხმარებლების რაოდენობა 2021 წელს 14.1%-ით გაიზარდა და 744,000 შეადგინა. ამავდროულად, ჩვენი ციფრული მომხმარებლების ყოველდღიური ჩართულობაც გაიზარდა და 2021 წლის დეკემბერში ყოველდღიურად აქტიურ მომხმარებელთა რიცხვმა 285,000 შეადგინა, რაც 23.9%-იან წლიურ ზრდასაღწევს. პარალელურად, ჩვენ აქტიურად ვავითარებთ ციფრული გაყიდვების არხებს სამომხმარებლო სესხებისა და განვადებებისთვის. 2021 წლის ბოლოსთვის, დისტანციური არხებით გაცემული სამომხმარებლო სესხების წილი წინა წელთან შედარებით 7 pp-ით გაიზარდა და 45% შეადგინა. ჩვენ განვაგრძეთ კრედიტის დამტკიცების ავტომატიზაციის პროცესი მცირე MSME სესხებისთვის, „time to yes" შემცირების მიზნით. კორპორატიული მსესხებლებისთვის, კომერციული ეფექტურობის ტრანსფორმირების პროექტის ფარგლებში, ჩვენ მნიშვნელოვნად გავზარდეთ ანალიზის პროცესი სისწრაფე დახვეწილი IT ინსტრუმენტის გამოყენებით.

ჩვენი მოწინავე ციფრული ინფრასტრუქტურა ორგანიზაციის ბექ-ოფისის თანამშრომელთა მნიშვნელოვან უმრავლესობასაც აძლებს საშუალებას იმუშაონ დისტანციურად შეფერხების გარეშე და ჰქონდეთ უსაფრთხო და რეალურ დროში წვდომა ჩვენს IT სისტემებზე.

ჩვენი ყველა საქმიანობა მომხმარებელზეა ორიენტირებული და ჩვენი მიზანია განსაკუთრებით აქტუალური პროდუქტების და მომსახურებების შემუშავება.

საუკეთესო სამომხმარებლო გამოცდილების უზრუნველყოფა

ეს საჭიროებს სხვადასხვა არხების გამოყენებით აქტიურ ჩართულობას ჩვენს მომხმარებლებთან, რათა მივიღოთ მათი უკუკავშირი ჩვენი მომსახურების ხარისხის და ღირებულების შესახებ და გავიგოთ მათი პრიორიტეტები.

გარდა ამისა, ჩვენი მიზანია ერთი ნაბიჯით წინ წავიწიოთ რათაწინასწარ განვსაზღვროთ ჩვენი მომხმარებლების საჭიროებები და გავაკვირვოთ ისინი ინდივიდუალური შეთავაზებებით, მანამდე, სანამ ისინი თავად მოითხოვენ ამას. სწორედ აქ შემოდის თამაშში ჩვენი სიღრმისეული მონაცემთა ანალიზის ფუნქცია, რითაც სწორ დროსა და ადგილას სათანადო პროდუქტების შექმნის შესაძლებლობები იქმნება. ჩვენ საცალო მომსახურების ბიზნესში ამ მიმართულებით რამდენიმე ახალი პროექტი განვახორციელეთ, მათ შორის მომხმარებელთა „life-time value" და სესხის ფასწარმოება, ხოლო კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესის სეგმენტში ჩვენ განვაგრძობთ კომერციული ეფექტურობის ტრანსფორმაციის პროექტის განხორციელებას, რომელიც დაგვეხმარა არსებული და ახალი მომხმარებლების პოტენციალის უკეთესად გააზრებასა და გათვალისწინებაში.

წლის განმავლობაში ჩვენ ასევე გავამახვილეთ ყურადღება ციფრულ შეთავაზებებზე ყველა სეგმენტში და შევქმენით ახალი დისტანციური პროდუქტები და მომსახურებები, ასევე გავზარდეთ ჩვენი შიდა პროცესების ავტომატიზაცია. ამით გავზარდეთ მომხმარებელთა კმაყოფილება და გავაუმჯობესეთ ეფექტიანობის მაჩვენებელი.

შესრულების ძირითადი მაჩვენებლები[1]

ჩვენ ვიყენებთ ფინანსური და არაფინანსური საზომების ფართო სპექტრს ჩვენი შესრულების მაჩვენებლების შეფასებისა და დაბალანსებული ხედვის შესაქმნელად, ყველა დაინტერესებული პირის ინტერესების გათვალისწინებით. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად მიმოიხილავს შესრულების ძირითად მაჩვენებლებს (KPIs) რათა განისაზღვროს მუშაობს თუ არა ჩვენი სტრატეგია და უზრუნველყოფს თუ არა ის გრძელვადიან სტაბილურ ზრდას. აღმასრულებელი ხელმძღვანელობის ანაზღაურებისთვის ყველაზე შესაფერისი KPI-ების შერჩევასაც სათანადო ყურადღება ეთმობა, რათა მათი ინტერესები უკეთ მოერგოს ჩვენს დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებს.

ძლიერი ფინანსური შედეგები

უკუგება კაპიტალზე



2021 წელს ჩვენ გამოვიმუშავეთ რეკორდულად მაღალი უკუგება კაპიტალზე, რაც გამოწვეული იყო შემოსავლების ძლიერი ნაკადით. ასევე, დადებითი გავლენა მოახდინა აქტივის ხარისხის კარგმა მაჩვენებელმა.

შემოსავლის მრავალფეროვანი წყაროები

წმინდა საპროცენტო მარჟა



2021 წლის წმინდა საპროცენტო მარჟის ზრდაზე დადებითი ეფექტი მოახდინა სასესხსო პორტფელის კომპოზიციის ცვლილებამ და ვალდებულების სტრუქტურის ოპტიმიზაციამ.

მყარი ბალანსი

CET 1 კაპიტალის კოეფიციენტი



პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის ზრდა 2021 წელს მეტწილად გამოწვეული იყო მოგების ზრდით, რომელიც ნაწილობრივ დააკომპენსირა საკრედიტო პორტფელის ზრდამ. შედეგად, პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი აღემატებოდა მინიმალურ მარეგულირებელ მოთხოვნა -11.7%-ს.

1 კოეფიციენტების განმარტებები იხილეთ 317-318 გვერდებზე
2 წინა პერიოდის ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი არ შეესაბამება 2020 წელს გამოქვეყნებულ მონაცემებს, რადგან ისინი ასახავენ ცვლილებებს, რომლების უკავშირდება ხელმძღვანელობის მიერ არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურებას და ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯებს შორის განხორციელებულ რეკლასიფიკაციას.

ფინანსური შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (KPIs)[1]

უკუგება აქტივებზე



2021 წელს, ჩვენი უკუგება აქტივებზე გაუმჯობესდა შემოსავლების სტაბილური ზრდისა და აქტივების ხარისხის ძლიერ გაუმჯობესების ფონზე.

ხარჯების შემოსავლებთან ფარდობის კოეფიციენტი[2]

2021 წელს, შემოსავლების სტაბილური ზრდის ხარჯზე ჩვენ შევძელით ხარჯების შემოსავლებთან ფარდობის კოეფიციენტის გაუმჯობესება 2020 წლის დონესთან შედარებით.

წმინდა საკომისიო შემოსავლის ზრდა



2021 წელს ჩვენი წმინდ საკომისიო შემოსავლები გაიზრადა ყველა ძირითად კატეგორიაში.

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი



2021 წელს ჩვენ გამოვიყენეთ 2020 წელს გამომუშავებული ჭარბი ლიკვიდურობა და ამავდროულად უზრუნველვყავით ის, რომ ჩვენი ლიკვიდურობის კოეფიციენტი სავალდებულო მინიმალურ მოთხოვნაზე - 100% - მაღალ დონეზე შენარჩუნებულიყო.

უმოქმედო სესხების კოეფიციენტი

2021 წლის ბოლოსთვის, ჩვენი უმოქმედო სესხების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით რაც გამოწვეული იყო ყველა სეგმენტის კარგი მუშაობით.

სტაბილური ზრდა

საკრედიტო პორტფელის ზრდა უცვლელი სავალუტო კურსით



2021 წელს ჩვენი საკრედიტო პორტფელი გაიზარდა ბაზართან ერთად და შეინარჩუნა ლიდერის პოზიცია. ჩვენი ბაზრის წილი მთლიან სესხებში 38.8% იყო წლის ბოლოსთვის (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე)

დეპოზიტების ზრდა უცვლელი სავალუტო კურსით



2021 წელს ჩვენი დეპოზიტების ზრდამ გაუსწრო ბაზრის ზრდას. შედეგად, ჩვენი ბაზრის წილი დეპოზიტებში 3.2 pp-ით გაიზარდა და წლის ბოლოსთვის 40.4% შეადგინა (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე)

არაფინანსური შესრულების ძირითადი მაჩვენებლები

თანამშრომელთა და მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი დონე

EMPLOYEE NET PROMOTER SCORE[1]



Employee Net Promoter Score განსაზღვრავს თანამშრომლის ლოიალობას და ასახავს იმის ალბათობას, გაუწევენ თუ არა ჩვენი თანამშრომლები რეკომენდაციას თავის დამსაქმებელს მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან. 2021 წელს ჩვენი თანამშრომლების კმაყოფილების დონე კვლავ მაღალ დონეზე იყო.

NET PROMOTER SCORE[2]

წელს დავნერგეთ ახალი საზომი ინსტრუმენტი ჩვენი მომხმარებლების კმაყოფილების დონის შესაფასებლად. Net promoter score (NPS) განსაზღვრავს, რამდენად აქვთ ჩვენს მომხმარებლებს სურვილი რეკომენდაცია გაუწიონ ჩვენს პროდუქტებს და მომსახურებებს სხვებთან.

ძლიერი ციფრული ჩართულობა მომხმარებელთან[3]

ყოველდღიური აქტიური მომხმარებლები / ყოველთვიური აქტიური მომხმარებლები

ყოველდღიური აქტიური მომხმარებლების რაოდენობის შეფარდება ყოველთვიურ აქტიური მომხმარებლების რაოდენობასთან (DAU/MAU) ზომავს ჩვენი კლიენტების ყოველდღიურ ციფრულ ჩართულობას. 2021 წლის დეკემბერში ყოველდღიური და ყოველთვიური აქტიური მომხმარებლების რაოდენობამ 285,000 (წ/წ 23.9%-მდე) და 644,000 (წ/წ 16.0%-მდე) შეადგინა, შესაბამისად.

საცალო ტრანზაქციების განტვირთვის კოეფიციენტი

საცალო ტრანზაქციების განტვირთვის კოეფიციენტით იზომება ფილიალების მიღმა, ჩვენი დისტანციური არხებით შესრულებული ტრანზაქციების წილი. ჩვენი საცალო ტრანზაქციების განტვირთვის კოეფიციენტი ზრდას განაგრძობდა 2021 წელს, რადგან ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერეთ ჩვენი ციფრული ღონისძიებები და დავნერგეთ ახალი ციფრული პროდუქტები და მომსახურებები.

1 Employee Net Promoter Score (ENPS) შეაფასა ბანკის თანამშრომლებისთვის 2021 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელმა კონსულტანტმა.
2 Net Promoter Score (NPS) შეფასდა დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის „IPM“ მიერ 2021 წლის დეკემბერში ჩატარებული კვლევის საფუძველზე.
2 ეს ტერმინები განმარტებულია 316 გვერდზე

ჩვენი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) სტრატეგია

ჩვენი სწრაფვა, წვლილი შევიტანოთ მდგრად განვითარებაში, გამომდინარეობს ჩვენი, როგორც წამყვანი ფინანსური ინსტიტუტის, როლიდან, რომელიც საქართველოს წინსვლაში გვაქვს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ გავლენა გვაქვს ქვეყნის ეკონომიკაზე, ბიზნესის განვითარებაზე, დასაქმებასა და, ზოგადად, საზოგადოებრივ პროგრესზე. ეს როლი უკავშირდება ჩვენს პასუხისმგებლობას, წვლილი შევიტანოთ უკეთესი მომავლის შექმნაში ინოვაციებითა და ტექნოლოგიებით, გავზარდოთ წვდომა ფინანსურ მომსახურებაზე და მომხმარებლებს საშუალება მივცეთ, იყვნენ გლობალიზებული ეკონომიკური საზოგადოების ნაწილი. ჩვენი მიზნების მისაღწევად საქმიანობას წარვმართავთ მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტებისა და პრინციპების შესაბამისად და მათ ვაქცევთ ჩვენი კომპანიის სტრატეგიის, კულტურისა და ყოველდღიური საქმიანობის ნაწილად.

წელს, ESG სტრატეგიის შემუშავებით, ჯგუფის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) სტრუქტურის გასაძლიერებლად დამატებითი ნაბიჯები გადავდგით. ESG სტრატეგია განამტკიცებს ჩვენს პასუხისმგებლობას, გრძელვადიანი, მდგრადი წვლილი შევიტანოთ ქვეყანასა და რეგიონში. ESG სტრატეგია განსაზღვრავს რამდენიმე მთავარ მიმართულებას: მძლავრი ESG მართვის სტრუქტურა სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე; მდგრად დაკრედიტებაზე, მომსახურებასა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა,; თანამშრომელთა დივერსიფიკაცია, თანასწორობა და ჩართულობა; მწვანე და მდგრადი დაფინანსება; გავლენის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა და ერთიანი ჩარჩო.

ESG სტრატეგიით დადგენილი მიზნების შესასრულებლად განკუთვნილი სხვადასხვა ინიციატივა და პროგრამა

ESG თიბისის მართვასა და კულტურაში: 2021 წელი გარდამტეხი წელი იყო ESG მართვის სტრუქტურის შემუშავების თვალსაზრისით, რაც ორგანიზაციის სხვადასხვა დონეს მოიცავს. შეიქმნა ESG-სთან დაკავშირებული ორი კომიტეტი -- ერთი სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე, ხოლო მეორე – აღმასრულებელი ხელმძღვანელობის დონეზე. თიბისი ბანკში დაარსდა ESG კოორდინირების დეპარტამენტი, რომლის პასუხისმგებლობაა ESG სტრატეგიით განსაზღვრული ინიციატივების მხარდაჭერა და კოორდინირება. თიბისი ბანკმა წამოიწყო ESG ელჩის პროგრამა, რომლის მიზანია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრუქტურების განმტკიცება და თიბისის თანამშრომლების ჩართულობის გაზრდა. ამ ინიციატივის მეშვეობით, თიბისის თანამშრომლები თავიანთ წვლილს შეიტანენ მდგრადობის გაუმჯობესებაში მომხმარებლებისთვის, კომპანიისთვის, გარემოსა და მთლიანი საზოგადოებისთვის.

თანამშრომელთა მრავალფეროვნება: მრავალფეროვნებაზე, გენდერულ და ჩართულობის საკითხებზე მეტი ყურადღების გასამახვილებლად ჩვენ შევიმუშავეთ მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ჩართულობის პოლიტიკა (ხელმისაწვდომია საიტზე www.tbcbankgroup.com), რომელშიც დასახულია მიზნები და შემუშავებულია მეთოდოლოგია მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ჩართულობის გასაუმჯობესებლად, პოლიტიკა ყურადღებას ამახვილებს ჯგუფის საოპერაციო და მართვის პროცესებში მრავალფეროვნების საკითხების ინტეგრირებაზე, მათ შორის გენდერული თანასწორობის, სხვადასხვა კულტურის, თაობებისა შეზღუდული შესაძლებლობების ჭრილში.

გენდერული თანასწორობა და ქალებისა და გოგოების გაძლიერება კომპანიის და მისი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის მომხმარებლების, თანამშრომლების, მომწოდებლების, პარტნიორების და მთლიანად საზოგადოების მდგრადობის მნიშვნელოვანი ნაწილია. პოლიტიკა ითვალისწინებს გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპებს (WEPs) – პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც კომპანიებს აკვალიანებს სამუშაო ადგილზე, ბაზარზე და საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის და ქალების გაძლიერების გაუმჯობესების საკითხებში. თიბისი ბანკი გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების ხელმომწერი 2021 წელს გახდა.

მდგრადი დაფინანსება: თიბისის სწრაფვაა, გაზარდოს თავისი დადებითი გავლენა საზოგადოებაზე და ეკონომიკაზე ახალი ფინანსური პროდუქტების და მომსახურების დანერგვით, რომლებიც გამიზნულია კონკრეტული სოციალური თუ გარემოსდაცვითი სარგებლის მოსატანად. ESG სტრატეგია განსაზღვრავს მიზნებს თიბისის მდგრადი სასესხო პორტფელის ზრდისთვის, რომელიც მოიცავს ენერგოეფექტური, განახლებადი ენერგიისა და რესურსეფექტური პროექტების, ქალების მიერ მართული და ქალების საკუთრებაში არსებული საწარმოების, სტარტაპ კომპანიებისა და სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის დაფინანსებას.

პასუხისმგებლიანი შესყიდვების პრაქტიკა: ჩვენს პასუხისმგებლიანი შესყიდვების პრაქტიკას და ურთიერთობას მომწოდებლებთან შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს მომწოდებლების და, მთლიანად ეკონომიკის, კეთილდღეობაზე, ფინანსურ სტაბილურობასა და განვითარებაზე. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ადგილობრივ მომწოდებლებს და ხელს ვუწყობთ მათ ჩართვას ჩვენს მიწოდების ჯაჭვში. ESG სტრატეგია მოიცავს მიზნებს, რომლებიც უკავშირდება მწვანე შესყიდვების ინიციატივებს, სოციალურ საწარმოებს, ქალების საკუთრებაში არსებულ კომპანიებს, სტარტაპებსა და ადგილობრივ ბიზნესს.

ჩვენი ESG მიზნები

2022

- უმაღლესი მენეჯმენტის საშუალო-ვადიანი ანაზღაურება დამოკიდებული იქნება ESG-ის რამდენიმე შედეგების ძირითად მაჩვენებელზე, რომლებიც ასახავს ჩვენს საშუალო-ვადიან სტრატეგიას;
- განისაზღვრა ჩვენი მდგრადი სასესხო პორტფელის მიზნობრივი მოცულობა[1] – 750 მილიონი ლარი.

2023

- ჯგუფის სათბური აირების ემისიის შემცირება პარიზის შეთანხმების მიზნობრივი მაჩვენებლების შესაბამისად გაიზომება;
- განისაზღვრა ჩვენი მდგრადი სასესხო პორტფელის მიზნობრივი მოცულობა[1] – 1 მილიარდი ლარი;
- განისაზღვრა ბანკის დონეზე საშუალო მენეჯერების პოზიციებზე ქალების მიზნობრივი რაოდენობა – 40%;
- განისაზღვრა სოციალური გავლენის მქონე შესყიდვების მიზნობრივი მაჩვენებელი – 5 მილიონი ლარი.

2025

- განისაზღვრა სათბური აირების ნეტო-ნულოვანი ემისიების მიზანი (პირდაპირი).

1 ჩვენი მდგრადი სასესხო პორტფელი მოიცავს ენერგოეფექტურობის, ახალგაზრდობის მხარდაჭერის და ბიზნესში ქალების სესხებს, რომლებიც ფინანსდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრებით, ასევე სესხებს, რომლებითაც ფინანსდება განახლებადი ენერგია, რაც მოიცავს ბანკის მიერ დაფინანსებულ ყველა ჰიდროელექტროსადგურს.

კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნება – 2021

2020 წელს განვაცხადეთ კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების დანერგვის თაობაზე, რითაც კიდევ ერთხელ დავადასტურეთ ჩვენი მზადყოფნა, მივიღოთ აქტიური ზომები კლიმატის ცვლილების ეფექტების შესამსუბუქებლად, კლიმატური რისკების შესაფასებლად და შესამცირებლად და განვსაზღვროთ კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობები.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული მონაცემები წარმოადგენს არსებულთაგან საუკეთესო არჩევანს წინსვლისთვის, მიუხედავად იმ გამოწვევებისა, რომლებიც თან ახლავს საჭირო მონაცემებსა და მეთოდოლოგიებს, განსაკუთრებით საქართველოს გარემოსთვის, სადაც ჩვენი საქმიანობის უდიდესი ნაწილი იყრის თავს. ჩვენი მოლოდინით, საჭირო მონაცემების ხელმისაწვდომობა და სანდოობა დროთა განმავლობაში გაუმჯობესდება და მიზნად ვისახავთ გაუმჯობესებების ჩართვას ჩვენს ანგარიშგებაში, როგორც კი ისინი ხელმისაწვდომი გახდება.

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის მიერ მომზადებული პირველი ანგარიში კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

რეკომენდებული გამჟღავნებული ინფორმაცია	სტატუსი	მითითება
აღწერეთ ორგანიზაციის მიერ კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მართვა	გამჟღავნებული	1.1
აღწერეთ უმაღლესი მენეჯმენტის როლი კლიმატთან დაკავშირებული რისკების და შესაძლებლობების შეფასებასა და მართვაში	გამჟღავნებული	1.2
აღწერეთ კლიმატთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოავლინა მოკლე, საშუალო და გრძელ ვადაზე	გამჟღავნებული	2.1, 2.2
აღწერეთ კლიმატთან დაკავშირებული რისკების და, შესაძლებლობების გავლენა ორგანიზაციის ბიზნესზე, სტრატეგიასა და ფინანსურ დაგეგმვაზე	გამჟღავნებული	2.2
აღწერეთ ორგანიზაციის სტრატეგიის მედეგობა, კლიმატთან დაკავშირებული სხვადასხვა სცენარის გათვალისწინებით, მათ შორის 2°C ან უფრო დაბალი სცენარების ჩათვლით	გამჟღავნებული	2.3
აღწერეთ ორგანიზაციის კლიმატთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრისა და შეფასების პროცესები	გამჟღავნებული	3
აღწერეთ ორგანიზაციის კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვის პროცესები	გამჟღავნებული	3
აღწერეთ როგორ არის კლიმატთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრის, შეფასებისა და მართვის პროცესები ინტეგრირებული ორგანიზაციის საერთო რისკის მართვაში	გამჟღავნებული	3
წარმოადგინეთ მაჩვენებლები, რომლებსაც ორგანიზაცია იყენებს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესაფასებლად თავისი სტრატეგიისა და რისკის მართვის პროცესის შესაბამისად	გამჟღავნებული	4
წარმოადგინეთ Scope (მოცულობის არეალი) 1, Scope 2 და, თუ მიზანშეწონილია, Scope 3-ის ემისია და მასთან დაკავშირებული რისკები	გამჟღავნებული	4
აღწერეთ მიზნობრივი მაჩვენებლები, რომლებსაც ორგანიზაცია იყენებს კლიმატთან დაკავშირებული რისკების და შესაძლებლობების მართვისთვის და ამ მიზნობრივი მაჩვენებლების შესრულება	გამჟღავნებული	4

1. მმართველობა

1.1 სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების ზედამხედველობა

2021 წლის ნოემბერში სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ჯგუფის ESG სტრატეგია, რომელიც ეხებოდა ჯგუფის კონკრეტულად კლიმატთან დაკავშირებულ მიზნებსა და ინიციატივებს, მის პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას გარემოზე და ჯგუფის მასშტაბით მდგრად განვითარებას. ESG სტრატეგია ასევე მოიცავს საკითხებს მომხმარებლების, თანამშრომლების, მომწოდებლების, ფართო საზოგადოების, ფინანსური ჩართულობის, თანამშრომლებთან ურთიერთობის და ტალანტების მართვის, სამუშაო ადგილზე მრავალფეროვნების და ჩართულობის შესახებ. სამეთვალყურეო საბჭო ინარჩუნებს სტრატეგიის განხორციელების ზედამხედველობაზე პირველად პასუხისმგებლობას რაც ჯგუფის კლიმატთან დაკავშირებული საკითხების პირდაპირი ზედამხედველობის ნაწილია. სამეთვალყურეო საბჭოს ამ საქმეში დახმარებას უწევს რისკის კომიტეტი. მაგალითად, ანგარიშგების მაჩვენებლების შესრულებას (როგორიცაა, მაგალითად, მდგრადი სასესხო პორტფელის მოცულობა), ზედამხედველობს რისკის კომიტეტი, რომლმაც წლის განმავლობაში სამჯერ მიიღო განახლებული ინფორმაცია რისკების მართვის დირექტორების ანგარიშის სახით. 2022 წელს რისკის დასაშვები დონის ჩარჩოში დავამატებთ კლიმატური რისკების დასაშვებ დონეს.

2022 წლის იანვარში ჯგუფმა სამეთვალყურეო საბჭოსა და კომპანიის მთავარი შვილობილი კომპანიის, სს თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე, კომპანიის „სარკისებური მმართველობის“ სტრუქტურის შესაბამისად, დააფუძნა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) და ეთიკის კომიტეტი, რაც ასახავს მდგრადობის მნიშვნელობას თიბისის კორპორატიული მართვისთვის. კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს საშუალებას აძლევს, მეტი დრო და ყურადღება დაუთმონ ESG საკითხებს. კომიტეტის როლი გულისხმობს სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერას და მისთვის კონსულტაციების გაწევას კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოების გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (i) სტრატეგიის, (ii) პოლიტიკისა და (iii) პროგრამების განხორციელების ზედამხედველობის საკითხებში და იმის უზრუნველყოფას, რომ ESG სტრატეგია მოიცავდეს ჯგუფის ყველა შესაბამის საქმიანობას. გარდა ამისა, ESG და ეთიკის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს ეხმარება ღირებულებების, ქცევისა და კულტურის საერთო ხედვის დანერგვაში და უმაღლესი მენეჯმენტის საქმიანობის ზედამხედველობაში, რომელიც გულისხმობს ჯგუფში (i) ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურის, (ii) სათანადო ქცევის და (iii) თანამშრომელთა ეთიკური ჩართულობის წახალისებას. კომიტეტი წარმართავს კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებზე სტრატეგიული მართვის პროცესს და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, რომელიც საერთო ზედამხედველობაზეა პასუხისმგებელი. ESG და ეთიკის კომიტეტი წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ იკრიბება. ESG და ეთიკის კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ არის: ა) ჯგუფის ESG სტრატეგიის, კლიმატის სტრატეგიის ჩათვლით, პერიოდული გადახედვა, ასევე გეგმების განხორციელება და მისი შესრულების მონიტორინგი; ბ) ESG საკითხებზე ჯგუფის მიერ წლიურ ანგარიშსა და სხვა ანგარიშებში გამჟღავნებული ინფორმაციის, მათ შორის კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების შესაბამისად ანგარიშგების ზედამხედველობა.

სს „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს შედგენილი აქვს ტრენინგის მრავალფეროვანი და ამომწურავი განრიგი, რომელიც ყოველწლიურად გადაიხედება. ჯგუფის კომპანიის სამდივნო გუნდი ყოველი წლის დასაწყისში ქმნის ზოგად სატრენინგო კატალოგს, რომელიც მოიცავს რისკის, აუდიტის, ანაზღაურებისა და მმართველობის ყველა შესაბამის სფეროს. 2020 და 2021 წლებში დამატებითი ყურადღება დაეთმო ESG-ის, განსაკუთრებით, კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებს, რეგულაციებთან შესაბამისობას, ანგარიშგებას, აქციონერთა ხედვას და გავლენას. კატალოგი შედგება საჭაროდ ხელმისაწვდომი და მონაწილეებზე მორგებული სემინარებისა და მასალების ეფექტური ნაკრებისგან და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან დისკუსიების შესაძლებლობას იძლევა. ტრენინგებს ატარებენ დიდი ოთხეულის სააღრიცხვო ფირმების წარმომადგენლები, გარე იურისტ-კონსულტანტები, სერტიფიცირებული ინსტიტუტები (როგორიცაა დირექტორთა ინსტიტუტი და მართვის ინსტიტუტი) და, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული სფეროს გამოცდილი ექსპერტები. დირექტორები სატრენინგო კატალოგს იყენებენ თავიანთი ინდივიდუალური სატრენინგო კალენდრების შესადგენად და ცოდნის გასაზიარებლად სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე ან ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს სპეციალური პლატფორმის მეშვეობით. 2022 წლისთვის კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი სპეციფიკური სატრენინგო სესიებია დაგეგმილი, რაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, ასევე თიბისი ბანკის აღმასრულებელ ხელმძღვანელობას და სხვა შესაბამის თანამშრომლებს საფუძვლიან ცოდნას მისცემს კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების, ასევე ESG სტრატეგიის განხორციელებისთვის ხელმისაწვდომი საოპერაციო მექანიზმების შესახებ.

1.2 აღმასრულებელი მენეჯმენტის როლი კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შეფასებასა და მართვაში

აღმასრულებელ დონეზე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებზე და შესაძლებლობებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ESG კომიტეტს, რომელიც დირექტორთა საბჭომ 2021 წლის მარტში ჩამოაყალიბა და რომლის მოვალეობაა ESG სტრატეგიის განხორციელება და მთავარი პროექტებისთვის წლიური, ასევე ინდივიდუალური დეტალური სამოქმედო გეგმების დამტკიცება. ESG კომიტეტის პირველ შეხვედრაზე, 2021 წლის მარტში, დამტკიცდა 2021 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სხვადასხვა საკითხს. მთავარი პროექტებისთვის, როგორიცაა კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების განხორციელება, ცალკე სამოქმედო გეგმა შემუშავდა და განისაზღვრა განხორციელების მთავარი ეტაპები. სამოქმედო გეგმების შესრულების და განხორციელების სტატუსის მონიტორინგი ხდება ESG კომიტეტის შეხვედრებზე. ESG სტრატეგიის განხორციელებას ხელს უწყობს ორგანიზაციის სხვადასხვა ფუნქცია, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ESG საკითხებზე: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის გუნდი, ESG კოორდინატორი და ESG კომპეტენციის ცენტრი. სხვა საკითხებთან ერთად, ESG კომიტეტის პასუხისმგებლობა მოიცავს კლიმატთან დაკავშირებული რისკების და შესაძლებლობების მიმოხილვას და მონიტორინგს, ასევე კლიმატთან დაკავშირებული გამოვლენილი (არსებითი) რისკების სამართავად მათი შემცირებისა და კონტროლის ეფექტური სისტემის შექმნას. ESG კომიტეტი ყოველ კვარტალში იკრიბება.

ასევე, აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვითი კომიტეტი იკრიბება კვარტალში ერთხელ და ზედამხედველობას უწევს გარემოსდაცვითი მართვის სისტემის განხორციელებას და ფუნქციონირებას, რაც მოიცავს შიდა გარემოსდაცვითი მართვის სისტემის განხორციელებას და აკონტროლებს თიბისი ბანკის ყოველდღიური საქმიანობის შედეგად რესურსების მოხმარებას და სხვა გავლენას გარემოზე. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის გუნდი რეგულარულ ანგარიშებს წარუდგენს გარემოსდაცვით კომიტეტს გარემოსდაცვითი მართვის გეგმებისა და შედეგების შესახებ. გარემოსდაცვითი კომიტეტი უშუალოდ რისკების მართვის დირექტორის წინაშეა ანგარიშვალდებული.

ESG მართვის სტრუქტურა



2. სტრატეგია

ჯგუფის მიზანია, იმოქმედოს პასუხისმგებლობით და მართოს საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. ამის მისაღწევად ჯგუფს დანერგილი აქვს მკაფიოდ განსაზღვრული პროცესები, რათა გამოავლინოს და შეაფასოს კლიმატთან დაკავშირებული რისკები ჩვენი ბიზნესისთვის. ეს მიდგომა ჯგუფს საშუალებას აძლევს შეამციროს ჩვენი ეკოლოგიური კვალი რესურსების ეფექტიანად გამოყენებით და ეკო-მეგობრული ზომების წახალისებით, რათა შეამციროს კლიმატის ცვლილების ეფექტები. ვინაიდან საბანკო საქმიანობა გარემოს დიდად არ აბინძურებს, ჯგუფის რესურსების მოხმარების მართვის მიზნით შიდა გარემოსდაცვითი მართვის სისტემის განხორციელებას შესაძლოა არ ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ბუნებრივ გარემოზე. ამის მიუხედავად, თიბისი ბანკმა გაანალიზა ყველა საოპერაციო საქმიანობა, შეძენილი ნივთები და ქვე-კონტრაქტორებისთვის მინდობილი მომსახურება, რომელთა კონტროლიც მას შეუძლია (არსებული და დაგეგმილი) და გამოავლინა ყველა არსებითი გარემოსდაცვითი ასპექტი, რომელიც რელევანტურია ჩვენი საქმიანობისთვის.

ჩვენი ბიზნესსაქმიანობის პირდაპირი გავლენა გარემოზე მომდინარეობს ელექტროენერგიის, წყლის, საწვავის და სხვა რესურსების მოხმარებიდან, ნარჩენებისა და ატმოსფეროში ემისიისგან. ბანკმა შექმნა კომპლექსური შიდა გარემოსდაცვითი სისტემა, რათა მართოს თავისი სათბური აირების ემისია და აიღოს მათი შემცირების პასუხისმგებლობა რესურსების მოხმარების მკაცრად მონიტორინგის გზით. თითოეული კატეგორიის გავლენის შესაფასებლად ჩვენ შევიმუშავეთ კომპლექსური შეფასების მეთოდოლოგია და გავავრცელეთ მთელი ჯგუფის მასშტაბით. მოცემულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით განისაზღვრა წლიური მიზნები და მათ მისაღწევად მომზადდა კონკრეტული ინიციატივები და პროგრამები. 2020 წელს ბანკმა მიიღო ISO 14001:2015 სერტიფიკატი თავისი გარემოსდაცვითი მართვის სისტემისთვის; 2021 წელს ბანკმა ხელახალი სერტიფიცირება წარმატებით გაიარა. ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია 73-78 გვერდებზე.

2021 წელს ჯგუფმა დამატებითი ნაბიჯები გადადგა ESG ჩარჩოს დასახვეწად, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი მზადყოფნა, მიიღოს აქტიური ზომები კლიმატის ცვლილების ეფექტების შესამცირებლად. ESG სტრატეგია შეიქმნა და დამტკიცდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2021 წლის ნოემბერში, როგორც ზემოთ არის აღწერილი. ქვემოთ მოცემულია თიბისის ESG სტრატეგიის ხუთი მთავარი პრინციპი.

ESG მართვის სტრუტურის შექმნა 2021 წლის ბოლომდე

ჯგუფის, მომხმარებლების, თანამშრომლებისა და საზოგადოების მასშტაბით მდგრადობაზე გავლენის შეფასების სისტემის შემუშავება

მწვანე და სხვა მდგრად დაფინანსების რესურსებზე წვდომა

მდგრადი სასესხო პორტფელის ზრდა

მომხმარებელთა ერთგულებისა და თანამშრომელთა მოტივაციის ზრდა

თიბისი ჯგუფის მიზანია, იყოს საქართველოსა და მთელ რეგიონში ESG პრინციპების მთავარი მხარდამჭერი. ჩვენ ვცდილობთ 2025 წლამდე გარემოზე პირდაპირი ზემოქმედება ნეტო-ნულოვან ნიშნულამდე დავიყვანოთ და ვაგრძელებთ მუშაობას გეგმაზე, რომელიც საშუალებას მოგვცემს გარემოზე ჩვენი არაპირდაპირი გავლენაც ნეტო-ნულოვან მდგომარეობას გაუტოლდეს, როგორც კი ეს პრაქტიკულად შესაძლებელი გახდება.

გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად ვიღებთ სხვადასხვა ზომას, რომლებიც მოცემულია ESG სტრატეგიაში. ქვემოთ მოცემულია 2022 წლისა და 2023 წლის მთავარი ინიციატივები:

- მდგრადი სასესხო პორტფელის ზრდა, რაც მეტწილად შედგება განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტური სესხებისგან (პორტფელის დეტალური ჩაშლა ნახეთ 77-ე გვერდზე);
- მწვანე სესხების სისტემის დანერგვა, რომელიც მცირე და საშუალო საწარმოებს მათზე მორგებულ მწვანე დაფინანსებას შესთავაზებს;
- მონაცემთა შეგროვების, გამოჯვნისა და ანალიზის მეთოდი და სისტემა;
- დაფინანსებული ემისიების გამოთვლის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- ჯგუფის სათბური აირების ემისიის შემცირების გაზომვა პარიზის შეთანხმების მიზნობრივი მაჩვენებლების შესაბამისად.
- ჯგუფის პოლიტიკა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით;
- ESG საკითხების ინტეგრირება რისკის დასაშვები დონის ჩარჩოში;
- მაღალ-ნახშირბადიანი საქმიანობების აკრძალვა/შეზღუდვა (ნახეთ ჩვენი აკრძალვების სია ვებგვერდზე www.tbcbankgroup.com); და
- ESG რესურსების ცენტრი თანამშრომლებისთვის, მომხმარებლებისა და ფართო საზოგადოებისთვის, რათა გაიზარდოს ცნ ობადობა და ცოდნა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ.

გრძელდება მუშაობა ჩვენს საქმიანობაში კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების კიდევ უფრო მეტად ინტეგრირების მიზნით. შეიქმნება ESG კომპეტენციის

ცენტრი, რომელიც დაეხმარება ბანკს თავისი სტრატეგიული ამოცანების მიღწევაში და თავს მოუყრის კომპანიაში მიმდინარე და დაგეგმილ კლიმატთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

2.1. კლიმატთან დაკავშირებული რისკები

კლიმატის რისკის ზოგადი პროფილის შეფასება განხორციელდა კლიმატის რისკის პირველი შეფასების საფუძველზე (გთხოვთ, კლიმატის რისკის შეფასების შესახებ იხილოთ ქვემოთ წარმოდგენილი რისკის მართვის ქვეთავი). ქვემოთ, ცხრილში მოცემულია პოტენციური გარდამავლობის და ფიზიკური რისკების შეჯამება, რომლებიც ჯგუფმა გამოავლინა საქართველოს გარემოსთვის. შეფასებისთვის გათვალისწინებული დროის მონაკვეთები არის მოკლე – 3 წლამდე, საშუალო – 8 წლამდე და გრძელი – 8 წელზე მეტი, ხოლო შესაძლო გავლენის დონეები არის დაბალი, საშუალო ან მაღალი. სექტორზე კლიმატის ცვლილების რისკის გავლენის შეფასებისას, დაბალი, საშუალო ან მაღალი კატეგორიის მინიჭება განხორციელდა სხვა სექტორებთან და, ასევე, რისკის სხვა კატეგორიებთან შედარებით. ამრიგად, შეფასების შედეგები არ არის შედარებადი სხვა ქვეყნების ან რეგიონების ანალოგიური გავლენის კატეგორიებთან.

	გარდამავლობის რისკები				ფიზიკური რისკები	
რისკის წყაროები	**პოლიტიკა და სამართლებრივი გარემო**	**ტექნოლოგია**	**ბაზარი**	**რეპუტაცია**	**მწვავე**	**ქრონიკული**
რისკების ტიპები	• სათბური აირების ემისიის ფასწარმოქმნის ზრდა განახლებადი ენერგიის წყაროებზე გადასვლის სტიმულირებისთვის • გამკაცრებული მარეგულირებელი გარემო და სავალდებულო მოთხოვნები: შეიძლება ეკოლოგიური მიღწევების მინიმალური სტანდარტის ან მოლოდინების შემოღება პროდუქტის წარმოების და ბიზნესოპერაციების მიმართ; ემისიის შესახებ ანგარიშგების ვალდებულების გამკაცრება • სასამართლო დავის რისკი, რისი შედეგიც შეიძლება იყოს კომპენსაციასთან დაკავშირებული დანახარჯები	• არსებული პროდუქტების და მომსახურების ჩანაცვლება დაბალი ემისიის მქონე ვარიანტებით, მათ შორის მოთხოვნები, რომ • წარმოების ტექნოლოგია შეიცვალოს ეკოლოგიურად უფრო სუფთა ალტერნატივებითწარუმატებელი ინვესტიცია ახალ ტექნოლოგიებში, დაბალნახშირბადიანი კვალის მქონე პროდუქტებზე შეგნებულად გადასვლის ჩათვლით	• მომხმარებლის ქცევის შეცვლა • საბაზრო ტენდენციების გაუსაზღვრელობანედლეულის ფასის ზრდა, გაზრდილი მერყეობა და დანახარჯები, შეზღუდვები მაღალნახშირბადიანი • ნედლეულის შესყიდვაზე	• მომხმარებლების მიერ მწვანე პროდუქტებისთვის უპირატესობის მინიჭება • სექტორის სტიგმატიზაცია, რის შედეგადაც შემცირდება შემოსავალი უარყოფითი გავლენებისგან სამუშაო ძალის მართვასა და დაგეგმვაზე (მაგ. თანამშრომლების დაქირავება და შენარჩუნება) • დაინტერესებული პირების შეშფოთება და მათგან უარყოფითი უკუკავშირი	• სტიქიური უბედურებების (მაგ. წყალდიდობა) გახშირება	• ნალექების სიხშირის ცვლილება და ამინდის ცვალებადობა, რაც უარყოფითად აისახება საკვების წარმოებაზე და საცხოვრებელ პირობებზე • საშუალო ტემპერატურის ზრდა, რაც გავლენას მოახდენს სამუშაო, საცხოვრებელ პირობებზე და ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე • ზღვის დონის მატება, რაც გავლენას მოახდენს ადგილობრივ ეკოსისტემებზე, გაზრდის გრუნტის ჩაწოლის და წყალდიდობის რისკებს
დროის მონაკვეთი	გრძელი	გრძელი	საშუალო	გრძელი	საშუალო	გრძელი
პოტენციური გავლენის დონე მომხმარებლებზე და თიბისიზე	დაბალი	საშუალო	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო

გარდამავლობის პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების გავლენის საერთო შეფასება

საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიასა[1] და სამოქმედო გეგმაში მოცემულია სხვადასხვა პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლებზე დაყრდნობითაც თიბისი ბანკმა განსაზღვრა პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების პოტენციური გავლენა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე, რომლებიც თიბისის მიერ ფინანსდება. გარდამავლობის (მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის) რისკების და ფიზიკური (კლიმატის ცვლილების ზემოქმედების ფიზიკური გამოვლინებების) რისკების პოტენციური გავლენა რომ შევაჯამოთ, გარდამავლობის რისკები საქართველოში და თიბისი ბანკის საქმიანობისთვის დაბალია. შეფასება ითვალისწინებს, რომ საქართველოს ეკონომიკის დიდი ნაწილი უკავია ვაჭრობას და მომსახურებას და საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიაში წარმოდგენილი პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებები, საერთო ჯამში, მცირე გავლენას მოახდენს ეკონომიკის სექტორებზე, განსაკუთრებით მოკლე და საშუალო-ვადიან პერსპექტივაში. საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია ითვალისწინებს, რომ საქართველო გარდამავალი და მზარდი ეკონომიკაა და ამიტომ სახელმწიფოს სტრატეგიაა, არ დააბრკოლოს მშპ-ის ზრდა პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებებით, არამედ, პირიქით, საჭიროების შემთხვევაში, მხარი დაუჭიროს უმტკივნეულო გადასვლას მწვანე ეკონომიკაზე. აღსანიშნავია, რომ მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებზეც ყველაზე მეტად მოქმედებს გარდამავლობის რისკები მთელ მსოფლიოში, როგორიცაა ნედლი ნავთობის, ბუნებრივი აირის და ლითონის მადნების მოპოვება, კოქსის და გადამუშავებული ნავთობპროდუქტების[2] წარმოება, მინიმალურად არის საქართველოში წარმოდგენილი, რის გამოც გარდამავალი ღონისძიებების საერთო გავლენა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეკონომიკურ ზრდაზე დაბალია.

ფიზიკური რისკების გავლენის საერთო შეფასება

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები – პატარა ქვეყანა მთიანი ლანდშაფტით, შავი ზღვის სანაპირო ზოლით და ნახევარუდაბნოს ზონებით სამხრეთ-აღმოსავლეთში – ეს ყველაფერი იწვევს ქვეყნის მოწყვლადობას კლიმატის ცვლილებების ფიზიკური რისკების მიმართ. სექტორები, რომლებიც მიიჩნევა ყველაზე მოწყვლადად კლიმატის ცვლილების მიმართ, საქართველოში მოიცავს სოფლის მეურნეობას, სატყეო მეურნეობას, ტურიზმსა და ჯანდაცვას[3].

ფიზიკური რისკის გავლენა ეკონომიკურ სექტორებზე, რომლებიც ფინანსდება თიბისი ბანკის მიერ, არსებითი დროთა განმავლობაში შეიძლება, გახდეს. ჯგუფისთვის რისკი შეიძლება მატერიალიზდეს აქტივის ღირებულების გაუფასურებით და იმ მომხმარებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებით, რომლებიც ოპერირებენ საქართველოში. გარკვეული გეოგრაფიული ტერიტორიები და ეკონომიკური სექტორები, როგორიცაა ზამთრის კურორტები, სასოფლო-სამეურნეო მიწა უკვე ნაწილობრივ დაზარალდა და შეიძლება კიდევ უფრო გაუარესდეს საშუალო-ვადიან პერსპექტივაში. საქართველოზე და თიბისი ბანკის საქმიანობაზე პოტენციური უარყოფითი გავლენის საერთო შეფასება საშუალოა გრძელვადიან პერსპექტივაში. როგორც ცნობილია, კლიმატური ცვლილების რისკები მეტწილად ასოცირდება გრძელვადიან ზემოქმედებასთან, თუმცა ეს გრძელვადიანი გავლენა გაურკვეველია, განსაკუთრებით, ბანკის სასესხო პორტფელის შედარებით მოკლევადიანი სტრუქტურის გათვალისწინებით.

2.2. კლიმატთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები ბიზნესისა და ფინანსური დაგეგმვისთვის

ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ კლიმატის და უფრო ფართო გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები გავითვალისწინოთ ჩვენი ფინანსური დაგეგმვის პროცესში. 2022 წელს, ჩვენ ვაგრძელებთ ჯგუფის შესაძლებლობების შეფასების დახვეწას და სცენარული ანალიზის ჩარჩოს გაუმჯობესებას. გარკვეული ხარისხობრივი მოსაზრებები, რომლებიც უკავშირდება კლიმატის და გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხებს, ჩავრთეთ 2022-2023 წლების ფინანსური დაგეგმვის ციკლში. 2022 წელს ჯგუფი ცდილობს გაითვალისწინოს მოსაზრებები, რომლებიც უკავშირდება ბიზნესის სცენარული ანალიზის მეშვეობით გამოვლენილ ქმედებებს, ასევე კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობების გამოყენებას, მათ შორის ახალი პროდუქტებისა და ინიციატივების დანერგვას.

1 საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია
2 2021 წლის ორწლიანი კვლევითი სცენარის მთავარი ელემენტები: კლიმატის ცვლილებიდან გამომდინარე ფინანსური რისკები | ინგლისის ბანკი
3 გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციასთან საქართველოს მესამე ეროვნული ანგარიში

იმისთვის, რომ მომხმარებლებს შეუქმნას მწვანე პროდუქტებსა და მომსახურებაში ინვესტირების მოტივაცია, ჯგუფი მათ სთავაზობს მომსახურებას და დაფინანსების გადაწყვეტებს, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობები	მომხმარებელი	ჩვენი პროგრესი	გავლენა
განახლებადი ენერგიის დაფინანსება	კორპორატიული	თიბისი ბანკი არის წამყვანი ბანკი განახლებადი ენერგიის პროექტების 554 მილიონი ლარით ადგილობრივი დაფინანსებით	დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის ხელშეწყობა
მწვანე სესხების ჩარჩო – სტანდარტიზებული მიდგომა მდგრადი დაფინანსებისადმი, მათ შორის ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერგია და რესურსეფექტური პროექტების დაფინანსება	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები	2021 წელს ბანკმა შეიმუშავა „მწვანე სესხების ჩარჩო“ „ფონდი მწვანე ზრდისთვის“ ტექნიკური მხარდაჭერის ინსტრუმენტთან ერთად, რომელიც წარმოდგენილია Finance in Motion GmbH-ის მიერ და დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ EU4Energy ინიციატივის ფარგლებში.	მომხმარებლების წახალისება, რომ გადავიდნენ დაბალნახშირბადიან საქმიანობაზე
გრძელვადიანი ბიზნესსესხი მზის პანელებისთვის	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები	2022 წელს ბანკმა დაიწყო სპეციალური გრძელვადიანი სესხების გაცემა მზის ენერგიის სადგურების დასაფინანსებლად. ეს პროდუქტი ითვალისწინებს სხვადასხვა ფინანსურ და არაფინანსურ სარგებელს.	მომხმარებლების წახალისება, რომ მოახდინონ თავიანთი ხარჯების ოპტიმიზაცია და გადავიდნენ დაბალნახშირბადიან საქმიანობაზე
კლიმატის გლობალური ფონდის აკრედიტაცია, რაც ბანკს საშუალებას მისცემს ჰქონდეს პირდაპირი წვდომა კლიმატის გლობალურ ფონდის დაფინანსებაზე	ყველა	2021 წელს თიბისი ბანკი გახდა პირველი კომერციული ბანკი კავკასიის რეგიონში, რომელმაც მიიღო მწვანე კლიმატის ფონდის აკრედიტაცია.	აკრედიტაცია ბანკს საშუალებას მისცემს, დააფინანსოს პროექტები რომლებიც გულისხმობს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას და მის შემცირებას და წვლილის შეტანას საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში
ენერგოეფექტური სესხები	საცალო	ჰიბრიდული/ელექტრომანქანების დაფინანსება, იპოთეკა და ენერგოეფექტური პროცესები. პორტფელის მოცულობა 15.5 მილიონი ლარია.	მომხმარებლების წახალისება, რომ გადავიდნენ დაბალნახშირბადიან საქმიანობაზე

2.3. კლიმატთან დაკავშირებული სცენარები

თიბისი ჯგუფი მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს სცენარული ანალიზის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, რათა უკეთ გაერკვეს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების სავარაუდო შედეგებზე ჩვენი ბიზნესისა და მომხმარებლებისთვის და რეაგირება მოახდინოს მათზე. კლიმატთან დაკავშირებული სცენარული ანალიზის შემუშავება კომპლექსურია, ვინაიდან კლიმატის შესახებ მონაცემებისა და ქვე-სექტორების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ფინანსური რისკის ანალიზისთვის მართებულობა, ასევე კლიმატთან დაკავშირებული რისკის მოდელირების შესაძლებლობა საქართველოში ძალიან შეზღუდულია და ჯერ კიდევ ვითარდება. ამ თავში შეჯამებულია ჩვენი პირველი მცდელობა, ჩაგვეტარებინა კლიმატის სცენარული ანალიზი საქართველოს კონტექსტისთვის და მასთან დაკავშირებული ხარისხობრივი შედეგები.

პირველი სავარჯიშოს ამოსავალი წერტილი, რომელიც ჩატარდა 2022 წელს, არის ორი კლიმატური სცენარი – კანონზომიერი 1.5°C-იანი (ნულოვანი 2050) და 2°C-ზე ნაკლები სცენარები, რომლებიც შემუშავებულია ფინანსური სისტემის გამწვანების მიზნით დაარსებული ცენტრალური ბანკებისა და ზედამხედველთა ქსელის (NGFS) მიერ. კანონზომიერი სცენარების მიხედვით, კლიმატის პოლიტიკის შემოღება ხდება ადრე და თანდათანობით სულ უფრო მკაცრდება. როგორც ფიზიკური, ისე გარდამავლობის რისკები შედარებით დაბალია[1]. თითოეული სცენარი მოიცავს ნახშირბადის ფასებისა და ემისიის დინამიკას დროთა განმავლობაში. ისინი მიღებულია NGFS-ის მიერ გამოქვეყნებული მთელი რიგი სცენარებისგან. ჩვენ გამოვიყენეთ NGFS 1.5°C (ნულოვანი 2050) და 2°C-ზე ნაკლები სცენარების შესაბამისად ქვეყნის დონეზე მორგებული, მოდიფიცირებული მონაცემები საქართველოსთვის. ამ მონაცემების გაანალიზებისას დავადგინეთ, რომ სცენარები და საბაზისო მოდიფიცირებული მონაცემები გარკვეულ შეუსაბამობებს შეიცავდა ადგილობრივ ეკონომიკურ გარემოსთან მიმართებით, ზოგიერთი სექტორის დონეზე მოდიფიცირებული შედეგები არ იყო დამაჯერებელი, მაგ. ჰიდროელექტრო ენერგიის წარმოება მკვეთრად იყო მოდიფიცირებული. ამის მიუხედავად, მაინც გამოვიყენეთ NGFS სცენარი, მას შემდეგ, რაც მხოლოდ რამდენიმე პარამეტრი დავაკორექტირეთ, სადაც ეს მიზანშეწონილი იყო, და კონსულტაცია გავიარეთ გარე კომპეტენტურ კონსულტანტთან. კერძოდ, ჩვენ სცენარული ანალიზისთვის მონაცემების ძირითად წყაროდ გამოვიყენეთ გლობალური ცვლილების შეფასების მოდელი (GCAM). მოდელის მონაცემები გამოვიყენეთ, რათა მოგვეხდინა იმის მოდელირება, თუ როგორ იმოქმედებს კლიმატის ცვლილება სექტორის წმინდა შემოსავლებზე 2020-2050 წლების პერიოდში. მოდელის მონაცემებში შევიდა გარკვეული მოდიფიკაციები, რათა აგვესახა ქვეყნის სპეციფიკა. ასევე, გამოვიყენეთ მესამე მხარის მონაცემებიც, რომ უკეთ გაგვეგო, როგორ არის განაწილებული ნახშირბადის ემისია სხვადასხვა სექტორსა და ქვე-სექტორზე. მთავარი ცვლადები მოდელიდან, რომლებიც გამოვიყენეთ, იყო ნახშირბადის ემისიები, ნახშირბადის ფასი, მეორადი და საბოლოო ენერგორესურსების ფასები და მოთხოვნა მეორად და საბოლოო ენერგორესურსებზე. NGFS მოდელებიდან მხოლოდ ეს ცვლადები იყო ხელმისაწვდომი სექტორის დონეზე საქართველოსთვის.

ჩვენ შევამოწმეთ ორი სცენარის გავლენა მაღალი ნახშირბადის სექტორებში მოქმედი (ენერგეტიკა და კომუნალური მომსახურება, ნავთობი და გაზი) ჩვენი კორპორატიული კლიენტების შერჩეულ ჯგუფზე. უახლესი ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგების და პროგნოზირების შედეგებს (სადაც შესაძლებელი იყო) ჩავუტარეთ სტრესული ტესტირება დროის მონაკვეთისთვის, რომელიც მოიცავს შესაბამისი კრედიტის მოცულობის დარჩენილ ვადას.

კორპორატიული კლიენტების შერჩეულ ჯგუფში შევიდა რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური (ჰესი), ელექტროენერგიის და გაზის გამანაწილებელი კომპანიები, თბოელექტროსადგური (ერთადერთი თესი ჯგუფის პორტფელში) და ლითონის წარმოების დარგის ერთი კომპანია. შერჩევისთვის ავიღეთ სხვადასხვა ზომის კომპანიები - მცირე, საშუალო და დიდი ჰესები და შესაბამისი სექტორების წამყვანი რამდენიმე კომპანია. ჯამში, პირველი სტრესული სცენარის სავარჯიშოს შედეგებმა აჩვენა, რომ ამ სექტორებს სხვადასხვა დონის მგრძნობელობა ჰქონდა გარდამავლობის რისკების მიმართ. მაშინ, როცა რამდენიმე შემთხვევაში გარდამავლობის რისკებმა შეიძლება უარყოფითი შედეგი აჩვენოს ორი NGFS სცენარის შესაბამისად - ძირითადად, გათვალისწინებული, უკიდურესად მაღალი ნახშირბადის გადასახადების უარყოფითი გავლენის გამო, აშკარაა, რომ სცენარის კომპონენტებსა და ანალიზში მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა შევიდეს, ვიდრე შედეგების გათვალისწინება მოხდება რისკის მართვის ჩარჩოში. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში გარდამავლობის რისკები დაბალია და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები, განსაკუთრებით ნახშირბადზე გადასახადები, არ შედის საქართველოს მთავრობის მიერ პროგნოზირებულ ზომებში. ამავდროულად, ჩვენ გავაანალიზეთ რისკის შემცირების არსებული ზომები ამ რამდენიმე შემთხვევისთვის და გამოვავლინეთ ფინანსური მედეგობის დამაკმაყოფილებელი დონე; შეფასების დროს, ასევე, გავითვალისწინეთ საჯაროდ ხელმისაწვდომი საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა.

ამ შეზღუდვების მიუხედავად, სცენარული ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავტესტოთ მთელი რიგი შესაძლო სამომავლო კლიმატური ცვლილებები და ჩავწვდეთ იმ რისკების ხასიათსა და მასშტაბს, რომლებსაც ისინი გვიქმნიან. სცენარული ანალიზის მიზანი არის არა მომავლის პროგნოზირება, არამედ შესაძლო რისკებში გარკვევა და მათ სამართავად მომზადება. 2022 წელს ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას კლიმატის სცენარის ჩარჩოზე, რათა მოვიცვათ სხვა სექტორები და, ასევე, ფიზიკური რისკების გავლენა. გარდა ამისა, 2022 წელს, თუ საჭიროდ ჩავთვლით, შევადგენთ სექტორულ სახელმძღვანელო მითითებებს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ. 2022 წლისთვის დაგეგმილი სხვა ინიციატივები მე-3 თავშია წარმოდგენილი: „რისკის მართვა“ (გვ.36)

სასესხო პორტფელის მგრძნობელობის ანალიზის გარდა, ჯგუფმა უკვე დაიწყო მუშაობა აგრეგირებულ დონეზე მგრძნობელობის ანალიზზე. ამ მიზნით ჩვენ გავაანალიზეთ ორი NGFS კლიმატური სცენარის (ნულოვანი 2050 და 2°C-ზე ნაკლები) მოდიფიცირებული შეფასებები საქართველოსთვის. მთავარი პირველადი დაკვირვება ისაა, რომ საქართველო დაჯგუფებულია მაღალ-ნახშირბადიანი ემისიის მქონე ქვეყნებთან GCAM, MES- SAGEix-GLOBIOM[2], ასევე REMIND-MAgPIE[3] მოდელების ფარგლებში. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოსთვის მოდიფიცირებული მონაცემები სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ. თუ შევხედავთ მოდიფიცირებულ შეფასებებს მთელი რიგი სხვა ქვეყნისთვის, რომელთა ეკონომიკას მეტწილად მსგავსი სტრუქტურა აქვს კლიმატის ცვლილების მხრივ, გავლენა მნიშვნელოვნად განსხვავებული აღმოჩნდება. კერძოდ, მაგალითად, GCAM-ის მოდელში საქართველო დაჯგუფებულია

1 ნეტო-ნულოვანი 2050 არის ამბიციური სცენარი, რომელიც გლობალურ დათბობას ზღუდავს 1.5°C-მდე უმკაცრესი კლიმატური პოლიტიკითა და ინოვაციით და 2050 წლისთვის უნდა მიაღწიოს ნახშირორჟანგის ნეტო-ნულოვან ემისიას. ზოგიერთმა იურისდიქციამ, როგორიცაა აშშ, ევროკავშირი და იაპონია, ნეტო-ნულოვან მაჩვენებელს უკვე მიაღწია ყველა სათბური აირისთვის. ეს სცენარი უშვებს, რომ ამბიციური კლიმატური პოლიტიკა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული. ნახშირორჟანგის მოცილება (CDR) გამოიყენება დეკარბონიზაციის დასაჩქარებლად, მაგრამ შესაძლებელ მინიმუმამდეა დაყვანილი და მეტწილად შეესაბამება ბიოენერგიის წარმოების მდგრად დონებს. ნახშირორჟანგის წმინდა ემისიები 2050 წლისთვის აღწევს ნულს, რაც იძლევა მინიმუმ 50%-იან შანსს, რომ გლობალური დათბობა შენარჩუნდეს 1.5°C-ზე დაბლა საუკუნის ბოლოსთვის, ისე, რომ წინა წლებში გადაჭარბება მცირედით – (< 0.1°C) 1.5°C-დან, ან თითქმის არ მოხდეს. ფიზიკური რისკები შედარებით დაბალია, მაგრამ გარდამავლობის რისკები მაღალია. 2°C-ზე ნაკლები თანდათანობით ამკაცრებს კლიმატურ პოლიტიკას და იძლევა გლობალური დათბობის 2°C-ზე ნაკლებ დონემდე შეზღუდვის 67%-იან შანსს. ეს სცენარი უშვებს, რომ კლიმატური პოლიტიკის მიღება მოხდება დაუყოვნებლივ და თანდათან გამკაცრდება, თუმცა ნეტო-ნულოვანი 2050-ის მაჩვენებელს ვერ მიაღწევს. CDR შედარებით დაბალია. ნეტო-ნულოვანი ნახშირორჟანგის ემისია მიიღწევა 2070 წლის მერე. როგორც ფიზიკური, ისე გარდამავლობის რისკები შედარებით დაბალია.

2 ინტეგრირებული შეფასების მოდელი MESSAGEix-GLOBIOM ეყრდნობა MESSAGEix ჩარჩოს – ღია წვდომის ენერგეტიკული სისტემების ოპტიმიზაციის მოდელირების გარემოს, რომელიც მოიცავს მაკროეკონომიკურ უკუკავშირს სტილიზებული გამოთვლადი ზოგადი წონასწორობის მოდელის გამოყენებით.

3 REMIND (ინვესტიციისა და განვითარების რეგიონული მოდელი) არის რიცხობრივი მოდელი, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკების სამომავლო ევოლუციას და ყურადღებას ამახვილებს ენერგოსექტორის განვითარებაზე და ჩვენი მსოფლიოს კლიმატზე მის შედეგებზე. REMIND სხვა მოდელებთან ერთად გამოიყენება დეტალური პასუხის მისაღებად. ერთ-ერთი ასეთი მოდელია MAgPIE (სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოდელი და მისი ზემოქმედება გარემოზე).

სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ყაზახეთთან, ყირგიზეთთან, მონღოლეთთან, ტაჯიკეთთან, თურქმენეთთან, უზბეკეთთან ერთად, ხოლო გადახრა სტრესულ სცენარში საბაზისო სცენარიდან ჯგუფში შემავალი ყველა ქვეყნისთვის მსგავსია.

ამასთან, მოდიფიცირებული შეფასებები ხორვატიისთვის, რომელსაც საქართველოს ეკონომიკის მსგავსი მახასიათებლები აქვს, სრულიად განსხვავებულად გამოიყურება იმ ჯგუფთან შედარებით, სადაც სასაქონლო ეკონომიკაა ძირითადად წარმოდგენილი. თიბისი ჯგუფმა დაიწყო კვლევის წარმოება, რათა შეაფასოს უფრო რელევანტური მოდიფიცირებული სცენარი საქართველოსთვის. ასევე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი აპირებს მუშაობის დაწყებას კლიმატურ სცენარებზე NGFS ჩარჩოზე დარყდნობით, რომ შეაფასოს პოტენციური აგრეგირებული გავლენა საქართველოს ფინანსურ სექტორზე.

3. რისკის მართვა

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებს აქვს ფიზიკური გავლენა, რომელსაც განაპირობებს ამინდის ხშირი და მკვეთრი ცვალებადობა და გარდამავალი გავლენა, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს ფართო პოლიტიკურ, სამართლებრივ და ტექნოლოგიურ ცვლილებებს მოსახლეობისა და ბიზნესის ეკოლოგიური კვალის შესამცირებლად. ჯგუფისთვის ეს ორივე რისკი შეიძლება მატერიალიზდეს აქტივების ღირებულების გაუფასურებით და მომხმარებელთა კრედიტუნარიანობის გაუარესებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის მომგებიანობის შემცირება. ჯგუფს, ასევე, შეიძლება დაემუქროს რეპუტაციული რისკი ისეთი მომხმარებლების დაკრედიტებით ან მათთან ბიზნესოპერაციების განხორციელებით, რომლებიც მიიჩნევა, რომ კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედებენ.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მართვისთვის, კლიმატის რისკის შეფასებამდე ჯგუფმა ჩაატარა ზოგადი ანალიზი ESG ჩარჩოს სრულფასოვნების ხარისხის დასადგენად. ზოგადი ანალიზის პროცესმა მოიცვა არსებული პოლიტიკებისა და პროცედურების შეფასება, შემდგომი განვითარებისთვის საჭირო ასპექტების განსაზღვრა და გეპ-ანალიზის ჩატარება. გარდა ამისა, გეპ-ანალიზის განხორციელების დროს გათვალისწინებული იქნა სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტი და კონცეპტუალური დოკუმენტი (ევროპის ცენტრალური ბანკი, ევროპის საბანკო უწყება, TCFD, გლობალური ანგარიშგების ინიციატივა და ოთხი სააღრიცხვო ფირმა), ანგარიშები საქართველოში კლიმატის ცვლილების შესახებ, ESG სარეიტინგო სააგენტოების კრიტერიუმები და შესაბამისი ექსპერტების შეფასებები. ანალიზზე დაყრდნობით გამოვლინდა ძირითადი ასპექტები და აისახა ESG სტრატეგიაში, ჯგუფის ბიზნესის სტრატეგიის გათვალისწინებით.

ჩვენ პირველ რიგში შევაფასეთ საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ჯგუფის“ არსებითი შვილობილი კომპანიების აქტივები. არსებითობის დონედ მივიჩნიეთ 1%-იანი წილი აქტივებში. ჯგუფში არის ერთადერთი შვილობილი კომპანია, რომელსაც უკავია 1%-ზე მეტი აქტივებში – სს „თიბისი ბანკი“, რომელიც უმსხვილესი ფინანსური დაწესებულებაა საქართველოში. სასესხო პორტფელის კლიმატთან დაკავშირებული რისკების უკეთ გასააზრებლად ბანკმა ჩაატარა ზოგადი სექტორული რისკების შეფასება, ვინაიდან სხვადასხვა სექტორი შეიძლება მოწყვლადი იყოს კლიმატთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკის მიმართ დროის სხვადასხვა მონაკვეთში. რისკის შეფასების პროცესი და შინაარსი ეფუძნება TCFD-ის რეკომენდაციებს, ინგლისის ბანკის მიერ გამოქვეყნებულ კლიმატთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, საქართველოს კლიმატის ცვლილების შეფასებას, რომელიც ტარდება კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (IPCC) ანგარიშების ფარგლებში და 2030 წლის მიზნებსა და სტრატეგიას, რომელიც საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული კონტრიბუციის მისაღწევად[1]. რისკის შეფასება ეხება ეკონომიკურ სექტორებს, როგორიცაა ენერგეტიკა, ნავთობი და გაზი, ლითონები და სამთო მრეწველობა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, კვების ინდუსტრია, ჯანდაცვა, მშენებლობა და უძრავი ქონება. ეს შეფასება პირველია, რომელიც მოიცავს კლიმატური ცვლილების საერთო რისკებს. აქედან გამომდინარე, დონეების და გავლენების შეფასება შეიძლება მომავალში შეიცვალოს, მას შემდეგ, რაც გადაიხედება მეთოდოლოგია, მოხდება საფუძვლიანი ანალიზი და გაიზრდება ექსპერტული ცოდნა კლიმატის ცვლილების რისკების გავლენის შესახებ.

სექტორული ანალიზისთვის კლიმატთან დაკავშირებული ეკონომიკური სექტორების დასადგენად შეთანხმდა ძირითადი არსებითობის ზღვარი სასესხო პორტფელის 1%-ზე მეტის ოდენობით. სექტორული შეფასება ჩატარდა ბიზნესის და საკრედიტო რისკის სპეციალისტების მონაწილეობით, რომლებიც პასუხს აგებენ ბანკში შესაბამის ეკონომიკურ სექტორებზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ცალკე-მდგომი ბანკის სასესხო პორტფელის სექტორების მიხედვით განაწილება 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით.

მთლიანი სესხები სექტორების მიხედვით



16.9 მლრდ ლარი

სულ სესხები ინდივიდუალური მონაცემები ბანკისთვის

- ფიზიკური პირები
- უძრავი ქონება
- მასპინძლობა & დასვენება
- ენერგეტიკა & კომუნალური მომსახურება
- მშენებლობა
- კვების ინდუსტრია
- ვაჭრობა
- სოფლის მეურნეობა
- ჯანდაცვა
- მომსახურება
- საავტომობილო
- ტრანსპორტირება
- ნავთობი & გაზი
- ლომბარდი
- ფინანსური სერვისები
- წარმოება
- მედია & გამომცემლობა
- მეტალურგია & მოპოვება
- კომუნიკაციები
- სხვა

აქტივების ვადიანობა გადამწყვეტია ანალიზის სხვადასხვა დროის მონაკვეთის განსაზღვრისთვის და სხვადასხვა სექტორისთვის კლიმატთან დაკავშირებული რისკის არსებითობის შეფასებისთვის. სასესხო პორტფელის ვადიანობის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ აქტივების უდიდესი ნაწილი განაწილებულია ბევრად უფრო მოკლე დროის მონაკვეთებზე, ვიდრე ის დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც შეიძლება წარმოიშვას კლიმატური ცვლილების გავლენები საქართველოში. ეს განსაკუთრებით ეხება ფიზიკურ რისკებს.

2012 წლიდან თიბისი ბანკს დანერგილი აქვს პროცესი, რომლითაც მართავს გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს. ეს პროცესი შეიქმნა საუკეთესო პრაქტიკისა და სახელმძღვანელოების მიხედვით, რომელთა მიზანი არის კლიმატის ცვლილების გავლენის შემცირება. თიბისი ბანკმა შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურები გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების გამოვლენის, შეფასების, მართვისა და მონიტორინგის მიზნით, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის კანონმდებლობასთან, ითვალისწინებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის შედეგების სტანდარტებს, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის შედეგების მოთხოვნებს და აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების მოთხოვნებს. ეს პროცედურები სრულად არის ინტეგრირებული საკრედიტო რისკის მართვის პროცესში და რეგულარულად გამოიყენება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისა და კორპორატიული კლიენტებისთვის. პარტნიორ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით შემუშავდა მკაფიო გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიზაციის მატრიცა. დასაფინანსებელი პროექტების კლასიფიკაცია ხდება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიების მიხედვით (დაბალი, საშუალო, მაღალი და A კატეგორია) ანალიზზე დაყრდნობით. საჭიროების შემთხვევაში ტარდება საფუძვლიანი ანალიზი და კომპლექსური შეფასება (due diligence). გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიის მიხედვით გარიგების კლასიფიკაციისას პრიორიტეტი ენიჭება უფრო მაღალ რისკს. გარდა ამისა, A კატეგორიის პროექტების, როგორიცაა ჰიდროელექტროსადგურები, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების დეტალურ შეფასებაში ჩართულები არიან გარე სპეციალიზებული კომპანიები. გარემოსდაცვითი მართვის პოლიტიკა და პროცედურები თიბისი ბანკს მკაფიო სურათს აძლევს კლიენტებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი რისკების შეფასების თვალსაზრისით. ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემის

1 ეროვნულ დონეზე განსაზღვრული კონტრიბუცია (NDC) არის ეროვნული გეგმა, რომელიც ეხება კლიმატის ცვლილების შემცირებას, მათ შორის კლიმატთან დაკავშირებულ მიზნებს სათბურის აირების ემისიის შემცირების შესახებ, პოლიტიკას და ზომებს, რომელთა დანერგვასაც მთავრობები ისახავენ მიზნად კლიმატის ცვლილების საპასუხოდ და პარიზის შეთანხმებაში მოცემული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად.

შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია 73-78 გვერდებზე. უნდა აღინიშნოს, რომ კლიმატის რისკებთან დაკავშირებული პროცესები კიდევ უფრო დაიხვეწება, რადგან თიბისი განაგრძობს მათ ინტეგრირებას საერთო ჩარჩოში. ამ პროცესს დაეხმარება კლიმატთან დაკავშირებული ექსპერტული ცოდნის გაუმჯობესება (ტრენინგი), რომელიც განამტკიცებს ბანკის უნარს, ცოდნას და შესაძლებლობებს, მართოს კლიმატთან დაკავშირებული რისკები მთელი საქმიანობის მასშტაბით.

ჯგუფის საერთო რისკების მართვის ჩარჩოში ამ რისკების გამოვლენის პროცესის ინტეგრირების კიდევ უფრო დასაჩქარებლად, 2022 წელს ჯგუფი ჩაატარებს საფუძვლიან ანალიზს, რათა გაიგოს, რამდენად უნდა მოხდეს კლიმატთან დაკავშირებული რისკების კლასიფიკაცია ძირითად რისკებად. ჯგუფი შეიმუშავებს კლიმატის ცვლილების პოლიტიკას, პოლიტიკას რისკის დასაშვები დონის შესახებ და რისკის დასაშვები დონის ზომებს. 2021 წლის განმავლობაში განხორციელებულმა ზოგადმა სექტორულმა შეფასებამ აშკარა გახადა პოტენციური ზემოქმედება გარკვეულ სექტორებზე. 2022 წელს, თუ საჭიროდ ჩავთვლით, შევადგენთ სექტორულ სახელმძღვანელო მითითებებს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ. მთავარ ინიციატივებს შორის იქნება კლიმატის რისკის მართვის სისტემის კიდევ უფრო დახვეწა და ESG პროფილების შექმნა კორპორატიული კლიენტებისთვის, ESG ფაქტორების გათვალისწინებით, კლიმატთან დაკავშირებული შესაბამისი რისკებისა და შესაძლებლობების ჩათვლით.

კლიმატის რისკმა შეიძლება, გავლენა მოახდინოს საბანკო საქმიანობის სხვა, უფრო ტრადიციულ, რისკის კატეგორიებზე, როგორიცაა საბაზრო რისკი, საოპერაციო რისკი, ლიკვიდურობის რისკი და რეპუტაციის რისკი. შეფასება შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. გარკვეული რისკის ფაქტორები, რომლებიც გამოვლინდა საოპერაციო და რეპუტაციის რისკებისთვის, უკვე ასახულია რისკის მართვის არსებულ სისტემაში.

საბანკო საქმიანობის რისკების ტიპები	**ფიზიკური რისკის გავლენა**	**გარდამავლობის რისკის გავლენა**
საბაზრო რისკი	არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი	არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი
ლიკვიდურობის რისკი	არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი	არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი
საოპერაციო რისკი	ექსტრემალური პირობები, რომლებმაც შეიძლება დააზიანოს ჯგუფის ობიექტები და ამით უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის უნარზე, მომსახურება გაუწიოს თავის კლიენტებს (მაგ. ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა, თანამშრომლების სამუშაო ადგილიდან მუშაობის შეუძლებლობა)	არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი
რეპუტაციის რისკი	არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი	მაღალი ემისიის მქონე მსესხებლების დაფინანსებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბრენდის იმიჯზე დაინტერესებული მხარეების თვალში

4. მაჩვენებლები და მიზნები

ჯგუფის საკუთარ ოპერაციებთან დაკავშირებული მაჩვენებლები მოცემულია ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემის თავში 74-ე გვერდზე და მოიცავს Scope 1, Scope 2 და Scope 3 სათბური აირების ემისიას.

2022 წელს მთავარ ინიციატივებს შორის იყო TCFD-ის რეკომენდაციების შემდგომი გათვალისწინება, კლიმატთან დაკავშირებული სცენარული ანალიზის ჩარჩოს შექმნა, ESG პროფილების განვითარება კორპორატიული კლიენტებისთვის, რომლებიც მოიცავს კლიმატთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებს და ჩვენი კომპეტენციის გაზრდა კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებში. ეს ინიციატივები, ასევე, ითვალისწინებს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობებისთვის სექტორულ სახელმძღვანელო მითითებების შედგენას, სადაც ეს საჭირო და შესაძლებელია.

კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ინიციატივები საერთო ESG სტრატეგიის ნაწილია, რომელიც სამეთვალყურეო საბჭომ 2021 წლის ნოემბერში დაამტკიცა. ESG სტრატეგია ამბიციურ მიზნებს სახავს, როგორიცაა ნეტო-ნულოვანი სათბური აირების ემისია[1], რომელიც 2025 წლისთვის გარემოზე პირდაპირ გავლენას უკავშირდება, მდგრადი სასესხო პორტფელის ზრდა, რაც შედგება განახლებადი ენერგიის სესხებისგან, ენერგო-ეფექტური სესხებისგან, სოციალური კომპონენტების დაფინანსებისგან და ა. შ. 2020 წლის მეოთხე კვარტლისთვის მთლიანი მდგრადი პორტფელი 676.3 მილიონ ლარს შეადგენს. მდგრადი პორტფელის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია წარმოდგენილია 77-ე გვერდზე. სტრატეგია და მიზნები ყოველწლიურად გადაიხედება. 2022 წლიდან ESG-სთან დაკავშირებული შედეგების ძირითადი მაჩვენებლები აისახება აღმასრულებელი მენეჯმენტის ანაზღაურების გრძელვადიან წამახალისებელ გეგმებში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჩვენი ESG სტრატეგიის მთავარი მაჩვენებლები და მიზნები. სათბური აირების ემისიის მიზნები 2023 წლისთვის და მომდევნო წლებისთვის სამიზნე მდგრადი პორტფელი განისაზღვრება ESG სტრატეგიის ს ყოველწლიური გადახედვის დროს

მაჩვენებლები/მიზნები	2022	2023	2025
სულ ემისია	3%-ზე ნაკლები წლიური ზრდა		**სათბური აირების ნეტო-ნულოვანი ემისია (პირდაპირი)**
წყლის მოხმარება ერთ თანამშრომელზე	1.5%-ზე ნაკლები წლიური ზრდა		
მდგრადი პორტფელი	**750 მილიონი ლარი - მდგრადი სასესხო პორტფელის მიზნობრივი მოცულობა**	**1 მილიარდი ლარი - მდგრადი სასესხო პორტფელის მიზნობრივი მოცულობა**	
მენეჯმენტის შედეგების ძირითადი მაჩვენებლები (KPI)	გრძელვადიანი წამახალისებელი გეგმა აღმასრულებელი მენეჯმენტისთვის, რომელიც მიბმულია მდგრადი აქტივების მთლიან პორტფელთან	გრძელვადიანი წამახალისებელი გეგმა აღმასრულებელი მენეჯმენტისთვის, რომელიც მიბმულია მდგრადი აქტივების მთლიან პორტფელთან	

ჯგუფის ESG სტრატეგია ვითარდება, შესაბამისად ჯგუფი განაგრძობს დამატებითი მიზნების და მაჩვენებლების განვითარებას, ჯგუფის ყველა იდენტიფიცირებული რისკისა და შესაძლებლობის გაზომვის მიზნით. მიმდინარე მიზნები და მაჩვენებლები მოცემულია ზემოთ.

1 ნეტო-ნულოვანი ემისიების მიზანი გულისხმობს პირდაპირ გავლენას Scope 1, Scope 2-სა და Scope 3-ზე. მათი განმარტებები მოცემულია 74-ე გვერდზე.

Network Georgia

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ჯილდო 2021

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ გამართულ 2021 წლის კორპორატიული პასუხისმგებლობის დაჯილდოების ცერემონიაზე თიბისი ბანკი დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისთვის გაწეული განსაკუთრებული ძალისხმევისთვის

The Intelligent Lifestyle Magazine

საცალო საბანკო მომსახურება

მიმოხილვა

გასული ათწლეულის განმავლობაში „თიბისი ბანკმა“ თავი დაიმკვიდრა წამყვან საცალო მომსახურების ბანკად საქართველოში, რომელიც დაახლოებით 1.5 მილიონ აქტიურ მომხმარებელს ემსახურება. გვიჭირავს დომინანტური პოზიცია სხვადასხვა სამომხმარებლო სეგმენტში, მათ შორის მასობრივ საცალო და მაღალშემოსავლიანი მომხმარებლების სეგმენტში, რასაც განაპირობებს ჩვენი მომხმარებლებზე ორიენტირებული მიდგომა და საუკეთესო მრავალარხიანი სადისტრიბუციო პლატფორმა. ეს უკანასკნელი შედგება წამყვანი ციფრული არხებისგან, თანამედროვე ფილიალებისგან, საუკეთესო ქოლ-ცენტრისგან, ასევე ATM-ებისა და თვითმომსახურების ტერმინალების ფართო ქსელისგან, რომელიც ბანკის ფილიალების მაგივრობას წევს.

მრავალარხიანი სადისტრიბუციო ქსელი

147
ფილიალების რაოდენობა

4,205
თვითმომსახურების ტერმინალების რაოდენობა

1,570
ATM[1]-ების რაოდენობა

25,990
აქტიური სავაჭრო ტერმინალების რაოდენობა[2]

ჩვენი ციფრული პლატფორმები

744,000
აქტიური ციფრული მომხმარებლები

44%
DAU/MAU

4.9
მობილური ბანკის აპლიკაციის რეიტინგი Google Play Store-ში და Apple App Store-ში

ჩვენი მიზანია ვიყოთ უპირატესი ბანკი საქართველოში მცხოვრები ფიზიკური პირებისთვის და მის ფარგლებს გარეთ მომუშავე საქართველოს მოქალაქეებისთვის, მათთვის მარტივი, მოსახერხებელი და შესაბამისი ფინანსური მომსახურებების შეთავაზების გზით, ჩვენი მოწინავე ციფრული შესაძლებლობების გამოყენებით.

თორნიკე გოგიჩაიშვილი

2021 წელს ჩვენი ძალისხმევა მივმართეთ მომხმარებლების მიერ ციფრული არხებით სარგებლობის გამარტივებისკენ, ახალი პროდუქტების და მომსახურებების დანერგვის, ჩვენი გადახდის ოფციებზე წვდომის ზრდის და ჩვენი ფილიალების განახლების გზით, რათა შეგვექმნა ჩვენი მომხმარებლებისთვის მეტად მეგობრული გარემო. ამასთან, ჩვენ განვაგრძობთ მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობების გამოყენებას მეტად ინდივიდუალური შეთავაზებების შესაქმნელად და ჩვენი მომგებიანობის გასაზრდელად. ასევე გავაფართოვეთ შეთავაზებები ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებისთვის და დავიწყეთ ქართულ დიასპორაზე ორიენტირება.

2021 წელს ჩვენმა მთლიანმა საცალო საკრედიტო პორტფელმა 6,266 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 11.5%-ით მეტია უცვლელი სავალუტო კურსის საფუძველზე, რაც განპირობებულია იპოთეკური და სამომხმარებლო სესხების ზრდით და შესაბამისად 13.3% და 13.1%-ით გაიზარდა უცხოური ვალუტის ეფექტის გარეშე. იმავე პერიოდში ჩვენი დეპოზიტების პორტფელიც 19.0%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში და 5,630 მილიონი ლარი შეადგინა. საცალო სეგმენტის წმინდა მოგება 283.2 მილიონი ლარი იყო. დამატებითი ინფორმაცია საცალო სეგმენტის ფინანსური მაჩვენებლების შესახებ მოცემულია ფინანსური მიმოხილვის ნაწილში გვერდებზე 79-86.

2021 წლის მნიშვნელოვანი საკითხები

38.6%
საცალო სესხების საბაზრო წილი[3]

40.3%
საცალო დეპოზიტების საბაზრო წილი[3]

37.0%
საცალო წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში

37.8%
საცალო წილი დეპოზიტების მთლიან პორტფელში

97%
საცალო ტრანზაქციების განტვირთვის კოეფიციენტი

1.5 mln
აქტიური მომხმარებლების რაოდენობა

56%
NET PROMOTER SCORE (NPS)[4]

ჩვენი მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტები

განვაგრძობთ ჩვენი მოწინავე მრავალარხიანი პლატფორმების განვითარებას

2021 წლის განმავლობაში, დისტანციურ არხებში მომხმარებლების ჩართულობის მაჩვენებელი კვლავ მაღალი რჩებოდა, საცალო მომხმარებლების მიერ დისტანციური არხებით განხორციელებული ტრანზაქციების 97%-ით, მათ შორის 59% ჩვენი ინტერნეტ და მობილური საბანკო აპლიკაციებით შესრულდა.

საცალო ტრანზაქციების განტვირთვის კოეფიციენტი 2021 წელს



1 საპარტნიორო ბანკების ჩათვლით.
2 აქტიური სავაჭრო ტერმინალები მოიცავს POS ტერმინალებს და ონლაინ მაღაზიებს, რომლებზეც ხორციელდება სულ მცირე ერთი ოპერაცია თვის განმავლობაში.
3 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე; ამ კონტექსტში, საცალო მომსახურება გულისხმობს ფიზიკურ პირ მომხმარებლებს.
4 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის „IPM“ მიერ 2021 წლის დეკემბერში ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

ციფრული პლატფორმებიდან სამომხმარებლო სესხის გაყიდვების ზრდის მიზნით, 2021 წლის აგვისტოში წამოვიწყეთ მობილური საბანკო აპლიკაციით სესხის გაცემის end-to-end პროცესი. ასევე განვაგრძობთ ჩვენი ონლაინ საკრედიტო პლატფორმის TBC Credit-ის (www.tbccredit.ge) და „თიბისის“ განვადების პლატფორმის (www.tbcganvadeba.ge) დახვეწას. შედეგად დისტანციური არხებით გაყიდული სამომხმარებლო სესხების წილი 2020 წლის მე-4 კვარტლის 38%-დან 2021 წლის მე-4 კვარტალში 45%-მდე გაიზარდა. იმავე პერიოდში, დისტანციურად გახსნილი ვადიანი და შემნახველი დეპოზიტების წილი საკმაოდ მაღალი - 73% იყო.

სამომხმარებლო სესხების გაყიდვა ციფრულ არხებში



დეპოზიტების გაყიდვა ციფრულ არხებში



ამასთან, ჩვენ დავნერგეთ ღია ბანკინგი, რომელიც მომხმარებლებს ჩვენს მობილურ საბანკო აპლიკაციაში სხვა ქართული ბანკის ანგარიშების დამატების და მათი საბანკო ოპერაციების ცენტრალიზებულად მართვის საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, ჩვენი ციფრული საბანკო მომსახურება მეტად მოსახერხებელი ფუნქციებით, მათ შორის IBAN სკანერით გავამდიდრეთ, რომელიც ამარტივებს ფულად გზავნილებს, ასევე ტრანზაქციების ფილტრით, რომელიც მომხმარებლებს ეხმარება ტრანზაქციების სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით დალაგებაში. ჩვენმა სამუშაომ აღიარება ჰპოვა „Global Finance Magazine“-სგან ჯილდოს „საუკეთესო ინტეგრირებული სამომხმარებლო ბანკის საიტი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 2021“ მიღებით.

ჩვენი ტრანზაქციების და გაყიდვების ციფრულ არხებში განხორციელებით, ფილიალები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მომხმარებლებთან ურთიერთობის გაძლიერებაში და ჩვენი ხედვის გადმოცემაში: „გავუმარტივოთ ადამიანებს ცხოვრება“. შესაბამისად, წელს დავიწყეთ ფილიალების გადაპროექტება მომხმარებელთა მომსახურების პროცესის გამარტივების მიზნით.

ახალი კონცეფციის თანახმად, ფილიალი რამდენიმე მნიშვნელოვან ზონად იყოფა და ის მორგებულია მომხმარებელთა სხვადასხვა სეგმენტების საჭიროებებს. წლის ბოლოსთვის ჩვენ გადავაპროექტეთ 13 ფილიალი დედაქალაქში და 5 - რეგიონებში.

გადახდები უფრო მარტივად, ვიდრე ოდესმე

2020 წელს თბილისის მუნიციპალურ ტრანსპორტში გადახდების ქსელის დანერგვის შემდეგ, 2021 წელს ჩვენ გავაფართოვეთ ჩვენი ჩართულობა საქართველოს სხვა მსხვილ ქალაქებშიც, კერძოდ კი ქუთაისში, გორსა და ფოთში. ამ ქალაქებში მომხმარებლებს უკვე შეუძლიათ მგზავრობის საფასურის გადახდა ნებისმიერი ჩვენი სადებეტო ან საკრედიტო ბარათის გამოყენებით, ან თიბისის მიერ გაცემული სამგზავრო ბარათებიდან დაქვითვის გზით. სამგზავრო ბარათები მარტივად მისაღები და გამოსაყენებელია. ეს არის უსახელო ბარათები, რომლებიც არ არის მიბმული ბანკის ანგარიშზე და მათ არ აქვთ მოქმედების ვადა. მგზავრობის ბარათის შეძენა შესაძლებელია ჩვენ ფილიალებში, ასევე მაღაზიათა რამდენიმე ქსელში. 2021 წლის ბოლოს, ჩვენი აქტიური სამგზავრო ბარათების რაოდენობამ 47,100 შეადგინა.

კიდევ ერთი ინიციატივა გადახდების მიმართულებით იყო დავის გამარტივებული პროცესის შემოღება ბარათით განხორციელებულ არაავტორიზებულ ოპერაციებზე, რაც დავის განხილვის 35-დან 3 დღემდე შემცირების საშუალებას გვაძლევს. გარდა ამისა, ჩვენ გავზარდეთ იმ შემთხვევების რაოდენობა, რომლისთვისაც კლიენტებს შეუძლიათ მიიღონ ანაზღაურება ბარათის არაავტორიზებული გამოყენების შემთხვევაში. ეს მომსახურებები ხელმისაწვდომია ყველა დაზღვეული.

ბარათისთვის, თიბისი კონცეპტისა და დაგროვილი კაპიტალის მართვის მომხმარებლებისთვის, ისინი ასევე შესულია კონკრეტული გამოწერის ოფციაში ჩვენი მასობრივი საცალო მომხმარებლებისთვის.

ჩვენს მომხმარებლებთან დაახლოება

ჩვენი კლიენტების საჭიროებების უკეთესად დასაკმაყოფილებლად და მეტი მოქნილობის უზრუნველსაყოფად, 2020 წლის ბოლოსთვის დავნერგეთ ჩვენი მასობრივი საცალო მომსახურების გამოწერის მოდელი. ჩვენი

მოწინავე ანალიტიკური შესაძლებლობების დახმარებით, ჩვენი მომხმარებლებისთვის შევიმუშავეთ ყურადღებით შერჩეული პაკეტები და მუდმივად ვაახლებთ მათ მომხმარებლებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. ასევე აქტიურად ვიყენებთ კომუნიკაციის სხვადასხვა არხს, გამოწერის მოდელის ბენეფიტების ჩვენი მომხმარებლებისთვის გასაცნობად და მათი გამოწერაზე წასახალისებლად. შედეგად, ჩვენი გამოწერის მოდელმა 192,000 მომხმარებელი მოიზიდა წლის ბოლოსთვის, რაც მთლიანი აქტიური საცალო მომხმარებლების დაახლოებით 13%-ს შეადგენს. მომავალში ჩვენი მიზანია მომხმარებლების კლასიკური საბანკო მომსახურების მოდელიდან გამოწერის მოდელზე გადაყვანა, რაც დაგვეხმარება მათთვის მეტად ინდივიდუალური შეთავაზებების გაკეთებაში, მათი ლოიალობის გაზრდაში, დენადობის მაჩვენებლების შემცირებაში და ბანკისთვის მეტად სტაბილური და გრძელვადიანი საკომისიო შემოსავლის გამომუშავებაში.

წლის განმავლობაში განხორციელებული კიდევ ერთი ინიციატივა იყო 2021 წლის ოქტომბერში „თიბისის“ ახალი ქვებრენდის - „TBC Z“-ის გაშვება, რომელიც ახალგაზრდა თაობაზეა ორიენტირებული. „TBC Z“-ის ფარგლებში მომხმარებლებს ვთავაზობთ ინდივიდუალურად მორგებულ საბანკო პროდუქტებს და მომსახურებებს 6-17 წლის მოსწავლეებისთვის და 18-23 წლის სტუდენტებისთვის ჩვენი ონლაინ პლატფორმით www.tbcz.ge. მშობლებს შეუძლიათ მათი შვილების ანგარიშების მიკვლევადობა ონლაინ და მობილური საბანკო აპლიკაციების გამოყენებით, მაქსიმალური დღიური ლიმიტის განსაზღვრა მათი დანახარჯებისა და გასანაღდებელი თანხებისთვის, ასევე მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) მიღება მათი შვილის მიერ განხორციელებული გარიგებების შესახებ. პლატფორმა ბარათის მფლობელებს ასევე სთავაზობს განათლების, გართობის, გატაცებების, ტრანსპორტირებისა და სხვ. შესახებ მათ ინტერესებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ფასდაკლებას და აქტივობას. 2021 წლის ბოლო სამი თვის განმავლობაში ჩვენი ახალგაზრდა სეგმენტის რაოდენობამ 165,000 აქტიური მომხმარებელი შეადგინა.

ამასთან, წელს ახალი გამოწვევა მივიღეთ - გავმხდარიყავით ნომერი პირველი არჩევანი საზღვარგარეთ მომუშავე საქართველოს მოქალაქეებისთვის - მათთვის მარტივი, მოსახერხებელი და შესაბამისი ფინანსური მომსახურებების შეთავაზების გზით. ამ მიზნით, ჩვენ შევქმენით ერთგული გუნდი და დავიწყეთ დიასპორის საჭიროებების კვლევა ინდივიდუალური პროდუქტების და მომსახურებების შესაქმნელად, ასევე არსებული ციფრული პლატფორმების გასაძლიერებლად, მათზე მორგებული მომსახურებების გასაწევად. დღეს დაახლოებით 1.3 მილიონი ემიგრანტი ცხოვრობს საზღვარგარეთ, რომლებიც 350 ათას პოტენციურ კლიენტად გარდაიქმნება და, ჩვენი შეფასების თანახმად, ზრდაში შეგვიწყობენ ხელს.

ჩვენ ასევე განვაგრძობთ ფართომასშტაბიანი ლოიალობის პროგრამის - ერთგული - განხორციელებას, რომელიც ჩვენი საცალო მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომაა და მომხმარებლებს ლოიალობის ქულების დაგროვების საშუალებას აძლევს „თიბისის“ ბარათებით ანგარიშსწორებისას 300-ზე მეტ პარტნიორ კომპანიაში, სპეციალურ შეთავაზებებსა და ფასდაკლებებზე წვდომასთან ერთად. მომხმარებლები სადებეტო ბარათებზე მეტ ქულებს აგროვებენ საკრედიტო ბარათებით ანგარიშსწორებისას. ეს პროგრამა გვეხმარება მომხმარებელთა ლოიალობის შექმნაში და ხელს უწყობს გადახდების ოპერაციებს და ბარათით სარგებლობას.

მონაცემთა სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობების გამოყენების გაგრძელება

ჩვენი სამწლიანი მონაცემების ანალიზის განვითარების გეგმის ფარგლებში, რომელიც 2018 წელს შევიმუშავეთ წამყვანი გლობალური საკონსულტაციო ფირმის მხარდაჭერით, წამოვიწყეთ და დავგეგმეთ შემდეგი პროექტები საცალო მომსახურების სეგმენტში, რომლითაც 2021 წელს დამატებით 20 მილიონი ლარის გამომუშავება შევძელით.

მიმდინარე პროექტები

- **სამომხმარებლო და იპოთეკური სესხის ფასის ოპტიმიზაცია და პროცესის ავტომატიზაცია** - ეს არის მიმდინარე პროექტი, რომელიც მუდმივად დახვეწილია. მომხმარებლების ხარჯვის ქცევის დეტალური ანალიზის, რისკების პროფილის და სხვა მახასიათებლების საფუძველზე, ჩვენ განვსაზღვრეთ ფასის მგრძნობელობა და შევიმუშავეთ ინდივიდუალური შეთავაზებები თითოეული მომხმარებლისთვის. მომხმარებლის დონეზე ფასის დაანგარიშების პროცესი სრულად ავტომატიზებულია და სესხის ორგანიზების სისტემაშია ინტეგრირებული.
- **მომხმარებლის სასიცოცხლო ციკლი** - ეს პროექტი მომხმარებლებზე ორიენტირებული კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რადგან მისი გამოყენებით იზომება ისეთი საკითხები, როგორიც არის: მომხმარებელთა ჩართულობა, მომხმარებელთა გადინება და მომხმარებელთა სასიცოცხლო ციკლის შეფასება.

დაწყებული და დაგეგმილი პროექტები:

- **გამოწერის მოდელი მასობრივი საცალო მომხმარებლებისთვის** - აღწერილია ქვეთავში „ჩვენს მომხმარებლებთან დაახლოვება“ ზემოთ.
- **თიბისი კონცეპტის მომსახურების მოდელი მაღალშემოსავლიანი მომხმარებლებისთვის** - აღწერილია ქვეთავში თიბისი კონცეპტის შესახებ ქვემოთ.
- **მომდევნო საუკეთესო პროდუქტი საცალო მომსახურების სექტორში** - ეს პროექტი მიმართულია კონვერტაციების გაზრდისკენ ინდივიდუალური შეთავაზებების შემუშავების გზით, თანამედროვე სისტემური ალგორითმის გამოყენებით, რომელიც ჩვენი გაყიდვების არხებშია ხელმისაწვდომი. პროექტი ძალიან წარმატებულია მომხმარებელთა კმაყოფილების დონის და კონვერტაციების მაჩვენებელის ზრდის მხრივ.
- **დეპოზიტების ფასწარმოება და მომგებიანობის დონის ზრდა** – ეს პროექტი ითვალისწინებს ჩვენი საცალო დეპოზიტების ეფექტურ მართვას მომხმარებლებისთვის ინდივიდუალური შეთავაზებების გზით. ვადიანი დეპოზიტის გახსნისას ყველა მომხმარებელი იღებს ალტერნატიულ შეთავაზებას, რომელიც მოცემულ ვითარებაში მისთვის საუკეთესო შესაძლო შეთავაზებაა. 2021 წელს ყველა ახლად გახსნილი და განახლებული ვადიანი დეპოზიტის 32% ალტერნატიული პირობებით განთავსდა.

ჩვენი მაღალშემოსავლიანი ქვესეგმენტის „თიბისი კონცეპტის“ შემდგომი განვითარება

2020 წელს „თიბისის“ მაღალშემოსავლიან მომხმარებლებზე ორიენტირებული საბანკო მომსახურება, სტანდარტული მოდელიდან ინოვაციურ, გამოწერის ბიზნეს-მოდელზე გადავიდა, რომელიც ჩვენს მომხმარებლებს მათ კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებულ სხვადასხვა პაკეტს სთავაზობს. ჩვენი „სრულად ციფრული პაკეტი“ განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა პანდემიის დროს, რადგან ის ჩვენს მომხმარებლებს სთავაზობს მათი ყოველდღიური საბანკო ოპერაციების მართვის და ფინანსური კონსულტაციის ონლაინ რეჟიმში მიღების შესაძლებლობას, ყველა სახის საბანკო სამომხმარებლო ბენეფიტებზე წვდომასთან ერთად. 2021 წელს ჩვენ ასევე შევქმენით ახალი პაკეტი, რომელიც იმ ფიზიკურ პირებზეა ორიენტირებული, ვისაც აქვთ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების ფართო სპექტრის საჭიროება და დაინტერესებული არიან საბროკერო მომსახურებით რათა საკუთარი სახსრები უკეთესად მართონ. ამასთან, ამ პაკეტის ფარგლებში ჩვენს მომხმარებლებს ვთავაზობთ ორ ახალ პრემიუმ ბარათს: Visa Signature და Mastercard World Elite, რომლებიც მათ მფლობელებს მომსახურებების, პრივილეგიების, ფასდაკლებების და VIP სერვისების ფართო სპექტრს სთავაზობს მსოფლიოს მასშტაბით.

ჩვენ ასევე განვაგრძობთ ჩვენი თიბისი კონცეპტის Flagship სივრცის წარმატებულ ფუნქციონირებას, რომელიც 2020 წელს გაიხსნა და საბანკო მომსახურების ცხოვრების სტილზე მორგების შესაძლებლობას იძლევა. ეს კონცეპტუალური სივრცე სტრატეგიულად შემუშავდა, რომლის 80% lifestyle-ს , ხოლო - 20% - საბანკო სივრცეს მოიცავს. Flagship სივრცეებში შედის თვითმომსახურების და პერსონალური საბანკო ზონები, გამოფენები, ბიბლიოთეკა და საერთო სამუშაო სივრცეები, ასევე კაფე. შედეგად, Flagship სივრცე საბანკო, რეკრეაციული საქმიანობის და ერთად მუშაობისთვის საყვარელ ადგილად იქცა კონცეპტ-მომხმარებლების უმრავლესობისთვის.

2021 წლის განმავლობაში, თიბისი კონცეპტმა შეინარჩუნა ძლიერი პოზიცია თავისი მომხმარებლებისთვის ცხოვრების სტილზე მორგებული შეთავაზებების მიმართულებაში. მონაცემებზე ორიენტირებული მზარდი მიდგომით, თიბისი კონცეპტმა თავის მომხმარებლებს 300-ზე მეტი სპეციალური შეთავაზებები და და აქციები გაუკეთა წლის განმავლობაში, რაც მოიცავდა მოგზაურობას (აღმოაჩინე საქართველო პანდემიის დროს), შოფინგს (მეტწილად ონლაინ), რეკრეაციულ აქტივობებს, ონლაინ პლატფორმებს და მრავალ სხვას. გარდა ამისა, ჩვენ განვაგრძობთ ჩვენი კონცეპტ-მომხმარებლებისთვის საკონსიერჟო მომსახურებების შეთავაზებას, რაც მოიცავს მოგზაურობის დაგეგმვას, საზღვარგარეთ სწავლას, რესტორნების დაჯავშნას, ყვავილების მიწოდების სერვისს, მშრალი წმენდის, სამრეცხაოს მომსახურებებს, ავტო-სერვისებს და მრავალ სხვას.

ვამაყობთ, რომ ჩვენს მაღალშემოსავლიან მომხმარებლებზე ორიენტირებულმა მომსახურებებმა, კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესის სეგმენტის მიერ შეთავაზებულ დაგროვილი კაპიტალის მართვის მომსახურებასთან ერთად, რამდენიმე პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა:

საუკეთესო პერსონალური ბანკი საქართველოში 2021
„PWM“ და „Banker magazine“-სგან

საუკეთესო პერსონალური ბანკი საქართველოში 2020
„Global Finance magazine“-სგან

თიბისი კონცეფტი

საკრედიტო პორტფელი
(მილიონი ლარი)
+7.9%



სადეპოზიტო პორტფელი
(მილიონი ლარი)
+11.5%



მომხმარებლების რაოდენობა
+7.0%



პერსპექტივები

მომავალში, ჩვენი მისწრაფების შესაბამისად ე, გავუმარტივოთ ადამიანებს ცხოვრება, განვაგრძობთ ციფრული არხებით გაყიდვების ზრდის ტემპის აჩქარებას. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია მეტად გავიმყაროთ პოზიცია საქართველოს რეგიონებში, გავზარდოთ აქტიური მომხმარებლების რიცხვი და ჩვენი მთლიანი საკრედიტო პორტფელის არაიპოთეკური წილი.

MSME საბანკო საქმიანობა

მიმოხილვა

წლების განმავლობაში თიბისი ბანკმა ადგილი დაიმკვიდრა, როგორც წამყვანმა პარტნიორმა მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (MSME) მათი ზრდის და განვითარების მხარდაჭერის გზით. ჩვენი უწყვეტი ძალისხმევის შედეგად, ყველა ახლად რეგისტრირებული საწარმოს 63% არჩევანს „თიბისი ბანკზე“ აჩერებს.

ჩვენ განვაგრძობთ ყოვლისმომცველი მხარდაჭერის გაწევას ბიზნესებისთვის, მათთვის საჭირო ინსტრუმენტების და მომსახურებების შეთავაზების გზით გარემოში, რომელიც ჯერ კიდევ განიცდის კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენას. ჩვენი სტრატეგიული უპირატესობები მოიცავს ციფრულ და გადახდების გადაწყვეტილებების შექმნას, ჩვენი წილის გაზრდას მიკრო ქვესეგმენტში და ჩვენი ცნობილი ბიზნეს-მხარდაჭერის პროგრამის გაუჯობესებას.

ბიზნეს-საქმიანობების განვითარების მიმართულებით ჩვენმა ძალისხმევამ გამოიწვია მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების საკრედიტო პორტფელის 23.3%-იანი ზრდა 4,141 მილიონი ლარამდე 2021 წლის განმავლობაში, უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში. იმავე პერიოდში ჩვენი დეპოზიტების პორტფელიც 19.1%-ით გაიზარდა და 1,564 მილიონი ლარი შეადგინა უცხოური გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე. 2021 წელს ჩვენმა წმინდა მოგებამ MSME სეგმენტში 164.5 მილიონი ლარი შეადგინა. დამატებითი ინფორმაცია MSME სეგმენტის ფინანსური მაჩვენებლების შესახებ მოცემულია ფინანსური მიმოხილვის ნაწილში გვერდებზე 79-86.

ჩვენი მიზანია ვიყოთ სანდო პარტნიორი და ქართული ბიზნესების მხარდამჭერი - სტარტაპებიდან კარგად დაფუძნებულ საწარმოებამდე, სანდო პროდუქტების და გადაწყვეტილებების ფართო სპექტრის შეთავაზებით მათი განვითარების ყველა ეტაპზე. ჩვენ ასევე ორიენტირებულნი ვართ ხელი შევუწყოთ ძლიერი ადგილობრივი ბიზნეს-საზოგადოების ჩამოყალიბებას სხვადასხვა სახის ინიციატივების და პროგრამების დახმარებით.

თორნიკე გოგიჩაიშვილი

მრავალფეროვანი MSME პორტფელი დომინანტური პოზიციით სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, სასტუმრო და დასვენების სექტორებში



2021 წლის მნიშვნელოვანი საკითხები

81,000
აქტიური მომხმარებლების რაოდენობა[1]

63%
ჩვენი ახლად რეგისტრირებული იურიდიული პირებისა „თიბისი ბანკს“ ირჩევს[2]

24.4%
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში

10.5%
MSME-ის წილი დეპოზიტების მთლიან პორტფელში

98%
ჩვენი აქტიური მომხმარებლებისა იყენებს ბიზნეს ინტერნეტ ან მობილურ ბანკს

ჩვენი მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტები

ჩვენი პოზიციების გამტკიცება მიკრო ქვესეგმენტში, მცირე და საშუალო საწარმოების ქვესეგმენტში ლიდერობის შენარჩუნების პარალელურად

მაშინ როდესაც ჩვენი მიზანია ყველა ზომის მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის მხარდაჭერა, წელს ჩვენი განსაკუთრებული ფოკუსი მიმართული იყო MSME ყველაზე მცირე - მიკრო ქვესეგმენტში პოზიციების გამყარებაზე[3]. ამ ქვესეგმენტში პოზიციების გამყარების მიზნით, ჩვენ რამდენიმე ინიციატივა განვახორციელეთ:

- ჩვენ განვაგრძეთ სესხის დამტკიცების ავტომატიზაციის პროცესი მიკრო ქვესეგმენტში, რომლის განხორციელება პანდემიის გამო შეფერხდა გასულ წელს. 2021 წელს წარმატებით ავამუშავეთ სესხის დამტკიცების სრულად ავტომატიზებული სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს 100,000 ლარამდე სესხები ავტომატურად დამტკიცდეს წინასწარ განსაზღვრული წესებით და ქულების მოდელით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გადაწყვეტილების მიღების დროს.
- ჩვენ ასევე შევცვალეთ პერსონალის მოტივირების სისტემა ჩვენი ფრონტ-ოფისის თანამშრომლებისთვის, რომელიც ფოკუსირებულია მცირე ზომის სესხის გაცემაზე.

შედეგად, ჩვენი მიკრო ქვესეგმენტის საკრედიტო პორტფელი 26.9%-ით გაიზარდა 2021 წელს.

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, ჩვენი პროცესების შემდგომი გამარტივების მიზნით, ფინანსური ანგარიშგების ავტომატიზაციის ინსტრუმენტი დავნერგეთ, რომელიც ავტომატურად ახდენს ბიზნეს-საწარმოების ფინანსური ანგარიშგების გენერირებას შემავალი მონაცემების საფუძველზე. ეს ინსტრუმენტი მნიშვნელოვნად აჩქარებს სესხის დამტკიცების პროცესს, ასევე ამცირებს ადამიანური ფაქტორით შეცდომის დაშვების შესაძლებლობას. შედეგად, გადაწყვეტილების მიღების დრო მსგავსი ტიპის სესხებისთვის დაახლოებით ორი დღით შემცირდა.

1 საიდანაც 40,00 იურიდიული პირია, ხოლო 41,000 ფიზიკური პირი ბიზნეს-სესხებით.
2 მონაცემები 2021 წლის იანვარ-სექტემბერს უკავშირდება, წყარო: www.napr.gov.ge, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
3 მოიცავს 1 მილიონ ლარამდე ბიზნეს-სესხებს.

გვახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენი განუწყვეტლივი ძალისხმევა ინოვაციებისა და დიჯიტალიზაციის მიმართულებით საერთაშორისო მასშტაბით არის აღიარებული, რამაც „Global Finance“-ის მრავალი ჯილდო დაიმსახურა:

საუკეთესო კორპორატიული/ ინსტიტუციონალური ონლაინ პორტალი მსოფლიოში 2021;

საუკეთესო კორპორატიული/ ინსტიტუციონალური ონლაინ პორტალი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 2021;

საუკეთესო ინტეგრირებული კორპორატიული/ინსტიტუციონალური საბანკო საიტი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 2021;

საუკეთესო კორპორატიული/ ინსტიტუციონალური მობილური საბანკო აპლიკაცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 2021;

ყველაზე ინოვაციური კორპორატიული/ ინსტიტუციონალური ციფრული ბანკი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 2021.

მზარდი დიჯიტალიზაცია

2021 წელს ჩვენი ციფრული მომსახურება კვლავ მაღალი მოთხოვნით სარგებლობდა, რადგან პანდემიით შექმნილი ტენდენციები შენარჩუნდა. ჩვენი აქტიური იურიდიული მომხმარებლების დაახლოებით 98% იყენებს ბიზნეს ინტერნეტ ან მობილურ ბანკს, რომლის DAU/MAU კოეფიციენტი 2021 წლის ბოლოსთვის 26%-ზე იყო.

ამ წელს ყველაზე შესამჩნევი ინოვაცია ჩვენ ციფრულ შეთავაზებებს შორის იყო ღია ბანკინგის დანერგვა მობილურ საბანკო აპლიკაციაში. ღია ბანკინგი აერთიანებს საქართველოს სხვადასხვა ბანკში კლიენტის ყველა ანგარიშს და მათ ერთ სივრცეში საკუთარი ანგარიშების შემოწმების საშუალებას აძლევს. ეს ფუნქცია განსაკუთრებით სასარგებლო იყო ჩვენი ბიზნეს-მომხმარებლებისთვის, რადგან ნახევარზე მეტს ერთ ბანკზე მეტში აქვს ანგარიშები გახსნილი. აღრე ნაშთების და ტრანზაქციების შესამოწმებლად მომხმარებლებს სხვადასხვა საბანკო აპლიკაციაში შესვლა და ერთიდან მეორეზე გადართვა უწევდათ.

ასევე აქტიურად ვაახლებთ ჩვენს ბიზნეს-აპლიკაციას, რომელიც 2020 წელს ავამოქმედეთ, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მუშაობის მეტად მოხერხებულობისთვის. აპლიკაციას რამდენიმე ახალი ფუნქცია დაემატა ჩვენი მომხმარებლების საჭიროებების უკეთ გასათვალისწინებლად, მაგალითად ახალი მოდულის დანერგვა კომუნალური გადასახადებისთვის და ავტომატური გადახდები, ასევე ნებისმიერ ვალუტაში ფულის გადარიცხვის ფუნქცია.

ჩვენი გადახდების გადაწყვეტილებების დახვეწა

2021 წელს ჩვენ განვაგრძეთ გადახდების ინოვაციური და მოსახერხებელი გადაწყვეტილებების დანერგვა ჩვენი მომხმარებლებისთვის:

- ელ-კომერციაში წამოვიწყეთ ალტერნატიული გადახდების მეთოდი მცირე ბიზნესებისთვის, რომელიც მიმწოდებლებს ონლაინ გადახდების დამუშავების შესაძლებლობას აძლევს უფრო მარტივი და იაფი ფორმით, ვიდრე ტრადიციული გადახდის სისტემა. კლიენტისგან შეკვეთის მიღების შემდეგ, მიმწოდებლებს შეუძლიათ გადახდის ბმულის გენერირება შესაბამისი პლატფორმიდან და ბმულის მომხმარებლისთვის გაგზავნა. ბმულზე ხელის ერთი დაჭერით, კლიენტი ირჩევს გადახდის შესაბამის ვერსიას: ნებისმიერი ბანკის მობილურ ან ინტერნეტ ბანკს, QR გადახდას „თიბისის“ მობილური ბანკით, Apple Pay ან ანგარიშსწორებას ჩვენი ლოიალობის პროგრამა „ერთგულის“ ქულებით.
- გარდა ამისა, ონლაინ გადახდების გამარტივების მიზნით, ჩვენ ახალი პლატფორმა „Payments Space“ ავამოქმედეთ (ხელმისაწვდომია ბმულზე www.tbcpayments.ge) ჩვენი მიმწოდებლებისთვის, რაც მათ ყოველდღიური ტრანზაქციების მარტივად გაკონტროლების, ანალიტიკური ანგარიშების მიღების და გადახდის პროდუქტების მართვის შესაძლებლობა აძლევს. პლატფორმა უფასოა.
- POS-ტერმინალებთან დაკავშირებით ჩვენ დავნერგეთ Android POS გადაწყვეტილება, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესებზეა ორიენტირებული და ტრადიციული POS ტერმინალებთან შედარებით უფრო სმარტია. მისი ოპერაციული სისტემის (Android) წყალობით, ის მეტად მოქნილია, იძლევა POS ტერმინალებზე არა-საგადამხდელო

ფუნქციების დამატების საშუალებას და მომსახურების უკეთეს ხარისხს ქმნის მიმწოდებლებისა და მომხმარებლებისთვის. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩვენ უკვე 100 აქტიური Android POS ტერმინალი გვქონდა.

ჩვენი ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამის გაფართოება

ჩვენი მიზანია ბიზნეს-მომხმარებლების წარმატების მიღწევის ხელშეწყობა მათთვის სრულმასშტაბიანი ბიზნეს-მხარდაჭერის საგანმანათლებლო რესურსებით და ტექნოლოგიური ინსტრუმენტით მდიდარი პროგრამის შეთავაზებით, რომელიც ერთ პლატფორმაზეა www.tbcbusiness.ge ხელმისაწვდომი.

ჩვენ გვაქვს უმსხვილესი ბიზნეს საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოში, რომელსაც 30,000-ზე მეტი მსურველი დაესწრო 1,000-მდე ლექციას, განვლილი რვა წლის განმავლობაში. პროგრამა შემუშავებულია აზიის განვითარების ბანკთან თანამშრომლობით და ის უფასო წვდომას სთავაზობს ლაივ-რეჟიმში მიმდინარე ლექციებზე სხვადასხვა თემაზე, როგორიც არის ტექნოლოგია, ციფრული მარკეტინგი, ადამიანური რესურსები და სხვ.

ბიზნესების დასახმარებლად შესაფერისი ინსტრუმენტის და პროგრამული უზრუნველყოფის მოძიებისა და გამოყენებისთვის, ჩვენ შევქმენით ონლაინ პლატფორმა www.businesstools.ge. ეს პლატფორმა ერთმანეთთან აკავშირებს დეველოპერებს მომხმარებლებთან და სთავაზობს მათ ბუღალტრული აღრიცხვის, IT მენეჯმენტის, პროექტების მართვისა და სხვა სფეროების სხვადასხვა პროგრამების მოძიების, შედარებისა და გადახედვისთვის ხელსაყრელ საშუალებებს.

ჩვენ განვაგრძობთ ჩვენი ბიზნეს-მომხმარებლებისთვის ბიზნეს-კლუბის შეთავაზებას. ეს არის გამოწერის უნიკალური მოდელი, რომელიც აერთიანებს ფინანსური და არაფინანსური პროდუქტების და მომსახურებების ფართო სპექტრს, როგორიც არის: პირისპირ და ჯგუფური შეხვედრები, სემინარები და სესიები ბაზარზე წამყვან სპეციალისტებთან სხვადასხვა სფეროში, ასევე სპეციალური შეთავაზებები ჩვენი პარტნიორებისგან. ჩვენი MSME იურიდიული კლიენტების დაახლოებით 30% ბიზნეს-კლუბის წევრები არიან.

ინოვაციურობის და კრეატიულობის, ასევე მეწარმეების წასახალისებლად ჩვენ რამდენიმე ცნობილი ყოველწლიური ღონისძიება დავგეგმეთ:

- ყოველწლიური ბიზნეს დაჯილდოების ცერემონია, რომელიც 2015 წლიდან ტარდება და მისი მიზანია გამორჩეული საწარმოების გამოვლენა, მათი დახმარება განვითარებაში, ცნობადობის ამაღლებაში და აღიარებაში და სხვა მეწარმეების შთაგონებაში. ამ წელს ღონისძიება ჩატარდა „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის ევროპულ ფონდთან (EFSE)“ და „Forbes Georgia“-სთან პარტნიორობით და 41.3 მილიონი ნახვა დააგროვა მედია საშუალებებში, ხოლო ცნობადობამ 70%-ს მიაღწია[1]. წლების განმავლობაში ცერემონიამ 3,000-ზე მეტი საწარმო მოიზიდა სხვადასხვა სფეროდან.
- „Annual Apps Challenge“, რომელიც პირველად 2020 წელს ჩატარდა. ამ წელს 40 გუნდი ჩაერთო კონკურსში აპლიკაციების უნიკალური და ინოვაციური იდეებით. ისინი პირველი სამი ადგილის მოსაპოვებლად იბრძოდნენ, რათა მიეღოთ დაფინანსება მათი იდეების ხორცშესასხმელად.

დამატებითი მხარდაჭერა სტარტაპებისა და სასოფლო საწარმოებისთვის

2017 წლიდან ავამოქმედეთ პროგრამა „სტარტაპერი“, სტარტაპებზე ორიენტირებული პროექტი, რომელიც განვითარების საწყის ეტაპზე მყოფ კომპანიებს ფართომასშტაბიან მხარდაჭერას სთავაზობს. პროგრამის მიზანია მეწარმეობის ხელშეწყობა მარტივად ხელმისაწვდომი დაფინანსებით, მედია და PR მხარდაჭერით, უფასო საგანმანათლებლო პროგრამებით და კონფერენციებით, ასევე საქართველოში მსხვილ კომპანიებთან პარტნიორობით. პროგრამის პორტფელი 493 აქტიურ სესხს მოიცავს, რომელთა მთლიანი რაოდენობა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 196.9 მილიონ ლარს შეადგენდა.

სასოფლო რეგიონებში ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში დახმარების მიზნით, ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს ადგილობრივ ბიზნესებს ხელმისაწვდომი ფინანსების შეთავაზების გზით. ჩვენ ვითანამშრომლეთ სამ სახელმწიფო პროგრამასთან - „აწარმოე საქართველოში“, „უმასპინძლე საქართველოში“ და „შეღავათიანი აგროკრედიტი“, სასოფლო-სამეურნეო და სასტუმრო ბიზნესების მხარდაჭერის მიზნით. პროგრამები ბენეფიციარებს დაბალპროცენტიან სესხებს სთავაზობს სახელმწიფო სუბსიდირების გზით. 2021 წელს ამ პროგრამების ფარგლებში ჩვენ გავეცით 2,096 სესხი 530.0 მილიონი ლარის ჯამური ოდენობით.

პერსპექტივები

მომავალში კვლავ ვიქნებით ორიენტირებული ჩვენი მომხმარებლებისთვის მომსახურების გამორჩეული ხარისხის შეთავაზებაზე, ჩვენი პროდუქტების გამარტივებასა და დიჯიტალიზაციაზე, რეგიონებში მცირე და მიკრო ქვესეგმენტში ჩვენი პოზიციების გამყარებაზე, გამოწერის მოდელის მეტად განვითარებაზე, და ამავდროულად დავრჩებით ბიზნესის საუკეთესო მხარდამჭერად ქვეყანაში.

1 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის „ACT“ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

მსოფლიოში

საუკეთესო კორპორატიული ინტერნეტბანკის პორტალი

თიბისი

GLOBAL FINANCE

CIB საბანკო საქმიანობა

მიმოხილვა

განვლილი ათწლეულების მანძილზე, თიბისი ბანკის კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესი (CIB) კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო გადაწყვეტილებების წამყვანი პროვაიდერი იყო საქართველოში, რომელიც ეხმარებოდა საწარმოებს მათი დაფინანსების სტრუქტურის ოპტიმიზაციაში და რისკების ეფექტურ მართვაში. ჩვენ ვინარჩუნებთ ნომერ პირველ ადგილს ბაზარზე ყველა მნიშვნელოვან პროდუქტში, მათ შორის სესხებში, დეპოზიტებსა და ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებებში. ჩვენ ვთავაზობთ საკრედიტო და ტრანზაქციული პროდუქტების ფართო სპექტრს, ასევე საკონსულტაციო მომსახურებებს კომპლექსური ტრანზაქციების მართვასა და სტრუქტურირებაში, წამყვანი სავაჭრო ფინანსურ შესაძლებლობებს, სექტორის ღრმა ცოდნას ეკონომიკის ყველა ძირითად სფეროში, ასევე დამატებით ფინანსური რესურსებს საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებებთან და სახელმწიფო პროგრამებთან პარტნიორობის გზით.

2021 წლის იანვრის შემდეგ კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესის (CIB) ფარგლებში შევიყვანეთ დაგროვილი კაპიტალის მართვის (WM) მიმართულება, რათა უკეთ მოვემსახუროთ ჩვენს მომხმარებლებს კომბინირებული შეთავაზებებით, რადგან ჩვენი მაღალშემოსავლიანი კლინეტების (HNWI) უმეტესობა არიან ჩვენი CIB კლიენტების აქციონერები და C-დონის აღმასრულებელი პირები.

2021 წლის განმავლობაში განვაგრძეთ ჩვენი ბიზნესის გაფართოება და სხვადასხვა მრეწველობაში მომუშავე ახალი მსხვილი და საშუალო კორპორატიული მსესხებლები მოვიზიდეთ. შედეგად, ჩვენმა მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 6,548 მილიონი ლარი შეადგინა, რაც უცვლელი სავალუტო კურსის მიხედვით 19.5%-მდეა გაზრდილი ერთი წლის მანძილზე, ხოლო დეპოზიტების პორტფელი 7,379 მილიონი ლარი იყო, რაც უცხოური გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე ერთ წელიწადში 33.1%-იან ზრდას შეადგენდა. იმავე პერიოდში, კორპორატიული გარანტიების და აკრედიტივების პორტფელმა 1,939 მილიონი ლარი შეადგინა, რაც სტაბილურია უცვლელი სავალუტო კურსის საფუძველზე. მომგებიანობის მხრივ, ჩვენმა წმინდა მოგებამ კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესის სეგმენტში 380.3 მილიონი ლარი შეადგინა.



ჩვენი მიზანია ვიყოთ ნომერი პირველი სანდო სტრატეგიული პარტნიორი მსხვილი საწარმოებისთვის და მაღალშემოსავლიანი კლიენტებისთვის, რათა დავეხმაროთ მათ ზრდასა და წარმატებაში. ჩვენ გამოგვარჩევს სექტორზე მორგებული, ინდივიდუალური გადაწყვეტილები, ასევე ინდუსტრიის და პროდუქტის საფუძვლიანი ცოდნა, რაც გადამწყვეტი ფაქტორებია ჩვენი კლიენტებისთვის.

გიორგი თხელიძე

დამატებითი ინფორმაცია CIB სეგმენტის ფინანსური მაჩვენებლების შესახებ მოცემულია ფინანსური მიმოხილვის ნაწილში გვერდებზე 79-86.

კარგად დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი მოწინავე პოზიციით საქართველოს ეკონომიკის ყველა წამყვან სექტორში



- უძრავი ქონება
- ენერგეტიკა & კომუნალური მომსახურება
- სასტუმრო & დასვენება
- კვების მრეწველობა
- მშენებლობა
- ვაჭრობა
- ჯანდაცვა
- საავტომობილო
- სასოფლო მეურნეობა
- ინდივიდუალური
- ნავთობი & გაზი
- მომსახურებები
- ფინანსური მომსახურებები
- ტრანსპორტირება
- სხვა

2021 წლის მნიშვნელოვანი საკითხები

39.1%
CIB საკრედიტო ბაზრის წილი[1]

40.5%
CIB დეპოზიტების საბაზრო წილი[1]

38.6%
კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნეს-სესხების წილი მთლიან პორტფელში

49.6%
CIB დეპოზიტების წილი მთლიან პორტფელში

48.0%
CIB გარანტიების და აკრედიტივების საბაზრო წილი[1]

7,000
მომხმარებლების რაოდენობა[2]

1 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე; ამ კონტექსტში, „კორპორატიული“ გულისხმობს იურიდიულ პირებს.
2 საიდანაც 4,340 კორპორატიული მომხმარებელია, ხოლო 2,660 - დაგროვილი კაპიტალის მართვის მომხმარებელი.

საქმიანობის მიმოხილვა

კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესის (CIB) საბანკო მომსახურება

გაგრძელება

ჩვენი მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტები 2021 წელს

კორპორატიული საბანკო საქმიანობა

მომხმარებელთა ჩართულობის გაუმჯობესებული მოდელი

2021 წელს შევცვალეთ ჩვენი ბიზნეს-მოდელი, რათა გაგვეუმჯობესებინა ჩვენი კორპორატიული მომხმარებლების ჩართულობა. ამისათვის ჩვენ შევქმენით სამი ცალკე განყოფილება: სტრატეგიული კლიენტი (დაკავშირებული კომპანიების ტოპ 50 ჯგუფი), მსხვილი და საშუალო ზომის საწარმოები (ინდუსტრიული გუნდები) და მოწყვლადი კლიენტები. ახალმა სტრუქტურამ საშუალება მოგვცა, რომ უკეთესად მოგვერგო ჩვენი შეთავაზებები მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებებზე და ჩვენი საკრედიტო რისკი უფრო აქტიურად გვემართა. შედეგად, მსხვილი და საშუალო მომხმარებლების წილი ჩვენს CIB პორტფელში 5.7 pp-ით 38.1%-მდე გაიზარდა, ხოლო ჩვენი უმოქმედო სესხების მაჩვენებელი კორპორატიულ და საინვესტიციო ბიზნესში 0.1 pp-ით გაუმჯობესდა და 2021 წლის ბოლოსთვის 1.4% შეადგინა.

გაზრდილი ფოკუსი სატრანზაქციო საბანკო ოპერაციებზე

ჩვენ შევქმენით ახალი გუნდი არასასესხო ბიზნესის სამართავად, რომელიც აღჭურვილია კონკრეტული პროდუქტების ცონდით და შესაბამისი გაყიდვების უნარიანობით. ეს გუნდი ფარავს უცხოურ ვალუტაში შესრულებულ ოპერაციებს, დეპოზიტებს, ფულადი სახსრების მართვის გადაწყვეტილებებს და სხვა არასასესხო პროდუქტებს ჩვენი კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნეს კლიენტების უკეთესად მომსახურების და ჩვენი არასაპროცენტო შემოსავლის წყაროების დივერსიფიცირების მიზნით. ამ გუნდის მიერ წამოყენებული ერთ-ერთი ინიციატივაა ჩვენს ფილიალებში ახალი სადეპოზიტო აპარატის დანერგვა საბითუმო გადახდებისთვის, რაც საბანკო ანგარიშებზე დიდი რაოდენობით თანხების სწრაფად და უსაფრთხოდ განთავსების საშუალებას იძლევა. 2021 წლის ბოლოსთვის უკვე 38 ახალი აპარატი დავამონტაჟეთ ფილიალებსა და მომხმარებელთა მომსახურების ობიექტებში. მომავალში ვგეგმავთ კიდევ 12 აპარატის დამატებას და წლის განმავლობაში მოველით სულ მცირე 500 მილიონი ლარის შემოსავალს დამატებითი ფულადი სახსრების სახით კორპორატიული კლიენტებისგან.

2021 წელს კორპორატიული კლიენტებისგან უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციების მოცულობამ 14,266 მილიონი ლარი შეადგინა, რაც ერთ წელიწადში 52%-ით გაიზარდა, ხოლო კორპორატიული კლიენტებისგან ფულადი სახსრების მართვის მოცულობა 934 მილიონი ლარით, იგივე 23.5%-ით გაიზარდა წელიწადში და 4,906 მილიონი ლარი შეადგინა.

კომერციული წარმატების ტრანსფორმირების პროგრამა

გასულ წელს დაწყებული ჩვენი კომერციული წარმატების ტრანსფორმირების პროგრამა ძალიან წარმატებული იყო. 2021 წელს პროექტმა დამატებით 10 მილიონი ლარის ოდენობით წმინდა საბანკო შემოსავალი შექმნა და ბექ-ოფისის დასახული ამოცანების შესრულების დრო 15%-ით შეამცირა.

ამ პროექტის ფარგლებში შევიმუშავეთ გაუმჯობესებული IT ინსტრუმენტი, რომელიც თითოეული კლიენტის 360-გრადუსიანი ხედვის საშუალებას იძლევა, ინდუსტრიის ბენჩმარკის, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და შიდა მონაცემების საფუძველზე. ის ასევე განსაზღვრავს მომხმარებლების მომგებიანობას და ატარებს სიმულაციურ ანალიზს. შედეგად, ჩვენს ბანკირებს ეძლევათ არსებული და სამიზნე კლიენტების პოტენციალის გააზრების და ამ ინფორმაციის საფუძველზე დაგეგმარების, მომხმარებელთა მომგებიანობის მართვის, გადაწყვეტილების მიღების და მომხმარებლებთან მოლაპარაკებების წარმოების შესაძლებლობა.

საინვესტიციო საბანკო მომსახურება - თიბისი კაპიტალი

„თიბისი კაპიტალი“ „თიბისი ბანკის“ 100%-იან საკუთრებაში არსებული საინვესტიციო საბანკო მომსახურების შვილობილი კომპანია და ლიცენზირებული საბროკერო ფირმაა. „თიბისი კაპიტალი“ 1999 წელს დაფუძნდა და ქვეყანაში საინვესტიციო, საბროკერო და კორპორატიული ფინანსების კუთხით წამყვანი კომპანიაა. როგორც „თიბისი ჯგუფის“ წევრს, კომპანიას აქვს უნიკალური შესაძლებლობები დაეხმაროს მომხმარებლებს ფინანსური მიზნების მიღწევაში - გარიგებების სტრუქტურირებიდან - განხორციელებამდე, ასევე კონსულტაციებს უწევს მათ კომპლექსურ კორპორატიულ ტრანზაქციებში. „თიბისი კაპიტალი“ საქართველოს საფონდო ბირჟის აქციონერია, წვლილი შეაქვს ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაში და ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის საერთაშორისო ბაზრებზე ინტეგრაციაში.

აქტიურობის შენარჩუნება ობლიგაციების ბაზრებზე

2021 წელს „თიბისი კაპიტალმა“ შეინარჩუნა ლიდერის პოზიცია საქართველოს ბაზარზე გამოშვებული ობლიგაციების თვალსაზრისით. პოს პანდემიის პერიოდში, რამდენიმე მნიშვნელოვანი ოპერაცია განვახორციელეთ, მათ შორის - ვიმოქმედეთ როგორც Joint Lead Manager რამდენიმე წამყვან საერთაშორისო საინვესტიციო ბანკთან ერთად ორი ევრობონდის განთავსებაზე: 500 მილიონი აშშ დოლარის საქართველოს რკინიგზის და 75 მილიონი აშშ დოლარის დამატებითი პირველადი კაპიტალის ობლიგაცია „თიბისი ბანკის“ მიერ, ასევე ვიყავით Co-Manager საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებულ 500 მილიონი აშშ დოლარის ევროობლიგაციაზე.

ადგილობრივ ბაზარზე „თიბისი კაპიტალმა“ შეასრულა Sole Arranger ფუნქცია „ნიკორა თრეიდის“ მიერ განთავსებულ 35 მილიონი ლარის ობლიგაციებზე და Joint Lead Manager ფუნქცია „ლისი ლეიქ დიველოფმენთის“ 12 მილიონი აშშ დოლარის განთავსებაზე. „თიბისი კაპიტალი“ ასევე აქტიურად მონაწილეობდა კერძო ობლიგაციების განთავსებაში და მოქმედებდა, როგორც Sole Arranger შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „თიბისის“ 31 მილიონი აშშ დოლარის კერძო ობლიგაციების განთავსებაში, ასევე სამი კერძო ობლიგაციის განთავსებაში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და FMO-სთვის. შედეგად, „თიბისი კაპიტალის“ მიერ წლის განმავლობაში გამოშვებულმა საჯარო და კერძო კორპორატიულმა და სახელმწიფო ობლიგაციებმა მთლიანად გამოშვებული ობლიგაციების 52%[1] შეადგინა.

ამასთან, ამ წელს „თიბისი კაპიტალმა“ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ახალი საკონსულტაციო სერვისი წამოიწყო და უკვე დახურა ორი გარიგება, რომელთაჯამური ღირებულება 26.4 მილიონი აშშ დოლარი იყო.

ლისი
12,000,000 აშშ დოლარი
3 წელი
საჯარო განთავსება
6.50 %
2021 წლის დეკემბერი
PLACEMENT AGENT

EBRD
87,000,000 ლარი
3 წელი
კერძო განთავსება
3M TIBR
2021 წლის ნოემბერი
LEAD MANAGER

ნიკორა
35,000,000 ლარი
3 წელი
საჯარო განთავსება
3M TIBR + 3.50 %
2021 წლის ნოემბერი
PLACEMENT AGENT

შპს "თიბისი ბანკი"
75,000,000 აშშ დოლარი
დამატებითი პირველადი
უვადო ობლიგაციები
2021 წლის ოქტომბერი
JOINT LEAD MANAGER

სს თიბისი ბანკი"
31,000,000 აშშ დოლარი
3 YEAR
კერძო განთავსება
2021 წლის აგვისტო
PLACEMENT AGENT

საქართველოს რკინიგზა
500,000,000 აშშ დოლარი
7 წელი
საჯარო განთავსება
4.00 % მწვანე ობლიგაციები
2021 წლის ივნისი
JOINT LEAD MANAGER

ლისი
157,500,000 ლარი
1.5 წელი
კერძო განთავსება
3M TIBR
2021 წლის ივნისი
LEAD MANAGER

FMO
34,000,000 ლარი
5 წელი
კერძო განთავსება
NBG 3M CD
2021 წლის მაისი
LEAD MANAGER

საქართველო
500,000,000 აშშ დოლარი
5 წელი
საჯარო განთავსება
2.75 %
2021 წლის აპრილი
CO-MANAGER

ჩვენი კვლევითი მომსახურებების გაუმჯობესება

„თიბისი კაპიტალის“ კვლევითი განყოფილება ყოვლისმომცველ ინფორმაციაზე და ანალიტიკურ შეხედულებებზე წვდომის შესაძლებლობას აძლევს მსხვილ კორპორატიულ მსესხებლებს და ინვესტორებს. მისი მიზანია განახლებული ინფორმაცია მიაწოდოს როგორც მაკრო, დარგობრივი, კაპიტალის ბაზრის და ფიქსირებული შემოსავლის შესახებ, ასევე სიღრმისეული ანალიტიკური ანგარიშები მნიშვნელოვანი განვითარებების და მოვლენების შესახებ. ამ წელს კვლევითმა განყოფილებამ განაგრძო კორპორატიული მსესხებლებისა და ინვესტორებისთვის რეგულარულად

საქმიანობის მიმოხილვა

კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესის (CIB) საბანკო მომსახურება

გაგრძელება

განახლებადი ინფორმაციის მიწოდება საქართველოს ეკონომიკის აღდგენის შესახებ მისი რეგულარული, ყოველკვირეული, ყოველთვიური და კვარტალური პუბლიკაციების და ონლაინ ღონისძიებების გამოყენებით. ამასთან, მან წარმატებით წამოიწყო კაპიტალის ბაზრების გაშუქება და აუდიტორიას ყოველკვირეულად აწვდიდა ინფორმაციას გლობალური კაპიტალის ბაზრებზე მიმდინარე ვითარებების შესახებ. გარდა ამისა, ჩვენი კვლევითი განყოფილება ყურადღებით აკვირდება ტურიზმისა და უძრავი ქონების სექტორების აღდგენის პროცესს სექტორებზე დაკვირვების ყოველთვიური სერიების გამოყენებით. მთლიანობაში, 2021 წელს „თიბისი კაპიტალმა“ 200-ზე მეტი პუბლიკაცია გამოაქვეყნა. ანგარიშების სრული ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ბმულზე www.tbccapital.ge.

ჩვენი ანგარიშების დაფარვის ზონა განაგრძობს გაფართოებას როგორც ადგილობრივად, ისე საერთაშორისო ინვესტორებსა და ანალიტიკოსებშიც. ჩვენი მაკრო განახლებები ასევე რეგულარულად მაუწყებლობს ადგილობრივი ბიზნეს მედია ონლაინ არხებით. გარდა ამისა, 2021 წელს „თიბისი კაპიტალმა“ დაიწყო რეგულარული ვიდეო განახლებების წარმოება კვლევის რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვან თემებზე და ეკონომიკურ განვითარებებთან დაკავშირებით, მისი კონტენტის ფორმატის დივერსიფიკაციის მიზნით. ამასთან, წლის განმავლობაში ჩვენ მოვაწყეთ რამდენიმე ფართომასშტაბიანი ონლაინ კონფერენცია ჩვენი მომხმარებლებისთვის, რომლებიც მოიცავდა საქართველოს ეკონომიკის წინაშე მდგარ განმწვევებს და ტენდენციებს მაკრო და დარგობრივი პერსპექტივიდან. 2021 წელს „თიბისი კაპიტალი“ „Bloomberg“ და „Refinitiv“-ის მიერ ჩატარებული კვლევების კონტრიბუტორი გახდა. ეს კვლევები საქართველოთი დაინტერესებულ საერთაშორისო აუდიტორიაზე იყო ორიენტირებული.

პერსონალური საბანკო მომსახურება - დაგროვილი კაპიტალის მართვა

„TBC WM“ არის საქართველოს წამყვანი ფრანჩაიზა დაგროვილი კაპიტალის მართვის მიმართულებით, რომელიც დაახლოებით 2,700 რეზიდენტ და არარეზიდენტ მაღალშემოსავლიან (HNWI) მომხმარებელს ემსახურება. ჩვენ გთავაზობთ პერსონალიზირებული საბანკო მომსახურების, საინვესტიციო და სადაზღვევო პროდუქტების ფართო სპექტრს, რომლებიც ყურადღებით შეირჩევა ჩვენი მომხმარებლების ინდივიდუალურ ფინანსურ მიზნებთან მორგების და მათი ქონების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით. ამასთან, ჩვენი მომხმარებლები სარგებლობენ ექსკლუზიური, მათ ცხოვრების სტილზე მორგებული შეთავაზებებით ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან ელიტურ ღონისძიებებზე. ჩვენ გვაქვს წარმომადგენლობითი ოფისი ისრაელში, „თიბისი ინვესტი“, რომელიც ასრულებს შუამავლის ფუნქციას მაღალშემოსავლიან კლიენტებთან (HNWI) ისრაელიდან და ადგილობრივად სთავაზობს სწრაფ და ეფექტურ საკონსულტაციო მომსახურებებს.

2021 წელს ჩვენ განვახორციელეთ „TBC VIP“ რებრენდინგი „TBC Wealth Management“-ად და შევქმენით WM ვებგვერდი (www.tbcwm.ge) ჩვენი არსებული და პოტენციური კლიენტებისთვის. ვებგვერდი ჩვენი ოპერაციების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას იძლევა. ამასთან, ჩვენ ახალი პროდუქტიც დავნერგეთ – Visa Infinite, Visa-ს ყველაზე ელიტური ბარათი, ექსკლუზიურად მაღალშემოსავლიანი კლიენტებისთვის (HNWI). აღიარების სიმბოლოთ მიჩნეული პრესტიჟული Visa Infinite კლიენტებს კომფორტულ და ინდივიდუალურ სარგებელს სთავაზობს, როგორც საქართველოში, ისე - მსოფლიოს სხვა წერტილებშიც.

- **სახაზინო და ფულადი სახსრების მართვის საუკეთესო ბანკი საქართველოში 2022**
- **სავაჭრო დაფინანსების საუკეთესო პროვაიდერი საქართველოში 2022**
- **უცხოური ვალუტის კონვერტაციის საუკეთესო პროვაიდერი საქართველოში 2022**
- **საუკეთესო პერსონალური ბანკი საქართველოში 2022**
- **საუკეთესო საინვესტიციო ბანკი საქართველოში 2021**

Global Finance-ისგან

- **საუკეთესო პერსონალური ბანკი საქართველოში 2021**

PWM and the Banker magazines-ისგან

1 შიდა შეფასებების საფუძველზე

ანტრე - საილუსტრაციო მაგალითი

ქართული საცხობი ქსელი „ანტრე“ ქართულ ბაზარზე 2008 წლიდან არსებობს და ბოლო წლების განმავლობაში ის ქვეყნის ერთერთ ყველაზე წარმატებულ სწრაფი ყოველდღიური კვების კონცეფციად იქცა. ჩვენ „ანტრე“-ს პარტნიორი 2011 წელს გავხდით და ამ პერიოდიდან მათ გვერდში ვდგავართ. 2021 წლის ზაფხულში, ჩვენი მხარდაჭერით, „ანტრემ“ ახალი ობიექტი გახსნა ნოთინგ ჰილში (ლონდონი) და ის მომხმარებლებს ქართული და ფრანგული კერძებით უმასპინძლდება. ეს ჩვენი მეორე თანამშრომლობაა „ანტრესთან“; პირველი 2015 წელს იყო, როდესაც „ანტრემ“ წარმატებით გახსნა პირველი კაფე საზღვარგარეთ ქალაქ ბაქოში.

თიბისი ფეი

„თიბისი ფეი“ წამყვანი გადახდის პროვაიდერია საქართველოში, რომელიც ფიზიკურ პირებს და ბიზნესებს გადახდის ხელსაყრელ გადაწყვეტილებებს სთავაზობს. „თიბისი ფეის“ „თიბისი ბანკის“ 100%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანიაა და ის 2008 წლიდან ფუნქციონირებს. „თიბისი ფეი“ მომსახურებების ფართო სპექტრის გვთავაზობს, მათ შორის კომუნალური გადასახადების გადახდას, მობილურის შევსებას, სესხის გადახდას და ფულადი გზავნილების განხორციელებას მისი ფართო და მარტივად ხელმისაწვდომი განაწილების ქსელით.

„თიბისი ფეი“ თავის კლიენტებს ძირითადად ემსახურება 4,205 თვითმომსახურების ტერმინალით, რომლებიც მოხერხებულად არის გადანაწილებული მთელ ქვეყანაში. ეს ტერმინალები მომხმარებლებს სხვადასხვა სახის გადახდის სწრაფად განხორციელების საშუალებას აძლევს 24 საათის განმავლობაში, როგორც ნაღდი ფულით, ისე ბარათების გამოყენებით.

ამასთან, „თიბისი ფეის“ აქვს ვებგვერდი (www.tbcpay.ge), მობილურ აპლიკაციასთან ერთად, რომელიც მომხმარებლებს მარტივ და მიმზიდველ ინტერფეისს სთავაზობს. 2021 წელს ჩვენს ციფრულ გადახდის არხებს საერთაშორისო ბარათებიც დავამატეთ. მთლიანობაში 2021 წელს ციფრული არხებით განხორციელებული გადახდების რაოდენობა 49%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით, ხოლო აქტიური ციფრული მომხმარებლების რაოდენობამ დაახლოებით 51,000 შეადგინა.

მსხვილი ფულადი ოპერაციების განმახორციელებელ ბიზნესებს „თიბისი ფეი“ სთავაზობს ფულადი სახსრების მართვის მომსახურებებს, სპეციალიზებული Cash Box-ებით. ფულის ამ Box-ებში განთავსების შემდეგ, თანხა ავტომატურად გადაიგზავნება კომპანიის საბანკო ანგარიშზე. Cash Box-ები ავტორიზაციის ძლიერი პროცესით არის დაცული.

ბიზნესის გაზრდილი მასშტაბის მხარდაჭერის მიზნით, კომპანია ამარტივებს პროცესებს და ახალ ტექნოლოგიებს ნერგავს. 2021 წელს „თიბისი ფეიმ“ წარმატებით განახორციელა ეჯაილ ტრანსფორმაცია IT დეპარტამენტში და დაიწყო მისი გატარება სხვა დეპარტამენტებშიც. ამასთან, კომპანიამ დაიწყო Enterprise-wide პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, რომლის ამოქმედებაც მომავალ წელს იგეგმება.

ჩვენი მიზანია გავხდეთ გადახდების უმსხვილესი პროვაიდერი საქართველოში ჩვენი ციფრული შესაძლებლობების გაძლიერებით, ასევე ჩვენი სერვისების დივერსიფიცირებით და დახვეწით. ამასთან, ვგეგმავთ გავხდეთ უმსხვილესი გადახდის აგრეგატორი საქართველოში ღია ბანკინგის შესაძლებლობების დანერგვის გზით.

2021 წლის მნიშვნელოვანი საკითხები

დაახლ. 4,205

თვითმომსახურების ტერმინალების რაოდენობა

+40% წ/წ

5.6 მილიარდი ლარი გადახდის ტრანზაქციების მოცულობა

2021 წლის განმავლობაში თვითმომსახურების და ფულადი სახსრების მართვის ტერმინალებით, ასევე ციფრული არხებით განხორციელებული ტრანზაქციების მოცულობა 40%-ით გაიზარდა და 5,636 მილიონი ლარი შეადგინა. იმავე პერიოდში წმინდა საკომისიო შემოსავალმა 38 მილიონ ლარს მიაღწია, რაც გასულ წელთან შედარებით 15%-ით არის გაზრდილი, ხოლო შემოსავალმა პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) 23 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 8%-ით გაიზარდა.

თიბისი ლიზინგი

„თიბისი ლიზინგი“, „თიბისი ბანკის“ 100%-იანი შვილობილი კომპანია, 2003 წელს დაფუძნდა და მას შემდეგ სალიზინგო მომსახურებების წამყვანი პროვაიდერი გახდა ქართულ ბაზარზე. „თიბისი ლიზინგი“ ემსახურება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს. სთავაზობს მათ სალიზინგო გადაწყვეტილებების და საკონსულტაციო მომსახურებების ფართო სპექტრს, მათ შორის ფინანსურ იჯარას, საოპერაციო იჯარას, გაყიდვებისა და უკუიჯარების ჩათვლით, რომლებიც მომხმარებლის საჭიროებებზეა მორგებული. „თიბისი ლიზინგი“ საცალო მომხმარებლებს ემსახურება სერვის-ცენტრებში და პარტნიორი გამყიდველების გაყიდვის წერილებში. რაც შეეხება ბიზნეს-კლიენტებს, „თიბისი ლიზინგი“ აქტიურად იყენებს „თიბისი ბანკის“ ციფრულ არხებს და ფილიალებს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩვენი სალიზინგო პორტფელი 254 მილიონი ლარი იყო და სტაბილურობას ინარჩუნებდა უცვლელი სავალუტო კურსის პირობებშიც. პორტფელის 88% იურიდიულ პირებზე მოდიოდა სამშენებლო, მომსახურების და წარმოების სექტორებში ძლიერი პოზიციებით. პორტფელის დარჩენილი 12% ფიზიკურ პირებზე მოდის და ახალ და მეორად მანქანებს მოიცავს, მთლიან საცალო პორტფელში 51% და 49%-იანი შესაბამისი წილებით. 2021 წელს „თიბისი ლიზინგის“ წმინდა მოგებამ 11.6 მილიონი ლარი შეადგინა.

„თიბისი ლიზინგი“ განაგრძობს აქტიურ ჩართულობას მწვანე, განახლებადი და ენერგოეფექტური აქტივების დაფინანსებაში. გასული სამი წლის განმავლობაში, ჩვენი მწვანე სალიზინგო პორტფელი 57%-ით გაიზარდა და 5 მილიონი ლარი შეადგინა. 2021 წელს კომპანიამ წამოიწყო PV მზის პანელების საგრანტო პროგრამა ორგანიზაციებთან „Green for Growth Fund“ (GGF), „EU4Energy“ და „Finance in Motion“ თანამშრომლობით. პროგრამა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ეხმარება მზის პანელების დაპროექტების და მონტაჟის ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებაში.

2021 წლის იანვარში „ფიტჩის“ საკრედიტო სარეიტინგო სააგენტომ „თიბისი ლიზინგს“ შეუნარჩუნა არსებული გრძელვადიანი კრედიტის რეიტინგი BB-, რომელიც ყველაზე მაღალი საკრედიტო რეიტინგია საქართველოს არასაბანკო დაწესებულებებს შორის და 2021 წლის აპრილის თვეში შეცვალა საკრედიტო რეიტინგის პროგნოზი ნეგატიურიდან სტაბილურზე. ეს საკრედიტო რეიტინგი გაზრდის „თიბისი ლიზინგის“ კრედიტუნარიანობას და დაგვეხმარება ახალი კრედიტორების და დაბალფასიანი დაფინანსების მოზიდვაში. 2021 წლის განმავლობაში კომპანიამ

ჩვენი ვგეგმავთ მომავალშიც განვაგრძოთ ბაზარზე ლიდერის პოზიციის გამყარება ინდივიდუალური გადაწყვეტილებების, ასევე სპეციალური ციფრული შეთავაზებების შემუშავების გზით. ამასთან, ჩვენი უპირატესი მიზანია გავზარდოთ მწვანე/განახლებადი და ენერგოეფექტური პროექტების წილი.

2021 წლის მნიშვნელოვანი საკითხები

77%

საბაზრო წილები[1]

2,265

მომხმარებლების რაოდენობა

254 მლნ ლარი

სალიზინგო პორტფელი

წარმატებით მოიზიდა დამატებით 30 მილიონი აშშ დოლარის დაფინანსება (senior loan) განვითარების ფინანსური დაწესებულებებისგან და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან.

და ბოლოს, ჩვენ განვაგრძობთ საქართველოს მოსახლეობაში სალიზინგო გადაწყვეტილებების ბენეფიტებთან დაკავშირებით ცნობადობის ამაღლებას, რადგან ქართული სალიზინგო ბაზარი კვლავ ნაკლებ გაჯერებულია, რაზეც მეტყველებს ლიზინგისა და მშპ-ის თანაფარდობის კოეფიციენტი, რომელიც მხოლოდ 1%-ს[1] შეადგენს.

1 შიდა შეფასებების საფუძველზე

ჩვენი კოლეგები

მიმოხილვა

ჩვენი მიზანია ვიყოთ ყველაზე სასურველი დამსაქმებელი ქვეყანაში, რომელიც იზიდავს და ავითარებს ნიჭიერ ტალანტებს, უყალიბებს მათ კორპორატიულ ღირებულებებს და უზრუნველყოფს თანამშრომლების აქტიურობასა და მოტივირებას, რაც ჯგუფს დაეხმარება მისი ამბიციური სტრატეგიული მიზნების მიღწევაში. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ყველა ბიზნეს სეგმენტთან, რათა მათი საჭიროებები უკეთ გავიგოთ და დავეხმაროთ ინდივიდუალურ გამოწვევებთან გამკლავებაში.

პანდემიის შემდგომ სამყაროში სულ უფრო მეტი კომპანია გადადის დისტანციურ ან ჰიბრიდულ სამუშაო რეჟიმზე. ჩვენ ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია ვიყავით საქართველოში, რომელმაც ბექ-ოფისის ყველა თანამშრომელს დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლის შესაძლებლობა მისცა. ჩვენი HR კამპანია „იმუშავე საიდანაც გინდა“ დასაქმებულებმა კარგად მიიღეს და დღეს ჩვენი ბექ-ოფისის თანამშრომელთა უმრავლესობა ოფისის ფარგლებს გარეთ მუშაობს. მნიშვნელოვანია, რომ ამ ინიციატივამ არა მხოლოდ გააუმჯობესა თანამშრომელთა კმაყოფილების დონე, არამედ გაზარდა ეფექტურობის მაჩვენებლები ჯგუფის შიგნით. ამ ციფრულ რეალობაში თანამშრომლებთან მჭიდრო კონტაქტის შენარჩუნების მიზნით, ჩვენი უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა რეგულარულად ატარებს ონლაინ შეხვედრებს, რათა თანამშრომლებს ჯგუფის მიღწევები და სამომავლო გეგმები გააცნოს და მათთვის საინტერესო ნებისმიერი საკითხი განიხილოს.

ამასთან, ჩვენ განვაგრძობთ ორგანიზაციის შიგნით ეჯაილ სამუშაო პრაქტიკის უფრო ფართო მასშტაბზე დანერგვას, რათა მეტად მოქნილი და ეფექტური გავხდეთ დღევანდელ სწრაფად ცვალებად გარემოში.

ჩვენი ადამიანური რესურსების პრაქტიკის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „მდგრადობის რეპორტში“ 84-109 გვერდებზე, რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე www.tbcbankgroup.com.

ჩართული და ბედნიერი კოლეგები ჩვენი წარმატებისა და მდგრადი განვითარების საწინდარია. ჩვენი მიზანია უზრუნველვყოთ უსაფრთხო და ინკლუზიური სამუშაო გარემო, განვითარებისა და კარიერული წინსვლის თანაბარი შესაძლებლობებით

2021 წლის მნიშვნელოვანი საკითხები

66%
EMPLOYEE NET PROMOTER SCORE[1]

85%
თანამშრომლის ბედნიერების ინდექსი[2]

19%
შიდა დაწინაურება

35%
ქალები საშუალო რგოლის მენეჯერის პოზიციაზე[3]

ჩვენი მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტები

ნიჭიერი კადრების მოზიდვა და განვითარება

ჩვენი მიზანია ბაზარზე საუკეთესო ტალანტების მოზიდვა, რასაც უზრუნველვყოფთ თითოეული პოზიციისთვის კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული შერჩევის ფართომასშტაბიანი პროცესით. ჩვენ აქტიურად ვაკონტროლებთ შრომით ბაზარს როგორც საქართველოში, ისე - მის ფარგლებს გარეთ, რათა შევქმნათ

კვალიფიციური კადრების პორტფელი წამყვანი პოზიციებისთვის ფინანსურ, ბიზნეს, ტექნიკურ თუ სხვა მიმართულებით.

წელს წამოვიწყეთ კადრების მართვის პროგრამა, რომელიც მიმართულია კომპანიაში საუკეთესო ნიჭის გამოვლენაზე და მისი განვითარების მხარდაჭერაზე. ამ ინიციატივის ფარგლებში დავნერგეთ ფართომასშტაბიანი პროგრამა საშუალო რგოლის მენეჯერებისთვის, წამყვან საერთაშორისო ტრენინგ კომპანიასთან პარტნიორობით. ეს პროგრამა ოთხ მოდულს მოიცავს: სტრატეგიული აზროვნება, ცვლილებების მართვა, ფუნქციონალური ნდობა და ლიდერობა. მომავალში ვგეგმავთ შერჩეული კანდიდატებისთვის ინდივიდუალური განვითარების პროგრამების დანერგვას და როტაციების შეთავაზებას საჭირო უნარების გასავითარებლად.

ჩვენი ციფრული ბიზნეს-მოდელის მხარდასაჭერად, ორგანიზაციის შიგნით გავზარდეთ ფოკუსი ტექნიკური შესაძლებლობების გასავითარებლად. დღეისათვის ბანკში დაახლოებით 600 IT სპეციალისტია. ამ ინიციატივის მხარდასაჭერად, ჩვენ დავაფუძნეთ IT აკადემია 2019 წელს, რომელიც მოიცავს front-end და back-end განვითარებას, Android და IOS მობილური აპლიკაციების განვითარებას, ასევე მომხმარებლების გამოცდილების კვლევას და სტრატეგიას. პროგრამა უფასოა შერჩეული კანდიდატებისთვის და მას მართავენ როგორც გამოცდილი თანამშრომლები ასევე, შესაბამისი სფეროების წამყვანი სპეციალისტები. დაფუძნების დღიდან ჩვენ 580-მდე ადამიანი გადავამზადეთ და 230 დავიქირავეთ. ამასთან, ჩვენი გუნდი გავაძლიერეთ საერთაშორისო გამოცდილების მქონე IT ტალანტებით და დავიქირავეთ წამყვანი სპეციალისტები. ასევე, სამომავლოდ ვგეგმავთ სპეციალური განვითარების პროგრამების დანერგვას ჩვენი IT სპეციალისტებისთვის, რომელიც დაეხმარება მათ თიბისიში კარიერის დაგეგმვაში და უზრუნველყოფს თანამშრომელების შენარჩუნების მაღალი მაჩვენებელს.

რაც შეეხება დაბალი რგოლის პოზიციებს, ჩვენ გვაქვს სტაჟირების ფართომასშტაბიან პროგრამა, რომელიც გვეხმარება საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან საუკეთესო სტუდენტების მოზიდვაში. ერთწლიანი სტაჟირების წარმატებით გავლის შემდეგ, საუკეთესო კანდიდატებს ვთავაზობთ სხვადასხვა პოზიციებს ფინანსების, რისკების, კორპორატიულ, მარკეტინგის, IT, მონაცემთა ანალიზის თუ სხვა დეპარტამენტში დასაქმებას. მთლიანობაში, 2011 წელს დაფუძნების შემდეგ, ამ პროგრამის ფარგლებში 500-მდე სტუდენტი დავასაქმეთ.

ჩვენ თანამშრომლებს ვთავაზობთ ანაზღაურების კონკურენტულ პაკეტს, რომელიც მოიცავს ფიქსირებულ ხელფასს, ბონუსს შესრულებული სამუშაოს მიხედვით და სხვა სარგებელს. ამ უკანასკნელში შედის სამედიცინო დაზღვევა, საპენსიო შენატანები, წლიური ანაზღაურებადი შვებულება, ანაზღაურებადი ბიულეტენის პერიოდს, და სრულად ანაზღაურებადი ექვსთვიანი დეკრეტული შვებულება დედებისთვის და მამებისთვის. სხვა სარგებელი ასევე მოიცავს ფულად საჩუქრებს ქორწინებისა და შვილის ყოლის შემთხვევაში, ასევე დამატებით შვებულებას სამი და მეტი შვილის მშობლებს.

2011 წლიდან „თიბისი აკადემია“ ფართომასშტაბიან სასწავლო პროგრამებს სთავაზობს ჩვენს თანამშრომლებს. 2021 წლის განმავლობაში სხვადასხვა კურსებში მონაწილეობა მიიღო 1000-ზე მეტმა თანამშრომელმა. ეს კურსები მოიცავდა ბიზნესის განვითარებას, საბანკო საქმეს, ცვლილების მართვას, მენეჯმენტს, ფინანსურ ანალიზსა და მრავალ სხვას. ამასთან, ფინანსური მხარდაჭერა გავუწიეთ ჩვენს თანამშრომლებს სხვადასხვა გარე პროგრამების შესასწავლად და ისეთი საერთაშორისო სერტიფიკატების მისაღებად, როგორიც არის - MBA, CFA, FRM, ACCA და სხვ. გარდა ამისა, ბანკის ყველა თანამშრომელს ვუტარებთ სავალდებულო ტრენინგებს შემდეგ სფეროებში: ქცევის და ეთიკის კოდექსი, ინფორმაციის უსაფრთხოება, გარემოსდაცვითი საკითხები და საოპერაციო რისკები.

სამუშაოს შესრულების მართვა

შესრულებული სამუშაოს ჩვენი მართვის სისტემა მიმართულია თანამშრომელთა განვითარებისა და ეფექტურობის ზრდისკენ, ასევე უკუკავშირის კულტურის გაძლიერებისკენ.

შესრულებული სამუშაოს ჩვენი მართვის სისტემა სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება: სიცხადე, სამართლიანობა და კეთილსინდისიერება. ჩვენ ვზრუნავთ, რომ თანამშრომლები კარგად აცნობიერებდნენ თავიანთ როლს კომპანიაში და აქტიურად ისახავდნენ პირად მიზნებს. გუნდის ხელმძღვანელები უწევენ თანამშრომლებს მენტორობას, რათა მათ შეძლონ დასახული მიზნების მიღწევა. თანამშრომლების რეგულარული უკუკავშირი და კონსტრუქციული დიალოგი სამუშაოს შესრულების შეფასების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია და ის უკვე გათვალისწინებულია საშუალო რგოლის მენეჯერების შეფასების ძირითად მაჩვენებლებში (KPI) 2021 წლიდან.

1 2021 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელმა კონსულტანტმა ბანკის თანამშრომლები შეაფასა Employee Net Promoter Score შეფასების სისტემით.
2 შეფასება დამოუკიდებელმა კონსულტანტმა 2021 წლის ივლისში ჩაატარა ბანკის თანამშრომლებისთვის.
3 ფილიალის მენეჯერები, განყოფილებების და დეპარტამენტების ხელმძღვანელები, ასევე ჯგუფის შვილობილი კომპანიების დირექტორები.

ჩვენ ვიყენებთ შეფასების სხვადასხვა სისტემას ფრონტ- და ბექ-ოფისის პერსონალისთვის, დაკავებული პოზიციების მიხედვით. ბექ-ოფისის თანამშრომლებს ვაფასებთ „ამოცანებისმართვის“ (MBO) სისტემით, რომელიც არის პერსონალის მართვის ტექნოლოგია, სადაც მენეჯერები და თანამშრომლები ერთობლივად მუშაობენ იმისათვის, რომ დასახონ და აღრიცხონ მიზნები და შემდეგ აკონტროლონ წლის განმავლობაში. მიზნების აღრიცხვა ყოველწლიურად ხდება და მათი მიღწეული პროგრესის მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება მენეჯერების მიერ, მათ შორის ხელმძღვანელისგან ექვს თვეში ერთხელ პირდაპირი უკუკავშირით. ბონუსის მიცემა ხდება სწორედ მიზნების მიღწევის საფუძველზე. „ამოცანებისმართვის“ (MBO) სისტემის ფარგლებში ჩვენ გვაქვს შეფასების ერთიანი სისტემა ყველა თანამშრომლისთვის, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობას მთელს ორგანიზაციაში.

საშუალო რგოლის მენეჯერებისთვის, ასევე იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ ეჯაილ სტრუქტურის ნაწილს, დანერგილი გვაქვს 360-გრადუსიანი უკუკავშირის სისტემა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს თითოეულ თანამშრომელს მიიღოს უკუკავშირი მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე მისი ხელმძღვანელისგან, კოლეგებისგან და დაქვემდებარებული პირებისგან. 360-გრადუსიანი უკუკავშირი საშუალებას აძლევს ჩვენს თანამშრომლებს გაიგონ, თუ როგორ აღიქმება მათ მიერ შესრულებული სამუშაო სხვების მიერ, რაც მათ ეხმარება უკეთ გამოავლინონ ძლიერი და სუსტი მხარეები და შეიძინონ ახალი უნარები. 2021-ში, 360-გრადუსიანი უკუკავშირი გაფართოვდა და სხვა ფუნქციებიც მოიცვა.

ფრონტ-ოფისის თანამშრომლებისთვის ვიყენებთ მიზანზე დაფუძნებულ შეფასების სისტემას, რა შემთხვევაშიც თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაო დაკავშირებულია კონკრეტულ სამუშაოს შესრულების ძირითად მაჩვენებლებთან (KPI), რომელიც მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ კომპონენტებს. მიზანზე დაფუძნებული სისტემის ფარგლებში თანამშრომლები ფასდებიან ყოველთვიურად, ყოველკვარტლურად ან ყოველწლიურად, მათი პოზიციების მიხედვით.

თანამშრომელთა ჩართულობა და მოტივაცია

ჩვენი მიზანია ღირებულებებზე დაფუძნებული ორგანიზაციის შექმნა, სადაც თანამშრომლები საერთო ღირებულებებს იზიარებენ და ერთ საერთო მისიას - „გავუმარტივოთ ადამიანებს ცხოვრებას“ ემსახურებიან ჩვენი მომხმარებლებისთვის. ჩვენი მიზანია ასევე ოჯახური გარემოს შექმნა, რომელშიც თანამშრომლებს შეუძლიათ ოჯახისა და სამუშაოს უკეთ დაბალანსება.

ამ მიმართულებით ჩვენი მნიშვნელოვანი ინიციატივებია:

- ჩვენი გენერალური დირექტორი, აქტიური და რეგულარული კომუნიკაციით თიბისის ღირებულებების შესახებ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კორპორატიული კულტურის ხელშეწყობაში იქნება ეს პირისპირ თუ ონლაინ.
- ტოპ მენეჯმენტი რეგულარულად ატარებს ონლაინ შეხვედრებს თანამშრომლებთან, რათა მიაწოდონ მათ განახლებული ინფორმაცია ჯგუფის სტრატეგიის, შესრულებული სამუშაოს მაჩვენებლების და მიმდინარე მიღწევების შესახებ. ამავდროულად, თანამშრომელებს აქვთ შეკითხვების დასმისა და უკუკავშირის გაზიარების შესაძლებლობა. ამასთან, ჩვენ ღია ვსაუბრობთ ჩვენს კოლეგებთან Facebook ჯგუფებში, სადაც რეგულარულად ვუზიარებთ მათ ინფორმაციას ჯგუფის მიღწევებისა და ინდივიდუალური თანამშრომლების წარმატების შესახებ.
- ჩვენი მიზანია ასევე პოზიტიური და კოლაბორაციული სამუშაო გარემოს შექმნა ბექ-ოფისის თანამშრომლებისთვის მაქსიმალური მოქნილობის შეთავაზებით, სამუშაო საათების და დისტანციური მუშაობის პირობების მხრივ. ამასთან, ჩვენი ეჯაილ სტრუქტურა ხელს უწყობს სხვადასხვა გუნდებს შორის ღია კომუნიკაციას და თანამშრომელთა გაძლიერებას.
- ჩვენ ვზრუნავთ თანამშრომელთა განვითარებაზე და მხარს ვუჭერთ მათ, რომ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა უფრო მაღალი დონის პოზიციების შიდა შერჩევის პროცესში. 2021 წელს დაწინაურების მაჩვენებელი ბანკში დაახლოებით 19% იყო.
- ჩვენი თანამშრომლების კმაყოფილების და ჩართულობის დონის ზუსტად შესაფასებლად, ვატარებთ უკუკავშირის ყოველწლიურ კვლევას წამყვან საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და კვლევით კომპანიებთან პარტნიორობით. კვლევის შედეგები გულდასმით ფასდება და წარედგინება დირექტორთა საბჭოს მომავალი ქმედებების დასაგეგმად.

თანასწორობა და მრავალფეროვნება

ჩვენ შევქმენით მდგრადი და წარმატებული ბიზნესი, სადაც ყველა თანამშრომელს ექცევიან თანაბრად, სამართლიანად და ეხმარებიან წარმატების მიღწევაში. ჩვენ უზრუნველვყოფთ დაცულ სამუშაო გარემოს ნებისმიერი დისკრიმინაციისაგან, სადაც

თითოეულ თანამშრომელს აფასებენ, პატივს სცემენ და ეპყრობიან თანასწორად მიუხედავად სქესისა, ასაკისა, ოჯახური მდგომარეობისა, სექსუალური ორიენტაციისა, რასისა, ეთნიკური წარმომავლობისა, რელიგიისა, პოლიტიკური შეხედულებებისა თუ შეზღუდული უნარებისა. გასაკუთრებით ვზრუნავთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე კოლეგებზე და ვისწრაფვით მათთვის სამუშაო გარემოს გაუმჯობესებაზე და მეტად მოქნილობაზე. გარდა ამისა, ვზრუნავთ რომ სწავლა, განვითარება და დასაქმების შესაძლებლობები ანალოგიურად იყოს ხელმისაწვდომი მათთვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ქალების კარიერულ ზრდაში მხარდაჭერას.

2021 წელს შევიმუშავეთ გენდერული პოლიტიკა, რომელიც ერთგვარი სახელმძღვანელოა და განსაზღვრავს მკაფიო მითითებებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის ჯგუფის მუშაობის ყველა ასპექტში, ჯგუფს შიგნით, ბაზარზე თუ ფართო საზოგადოებაში. ჩვენი მიზანია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ჩვენი საკუთარი მიდგომების ჩამოყალიბება კომპანიის სამუშაო გარემოში, რათა გენდერული თანასწორობის პრინციპებით ვითანამშრომლოთ დაინტერესებულ პირებთან და პარტნიორებთან. სრული პოლიტიკა ხელმისაწვდომია ბმულზე www.tbcbankgroup.com. ბანკის დონეზე ასევე შევიმუშავეთ შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (KPI) და სამოქმედო გეგმა საშუალო რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე ქალთა რაოდენობის გასაზრდელად მიმდინარე დონიდან (36%) 40%-მდე 2023 წლისთვის. 2022 წელს ამ მიდგომას ჯგუფის სხვა შვილობილ კომპანიებშიც დავნერგავთ და ვიმუშავებთ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების შემუშავებაზეც.

ამ კურსისადმი ჩვენი ერთგულების გამოსახატად, 2021 წლის აგვისტოდან „თიბისი ბანკი“ გახდა „UN Women Empowerment Principles“-ის (WEPs)[1] (გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპები) ხელმომწერი.

სამეთვალყურეო საბჭო



ზედა რგოლის მენეჯმენტი



ქალები ● მამაკაცები

საშუალო რგოლის მენეჯმენტი[2]



ყველა თანამშრომელი



ქალები ● მამაკაცები

ჩვენი კომპანია დაკომპლექტებულია მრავალფეროვანი თანამშრომლებით, რომელიც მოიცავს ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილების მქონე კოლეგებს, ასევე ნიჭიერ ახალგაზრდებს ინოვაციური იდეებით, რომლებმაც დაამთავრეს საქართველოსა და მსოფლიოს ცნობილი უნივერსიტეტები. ჩვენ ვთვლით, რომ ასაკობრივი მრავალფეროვნება ქმნის უფრო დინამიურ და კარგად მომუშავე გუნდს, რომელიც დებს უკეთეს შედეგებს.

1 დამატებითი ინფორმაცია ამ პრინციპების შესახებ იხილეთ ბმულზე www.weps.org
2 ფილიალის მენეჯერები, განყოფილებების და დეპარტამენტების ხელმძღვანელები, ასევე ჯგუფის შვილობილი კომპანიების დირექტორები.

AGE DIVERSITY STATISTICS OF 2021



ეთიკის სტანდარტები, პასუხისმგებლიანი ქმედებები და უსაფრთხო სამუშაო გარემო

მომხმარებლებისა და პარტნიორების ნდობის მოპოვებისა და ბიზნეს საქმიანობის წარმატებით წარმართვისთვის, უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს ჩვენი თანამშრომლების ქცევისა და მათ მიერ მიღებული ბიზნეს გადაწყვეტილებების შესაბამისობა ეთიკის მაღალ სტანდარტებთან.

რადგან ჩვენ ვართ საზოგადოების ნაწილი და ურთიერთობა გვაქვს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, ჩვენ მიერ მიღებული თითოეული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს როგორც ჩვენს თანამშრომლებზე, მომხმარებლებსა და ბიზნეს პარტნიორებზე, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეებსა და მთელ საზოგადოებაზე. ჯგუფის ეთიკის კოდექსი წარმოადგენს ერთგვარ „მორალის კომპასს“, რომელიც გადაწყვეტილებების მიღებაში გვეხმარება. ის გახლავთ სახელმძღვანელო, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი გუნდის ეთიკური ქცევის პრინციპებს და გვეხმარება სპეციფიკური გარემოებების დროს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

მრავალი წელია თიბისი თავის ყოველგვარ საქმიანობასა და მოქმედებაში ეთიკური ქცევის პრინციპებით ხელმძღვანელობს. ჩვენ საკმარისი დრო და ენერგია მოვახმარეთ არაეთიკური და არაკეთილსინდისიერი ქცევის რისკების იდენტიფიცირებასა და მათი პრევენციის მექანიზმების შემუშავებას.

ჩვენ გვაქვს შიდა პოლიტიკები და პროცედურები, რომელთა შესრულებასაც ყურადღებით ვაკონტროლებთ. ეს პოლიტიკები და პროცედურები ხელს უწყობენ ჩვენს თანამშრომელებში ცნობიერების ამაღლებას მიუღებელი ქცევების შესახებ და ხელს უწყობს ღიად საუბრის კულტურის გაღრმავებას, სადაც კოლეგები გრძნობენ, რომ მათ ყურადღებით უსმენენ და დაცულები არიან ნებისმიერი საეჭვო გადაცდომის შესახებ საუბრისას. ეს პოლიტიკები და პროცედურები მოიცავს შემდეგს:

- ეთიკის კოდექსი;
- ქცევის კოდექსი;
- მექრთამეობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და გადასახადებისგან თავის არიდების პრევენციის პოლიტიკა;
- ინციდენტის მართვის პოლიტიკა;
- ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა.

აღნიშნული პოლიტიკები ეხება ჯგუფის ყველა თანამშრომელს და შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს IR ვებ-გვერდზე: www.tbcbankgroup.com.

შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი რეგულარულად ატარებს ტრენინგებს და სესიებს ჩვენი კოლეგების ცნობიერების ამაღლებისათვის, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიც არის: მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ასევე ეთიკისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. შიდა აუდიტის დეპარტამენტი ასევე ატარებს პერიოდულ აუდიტს ნებისმიერი დარღვევის ან შეუსაბამო ქცევის გამოსავლენად. 2021 წელს ამ მხრივ არსებითი დარღვევები არ გამოვლენილა.

ჩვენი მომხმარებლები

ჩვენი მომხმარებლების საჭიროებების დაკმაყოფილება

ჩვენ ვმუშაობთ მრავალარხიანი სადისტრიბუციო მოდელით, რომელიც ჩვენს მომხმარებლებს საბანკო ოპერაციების უხარვეზოდ განხორციელების საშუალებას აძლევს და ის მოიცავს თანამედროვე, მომხმარებლებზე ორიენტირებული ფილიალების ფართო ქსელს, მოწინავე ინტერნეტ და მობილური ბანკის პლატფორმას, თანამედროვე გადახდის ინფრასტრუქტურებს და ქოლ-ცენტრს.

ჩვენი მომსახურებები ხელმისაწვდომია ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ონლაინ საბანკო მომსახურების გამოყენებით, რომელიც ასევე სრულად ციფრულ შესაძლებლობებს სთავაზობს საცალო და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) მომხმარებლებს. იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს საზოგადოების დიდი ნაწილი ნაღდ ფულს იყენებს, განსაკუთრებით რეგიონებში, თვითმომსახურების ტერმინალების და ATM-ების ხელმისაწვდომობასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ფინანსური ჩართულობის ხელშესაწყობად.

პოსტ-კოვიდურ სამყაროში მოთხოვნა ციფრულ გადაწყვეტილებებზე კვლავ მაღალი რჩება. შესაბამისად, ჩვენ განვაგრძეთ ჩვენი ციფრული შეთავაზებების გამდიდრება მეტად ინოვაციური პროდუქტებითა და მომსახურებებით. 2021 წელს წამოვიწყეთ სწრაფი სამომხმარებლო სესხების გაცემის end-to-end პროცესი ჩვენს მობილურ ბანკში, რომელის მომხმარებლებს სესხების ონლაინ რეჟიმში მიღების შესაძლებლობას აძლევს. ამასთან, ჩვენ განვაახლეთ ჩვენი ონლაინ საკრედიტო პლატფორმა www.tbccredit.ge, რომელიც მომხმარებლებს მეტ მოქნილობას სთავაზობს. გარდა ამისა, დავნერგეთ "ღია ბანკინგი" (Open Banking) როგორც საცალო, ისე - ბიზნეს-მომხმარებლებისთვის, რომელიც მათ სხვა ქართულ ბანკებში გახსნილ ანგარიშებზე ნაშთების შემოწმების და მათი შემოსავლის და ხარჯების ანალიზის მიღების საშუალებას აძლევს ონლაინ ბანკის გამოყენებით. დამატებითი ინფორმაცია ჩვენი ახალი ციფრული მომსახურებების შესახებ, იხილეთ საქართველოს საქმიანობის მიმოხილვის გვერდებზე 40-59.

> როგორც მომხმარებლებზე ორიენტირებული კომპანია, ჩვენი მიზანია, მომხმარებლისთვის შევქმნათ გამორჩეული გამოცდილება, რაც გამოიხატება მათთვის შესაბამისი, ინოვაციური და ხელმისაწვდომი პროდუქტებისა და მომსახურებების შეთავაზებაში, ჩვენი მოსახერხებელი და მოქნილი სადისტრიბუციო არხების საშუალებით

დიჯიტალიზაცია ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია, ამასთან, ჩვენ ასევე ვზრუნავთ, რომ ჩვენი ფილიალები იყოს მაქსიმალურად მოქნილი და კომფორტული. სწორედ ამიტომ, 2021 წელს დავიწყეთ ჩვენი ფილიალების მოდერნიზაცია, შევქმენით მეტად ღია და მიმზიდველი გარემო, რათა ნაკლებად ოფიციალური კომუნიკაციისთვის შეგვეწყო ხელო. დამატებითი ინფორმაცია ჩვენი ახალი ფილიალების კონცეფციის შესახებ იხილეთ საქმიანობის მიმოხილვის გვერდებზე 40-59.

მნიშვნელოვანია ჩვენს მომხმარებლებს ჰქონდეთ წვდომა ხელმისაწვდომ დაფინანსებაზე. ამ მიზნით, 2017 წლიდან წამოვიწყეთ სტარტაპების მხარდაჭერის ფართომასშტაბიანი პროგრამა. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) საბანკო მომსახურების შესახებ 46-49 გვერდებზე. ამასთან, 2021 წლის სექტემბრიდან დავიწყეთ იპოთეკური სესხების სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამა. ეს პროგრამა გადასახდელი პროცენტის სუბსიდირებას სთავაზობს 200,000 ლარამდე იპოთეკურ სესხებზე, რომელიც გაიცემა სამ ან მეტ შვილიან, ან ისეთ ოჯახებზე, რომელთა შვილი დაიბადება 2021 წლის 1 სექტემბრიდან 2022 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში. 2021 წლის

31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ პროგრამის ფარგლებში ჩვენ გავეცით 425 იპოთეკური სესხი, რომელთა მოცულობამ 49.1 მილიონი ლარი შეადგინა.

ჩვენი მომხმარებლების და თანამშრომლების უსაფრთხოების და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, ჩვენი ფილიალები და ოფისები აღჭურვილია უსაფრთხოების ყველა საჭირო საშუალებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების დაცვით.. ამასთან, ჩვენ ვატარებთ ცნობადობის ამაღლების ფართომასშტაბიან კამპანიებს და ვნერგავთ სხვადასხვა ინიციატივებს ჩვენი თანამშრომლების ვაქცინაციის წახალისების მიზნით. წლის ბოლოსთვის ჩვენი თანამშრომლების დაახლოებით 85% ვაქცინირებული იყვნენ ან დაგეგმილი ჰქონდათ ვაქცინაცია.

მომხმარებელთა კმაყოფილება პირველ რიგში

საუკეთესო მომსახურების შეთავაზება და ჩვენი მომხმარებლის კმაყოფილების უზრუნველყოფა ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი ღირებულებაა. პირველი და უპირატესი ის არის, რომ ჩვენს მომხმარებლებს სამართლიანად ვექცევით, მათ ვაწვდით სრულ ინფორმაციას როგორც ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურებების, ასევე მნიშვნელოვანი რისკების შესახებ, აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით გავცემთ რჩევებს და მაქსიმალურად ვცდილობთ მათი ინტერესების გათვალისწინებას. ჩვენი ეთიკის კოდექსი, რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე www.tbcbankgroup.com, განმარტავს „თიბისის“ მოლოდინებს ჩვენს მომხმარებლებთან ურთიერთობის გამჭვირვალობის და სამართლიანობის მიმართულებით.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი მომხმარებლები არ იქნებიან კმაყოფილი ჩვენი მომსახურებით, მათ შეუძლიათ დააფიქსირონ საჩივარისხვადასხვა არხის, მათ შორის ქოლ-ცენტრის, ფილიალების, ინტერნეტ ბანკის ან ვებგვერდის www.tbcbank.ge საშუალებით. საჩივრებს განიხილავენ და მართავენ მომხმარებელთა მხარდაჭერის და საჩივრების მართვის ჯგუფები, რომლებიც აფასებენ თითოეულ საჩივარს, ამზადებენ რეკომენდაციებს და ამისამართებენ მას შესაბამის პასუხისმგებელ პირთან. მომხმარებლები დროულად იღებენ შეტყობინებას საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების შესახებ.

იმისთვის, რომ შევაფასოთ ჩვენი მომსახურების ხარისხი, რეგულარულად ვატარებთ სხვადასხვა გარე კვლევას და ვითხოვთ უკუკავშირს ჩვენი მომხმარებლებისგან. ამ მონაცემების შეგროვება შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ ჩვენს მიერ გაწეული სამუშაო და დავსახოთ მიზნები მუდმივი გაუმჯობესებისთვის. ამასთან, ჩვენ ვატარებთ ბანკის სხვადასხვა განყოფილების სამუშაო ფუნქციების შიდა კვლევებს. ამგვარი კვლევები გვეხმარება საკითხების მეტად დეტალურ დონეზე დაზუსტებაში და მათ გულდასმით დამუშავებაში.

2021 წელს ბანკში წამოვიწყეთ ინოვაციური პროექტი „მომხმარებელთა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული მოლოდინების და პრობლემების მართვა“. ეს პროექტი სამკვირიან სემინარებს მოიცავს, რომლის ფარგლებშიც თითოეული გუნდი არჩევს საზომს მომხმარებელთა მომსახურების საუკეთესოდ შესაფასებლად და მისი გამოყენებით სამუშაოს შესრულების მაჩვენებლებს აფასებს რათა შეფასდეს მიმდინარე პროგრესები და გამოვლინდეს გაუმჯობესების არეალი. გარდა ამისა, პროექტი გვეხმარება ჩვენი მომხმარებლებისთვის პრობლემატური ან „მტკივნეული“ სფეროების გამოვლენაში. ამ პრობლემების იდენტიფიცირების შემდეგ, ისინი შესაბამის პასუხისმგებელ პირებზე გადამისამართდება, რომლებსაც ევალებათ მათი მოგვარება. გვჯერა, რომ ეს პროექტი ჩვენს მომხმარებელთა მომსახურების ხარისხს ახალ დონეზე გადაიყვანს.

ჩვენ სერიოზულად ვეკიდებით მომხმარებელთა ინფორმაციის უსაფრთხოებას და მონაცემთა კონფიდენციალურობას

დიჯიტალიზაციის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ჩვენი მომხმარებლების პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოება. ამ მიზეზით, მუდმივად ვავითარებთ ჩვენი კიბერუსაფრთხოების ღონისძიებებსა და პროცედურებს, რათა ავირიდოთ მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეები და რისკები. ჩვენი კიბერუსაფრთხოების პროცედურები ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკით იმართება.

ჩვენ გვაქვს ინფორმაციის უსაფრთხოების შესაბამისი დეპარტამენტი, რომელიც ანგარიშვალდებულია რისკების მართვის დირექტორის და ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის კომიტეტის წინაშე. ეს უკანაკნელი, შეიქმნა ინფორმაციის უსაფრთხოების, ბიზნესის უწყვეტობის მართვის პროცესების გაუმჯობესებისთვისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებისთვის.

იმისთვის, რომ აღგვეკვეთა და შეგვემსუბუქებინა სხვადასხვა კიბერ-უსაფრთხოების რისკები, დავნერგეთ რამდენიმე ინსტრუმენტი და მართვის მექანიზმი:

- უსაფრთხოების ოპერაციების ცენტრი მუდმივად აკონტროლებს უჩვეულო შემთხვევებს ორგანიზაციის შიდა ქსელში, იგი, პოტენციურად ნეგატიურ ინციდენტებს აფიქსირებს და მათზე ეფექტურად რეაგირებს.
- მონაცემთა გაჟონვის პრევენციის სისტემა ავტომატურად ავლენს მონაცემების გაჟონვის ფაქტს, ბლოკავს პროცესს და შეტყობინებას უგზავნის შესაბამის პასუხისმგებელ პირს.
- ჩვენ ყოველწლიურად ფართომასშტაბურად ვაფასებთ ინფორმაციის და კიბერ-უსაფრთხოების საფრთხეებს რეგიონალურ და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე და რეგულარულად ვატარებთ კიბერ-შეტევისთვის მზაობის სავარჯიშოებს ჩვენს თანამშრომლებთან.
- ჩვენს თანამშრომლებში კიბერ-უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, ბანკის ყველა თანამშრომელს ყოველწლიურად ვუტარებთ სავალდებულო ტრენინგებს და ტესტირებას. ამასთან, რეგულარულად ვაწყობთ სხვადასხვა სიმულაციას, რომელიც დაფუძნებულია ჩვენი თანამშრომლების რეალურ ცხოვრებაში წარმოშობილ ვითარებებსა და საფრთხეებზე.
- ჩვენ გვაქვს 24/7 სამომხმარებლო ცხელი ხაზი, რომელიც ჩვენი მომხმარებლებისთვის საინტერესო საკითხების დროულად მოგვარების შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, სოციალური მედიის და ციფრული არხების გამოყენებით ფიშინგის და სხვა თაღლითური ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიწოდებით, ჩვენს მომხმარებლებს ვეხმარებით განივითარონ უსაფრთხო საბანკო ჩვევები.
- მრავალშრიან დაცვის სისტემასთან ერთად, ჩვენ გვაქვს კიბერ-დაზღვევის პოლიტიკა, რომელიც „თიბისის“ ყველა შესაბამის კიბერ, კონფიდენციალურ და მულტიმედიურ ვალდებულებას და ხარჯს ფარავს რათა, ვმართოთ გაუთვალისწინებელი შემთხვევები და გამოვასწოროთ შესაძლო სერიოზული შეფერხებები.

გასული სამი წლის განმავლობაში „თიბისი ბანკში“ ადგილი არ ჰქონია ინფორმაციის უსაფრთხოების დარღვევის არსებით შემთხვევას.

ჩვენ სრულად ვაკმაყოფილებთ საქართველოს ეროვნული ბანკის კიბერ-უსაფრთხოების მოთხოვნებს, როგორიც არის კიბერ-უსაფრთხოების ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნები, რომლებიც ეფუძნება სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ნაციონალური ინსტიტუტის (NIST) კიბერ უსაფრთხოების საფუძვლებს. 2021 წელს ასევე მივიღეთ საგადახდო მომსახურების (PSD2) დირექტივა (ევროკავშირი) 2012/2366, რომელმაც კიდევ უფრო კარგად მოარგო ჩვენი ოპერაციები საერთაშორისო და ადგილობრივ საუკეთესო პრაქტიკებს და საშუალება მოგვცა ჩვენი მომხმარებლებისთვის შეგვეთავაზებინა ღია ბანკინგის შესაძლებლობა.

2021 წლის ნოემბერში ბანკის ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის სისტემამ მიიღო ISO 27001 სერტიფიკატი. გარდა ამისა, 2021 წლის დეკემბრის თვეში Ernst & Youn-ის თბილისის ოფისმა ბანკისთვის ორი აუდიტი ჩაატარა - კიბერ უსაფრთხოების მართვის სტრუქტურის შეფასება და SWIFT CSCF შეფასება. შედეგად, ამ აუდიტის პროცესში კრიტიკული დასკვნები და მნიშვნელოვანი შეუსაბამობები არ გამოვლენილა. კიბერ-უსაფრთხოების მართვის საფუძვლები საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განსაზღვრა.

თანაბრად მნიშვნელოვანია ჩვენი მომხმარებლების კონფიდენციალობის და მონაცემთა მთლიანობის დაცვა. ჩვენ ვამუშავებთ პერსონალურ მონაცემებს კონკრეტული ბიზნეს-საჭიროებებისთვის და ამას კანონის ფარგლებში, სამართლიანი და გამჭვირვალე ფორმით ვაკეთებთ. ჩვენი მომხმარებლები იღებენ ინფორმაციას მათი მონაცემების დამუშავების და იმ უფლებების შესახებ, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ განსაზღვრული საკომუნიკაციო არხებით. ჩვენი გლობალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ და მოქმედ კანონმდებლობას და ასევე აკმაყოფილებს მონაცემთა დაცვის ევროპული რეგლამენტის (GDPR) კონკრეტულ მოთხოვნებს. სრული პოლიტიკა ხელმისაწვდომია ჩვენს IR ვებგვერდზე: www.tbcbankgroup.com.

ჩვენი საზოგადოება

MSME ბიზნესის განვითარების და მეწარმეობის წახალისება

„თიბისი“ გამორჩეულია სტარტაპების და MSME ბიზნესების ადვოკატირებასა და მხარდაჭერაში. ქვეყანაში არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებთან გასამკლავებლად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარება. ის ხელს უწყობს უმუშევრობის დონის შემცირებას და ეკონომიკურ ზრდას. ჩვენ ვეხმარებით ბიზნესებს როგორც ფინანსური, ისე - არაფინანსური გზით, მათ შორის კაპიტალზე წვდომის გამარტივებთ, ცოდნის და გამოცდილების გაზიარებითა და პროდუქტების და მომსახურებების განვითარებით, რომლებიც ბიზნეს-საჭიროებებს ერგება. სწორედ ამიტომ, 2021 წელს „თიბისიმ“ ითანამშრომლა საერთაშორისო ორგანიზაციებთან შემდეგი ინიციატივებით:

- „თიბისი ბანკი“ მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი იყო შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ახალ ინიციატივაში - გრეის ჰოპერის ჯილდო, რომლის მიზანია მეტი ქართველი ქალის აღიარება და შთაგონება ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICT) ინდუსტრიაში. წელს სტარტაპების რამდენიმე ქალი წარმომადგენელი აღიარეს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICT) სფეროში გამორჩეული მაჩვენებლების გამო. „თიბისი ბანკი“ დაეხმარა პროექტის განვითარებას ფართომასშტაბიანი საკომუნიკაციო კამპანიის გატარებაში, გამარჯვებულები ორ კატეგორიაში დააჯილდოვა (დამწყები ლიდერი და ტექ სტარტაპი) და შექმნა უნარების და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები, რომლებიც კონკრეტულად გამარჯვებულების საჭიროებებზე იყო მორგებული.
- „თიბისი ბანკმა“ მემორანდუმი გააფორმა UNDP-საქართველოსთან ადრეულ ეტაპზე მყოფი სოციალური საწარმოების მხარდაჭერის, ახალგაზრდების შესაძლებლობების გაძლიერებისა და რეგიონებში ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესების მიმართულებით. ეს პროგრამა მიმართულია სტუდენტებზე სოციალური მეწარმეობის სფეროში და სთავაზობს მათ ათთვიან ტრენინგს მათი საკუთარი ბიზნეს-იდეების განსავითარებლად. „თიბისი ბანკი“ გასცემს ფულად ჯილდოებს და გასწევს მედია და მარკეტინგულ მხარდაჭერას.

ჩვენი მიზანია ფართომასშტაბიანი და მაღალეფექტური პროექტებით შევქმნათ უკეთესი მომავალი ჩვენი საზოგადოებისთვის შემდეგ სფეროებში: ბიზნესის განვითარება, ახალგაზრდების მხარდაჭერა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

დამატებითი ინფორმაცია ჩვენი ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების შესახებ იხილეთ თავში მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) საბანკო მომსახურების შესახებ 46-49 გვერდებზე.

ჩვენს მომწოდებლებს შორის ადგილობრივი ბიზნესების პრიორიტეტულობა

ჩვენ ერთგულნი ვართ პასუხისმგებლიანი შესყიდვების პრაქტიკის და იმ კომპანიებთან მუშაობის მიმართ, რომლებიც ითვალისწინებენ ჩვენს ღირებულებებს და აკმაყოფილებენ ჩვენი ნასყიდობის სტანდარტებს და ეთიკის კოდექსს. გარდა ამისა, საქართველოში მრეწველობის განვითარების მხარდაჭერის მიზნით, ჩვენ უპირატესობას ადგილობრივ მომწოდებლებს[1] ვანიჭებთ. 2021 წელს ბანკის მომწოდებელთა დაახლოებით 90%-ს ქართული კომპანია იყო, რაც წლის მთლიანი დანახარჯების დაახლოებით 85%-ს შედაგენდა. ამ წელს, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტრატეგიის ფარგლებში, დავისახეთ კონკრეტული სამიზნეები შესყიდვების სოციალურ გავლენაზე, რომლებმაც 2023 წლის ბოლოსთვის სულ მცირე 5 მილიონი ლარი უნდა შეადგინონ. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ჩვენი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტრატეგია გვერდებზე 24-37.

დამატებითი ინფორმაცია ჩვენი მიწოდების ჯაჭვის მართვის შესახებ იხილეთ „მდგრადობის შესახებ ანგარიშის“ 148-151 გვერდებზე, რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე www.tbcbankgroup.com.

ახალგაზრდა თაობის მხარდაჭერა

ჩვენი მიზანია, სხვადასხვა ინიციატივების და პროექტების დახმარებით, ახალგაზრდა თაობას მხარი დავუჭიროთ პროფესიულ განვითარებაში:

- „თიბისი სტიპენდიანტები“ „თიბისის“ ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სოციალური პასუხისმგებლობის პროექტია, რომელიც 2018 წელს დაიწყო და მისი მიზანია ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა და მხარდაჭერა. პროექტის დაწყების დღიდან „თიბისი“ 350 ნიჭიერ ახალგაზრდას დაეხმარა სათანადო განათლების მიღებასა და პროფესიულ განვითარებაში. წელს კიდევ 45 ადამიანი შეუერთდა პროგრამას. პროექტის მონაწილეები არიან მხატვრები, სპორტსმენები, მეცნიერები და გამომგონებლები.
- 2019 წლის შემდეგ „თიბისი ბანკის“ სპონსორობით გაიმართა თბილისის საერთაშორისო წიგნის ფესტივალი - უდიდესი ღონისძიება ქვეყნის საგამომცემლო სექტორში, რომელიც მწერლებს, გამომცემლებს და მკითხველებს აერთიანებს. წელს თბილისის საერთაშორისო წიგნის 23-ე ფესტივალი გაიმართა.
- განვლილი შვიდი წლის განმავლობაში „თიბისი ბანკი“ საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის „ლეონარდო და ვინჩის“ ახალგაზრდა მკვლევარების და გამომგონებლების ყოველწლიური კონკურსის მთავარი პარტნიორია. კონკურსის მიზანია საბუნებისმეტყველო, ტექნიკური მეცნიერებების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) პოპულარიზაცია მოსწავლეებში და მათი დახმარება კრეატიული აზროვნებისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაში. „თიბისი ბანკი“ კონკურსს მარკეტინგულ მხარდაჭერას უწევს. ამისთვის გამოჰყოფს ობიექტებს (allocates facilities) და აჯილდოვებს გამარჯვებულებს. პარტნიორობის დაწყების დღიდან „თიბისი ბანკმა“ 24 მოსწავლე დააჯილდოვა.
- გარდა ამისა, ჩვენ რამდენიმე აკადემიას ვმართავთ სტუდენტებისთვის სხვადასხვა სფეროდან, როგორებიცაა ინფორმაციული ტექნოლოგიები და რისკები, რათა დავეხმაროთ მათ მაღალმოთხოვნადი პროფესიების დაუფლებაში. ყველა კურსი უფასოა და მათ ჩვენი გამოცდილი თანამშრომლები ატარებენ. ჩვენ ასევე განვაგრძობთ „თიბისი კემპის“ პროგრამას, რომელიც 2019 წელს წამოვიწყეთ და ის მეოთხე კურსზე მყოფი ფინანსების სტუდენტებისთვის „საბირჟო პრეზენტაციების კონკურსს“ მოიცავს. ეს კონკურსი უნივერსიტეტის სასწავლო კურსშია ინტეგრირებული და ითვალისწინებს ინტენსიურ ონლაინ ლექციებს, ტრენინგებს და რეალური საინვესტიციო შემთხვევების მომზადებას შერჩეულ კომპანიებში. მიღებული მასალები ჟიურის წარედგინება. შერჩეული გუნდები სპეციალურ პრიზებს იღებენ.

წელს „თიბისიმ“ წამოიწყო ახალი გამოწერის მოდელი „თიბისი Z“, რომელიც ახალგაზრდა თაობის სპეციალურ საჭიროებებზეა მორგებული და მოიცავს სტუდენტურ ბარათებს სპეციალური ბენეფიტებით, ქეშბექ ფუნქციითა და სხვადასხვა ფასდაკლებებით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ საქართველოს საცალო საბანკო მომსახურების თავში გვერდებზე 40-45.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

„თიბისი“ ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ქართული მემკვიდრეობის დაცვაში. ამ მიმართულებით ჩვენი მთავარი მიმდინარე პროექტებია:

- 2003 წლის შემდეგ „თიბისი“ ლიტერატურული კონკურსის „საბა“ გენერალური სპონსორია. ეს კონკურსი ქვეყნის მნიშვნელოვანი ლიტერატურული ღონისძიებაა. წელს 300-მდე წიგნი იქნა განხილული და გამარჯვებულები ათ კატეგორიაში გამოვლინდა. ჩვენ ასევე გვაქვს ელექტრონული და აუდიო წიგნების ყველაზე დიდ ონლაინ პლატფორმას საქართველოში www.saba.com.ge, რომელიც 2012 წლიდან არსებობს და დაახლოებით 380,000 მომხმარებელს სთავაზობს წვდომას 6,700-ზე მეტ აუდიო და ელექტრონულ წიგნზე.
- 2019 წლიდან დაიწყო ჩვენი თანამშრომლობა საქართველოს ეროვნულ და კავკასიაში პირველ, ვანის არქეოლოგიურ მუზეუმთან. ჩვენ ვეხმარებით მუზეუმებს ნაციონალური საგანძურის გამოფენაში, გათანამერდოვებასა და გაციფრულებაში. წელს ვანის არქეოლოგიურმა მუზეუმმა „თიბისი ბანკთან“ ერთად უმასპინძლა უნიკალურ არქეოლოგიურ გამოფენას პომპეის არქეოლოგიური პარკიდან.
- 2020 წლიდან, საქართველოს ხელოვნების სასახლესთან ერთად, პოპულარიზაციას ვუწევთ ქართული ტექსტილის განვითარებას.. პროექტის მიზანია საუკუნეების წინ არსებული ქართული ტრადიციული და ისტორიული ტექსტილისთვის ახალი სიცოცხლის შთაბერვა. წელს ახალმა სტარტაპებმა და დიზაინერებმა 1,000-ზე მეტი ერთეული შექმნეს.

1 ადგილობრივი მომწოდებლები არიან ქართული რეზიდენტი კომპანიები, რომლებიც ყიდიან ადგილობრივად წარმოებულ და იმპორტირებულ საქონელს ან მომსახურებებს.

- ამ წელს მხარი დავუჭირეთ ახალ პროექტს, რომლის მიზანი იყო როგორც ქართული ტექსტილის პოპულარიზაცია, ასევე სოფლის მაცხოვრებელი ქალების მხარდაჭერა. აჭარული ნაქარგები მზითვის ტრადიციის ნაწილია საქართველოს აჭარის რეგიონის შორეულ მთიან სოფლებში. ამ ხელსაქმეს ადგილობრივი ქალები ქმნიდნენ, ხვეწდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ საუკუნეების მანძილზე. პროექტის ფარგლებში შეიქმნა დოკუმენტური ფილმი, ასევე მოეწყო გამოფენა და პანელური დისკუსია ამ ნაკლებად ცნობილი ტრადიციის პოპულარიზაციისთვის.
- ქართული შრიფტების კონკურსი „ქართული ა“ 2017 წლიდან ტარდება და ის მიზნად ისახავს ქართული დამწერლობის თანამედროვე სამყაროსთან კიდევ უფრო მეტად ადაპტირებას და მის გავრცელებას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. კონკურსის ფარგლებში მონაწილეები ახალ ქართულ შრიფტებზე მუშაობენ, რომელთა შორისაც გამარჯვებული შრიფტი გაციფრულდება „თიბისის“ მხარდაჭერით. პროექტის დაწყებიდან შემუშავდა დაახლოებით 350 შრიფტი, რომელთაგან 30 უკვე გაციფრულებულია.

უკრაინელი ხალხის მხარდაჭერა

გვინდა გამოვხატოთ ჩვენი მხარდაჭერა უკრაინელი ხალხის მიმართ, ბოლო დროს მათ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გამო. „თიბისი“ ამ მიმართულებით რამდენიმე ინიციატივაში არის ჩართული. ჩვენ გავაუქმეთ „თიბისი ბანკიდან“ უკრაინაში განხორციელებული საერთაშორისო საბანკო გადარიცხვების საკომისიო. ასევე, შევქმენით ადგილობრივი საბანკო ანგარიში, რომელიც მომხმარებლებს უკრაინულ საქველმოქმედო ფონდში შემოწირულობის გაკეთების შესაძლებლობას აძლევს. თავის მხრივ „თიბისიმ“ ამ მიზნით 200,000 ლარი გამოჰყო. ამასთან, ჩვენ ხელს ვუწყობთ უკრაინისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების პროცესს.

ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემა (EMS)

„თიბისი ბანკს“ აქვს ყოვლისმომცველი გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც იმართება ჯგუფის დონეზე იმართება გარემოსდაცვითი მართვის სისტემა (EMS) და უზრუნველყოფს ჩვენს შესაბამისობას გარემოს, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და შრომის რეგულაციებთან. ასევე უზრუნველყოფს გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების, ასევე შრომის პრაქტიკის სწორ გამოყენებას და გონივრული ნაბიჯების გადადგმას იმისთვის, რომ ჩვენი მომხმარებლებიც ისევე ასრულებდნენ გარემოსდაცვით და სოციალურ პასუხისმგებლობებს, როგორც ჩვენ. ბანკის გარემოსდაცვითი პოლიტიკა სრულად შეესაბამება საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობას და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს (სრული პოლიტიკა ხელმისაწვდომია ბმულზე www.tbcbankgroup.com).

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის (ESRM) გუნდი შედგება სრულ განაკვეთზე მომუშავე სამი თანამშრომელისგან და ის მცირე და საშუალო (SME) და კორპორატიული ბიზნესის საკრედიტო რისკის დეპარტამენტის ნაწილია, რომელიც უშუალოდ რისკების მართვის დირექტორის წინაშეა ანგარიშვალდებული. ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის (ESRM) გუნდი პასუხისმგებელია ჯგუფის დონეზე გარემოსდაცვითი მართვის სისტემის (EMS) განხორციელებასა და ზედამხედველობაზე. .ასევე, დახმარებას უწევს ჩვენს შვილობილ კომპანიებს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე და რეგულარულად ატარებს ტრენინგებს. კვარტლურად, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის (ESRM) გუნდი გარემოსდაცვით კომიტეტზე წარადგენს გარემოსდაცვითი მართვის გეგმებსა და შედეგებს.

ჩვენი EMS ოთხ მიმართულებას ეფუძნება:

- შიდა გარემოსდაცვითი საქმიანობები;
- გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვა დაკრედიტების დროს;
- მდგრადი ფინანსირება; და
- გარე კომუნიკაციები.

როგორც ქვეყნის უმსხვილესი საფინანსო ინსტიტუტი, გვჯერა, რომ დადებით წვლილს შევიტანთ კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის და დაბალი ემისიისეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაჩქარების საქმეში.

2020 წლიდან ბანკმა გაიარა ISO 14001:2015 სერტიფიცირება, რომელიც ადასტურებს, რომ ჩვენი EMS სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

2021 წელს „თიბისი ბანკმა“ გამოსცა მდგრადი განვითარების სრულმასშტაბიანი ანგარიში, რომელიც გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) სტანდარტებზე დაყრდნობით მომზადდა და კომპანიას ეხმარება მისი როლის და გავლენის გააზრებაში მდგრადი განვითარების ისეთ საკითხებზე, როგორიც არის კლიმატის ცვლილება, ადამიანის უფლებები და სოციალური კეთილდღეობა.

სათბური აირების (GHG) ემისიის დათვლა

იქედან გამომდინარე, რომ საბანკო საქმე არ არის მაღალდამაბინძურებელი საქმიანობა, მოსალოდნელი არ არის, რომ ჯგუფის მიერ რესურსების მოხმარების შემცირებისკენ მიმართულ შიდა გარემოსდაცვითი ღონისძიებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება გარემოზე. თუმცა, „თიბისი ბანკმა“ გადახედა ყველა საოპერაციო საქმიანობას, შესყიდვებსა და დაკონტრაქტებულ გარე კომპანიების მომსახურებებს, რომელთა კონტროლიც შეუძლია (მიმდინარე და დაგეგმილი) და გამოავლინა მათ საქმიანობებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ასპექტები, რომლებიციყოფა არაპირდაპირ და პირდაპირ გარემოსდაცვით ასპექტებად, ხდება მათი სრულფასოვანი შეფასება და იმართება სტანდარტების შესაბამისად.

„თიბისი ბანკმა“ ჯგუფის მასთაბით სათბური აირების (GHG) ემისიების მართვისა და ანგარიშგებისთვის დანერგა ყოვლისმომცველი შიდა გარემოსდაცვითი მართვის სისტემა„ რომელიც მიმართულია ენერგიის, წყლის და ქაღალდის მოხმარების მონიტორინგით სათბური აირების (GHG) ემისიების შემცირებისკენ. შემუშავდა გარემოსდაცვითი მონაცემების დოკუმენტირების სახელმძღვანელო პრინციპები და შვილობილ კომპანიებში შეირჩნენ თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან მოთხოვნილი მონაცემების შეგროვებასა და მოწოდებაზე.. „თიბისი ბანკმა“ ასევე დაიქირავა დამოუკიდებელი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) საკონსულტაციო კომპანია შპს „G&L Management“.

GHG-ის ჯამური ემისია (CO2) (ტონა) და KPI-ები	2019*	2020	2021	2022 KPI (ზრდა)
Scope1** საწვავის მოხმარება (გათბობა, ტრანსპორტი, გენერატორები)	1,897	2,970	3,102	4%-ზე ნაკლები
Scope2 (ელექტროენერგიის მოხმარება)	1,088	1,524	1,499	2%-ზე ნაკლები
Scope3 (საერთაშორისო ფრენები)	564	106	18	-
ჯამური ემისია (tCO2)	**3,549**	**4,600**	**4,619**	**3%-ზე ნაკლები**
ჯამური ემისია ერთი სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლზე (tCO2/pp)	**0.57**	**0.65**	**0.60**	**3%-ზე ნაკლები**
წყლის მოხმარება ერთ თანამშრომელზე ($მ^3$/pp)	14.40	10.72	9.54	1.5%-ზე ნაკლები
საბეჭდი ქაღალდი ერთ პირზე (დასტებად)	19.62	13.46	13.50	0.4%-ზე ნაკლები

* მონაცემები მოცემულია მხოლოდ ბანკისთვის

** Scope 1:

a. a1,505 CO2e ემისიები ტონებში (საწვავის წვიდან (NG) თიბისი ბანკის უშუალო ოპერირებიდან და ობიექტებიდან) 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 1,609 CO2e და 2019 წელს - 1,318 CO2e.
b. b1,500 CO2e ემისიები ტონებში (თიბისი ბანკის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებებიდან) 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 1,285 tCO2e და 2019 წელს - 491 tCO2e.
c. c97 CO2e ემისიები ტონებში (თიბისი ბანკის კუთვნილი გენერატორებიდან) 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 76 CO2e და 2019 წელს - 88 CO2e

Scope 1 - ჯგუფის დონეზე, 2021 წელს 2020 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი ჯგუფის დონეზე 4%-მდე გაიზარდა (2021 წლის მიზანი იყო6%-იანი შემცირება). ცალკე აღებული, ბანკმა მოახერხა ამ მაჩვენებლის 6%-ით შემცირება (93.000 CO2kge).თუმცა, ეს დადებითი გავლენა გაიქვითა ჩვენი შვილობილი კომპანიების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მიერ მოხმარებული საწვავის რაოდენობით.

Scope 2 – 2021 წელს ჯგუფის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მთლიანი რაოდენობა იგივე დონეზე დარჩა (2021 წლის მიზანი - 5%-ით შემცირება)), თუმცა ცალკე ბანკმა შეძლო 7%-ით (დაახლოებით 95,800 CO2kge) შემცირება იმავე პერიოდში.

Scope 3 - კოვიდ-19-ის პანდემიის გამო სამივლინებო ფრენების რაოდენობა 2020 წელთან შედარებით დაახლოებით, 83%-ით შემცირდა.

მთლიანობაში, ემისიების რაოდენობა 2021 წელს 2020 წელთან შედარებით, სტაბილურ დონეზე შენარჩუნდა, ხოლო სრულ განაკვეთზე მომუშავე ერთ თანამშრომელზე ემისია იმავე პერიოდში 8%-ით შემცირდა, 2021 წლის სამიზნე დონესთან (5%-იანი კლება) შედარებით.

2021 წელს ერთ თანამშრომელზე წყლის მოხმარება 11%-ით შემცირდა 2021 წლის სამიზნე დონესთან (5%-იანი კლება) შედარებით, ხოლო საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა იმავე დონეზე შენარჩუნდა.

გამოთვლის მეთოდოლოგია

სათბური აირების ინვენტარიზაციისთვის გადავდგით შემდგომი ნაბიჯები: დავაწესეთ ორგანიზაციის საზღვრები, განვსაზღვრეთ საოპერაციო მასშტაბი და , ჩამოვაყალიბეთ მონაცემთა შეგროვების სტრუქტურული მიდგომა და ნახშირორჟანგის (CO2) ექვივალენტში გამოთვლა. ეს ანგარიში აღწერს გაფრქვევების ყველა წყაროს, რომელიც გათვალისწინებულია 2006 წლის „კომპანიების აქტით“ (სტრატეგიული ანგარიში და დირექტორების ანგარიშები), 2013 წლის რეგულაციებით (Scope 1 და 2) და ასევე Scope 3-ის ფარგლებში არსებული გაფრქვევებით, რომელიც ვრცელდება ბიზნეს-

საქმიანობაზე. გაფრქვევების მონაცემების მომზადებისას გამოყენებულ იქნა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის „2017 წლის კომპანიის ანგარიშგებისთვის სათბური აირების კონვერსიის ფაქტორები“, ხოლო ელექტროენერგიის შემთხვევაში „ეროვნული IPCC“-ის ემისიის ფაქტორები ელექტროენერგიისთვის(tCO2*/MWhe). ბანკის ძირითადი საქმიანობებისთვის საჭირო მონაცემები შემდეგნაირად შემუშავდა:

Scope 1 (საწვავის წვა და მოწყობილობების ოპერირება) მოიცავს თიბისი ბანკის საკუთრებაში, ან კონტროლირებად ადგილებზე არსებულ მოწყობილობა-დანადგარების მიერ ბუნებრივი აირის, დიზელის ან/და ბენზინის წვის შედეგად მიღებულ გაფრქვევებს. ასევე, სატრანსპორტო საშუალებების მიერ ბენზინის, დიზელის, ბუნებრივი აირის და ა.შ. წვის შედეგად გამოყოფილ აირებს.

Scope 2 (ოპერირებისთვის შეძენილი ელექტროენერგია (განათება, საოფისე ხელსაწყოები, გაგრილების სისტემა და ა.შ.) მოიცავს თიბისი ბანკის საკუთრებაში არსებულ ან კონტროლირებად ადგილებზე მოხმარებული ელექტროენერგიის შედეგად მიღებულ გაფრქვევებს.; გამოთვლისთვის გამოიყენება ეროვნული IPCC ემისიის მიხედვით ელექტროენერგიის გაფრქვევების ფაქტორი (tCO2*/MWhe);

Scope 3 მოიცავს მივლინებების დროს საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობის შედეგად გამოყოფილ გაფრქვევებს (მოკლე მანძილებზე, საშუალო მანძილებზე, შორ მანძილებზე და საერთაშორისო ფრენებს); უნდა აღინიშნოს, რომ გათვალისწინებულ იქნა ინფორმაცია ფრენის კლასთან დაკავშირებით და ემისიების გამოსაანგარიშებლად შეირჩა „ეკონომ-კლასის" კონვერსიის ფაქტორი შემდეგი ბმულიდან: www.atmosfair.de.

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა დაკრედიტების დროს

ჩვენი მიზანია, უზრუნველვყოთ, რომ ჩვენმა მომხმარებლებმა შეასრულონ თავიანთი გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობები. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, თიბისი ბანკმა შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის (ESRM) პროცედურები, რომელიც სრულად არის ინტეგრირებული თიბისი ბანკის საკრედიტო რისკის მართვის პროცესში. აღნიშნული პროცედურები დაკრედიტების დროს უზრუნველყოფენ ჩვენი ყველა სასესხო აქტივობის შესაბამის, რისკებზე დამყარებულ, სექტორების სპეციფიკების მიხედვით გარემოსდაცვით და სოციალური რისკების შეფასებას. ჩვენი პროცედურები მოიცავს საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) სამოქმედო სტანდარტებს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) სამოქმედო მოთხოვნებს. ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს ეფექტურად ვმართოთ საკრედიტო და რეპუტაციული რისკები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ჩვენი მომხმარებლების გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შეუსაბამობებით.

ჩვენ ყურადღებით ვამოწმებთ და ვაფასებთ ჩვენი ბიზნეს-პორტფელის გადანაწილებას გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კატეგორიების კუთხით და ვცდილობთ, შევამციროთ იმ ინდუსტრიების წილი, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ გარემოსა და საზოგადოებაზე. ზოგ შემთხვევაში, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიები განსხვავდება. კომერციული ტრანზაქციის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიის დადგენისას, უპირატესობა უფრო მაღალი რისკის კატეგორიას ენიჭება.

ბიზნეს სესხების პორტფელის გადანაწილება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიების მიხედვით



დაბალი რისკი - ტრანზაქციები, რომლებსაც აქვთ მინიმალური ან საერთოდ არ აქვთ ნეგატიური გარემოსდაცვითი, ან სოციალური ზემოქმედება. ზოგადად, ასეთი შემთხვევების შემდგომი ანალიზი აღარ ხორციელდება (იდენტიფიცირების შემდეგ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელი ითხოვს ინფორმაციას (თანხმობა/ცნობა/დასკვნა) გარემოს, ჯანმრთელობის და შრომის შესახებ ადგილობრივ და ეროვნულ კანონმდებლობასთან და ნორმატიულ აქტებთან მისი შესაბამისობის/შეუსაბამობის მიზნით.

საშუალო რისკი – ოპერაციები სოციალურ, ან გარემოსდაცვით საკითხებზე საზიანო ეფექტის შეზღუდული პოტენციალით. ასეთი შემთხვევები მცირე რაოდენობისაა, განისაზღვრება ადგილმდებარეობის მიხედვით, შექცევადია, შესაძლებელია მისი გამოვლენა შეფასების ეტაპზე და თავისუფლად გვარდება რისკის შემცირების ზომების გამოყენებით. აღნიშნულ ოპერაციებს სჭირდებათ შეზღუდული, ან ფოკუსირებული გარემოსდაცვითი და/ან სოციალური შეფასება ან გარემოსდაცვითი ზომების, დაბინძურების ნორმების, საპროექტო კრიტერიუმების, ან სამშენებლო სტანდარტების პირდაპირი გამოყენება.

მაღალი რისკი – ოპერაციები, რომლებსაც ახასიათებთ პოტენციურად ძალიან მნიშვნელოვანი, ნეგატიური და/ან გრძელვადიანი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ეფექტი, რომლის მასშტაბების განსაზღვრაც შეიძლება რთული იყოს სესხზე განაცხადის წარმოდგენის ეტაპზე. აღნიშნული საჭიროებს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ეფექტების ანალიზს ბანკის კლიენტის ფუნქციონირების გავლენის მთლიანი არეალის კონტექსტში. რისკის შეფასების პროცესში კლიენტი გამოავლენს ცალკეულ პირებს და ჯგუფებს, რომლებზეც მისი წარმოება შეიძლება გავლენას ახდენდეს განსხვავებულად ან არაპროპორციულად.

კატეგორია A – ოპერაციები პოტენციურად მნიშვნელოვანი საზიანო სოციალური ან გარემოსდაცვითი ეფექტით, რომელიც შეიძლება იყოს მრავალმხრივი, შეუქცევადი ან უპრეცედენტო, რომლის შეფასებაც ჩვეულებრივ, მოითხოვს დამოუკიდებელი გარე ექსპერტების ჩართვას და შესაძლოა საჭიროებდეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტების ჩართულობას სიღრმისეული შესწავლისა და შეფასების პროცესში.

ამასთან, ჩვენი მიზანია დადებითი წვლილი შევიტანოთ კერძო კომპანიების განვითარებაში და დავეხმაროთ მათ, სათანადოდ მართონ თავიანთსაქმიანობებათან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები. ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნებთან და/ან „თიბისის“ სტანდარტებთან რაიმე სახის შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, ჩვენი კლიენტებისთვის შევიმუშავებთ გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმებს (ESAP), რათა მათი გარემოსდაცვითი საქმიანობა გაუმჯობესდეს და გაკონტროკლდეს გეგმების განხორციელების პროცესი.

მწვანე დაკრედიტების განვითარება

ჩვენ ვაღიარებთ მდგრადი დაკრედიტების მნიშვნელობას და აქტიურად ვართ ჩართულები მდგრადი დაფინანსების სტანდარტიზებული მიდგომის შემუშავებაში, მათ შორის ენერგოეფექტური, განახლებადი ენერგიისა და რესურსეფექტური დაფინანსების ჩათვლით ჩვენი საცალო და ბიზნეს-მომხმარებლებისთვის. „თიბისი“ წამყვანი პარტნიორია საქართველოში ადგილობრივი განახლებადი ენერგიის პროექტების, მათ შორის ჰიდროელექტრო სადგურების დაფინანსებაში.

2021 წელს „თიბისი ბანკი“ პირველი კომერციული ბანკი გახდა კავკასიის რეგიონში, რომელმაც „მწვანე კლიმატური ფონდისგან“ (GCF) აკრედიტაცია მიიღო. აღნიშნული ბანკს საშუალებას აძლევს პირდაპირი წვდომა ჰქონდეს მწვანე კლიმატური ფონდის (GCF) დაფინანსებაზე, საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების, შერბილებისა დადა მასთან ბრძოლაში წვლილის შეტანისთვის.

ამ წელს ჩვენ ასევე ჩავატარეთ ადგილობრივი ბაზრის კვლევა, რათა განგვესაზღვრა ქართულ რეალობაზე მორგებული „თიბისის“ მწვანე კრიტერიუმები და შევიმუშავეთ „მწვანე დაკრედიტების პროცედურა“. ეს კვლევა ჩატარდა „Green for Growth Fund“-ის (GGF) Technical Assisstance Facility-ის ფარგლებში, რომელსაც წარმოადგენს „Finance in Motion GmbH“ და აფინანსებდა ევროკავშირი „EU4Energy“ ინიციატივის ფარგლებში. ეს პროცედურაბანკს დაეხმარება მწვანე და გარემოსადმი მეგობრული ინიციატივების იდენტიფიცირებაში და კერძო კომპანიების წახალისებაში - გამოიყენონ მდგრადი ინვესტიციები და ამგვარად თავიანთი წვლილი შეიტანონ კლიმატის შერბილებაში.

მწვანე რესურსის პროვაიდერების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2021 წლის განმავლობაში ჩვენმა მდგრადმა პორტფელმა 761,446 CO2kg/a-ს მიაღწია CO2-ის დაზოგვაში,. იმავე პერიოდში ჩვენი განახლებადი ენერგიის პორტფელის გავლენამ (სასათბურე აირის (GHG) ემისიების არიდება) 9,455 kg/a შეადგინა, გარე კონსულტანტის შეფასების მიხედვით „Green for Growth Fund“-ის (GGF) Technical Assistance Facility-ის ფარგლებში, რომელსაც წარმოადგენს „Finance in Motion GmbH“ და აფინანსებს ევროკავშირი „EU4Energy“ ინიციატივის ფარგლებში.

ჩვენი მდგრადი პორტფელის სტრუქტურა



შენიშვნა: ჩვენი მდგრადი სასესხო პორტფელი მოიცავს ენერგოეფექტურობას, ახალგაზრდების მხარდაჭერას და „ქალები ბიზნესში“ სესხებს, რომლებიც ფინანსდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან (IFI) მიღებული სპეციალური დანიშნულების თანხებით, ასევე განახლებადი ენერგიის დაფინანსებისთვის გამოყოფილი სესხებით, რაც მოიცავს ბანკის მიერ დაფინანსებულ ყველა ჰიდრო-ელექტრო სადგურს

მიწოდების ჯაჭვის მონიტორინგი

როგორც ქვეყანაში ერთ-ერთი უმსხვილესი შემსყიდველი, გვესმის როგორც ნასყიდობასთან დაკავშირებით მიღებული ჩვენი გადაწყვეტილებების და ოპერაციების სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მნიშვნელობა, ასევე მომწოდებლების მიმართ ჩვენი მოთხოვნების გავლენა. 2019 წელს, ჩვენი მომწოდებლების შემოწმების მიზნით შევიმუშავეთ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის კითხვარი. ასევე, რეგულარულად ვაფასებთ ჩვენი გრძელვადიანი კონტრაქტორი კომპანიების გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს. ჩვენს გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შეუსაბამობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის (ESRM) გუნდი შეიმუშავებს გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმებს (ESAP-ებს) თითოეული კომპანიისთვის და მონიტორინგს გაუწევს მათ განხორციელებას.

გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება „თიბისის“ თანამშრომლებში

გვჯერა, რომ ჩვენს თანამშრომლებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს EMS-ის ეფექტურად განხორციელებისთვის და ორგანიზაციის შიგნით ახალი ეკო-მეგობრული იდეების და ინიციატივების წახალისებისთვის.

ამ მიზნით ჩვენ აქტიურად ვახორციელებთ სხვადასხვა გარემოსდაცვით და სოციალურ სასწავლო პროგრამებს, რაც მოიცავს:

- „გამარჯობა“ ტრენინგი;
- ტრენინგს ახალი თანამშრომლებისთვის;
- გარემოსდაცვით და სოციალურ ტრენინგს საკრედიტო პერსონალისთვის;
- ყოველწლიური სავალდებულო ონლაინ EMS ელ-სწავლების კურსი ყველა თანამშრომლისთვის, რასაც მოჰყვება თვითშეფასების ტესტი; და
- სავალდებულო on-boarding ტრენინგი.

2021 წელს ჩვენი თანამშრომლების 95%-მა, მათ შორის ტოპ მენეჯმენტის წევრემა, წარმატებით გაიარა „თიბისის“ EMS-ის შესახებ ონლაინ კურსი და თვითშეფასების ტესტი.

ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა ვიდეო მასალები, რომლებიც მოკლედ აღწერს „თიბისის“ გარემოსდაცვითი მართვის სისტემას.

გარე კომუნიკაცია

„თიბისი“ დიდ ყურადღებას აქცევს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გარე კომუნიკაციას როგორც არსებულ, ასევე პოტენციურ მომხმარებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. ჩვენი დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირი და რეკომენდაციები ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის მუდმივად გაუმჯობესების საშუალებას გვაძლევს.

ჩვენი საჩივრების მიღების მექანიზმი შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს წარმოადგინონ თავიანთი საჩივრები გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ჩვენი ვებგვერდის www.tbcbank.com.ge საშუალებით. ყველა საჩივარი გულდასმით ანალიზდება და დროულად გადაეცემა შესაბამის პირებს. 2021 წლის განმავლობაში არცერთი გარემოსდაცვითი და სოციალური საჩივარი დაფიქსირებულა.

„თიბისი ბანკი“ ასევე აქტიურად მონაწილეობს საქართველოში განახლებადი ენერგიის, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების და მწვანე დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ ცნობადობის ამაღლებაში. ამ მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამასთან (GEFF) თანამშრომლობით, ჩვენ მოვაწყვეთ მწვანე ეკონომიკის ფორუმი და ასევე მონაწილეობა მივიღეთ „GreenPact“-ის მიერ ორგანიზებულ მდგრადი დაფინანსების ყოველწლიურ ფორუმში, რომელზეც განიხილებოდა მწვანე დაფინანსების პრაქტიკები რეგიონალურ და ადგილობრივ ბანკებთან.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ძირითადი მაჩვენებლები

ათას ლარში	ფინანსური წელი'21	ფინანსური წელი'20 (გადაანგარიშებული)	ცვლილება წ/წ
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	995,792	827,699	20.3%
წმინდა საკომისიო შემოსავალი	224,887	168,779	33.2%
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი	177,229	118,585	49.5%
სულ საკრედიტო ზარალის აღდგენა/(რეზერვი)*	21,034	(356,381)	NMF
საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო ზარალის რეზერვის და არაფინანსური აქტივების გაუფასურების შემდეგ	**1,418,942**	**758,682**	**87.0%**
ზარალი ფინანსური ინსტრუმენტის მოდიფიკაციებიდან	(1,726)	(41,015)	-95.8%
საოპერაციო ხარჯები	(454,993)	(385,469)	18.0%
მოგება დაბეგვრამდე	**962,223**	**332,198**	**NMF**
მოგების გადასახადის (ხარჯი)/კრედიტი	(119,278)	5,062	NMF
წმინდა მოგება	**842,945**	**337,260**	**NMF**

**გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2020 წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი ასახავს ცვლილებებს, რომლებიც უკავშირდება ხელმძღვანელობის მიერ არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურებასა და ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯებს შორის განხორციელებულ რეკლასიფიკაციას. მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ ფინანსური ანგარიშგებების მეორე შენიშვნა.*
NMF – უმნიშვნელო ციფრები

საბალანსო უწყისის და კაპიტალის ძირითადი მაჩვენებლები

ათას ლარში	დეკ - 21	დეკ - 20	ცვლილება წ/წ
სულ აქტივები	24,039,512	22,398,962	7.3%
სულ სესხები	16,954,553	15,200,515	11.5%
მომხმარებელთა დეპოზიტები	14,884,145	12,634,295	17.8%
სულ კაპიტალი	3,590,055	2,830,180	26.8%
ძირითადი პირველადი კაპიტალი (Basel III)	2,759,894	1,911,233	44.4%
პირველადი კაპიტალი (Basel III)	3,379,414	2,385,181	41.7%
საზედამხედველო კაპიტალი (Basel III)	4,102,927	3,137,912	30.8%
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (Basel III)	20,217,629	18,301,477	10.5%

ძირითადი კოეფიციენტები	ფინანსური წელი'21	ფინანსური წელი'20	ცვლილება წ/წ
უკუგება კაპიტალზე (ROE)	26.3%	12.9%	13.4 pp
უკუგება აქტივებზე (ROA)	3.7%	1.7%	2.0 pp
წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM)	5.0%	4.7%	0.3 pp
ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობა	32.5%	34.6%	-2.1 pp
რისკის ხარჯი	-0.3%	2.4%	-2.7 pp
უმოქმედო სესხები (NPL) მთლიან სესხებთან	2.4%	4.7%	-2.3 pp
უმოქმედო სესხების (NPL) რეზერვების დაფარვის კოეფიციენტი	99.2%	85.6%	13.6 pp
სულ უმოქმედო სესხების დაფარვის (NPL) კოეფიციენტი	174.6%	159.4%	15.2 pp
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III)	13.7%	10.4%	3.3 pp
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III)	16.7%	13.0%	3.7 pp
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III)	20.3%	17.1%	3.2 pp
ლევერიჯი (times)	6.7x	7.9x	-1.2x

წმინდა საპროცენტო შემოსავალი

2021 წელს ჩვენ გამოვიმუშავეთ 995.8 მილიონი ლარის წმინდა საპროცენტო შემოსავალი, რომელიც წინა წელთან შედარებით 20.3%-ით არის გაზრდილი. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი 12.2%-ით და 4.8%-ით გაიზარდა, შესაბამისად.

წინა წელთან შედარებით საპროცენტო შემოსავლის ზრდა ძირითადად დაკავშირებული იყო სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის ზრდასთან, რაც უკავშირდებოდა მთლიანი სასესხო პორტფელის 1,754.0 მილიონი ლარით, ან 11.5%-ით ზრდას და სესხის საპროცენტო განაკვეთის 0.1 pp-ით ზრდას. სესხის განაკვეთის ზრდა გამოწვეული იყო ლარის სესხების წილის ზრდით მთლიან პორტფელში.

საპროცენტო ხარჯის ზრდა უმეტესწილად უკავშირდებოდა დეპოზიტების საპროცენტო ხარჯს რაც გამოწვეული იყო შესაბამისი პორტფელის ზრდით 2,249.9 მილიონი ლარის, ან 17.8%-ის ოდენობით. იმავე პერიოდში დეპოზიტების განაკვეთმა 0.2 pp-ით იკლო. ამასთან, ვალდებულებების სტრუქტურის ცვლილებას დეპოზიტებთან მიმართებაში (65%-დან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 73%-მდე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) დადებითი ეფექტი ჰქონდა დაფინანსების ხარჯზე. შედეგად, დაფინანსების ხარჯი 0.4 pp-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით და 2021 წელს 4.4% შეადგინა.

2021 წელს ჩვენი წმინდა საპროცენტო მარჟა 5.0%-ზე იყო, რაც წინა წელთან შედარებით 0.3 pp-ით მეტია.

ათას ლარში	**ფინანსური წელი'21**	**ფინანსური წელი'20**	**ცვლილება წ/წ**
საპროცენტო შემოსავალი	1,863,077	1,660,838	12.2%
საპროცენტო ხარჯი	(895,428)	(854,089)	4.8%
წმინდა შემოსულობა სავალუტო სვოპებიდან	28,143	20,950	34.3%
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**995,792**	**827,699**	**20.3%**
წმინდა საპროცენტო მარჟა	**5.0%**	**4.7%**	**0.3 pp**

არასაპროცენტო შემოსავალი

2021 წელს მთლიანი სხვა არასაპროცენტო შემოსავალი 39.9%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 402.1 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნულ ზრდა განპირობებული იყო ყველა კატეგორიით, მათ შორის არის 2021 წლის მე-2 კვარტალში, ჩვენი ერთ-ერთი საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლით 26.3 მილიონი ლარის ოდენობით (ამ გარიგებიდან მიღებული შემოსავალი გათვალისწინებულია სხვა საოპერაციო შემოსავალში).

ათას ლარში	**ფინანსური წელი'21**	**ფინანსური წელი'20**	**ცვლილება წ/წ**
არასაპროცენტო შემოსავალი			
წმინდა საკომისიო შემოსავალი	224,887	168,779	33.2%
წმინდა შემოსულობა ვალუტის დერივატივებიდან, ოპერაციებიდან უცხოურ ვალუტაში და კონვერტაციიდან	124,194	105,855	17.3%
სხვა საოპერაციო შემოსავალი	53,035	12,730	NMF
სულ სხვა არასაპროცენტო შემოსავალი	**402,116**	**287,364**	**39.9%**

საკრედიტო ზარალის რეზერვი

მთლიანმა საკრედიტო ზარალის რეზერვმა 2021 წელს 21.0 მილიონი ლარი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ამ მნიშვნელოვან კლებაზე იმოქმედა გაუმჯობესებულმა მაჩვენებლებმა ყველა სეგმენტში 2021 წელს და ასევე 2020 წლის მაღალმა საბაზისო ეფექტმა, საკრედიტო ზარალის რეზერვზე კოვიდ-19-ის გავლენის გათვალისწინებით.

ათას ლარში	ფინანსური წელი'21	ფინანსური წელი'20 (გადაანგარიშებული)	ცვლილება წ/წ
სამომხმარებლო სესხებზე საკრედიტო ზარალის აღდგენა/(რეზერვი)	43,176	(330,811)	NMF
საკრედიტო ზარალის აღდგენა/(რეზერვი) სხვა ოპერაციებისთვის*	(22,142)	(25,570)	-13.4%
სულ საკრედიტო ზარალის აღდგენა/(რეზერვი)*	**21,034**	**(356,381)**	**NMF**
საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო ზარალის რეზერვის და არაფინანსური აქტივების გაუფასურების შემდეგ*	**1,418,942**	**758,682**	**87.0%**
რისკის ხარჯი	**-0.3%**	**2.4%**	**-2.7 pp**

**გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2020 წლის საოპერაციო შემოსავალს მოსალოდნელი საკრედიტო და არაფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის შემდეგ, რადგან ისინი ასახავენ ცვლილებებს, რომლებიც უკავშირდება ხელმძღვანელობის მიერ არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურებასა და ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯებს შორის განხორციელებულ რეკლასიფიკაციას. მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ ფინანსური ანგარიშგებების მეორე შენიშვნა.*
NMF – უმნიშვნელო ციფრები

საოპერაციო ხარჯები

2021 წელს ჩვენი მთლიანი საოპერაციო ხარჯები 18.0%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით.

2021 წელს ჩვენი საოპერაციო ხარჯების ზრდაზე მეტწილად იმოქმედა თანამშრომლებზე გაწეულმა დანახარჯებმა, შესრულებასთან დაკავშირებული მაღალი ხარჯების გამო, რაც მოიცავდა ხელმძღვანელობის ცვალებად ანაზღაურებას. ამავდროულად, ზრდა ადმინისტრაციულ და სხვა ხარჯებში გამოწვეული იყო 2020 წლის დაბალი საბაზისო ეფექტით და გაზრდილი ბიზნეს საქმიანობებით.

ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობა 32.5%-ზე იდგა, რაც წინა წელთან შედარებით 2.1 pp-ით ნაკლებია.

ათას ლარში	ფინანსური წელი'21	ფინანსური წელი'20 (გადაანგარიშებული)	ცვლილება წ/წ
საოპერაციო ხარჯები			
პერსონალის ხარჯები	(255,747)	(206,887)	23.6%
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი	-	(2,600)	-100.0%
ცვეთა და ამორტიზაცია	(70,622)	(64,068)	10.2%
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები*	(128,624)	(111,914)	14.9%
სულ საოპერაციო ხარჯები*	**(454,993)**	**(385,469)**	**18.0%**
ხარჯის შემოსავლებთან თანაფარდობა	**32.5%**	**34.6%**	**-2.1 pp**

**გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2020 წლის საოპერაციო ხარჯების მაჩვენებლებს, რადგან ისინი ასახავენ ცვლილებებს, რომლებიც უკავშირდება ხელმძღვანელობის მიერ არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურებასა და ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯებს შორის განხორციელებულ რეკლასიფიკაციას. მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ ფინანსური ანგარიშგებების მეორე შენიშვნა.*

წმინდა მოგება

2021 წელს ჩვენი რეკორდულად მაღალ მომგებიანობაზე იმოქმედა ძლიერმა შემოსავლებმა ყველა კატეგორიაში და აქტივების ხარისხის მაღალმა დონემ.

შედეგად, ჩვენი უკუგება კაპიტალზე (ROE) 26.3% იყო, ხოლო უკუგება აქტივებზე (ROA) 3.7%.

ათას ლარში	ფინანსური წელი 21	ფინანსური წელი 20	ცვლილება წ/წ
ზარალი ფინანსური ინსტრუმენტის მოდიფიკაციებიდან	**(1,726)**	**(41,015)**	**-95.8%**
მოგება დაბეგვრამდე	**962,223**	**332,198**	**NMF**
მოგების გადასახადის (ხარჯი)/კრედიტი	(119,278)	5,062	NMF
წლის წმინდა მოგება	**842,945**	**337,260**	**NMF**
უკუგება კაპიტალზე (ROE)	**26.3%**	**12.9%**	**13.4 pp**
უკუგება აქტივებზე (ROA)	**3.7%**	**1.70%**	**2.0 pp**

დაფინანსება და ლიკვიდურობა

2021 წელს ჩვენ გამოვიყენეთ 2020 წელს დაგროვილი ჭარბი ლიკვიდურობა და ჩვენი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტმა (LCR), 115.8% შეადგინა, რაც სებ-ის მიერ განსაზღვრულ 100%-იან ზღვარზე მაღალია, ხოლო ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) ლარში და უცხოურ ვალუტაში შესაბამისად 107.7% და 120.8% იყო, რაც საკმაოდ აღემატებოდა შესაბამის 75% და 100%-ია ზღვრებს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) 127.3% იყო, რაც აღემატება 100%-იან საზედამხედველო ლიმიტს.

	დეკ - 21	დეკ - 20	ცვლილება წ/წ
მინიმალური წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ	*100.0%*	*100.0%*	*0.0 pp*
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ (NSFR)	127.3%	126.0%	1.3 pp
წმინდა სესხები დეპოზიტებთან + IFI დაფინანსება	101.3%	100.7%	0.6 pp
ლევერიჯი (ჯერადი)	6.7x	7.9x	-1.2x
მინიმალური მთლიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ (LCR)	*100.0%*	*100.0%*	*0.0 pp*
მინიმალური LCR ლარში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	*75%**	*n/a*	*NMF*
მინიმალური LCR უცხოურ ვალუტაში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	*100.00%*	*100.0%*	*0.0 pp*
სულ ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი , განსაზღვრული სებ-ის მიერ	115.8%	134.2%	*-18.4 pp*
LCR ლარში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	107.7%	132.2%	*-24.5 pp*
LCR უცხოურ ვალუტაში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	120.8%	134.9%	-14.1 pp

**2021 წლის მაისში სებ-მა აღადგინა სებ-ის ლარის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის ლიმიტი, რომელიც ამოღებულია ერთი წლის ვადით*

საზედამხედველო კაპიტალი

წინა წელთან შედარებით ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET1), პირველადი კაპიტალის (Tier 1) და მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები გაიზარდა 3.3pp-ით, 3.7 pp-ით და 3.2 pp-ით, შესაბამისად. ამ ზრდაზე ძირითადად იმოქმედა წმინდა შემოსავლის ძლიერმა გენერირებამ, 2021 წლის ნორმბერში 75 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების AT1 ობლიგაციების გამოშვებამ და ადგილობრივი ვალუტის აფასებამ, რომელიც ნაწილობრივ დაკომპენსირდა საკრედიტო პორტფელის ზრდით.

ათას ლარში	დეკ - 21	დეკ - 20	ცვლილება წ/წ
ძირითადი პირველადი კაპიტალი	2,759,894	1,911,233	44.4%
პირველადი კაპიტალი	3,379,414	2,385,181	41.7%
საზედამხედველო კაპიტალი	4,102,927	3,137,912	30.8%
სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების პოზიცია	20,217,629	18,301,477	10.5%
მინიმალური ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	*11.7%*	*7.4%*	*4.3 pp*
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	13.7%	10.4%	3.3 pp
მინიმალური პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	*14.0%*	*9.2%*	*4.8 pp*
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	16.7%	13.0%	3.7 pp
მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	*18.4%*	*13.7%*	*4.7 pp*
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	20.3%	17.1%	3.2 pp

საკრედიტო პორტფელი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა მიაღწია 16,954.6 მილიონ ლარს, რაც 11.5%-იანი ზრდაა წინა წელთან შედარებით ან 17.3%-უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მთლიანი სესხების პროპორცია გაიზარდა 5.7 pp-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა მთლიანი სესხების 53.7%, ხოლო უცვლელი კურსის საფუძველზე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მთლიანი სესხების პროპორცია შემცირდა 3.4 pp-ით და შეადგინა 56.0%.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვენი საბაზრო წილი მთლიან სესხებში შეადგენდა 38.8%, რომელიც შემცირდა 0.2 pp-ით წინა წელთან შედარებით, ხოლო ჩვენი სესხის საბაზრო წილი იურიდიულ პირებში შეადგენდა 39.1%, რომელიც გაიზარდა 0.5 pp-ით იმავე პერიოდში. ჩვენი სესხის საბაზრო წილი ფიზიკურ პირებში შეადგენდა 38.6%, რომელიც შემცირდა 0.8 pp-ით წინა წელთან შედარებით.

ათას ლარში	დეკ - 21	დეკ - 20	ცვლილება წ/წ
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები			
საცალო	**6,265,507**	**5,846,274**	**7.2%**
– საცალო სესხები ლარში	3,580,468	3,007,482	19.1%
– საცალო სესხები უცხოურ ვალუტაში	2,685,039	2,838,792	-5.4%
კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესი	**6,547,741**	**5,831,871**	**12.3%**
– კორპორატიული სესხები ლარში	2,188,776	1,599,857	36.8%
– კორპორატიული სესხები უცხოურ ვალუტაში	4,358,965	4,232,014	3.0%
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME)	**4,141,305**	**3,522,370**	**17.6%**
– MSME სესხები ლარში	2,082,204	1,559,127	33.5%
– MSME სესხები უცხოურ ვალუტაში	2,059,101	1,963,243	4.9%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	**16,954,553**	**15,200,515**	**11.5%**

2020 წლის შესადარისი მონაცემები არ შეესაბამება 2020 წლის გამოქვეყნებულ რიცხვებს, რადგან ისინი ასახავენ რე-სეგმენტაციის ეფექტს, რომელიც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების 28-ე შენიშვნაში, მაგრამ არ ითვალისწინებენ სტანდარტულ წლიურ რე-სეგმენტაციას.

	ფინანსური წელი'21	ფინანსური წელი'20	ცვლილება წ/წ
სესხების ეფექტური განაკვეთი	**10.2%**	**10.1%**	**0.1 pp**
სესხების ეფექტური განაკვეთი ლარში	15.1%	15.2%	-0.1 pp
სესხების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	6.5%	6.7%	-0.2 pp
საცალო სესხების ეფექტური განაკვეთი	**11.5%**	**11.5%**	**0.0 pp**
– საცალო სესხების ეფექტური განაკვეთი ლარში	16.1%	16.5%	-0.4 pp
– საცალო სესხების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	6.1%	6.6%	-0.5 pp
კორპორატიული სესხების ეფექტური განაკვეთი	**9.0%**	**8.6%**	**0.4 pp**
– კორპორატიული სესხების ეფექტური განაკვეთი ლარში	13.7%	13.2%	0.5 pp
– კორპორატიული სესხების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	7.0%	7.0%	0.0 pp
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) სესხების ეფექტური განაკვეთი	**10.2%**	**10.2%**	**0.0 pp**
– მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) სესხების ეფექტური განაკვეთი ლარში	14.9%	14.9%	0.0 pp
– მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) სესხების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	6.0%	6.3%	-0.3 pp

2020 წლის შესადარისი მონაცემები არ შეესაბამება 2020 წლის გამოქვეყნებულ რიცხვებს, რადგან ისინი ასახავენ რე-სეგმენტაციის ეფექტს, რომელიც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების 28-ე შენიშვნაში, მაგრამ არ ითვალისწინებენ სტანდარტულ წლიურ რე-სეგმენტაციას.

საკრედიტო პორტფელის ხარისხი

par 30 მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 0.6 pp-ით გაუმჯობესდა. მაჩვენებლის კლება მეტწილად საცალო სეგმენტით იყო განპირობებული, კერძოდ უზრუნველყოფის გარეშე არსებული სესხების ჩამოწერითა და იპოთეკური სესხების ძლიერი მაჩვენებლებით.

ჩვენი უმოქმედო სესხების კოეფიციენტი 2.3 pp-ით გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით და 2.4% შეადგინა. აღდგენა ყველა სეგმენტში შეინიშნებოდა, რაზეც უმეტესად იმოქმედაკოვიდ-19-თან დაკავშირებული რესტრუქტურიზებული სესხების განახლებულმა დაფარვებმა.

	31-Dec-21	31-Dec-20	Change YoY
Par 30	დეკ - 21	დეკ - 20	ცვლილება წ/წ
საცალო	2.2%	3.5%	-1.3 pp
კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესი	0.6%	1.0%	-0.4 pp
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME)	**4.0%**	**3.7%**	**0.3 pp**
სულ სესხები	**2.0%**	**2.6%**	**-0.6 pp**

2020 წლის შესადარისი მონაცემები არ შეესაბამება 2020 წლის გამოქვეყნებულ რიცხვებს, რადგან ისინი ასახავენ რე-სეგმენტაციის ეფექტს, რომელიც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების 28-ე შენიშვნაში, მაგრამ არ ითვალისწინებენ სტანდარტულ წლიურ რე-სეგმენტაციას.

უმოქმედო სესხები (NPLs)	**დეკ - 21**	**დეკ - 20**	**ცვლილება წ/წ**
საცალო	2.5%	5.8%	-3.3 pp
კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესი	1.4%	2.4%	-1.0 pp
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME)	4.0%	6.5%	-2.5 pp
სულ სესხები	**2.4%**	**4.7%**	**-2.3 pp**

2020 წლის შესადარისი მონაცემები არ შეესაბამება 2020 წლის გამოქვეყნებულ კოეფიციენტებს, რადგან ისინი ასახავენ რე-სეგმენტაციის ეფექტს, რომელიც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების 28-ე შენიშვნაში, მაგრამ არ ითვალისწინებენ სტანდარტულ წლიურ რე-სეგმენტაციას.

უმოქმედო სესხების დაფარვის კოეფიციენტი (NPL coverage)	**დეკ - 21**		**დეკ - 20**	
	რეზერვების დაფარვის კოეფიციენტი	მთლიანი დაფარვის კ ოეფიციენტი	რეზერვების დაფარვის კოეფიციენტი	მთლიანი დაფარვის კოეფიციენტი
საცალო	157.0%	222.7%	102.4%	170.3%
კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესი	56.8%	126.4%	77.1%	148.0%
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME)	68.0%	155.5%	66.4%	150.5%
სულ	**99.2%**	**174.6%**	**85.6%**	**159.4%**

2020 წლის შესადარისი მონაცემები არ შეესაბამება 2020 წლის გამოქვეყნებულ კოეფიციენტებს, რადგან ისინი ასახავენ რე-სეგმენტაციის ეფექტს, რომელიც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების 28-ე შენიშვნაში, მაგრამ არ ითვალისწინებენ სტანდარტულ წლიურ რე-სეგმენტაციას. ამასთან, 2021 წელს მენეჯმენტმა შეცვალა სესხის უზრუნველყოფის დაფარვის მეთოდოლოგია უფრო კონსერვატული მიდგომით. უმოქმედო სესხების მთლიანი დაფარვის კოეფიციენტი 2020 წლისთვის გადათვლილია განახლებული მეთოლოგიით.

რისკის ხარჯი

რისკის მთლიანი ხარჯი 2021 წელს -0.3%-ზე იყო, რაც გამოიწვია 2021 წლის გაუმჯობესებულმა მაჩვენებლებმა ყველა სეგმენტში და 2020 წლის მაღალმა საბაზისო ეფექტმა, საკრედიტო ზარალის რეზერვზე კოვიდ-19-ის გავლენის გათვალისწინებით.

რისკის ხარჯი (CoR)	**ფინანსური წელი'21**	**ფინანსური წელი'20**	**ცვლილება წ/წ**
საცალო	**0.4%**	3.8%	-3.4 pp
კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესი	**-1.0%**	0.6%	-1.6 pp
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME)	**-0.2%**	3.0%	-3.2 pp
სულ	**-0.3%**	**2.4%**	**-2.7 pp**

2020 წლის შესადარისი მონაცემები არ შეესაბამება 2020 წლის გამოქვეყნებულ კოეფიციენტებს, რადგან ისინი ასახავენ რე-სეგმენტაციის ეფექტს, რომელიც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების 28-ე შენიშვნაში, მაგრამ არ ითვალისწინებენ სტანდარტულ წლიურ რე-სეგმენტაციას.

სადეპოზიტო პორტფელი

მთლიანი სადეპოზიტო პორტფელი 17.8%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით ყველა სეგმენტში და 14,884.1 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო უცვლელი სავალუტო კურსის მიხედვით, იმავე პერიოდში, მთლიანი სადეპოზიტო პორტფელი 23.1%-ით გაიზარდა. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების პროპორცია გაიზარდა 3.2 pp-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა მთლიანი დეპოზიტების 63.8%, ხოლო უცვლელი კურსის საფუძველზე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მთლიანი დეპოზიტების პროპორცია შემცირდა 1.6 pp-ით და შეადგინა 64.4%.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვენი საბაზრო წილი დეპოზიტებში შეადგენდა 40.4%, რომელიც შემცირდა 3.2 pp-ით წინა წელთან შედარებით, ხოლო ჩვენი საბაზრო წილი იურიდიული პირების დეპოზიტებში შეადგენდა 40.5%, რომელიც გაიზარდა 6.0 pp-ით იმავე პერიოდში. ხოლო საბაზრო წილი ფიზიკური პირების დეპოზიტებში 40.3% იყო, რაც წინა წელთან შედარებით 0.8 pp-ით არის გაზრდილი.

ათას ლარში	**დეკ - 21**	**დეკ - 20**	**ცვლილება წ/წ**
კლიენტის ანგარიშები			
საცალო	**5,629,823**	**4,975,661**	**13.1%**
– საცალო დეპოზიტები ლარში	1,492,325	1,236,594	20.7%
– საცალო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	4,137,498	3,739,067	10.7%
კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესი	**7,378,552**	**5,778,914**	**27.7%**
– კორპორატიული დეპოზიტები ლარში	2,970,310	1,890,889	57.1%
– კორპორატიული დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	4,408,242	3,888,025	13.4%
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME)	**1,564,150**	**1,368,490**	**14.3%**
– MSME დეპოზიტები ლარში	761,493	661,941	15.0%
– MSME დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	802,657	706,549	13.6%
საერთო კლიენტის ანგარიშები	**14,884,145**	**12,634,295**	**17.8%**

** სულ დეპოზიტების წილი მოიცავს ფინანსთა სამინისტროს დეპოზიტებს 511 მილიონი ლარის და 312 მილიონი ლარის ოდენობით 2020 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად.*
2020 წლის შესადარისი მონაცემები არ შეესაბამება 2020 წლის გამოქვეყნებულ რიცხვებს, რადგან ისინი ასახავენ რე-სეგმენტაციის ეფექტს, რომელიც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების 28-ე შენიშვნაში, მაგრამ არ ითვალისწინებენ სტანდარტულ წლიურ რე-სეგმენტაციას.

	ფინანსური წელი 21	**ფინანსური წელი 20**	**ცვლილება წ/წ**
დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი	**3.4%**	**3.6%**	**-0.2 pp**
– დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ლარში	*6.7%*	*6.5%*	*0.2 pp*
– დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	*1.5%*	*2.0%*	*-0.5 pp*
საცალო დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი	**2.2%**	**2.6%**	**-0.4 pp**
– საცალო დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ლარში	4.9%	5.3%	-0.4 pp
– საცალო დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	1.3%	1.7%	-0.4 pp
კორპორატიული დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი	**4.3%**	**4.4%**	**-0.1 pp**
– კორპორატიული დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ლარში	8.5%	8.1%	0.4 pp
– კორპორატიული დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	2.0%	2.5%	-0.5 pp
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი	**0.8%**	**0.9%**	**-0.1 pp**
– მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ლარში	1.4%	1.6%	-0.2 pp
– მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	0.2%	0.3%	-0.1 pp

2020 წლის შესადარისი მონაცემები არ შეესაბამება 2020 წლის გამოქვეყნებულ კოეფიციენტებს, რადგან ისინი ასახავენ რე-სეგმენტაციის ეფექტს, რომელიც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების 28-ე შენიშვნაში, მაგრამ არ ითვალისწინებენ სტანდარტულ წლიურ რე-სეგმენტაციას.

კოეფიციენტები

კოეფიციენტები (ყოველთვიური საშუალოს საფუძველზე)	**ფინანსური წელი'21**	**ფინანსური წელი'20**
მომგებიანობის კოეფიციენტი:		
უკუგება კაპიტალზე (ROE)	26.3%	12.9%
უკუგება აქტივებზე (ROA)	3.7%	1.7%
ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობა	32.5%	34.6%
წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM)	5.0%	4.7%
სესხების ეფექტური განაკვეთი	10.2%	10.1%
დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი	3.4%	3.6%
დაფინანსების ხარჯი (cost of funding)	4.4%	4.8%*
აქტივის ხარისხი და პორტფელის კონცენტრაცია:		
რისკის ხარჯი (CoR)	-0.3%	2.4%
PAR 90 მთლიან სესხებზე	1.2%	1.5%
უმოქმედო სესხები (NPL) მთლიან სესხებთან	2.4%	4.7%
უმოქმედო სესხების (NPL) რეზერვების დაფარვის კოეფიციენტი	99.2%	85.6%
უმოქმედო სესხების მთლიანი დაფარვის კოეფიციენტი**	174.6%	159.4%
საკრედიტო ზარალის დონე მთლიან სესხებზე	2.4%	4.0%
დაკავშირებული მხარის სესხები მთლიან სესხებში	0.1%	0.0%
მთლიანი პორტფელის ტოპ-10 მსესხებელი	6.9%	7.9%
მთლიანი პორტფელის ტოპ-20 მსესხებელი	10.6%	12.1%
კაპიტალის და ლიკვიდობის პოზიციები:		
წმინდა სესხები დეპოზიტებზე + IFI*** დაფინანსება	101.3%	100.7%
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი	127.3%	126.0%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი	115.8%	134.2%
ლევერიჯი	6.7x	7.9x
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III)	13.7%	10.4%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III)	16.7%	13.0%
საზედამხედველოკაპიტალის კოეფიციენტი (Basel III)	20.3%	17.1%

**ჯგუფმა გააფორმა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სვოპ ხელშეკრულებები მისი დაფინანსების ხარჯის შემცირების მიზნით. შესაბამისი საპროცენტო ეფექტი ნაჩვენებია წმინდა საპროცენტო შემოსავალში, მაგრამ ადრე არ შედიოდა დაფინანსების ხარჯის კოეფიციენტის დაანგარიშებაში. ვინაიდან ხელშეკრულებებმა მნიშვნელოვან მოცულობას მიაღწია, ჯგუფმა გადახედა ეფექტების წარდგენას დაფინანსების ხარჯის კოეფიციენტში და მიიღო სვოპ ხელშეკრულებებიდან საპროცენტო ეფექტის დაფინანსების ხარჯის დაანგარიშებაში გათვალისწინების გადაწყვეტილება. ცვლილება რეტროსპექტულად განხორციელდა და ასევე გადაანგარიშდა წინა პერიოდების კოეფიციენტები.*
*** 2021 წელს მენეჯმენტმა შეცვალა სესხის უზრუნველყოფის დაფარვის მეთოდოლოგია უფრო კონსერვატული მიდგომით. უმოქმედო სესხების მთლიანი დაფარვის კოეფიციენტი 2020 წლისთვის გადათვლილია განახლებული მეთოლოგიით.*
**** საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები*

კოეფიციენტების განმარტებები მოცემულია 317-318 გვერდებზე.

ძირითადი არსებული და მოსალოდნელი რისკები

კოვიდ 19-ის პანდემიამ გააძლიერა რისკის მართვის კრიტიკული მნიშვნელობა ჯგუფის სტრატეგიისთვის. კოვიდ-19 ეპოქაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსალოდნელი რისკების და განუსაზღვრელობების დადგენას, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ ჯგუფის მუშაობის მაჩვენებლებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე. ამ ნაწილში გაანალიზებულია ის ძირითადი არსებული და მოსალოდნელი რისკები და განუსაზღვრელობები, რომელთა წინაშეც დგას ჯგუფი. არ არის გამორიცხული, რომ ჯგუფის მუშაობის შედეგებზე შესაძლოა გავლენა იქონიონ ჯერ კიდევ უცნობმა რისკებმა და განუსაზღვრელობებმა, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ქვემოთ. რისკების მართვის პრაქტიკის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია გვერდებზე 100-120. წინამდებარე ანგარიშის შედგენისთვის, უკრაინის ომთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობებს აქვს ადგილი. მისი პოტენციური გავლენა შეჯამებულია მოსალოდნელი რისკების თავში.

სამეთვალყურეო საბჭოს შექმნილი აქვს ძირითადი და მოსალოდნელი რისკების შეფასების მოქნილი მექანიზმი, რომელიც „თიბისი ბანკის“ გრძელვადიანი საქმიანობის შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს ბანკის შესაძლებლობას, განაგრძოს ფუნქციონირება და შეასრულოს დასახული მიზნები. განხილვისა და ანალიზის საფუძველზე, სამეთვალყურეო საბჭომ დაადასტურა, რომ მათ აქვთ ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის გონივრული მოლოდინი მომდევნო სამი წლის განმავლობაში, 2025 წლის 1 იანვრამდე, და რომ ჯგუფი შეძლებს ოპერირების გაგრძელებას და თავისი ვალდებულებების შესრულებას სამი წლის განმავლობაში, 2022 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

1. საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ბიზნეს-საქმიანობის განუყოფელი ნაწილი

რისკის აღწერა

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფისთვის ყველაზე მატერიალურრისკს, ვინაიდან ჯგუფი ჩართულია ტრადიციულ საკრედიტო საქმიანობაში. ჯგუფის მომხმარებლები არიან როგორც იურიდიული, ისე - ფიზიკური პირები.

საქართველოს ფინანსური სექტორის დოლარიზაციის მაღალი დონიდან გამომდინარე, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სავალუტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია არაჰეჯირებულ მსესხებლებზე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების გაცემასთან ჯგუფის პორტფელში. საკრედიტო რისკი ასევე მოიცავს კონცენტრაციის რისკს, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუარესებასთან დაკავშირებულ რისკს, რაც შეიძლება წარმოიშვას ერთ მსესხებელზე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მსესხებლების ჯგუფებზე დიდი მოცულობის პორტფელის შექმნით ან პორტფელის კონცენტრაციით გარკვეულ ეკონომიკურ დარგებში. ზარალი შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს არახელსაყრელი მაკროეკონომიკური პირობების გამო. ეს რისკები უფრო დეტალურად არის აღწერილი ცალკეული ძირითადი რისკების სახით.

კოვიდ-19-მა გაზარდა განუსაზღვრელობების დონე და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია ბევრ სექტორში, კერძოდ სასტუმრო და დასვენების, უძრავი ქონების მართვის და განვითარების სექტორებში. ასეთი ეკონომიკური ვარდნა მოიცავს მსესხებლების ფინანსური მდგომარეობის გაუარესების და საკრედიტო რისკების ზრდას ჯგუფისთვის.

რისკის მიტიგაცია

ბანკი იყენებს საკრედიტო რისკების შეფასების სრულყოფილ ჩარჩოს, რომელშიც მკაფიოდ არის ერთმანეთისგან გამიჯნული საკრედიტო ანალიზისა და კრედიტის დამტკიცების პროცესში მონაწილე მხარეთა მოვალეობები. საკრედიტო შეფასების პროცესი განსხვავდება სეგმენტების მიხედვით. ამასთანავე, დიფერენციაცია ხდება პროდუქტის სახეობების მიხედვითაც, აქტივების კლასების განსხვავებული მახასიათებლების გათვალისწინების მიზნით. კორპორაციული, მცირე და საშუალო ბიზნესის, მსხვილი საცალო და მიკრო სესხების შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, მაშინ როცა გადაწყვეტილების მიღების პროცესი მცირე საცალო და მიკრო სესხების შემთხვევაში მეტწილად ავტომატიზებულია. ინდივიდუალური

და ავტომატიზებული დაკრედიტების წესებს განსაზღვრავენ რისკების განყოფილებები, რომლებიც დამოუკიდებლები არიან სესხის გამცემი და ბიზნეს-განვითარების ერთეულებისგან. საკრედიტო შეფასება და დაკრედიტების მოდელები შემუშავებულია საკრედიტო მოდელირების დამოუკიდებელი გუნდის მიერ, რისკების განყოფილების ფარგლებში. ამის შემდეგ მოდელებს ამოწმებს მოდელებთან დაკავშირებული რისკების მართვის კიდევ ერთი დამოუკიდებელი გუნდი, ასევე რისკების განყოფილებიდან. კორპორატიული და საშუალო ბიზნეს-მსესხებლების შემთხვევაში, სესხის განხილვის პროცესი ხორციელდება კონკრეტული სექტორული ჯგუფების მიერ. ამ პროცესში გამოიყენება საფუძვლიანი ცოდნა შესაბამისი სექტორული განვითარების შესახებ.

ჯგუფი იყენებს მონიტორინგის გამართულ სისტემას, რათა სწრაფად მოახდინოს რეაგირება მაკრო და მიკრო მოვლენებზე, საკრედიტო პორტფელში სისუსტეების გამოვლენასა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე რისკის მართვის კუთხით.

მონიტორინგის პროცესი ცალკეულ სეგმენტებზეა მორგებული და მოიცავს ინდივიდუალური სესხების მონიტორინგს, პორტფელის საერთო მონიტორინგს და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე. ამასთან, ჯგუფი იყენებს პორტფელის მონიტორინგის კომპლექსურ სისტემას შესუსტებული მახასიათებლების მქონე კრედიტების გამოსავლენად და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ზომების მისაღებად.

ჯგუფის საკრედიტო პორტფელი სტრუქტურულად დივერსიფიცირებულია მომხმარებელთა ტიპების, პროდუქტის ტიპებისა და ინდუსტრიული სეგმენტების მიხედვით, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს საკრედიტო რისკი ჯგუფის დონეზე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საცალო სეგმენტი შეადგენდა მთლიანი პორტფელის 37.0%-ს, რომელიც დაყოფილია იპოთეკურ და არაიპოთეკურ სესხებად, შესაბამისად 65.6% და 34.4%-ით. 2021 წლის ბოლოს ბიზნეს პორტფელში არცერთი სექტორი არ აღემატება მთლიანი პორტფელის 9.4%-ს.

სესხის უზრუნველყოფა წარმოადგენს ჯგუფისთვის საკრედიტო რისკის მიტიგაციის ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას, ამიტომ უზრუნველყოფაში არსებული ქონების ეფექტური მართვა საკრედიტო რისკების მართვის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ჯგუფის მიერ გაცემული სესხების უზრუნველყოფა შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით: უძრავი ქონება, ფულადი დეპოზიტები, სატრანსპორტო საშუალებები, მოწყობილობა-დანადგარები, სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ძვირფასი ლითონები, ფასიანი ქაღალდები და მესამე პირის გარანტიები.

ჯგუფის პორტფელის ყველა სეგმენტი უმეტესწილად უზრუნველყოფილია, ხოლო უზრუნველყოფის საშუალებებში მნიშვნელოვან წილს წარმოადგენს უძრავი ქონება. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის პორტფელის 77.3% უზრუნველყოფილი იყო ნაღდი ფულით, უძრავი ქონებით, ან ოქროთი. უზრუნველყოფის მართვის გამართული სისტემა იძლევა იმის გარანტიას, რომ ობიექტი წარმოადგენდეს საკრედიტო რისკის მიტიგაციის ადეკვატურ საშუალებას.

დამატებით, ბანკი აქტიურად ატარებს სტრეს-ტესტებს და სცენარულ ანალიზს მსესხებლების მდგრადობის შესამოწმებლად სხვადასხვა სტრესულ პირობებში. სტრეს ტესტები მოიცავს დაშვებებს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების, მშპ-ის ზრდის, სექტორული ზრდის, უმუშევრობის, ინფლაციის, უძრავი ქონების და საქონლის ფასების ცვლილებების, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების და საკრედიტო და სადეპოზიტო პორტფელების ზრდის შესახებ. ბანკი ახორციელებს ინტენსიურ ფინანსურ მონიტორინგს მსესხებლის შესუსტებული ფინანსური და ბიზნეს–პერსპექტივების დასადგენად, მათთვის რესტრუქტურიზაციის გეგმის შეთავაზების მიზნით, რომელიც მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზეა მორგებული.

2. ჯგუფის წინაშე დგას სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკი, რადგან ჯგუფის პორტფელში სესხების დიდი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია გამოხატული

რისკის აღწერა

ლარის გაუფასურება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკია, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე, ჯგუფის ბალანსზე არსებული უცხოური ვალუტის მაღალი წილის გამო. 2021 წლის 31 დეკემბერს ჯგუფის მთლიანი სესხების და კლიენტებზე გაცემული ავანსების (სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვების დაკლებამდე) 53.7% უცხოურ ვალუტაში იყო დენომინირებული.

მომხმარებელთა დიდი ნაწილის შემოსავალი წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში, საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების, ტურიზმის ან ექსპორტის გამო. მიუხედავად ამისა, მომხმარებლები შეიძლება არ

იყვნენ დაცულნი ლარის გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი მერყეობისგან სესხის ვალუტის მიმართ. 2021 წლის განმავლობაში აშშ დოლარის/ლარის გაცვლითი კურსი არასტაბილური იყო და წინა წელთან შედარებით ვალუტის საშუალო კურსი 3.6%-ით გაუფასურდა. საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი და ის მრავალ შიდა და გარე ფაქტორზეა დამოკიდებული, რომლებმაც რიგ შემთხვევაში შესაძლოა მისი გაუფასურება გამოიწვიოს.

რისკის მიტიგაცია

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გაცვლითი კურსით გამოწვეულ საკრედიტო რისკს იმის გამო, რომ პორტფელის სესხების უმეტესი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ხორციელდება სავალუტო კურსის გაუფასურების მონიტორინგი, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხერხდეს სამოქმედო გეგმის სწრაფი განხორციელება. სავალუტო კურსის გარკვეული გაუფასურების მიმართ მდგრადობა გათვალისწინებულია დაკრედიტების სტანდარტებშიც, რაც გულისხმობს ვალუტის გაუფასურების რისკის ბუფერების გათვალისწინებას არაჰეჯირებული მომხმარებლებისათვის. ამასთან, ჯგუფი მნიშვნელოვან კაპიტალს ფლობს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკისგან დასაცავად.

ვალუტის ბოლოდროინდელი მერყეობის შედეგად მიღებული გამოცდილებისა და ცოდნის გათვალისწინებით, ჯგუფს შესწევს უნარი დროულად განახორციელოს წარმოქმნილი სავალუტო კურსის გაუფასურების რისკის მიტიგაცია. 2019 წლის იანვარში სახელმწიფო უწყებებმა განაგრძეს აქტიური მუშაობა უცხოურ ვალუტაზე ეკონომიკის დამოკიდებულების შესამცირებლად და ზედა ზღვარი 200,000 ლარამდე გაზარდეს, რომლის ფარგლებშიც სესხები უნდა გაიცეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ინიციატივის ფარგლებში დააწესა უფრო კონსერვატიული PTI და LTV ზღვრები არაჰეჯირებული საცალო მსესხებლებისთვის.

ბანკმა განსაზღვრა მთლიან პორტფელში უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილის შემცირების სტრატეგია. განისაზღვრა ყოველწლიური მიზნები საშუალოვადიან სტრატეგიაში, უცხოურ ვალუტაში წილის თანდათანობით შემცირების გზით. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (ALCO) ყურადღებით აკონტროლებს ამ მიზნების მიღწევას.

3. ჯგუფის საქმიანობის შედეგებს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ეკონომიკურ გარემოში განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა

რისკის აღწერა

საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპის პოტენციურ შენელებას სავარაუდოდ უარყოფითი გავლენა ექნება მსესხებლების მიერ სესხის დაფარვის უნარზე, რაც ზღუდავს მომავალ ინვესტირებასა და საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებულ გეგმებს. ეს მოვლენები აისახება ჯგუფის პორტფელის ხარისხსა და მომგებიანობაზე, რაც ასევე აფერხებს პორტფელის ზრდის ტემპს. უარყოფითმა მაკროეკონომიკურმა მოვლენებმა შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ჯგუფის მუშაობის მაჩვენებლები, რაც განპირობებული იქნება სხვადასხვა გადაცემის არხით, როგორიც არის ვალუტის გაუფასურება, საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა, უმუშევრობის დონის ზრდა, შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავლის შემცირება, ქონების ღირებულებების შემცირება, სესხების უზრუნველყოფის დონის, ან კომპანიების გადახდისუნარიანობის გაუარესება გაყიდვების შემცირების გამო. მეზობელ და ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში პოტენციურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიმდინარე და ფინანსური ანგარიშების გაუარესებით (მაგ.: შემცირებული ექსპორტი, ტურისტული ნაკადები, ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები).

კოვიდ-19-ით გამოწვეული შოკის ეგზოგენური ხასიათი გულისხმობს ჩვეულებრივ ბიზნეს-ციკლებთან შედარებით სწრაფი აღდგენის შესაძლებლობას. მაშინ როდესაც ეკონომიკის გადატვირთვა ნამდვილად იყო მოსალოდნელი, საქართველოს ეკონომიკის აღდგენის სწრაფმა ტემპმა თავდაპირველ მოლოდინებს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2021 წელს რეალური მშპ 10.4%-ით გაიზარდა, რაც წლის დასაწყისში ნავარაუდებ 4.7%-ს საგრძნობლად აღემატებოდა. აღსანიშნავია, რომ რეალური მშპ 2019 წელთან შედარებით 2.9%-ით გაიზარდა.

მნიშვნელოვანია, რომ ზრდა სხვადასხვა სექტორს მოიცავდა და საგარეო შემოდინებისა თუ ადგილობრივი მოთხოვნის თითქმის ყველა ინდიკატორზე აისახა. ადგილობრივ მოთხოვნაზე დამატებით იმოქმედა შოკის გამაძლიერებლის შემობრუნებამ (2020 წელს უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტების

დაბალი და დეპოზიტების მაღალი დონე), გადადებული მოთხოვნის პარალელურად აშშ დოლარის დეპოზიტების დაბალმა შემოსავლიანობამ, ლარის გამყარებამ და კოვიდ-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების გაუქმებამ. ძლიერი ადგილობრივი მოთხოვნა ასევე აისახა საქონლის იმპორტის ზრდაზე.

2021 წლის ბოლოსთვის, 13.9%-იანი მაჩვენებლით წლიური ინფლაცია მაღალ დონეზე შენარჩუნდა. წლიური ინფლაციის მაღალი დონე წინა წლის დაბალმა საბაზისო ეფექტმაც განსაზღვრა, რაც კომუნალურ მომსახურებებზე სახელმწიფო სუბსიდირებით იყო განპირობებული.

2021 წელს, მეტწილად წლის პირველ ნახევარში, სებ-მა სავალუტო ბაზარზე კვლავ მნიშვნელოვანი ინტერვენციები განახორციელა. ამასთან, წლის განმავლობაში სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი 8.0%-დან 10.5%-მდე გაზარდა.

საქართველოს ეკონომიკის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ეკონომიკური მიმოხილვის თავში გვერდებზე 12-15.

რისკის მიტიგაცია

ეკონომიკური ციკლების მიმართ მგრძნობელობის შესამცირებლად, ჯგუფი უზრუნველყოფს ციკლური ინდუსტრიების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს სექტორული კონცენტრაციის ლიმიტებს დასაშვები რისკის დონის ფარგლებში. ჯგუფში შექმნილია მაკროეკონომიკური მონიტორინგის პროცესი, რომელიც ეფუძნება საქართველოში და ასევე მის მეზობელ ქვეყნებში განვითარებულ ეკონომიკურ მოვლენებზე გულდასმით და მრავალჯერად დაკვირვებებს, რათა დროულად მოხდეს ეკონომიკური რისკების ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნების იდენტიფიცირება. ეს სისტემა ჯგუფს საშუალებას აძლევს სწრაფად შეაფასოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები და გააანალიზოს მათი გავლენა ჯგუფის მუშაობის შედეგებზე. იდენტიფიცირებული რისკები შესაბამისად აისახება კონკრეტულ სამოქმედო გეგმებში. ეს გულისხმობს სესხის გაცემის სტანდარტების და დასაშვები რისკის დონის მაჩვენებლების ან შეზღუდვების გადახედვას, რაც ასევე მოიცავს ყველაზე მოწყვლად ინდუსტრიებში არსებულ შეზღუდვებს. ამასთან, დაკრედიტების განხილვისა და პორტფელის მონიტორინგის პროცესებში გამოყენებული სტრეს-ტესტები და სცენარული ანალიზი ჯგუფს საშუალებას აძლევს წინასწარ შეაფასოს მაკროეკონომიკური შოკების გავლენა მის ბიზნესზე. მდგრადობა ცვალებადი მაკროეკონომიკური გარემოს მიმართ გათვალისწინებულია ჯგუფის დაკრედიტების სტანდარტებში. ამგვარად მოსალოდნელია, რომ მსესხებლები გაუძლებენ გარკვეულ უარყოფით ეკონომიკურ გავლენას გონივრული ფინანსური მდგომარეობის, სესხის მომსახურების შესაძლებლობებისა და სათანადო უზრუნველყოფით.

საქართველოს ეკონომიკაზე კოვიდ-19-ის კრიზისის გავლენის გათვალისწინებით, ჯგუფმა გადახედა მისი რისკების მართვის ჩარჩოს, უკვე არსებული სტრეს-ტესტირების პრაქტიკის გამოყენებით. ეს მოიცავდა როგორც პორტფელის უფრო სრულ და ხშირ მონიტორინგს, ასევე სტრეს-ტესტებს, კაპიტალში ცვლილების, ლიკვიდურობისა, და პორტფელის ხარისხი მკაცრ კონტროლს გაზრდილი გაურკვევლობის პირობებში.

4. ჯგუფი დგას კაპიტალის რისკის წინაშე, რაც გულისხმობს საზედამხედველო მინიმალურიმოთხოვნების ვერ დაკმაყოფილებას კაპიტალის მზარდი მოთხოვნების პირობებში, რამაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ზრდა და სტრატეგიული მიზნების მიღწევა. დამატებით, გაცვლით კურსის უარყოფითმა ცვლილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებზე.

რისკის აღწერა

2017 წლის დეკემბერში ეროვნულმა ბანკმა შემოიღო საზედამხედველო კაპიტალის ახალი ჩარჩო. განახლებული რეგულაციის თანახმად კაპიტალის მოთხოვნა მოიცავს პილარ 1-ის მინიმალურ მოთხოვნას, კომბინირებულ ბუფერებს (სისტემური, კონტრციკლური და კონსერვაციის ბუფერები) და პილარ-2-ის ბუფერებს.

თავდაპირველი რეგულაცია მოიცავდა ეტაპობრივ გრაფიკს, რომელიც ახდენს ბუფერების თანდათანობით შემოღებას ოთხწლიან პერიოდში. კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად, სებ-მა გარკვეული კონტრციკლური ღონისძიებები გაატარა კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლითაც დროებით შეამცირა კონსერვაცია და არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის ორი-მესამედი და გადაავადა ეტაპობრივი გრაფიკი პილარ-2-ის ბუფერებისთვის. ბანკმა აღადგინა ყველა გამონთავისუფლებული მოთხოვნა 2021 წლის ივლისიდან, კაპიტალის განაწილებაზე ნებისმიერი შეზღუდვის გაუქმებით.

სებ-მა განსაზღვრა ახალი გრაფიკი პილარ-2-ის ბუფერების თანდათანობით შემოსაღებად, კონცენტრაციის რისკის და წმინდა „GRAPE“ ბუფერის თანდათანობით შემოღებით, 2021 წლის

მარტიდან 2023 წლის მარტისთვის სრულად დანერგვის მიზნით.

2021 წლის დეკემბერში სისტემური ბუფერი 2.0%-დან 2.5%-მდე გაიზარდა, ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. ბანკის კაპიტალიზაცია 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით იყო:

- 13.7% ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი მინიმალური მოთხოვნით 11.7%;
- 16.7% პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი მინიმალური მოთხოვნით 14.0%; და
- 20.3% მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი განახლებული მინიმალური მოთხოვნით 18.4%.

ეს მაჩვენებლები შესაბამის საზედამხედველო მინიმუმებს აღემატებოდა.

2021 წელს სებ-მა არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის (CICR) დაანგარიშების მეთოდის ცვლილების შეთავაზება გააკეთა. ახალი მეთოდის თანახმად, რომელიც 2023 წლის მარტიდან შევა ძალაში, მიმდინარე ფიქსირებული არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი (75%) ცვალებადი იქნება 40%-დან 100%-მდე დიაპაზონში, მთლიან პორტფელში უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხის წილის მიხედვით: რაც უფრო დაბალია წილი, მით დაბალი იქნება არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის მოთხოვნა.

ლარის ცვალებადობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკად რჩება, რომელიც გავლენას ახდენს ბანკის საზედამხედველო კაპიტალზე. 10% ლარის გაუფასურება განაპირობებს 0.8 pp, 0.7 pp და 0.6 pp კლებას ბანკის ძირითადი პირველადი, პირველადი და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებში, შესაბამისად.

რისკის მიტიგაცია

ბანკი ატარებს სტრეს-ტესტებს და სენსიტიურობისრ ანალიზს, რათა მოახდინოს დამატებითი კაპიტალის მოხმარების რაოდენობის განსაზღვრა სხვადასხვა სცენარების შემთხვევაში. ასეთი ანალიზი მიუთითებს, რომ ბანკს აქვს საკმარისი კაპიტალი მინიმალური საზედამხედველო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ბანკის დირექტორთა საბჭოსა და რისკების კომიტეტის ჩართულობით აქტიურად ხორციელდება კაპიტალის პროგნოზების, ასევე სტრეს-ტესტების და სხვადასხვა შესაძლო სცენარების შედეგების მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას გონივრული მართვა და, საჭიროების შემთხვევაში, დროული ღონისძიებების გატარება.

5. ჯგუფს აქვს მარეგულირებელი და სააღსრულებო მოქმედების რისკი

რისკის აღწერა

ბანკი ეწევა რეგულირებად საქმიანობას და, შესაბამისად, ექვემდებარება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკებს. საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია პრუდენციული მოთხოვნები გაუზარდოს როგორც მთელ სექტორს, ასევე კონკრეტულ ინსტიტუტებს ამ სექტორში. აქედან გამომდინარე, ჯგუფის მომგებიანობას და მუშაობის შედეგებს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას გაზრდილმა მარეგულირებელმა ტვირთმა.

ეროვნული ბანკი სავალდებულო საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტებთან ერთად ადგენს დაკრედიტების ლიმიტებს და სხვა ეკონომიკურ კოეფიციენტებს (მათ შორის, დაკრედიტების, ლიკვიდურობისა და საინვესტიციო კოეფიციენტების).

საქართველოს საბანკო რეგულაციების თანახმად, სხვა საკითხებთან ერთად, ბანკი ვალდებულია აკმაყოფილებდეს მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებს და სავალდებულო ფინანსურ კოეფიციენტებს, ამასთან რეგულარულად წარადგინოს პერიოდული ანგარიშები. ბანკი ასევე იმართება საგადასახადო კოდექსით და საქართველოში მოქმედი სხვა შესაბამისი კანონებით. მშობელი კომპანიის ლონდონის ბირჟის პრემიუმ სეგმენტში რეგისტრაციის შემდეგ, ჯგუფი დიდი ბრიტანეთის ფინანსური ქცევის უწყების მიერ მიღებულ რეგულაციებს დაექვემდებარა. მის საბანკო ოპერაციებთან ერთად, ჯგუფი ასევე ახდენს სხვა მარეგულირებელი ფინანსური მომსახურების პროდუქტების, მათ შორის სალიზინგო და საბროკერო მომსახურებების შეთავაზებას.

ჯგუფი ყველა საჭირო ზომას იღებს ყველა შესაბამის კანონმდებლობასთან და რეგულაციასთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის. ჯგუფი ასევე ვალდებულია დააკმაყოფილოს ფინანსური კოეფიციენტები აღებული ვალდებულებების ხელშეკრულებების მიხედვით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „ჯგუფის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების“ გვერდებზე 291-297.

რისკის მიტიგაცია

საკანონმდებლო მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ბანკს დანერგილი აქვს შესაბამისი მართვის სისტემები

და პროცესები, რომლებიც გათვალისწინებულია ჯგუფის ოპერაციების ყველა დონეზე. შესაბამისობის რისკის მართვის განყოფილება პასუხისმგებელია საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკის მართვაზე და ანგარიშვალდებულია უშუალოდ აღმასრულებელ დირექტორთან. ჯგუფის რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე. საბანკო რეგულაციებისა და საქართველოს საგადასახადო სისტემის თვალსაზრისით, ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობს მარეგულირებელ ორგანოსთან, რათა უზრუნველყოს ახალი პროცედურების და მოთხოვნების დეტალურად განხილვა მათ განხორციელებამდე.

მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ჯგუფის კონტროლის ფარგლებს სცდება, მნიშვნელოვან მარეგულირებელ ცვლილებებს ხშირად წინ უსწრებს საკონსულტაციო პერიოდი, რაც საშუალებას აძლევს ყველა ფინანსურ ინსტიტუტს, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და, შესაბამისად, თავისი ბიზნეს-პრაქტიკა მოარგოს ცვლილებებს.

6. ჯგუფს აქვს კონცენტრაციის რისკი

რისკის აღწერა

ცალკეულ ინდივიდუალურ მსესხებლებს აქვთ მაღალი დავალიანება ჯგუფის მიმართ, რომელთა პოტენციური დეფოლტი გულისხმობს გაზრდილ საკრედიტო დანაკარგებს და რეზერვის მაღალ ხარჯს. ჯგუფის პორტფელი კარგად დივერსიფიცირებულია სექტორების მიხედვით, რაც განაპირობებს სექტორული კონცენტრაციის რისკის ზომიერ ნიშნულს. თუმცა, მთავარ რისკის მატარებლებზე ჯამური დავალიანების ზრდის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ შესაბამისად გაიზრდება რისკებიც.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მაქსიმალურმა დავალიანებამ ერთ უმსხვილეს დარგზე (უძრავი ქონება) საკრედიტო პორტფელის 9,4%-ს შეადგენდა. 2021 წლის ბოლოს 20 უმსხვილეს მსესხებელზე დავალიანება საკრედიტო პორტფელის 10.6% იყო.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფი განუწყვეტლივ ამოწმებს კონცენრტაციის რისკს როგორც ცალკეული მსესხებლების, ასევე სექტორებისა და ძირითადი რისკის მატარებლების მიმართ და აწესებს ლიმიტებს რისკის შერბილების მიზნით. რისკის აპეტიტის ჩარჩოს ფარგლებში, ჯგუფი აწესებს ლიმიტებს როგორც ინდივიადუალური ისე სექტორული კონცენტრაციებისთვის. საქართველოში ან მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებისას ჯგუფის მიერ გადაისინჯება რისკის აპეტიტის კრიტერიუმები წარმოქმნილი კონცენტრაციის რისკის შესამცირებლად. ლიმიტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ეფექტური მონიტორინგის საშუალებები. კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული გაურკვევლობების გამო განხორციელდა მკაცრი მონიტორინგი, მაკრო მოლოდინების საფუძველზე ტოპ 20 კორპორატიული მსესხებლის საქმიანობის შეფასების მიზნითგარდა ამისა, ბანკში შექმნილია რესტრუქტურიზაციის განყოფილებები გადახდისუუნარო მსესხებლების სამართავად. საჭიროების მიხედვით, კლიენტები გადამისამართდებიან ამ განყოფილებებში უფრო ეფექტური მართვისა და, საბოლოოდ, შედეგად მიღებული ნებისმიერი საკრედიტო ზარალის შემცირების მიზნით. საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ახალი ჩარჩოს მიხედვით, „პილარ-2“-ის ფარგლებში წარმოდგენილია კონცენტრაციის ბუფერი, რაც ჯგუფს ეხმარება იმის უზრუნველყოფაში, რომ შეინარჩუნოს ადეკვატური კაპიტალის დონე კონცენტრაციის რისკის შესარბილებლად.

7. ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელია ლიკვიდურობის რისკი

რისკის აღწერა

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი ფლობს საკმარის ფინანსურ რესურსებს მისი ვადადამდგარი ვალდებულებების დასაფარად, საბანკო ოპერაციებისთვის ლიკვიდურობის რისკი დამახასიათებელია და მის გაზრდაზე შესაძლოა მრავალმა ფაქტორმა იმოქმედოს. აღნიშნული ფაქტორები მოიცავს დაფინანსების კონკრეტულ წყაროზე ზედმეტად დაყრდნობას ან მის ხელმიუწვდომლობას, ასევე ცვლილებებს საკრედიტო რეიტინგებში ან ბაზრის მასშტაბით ისეთ მოვლენას, როგორიც არის 2007 წელს დაწყებული გლობალური ფინანსური კრიზისი. განვითარებად ბაზრებზე კომპანიებისათვის კრედიტის ხელმისაწვდომობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტორის ნდობის დონე, ამიტომ ფაქტორებს, რომლებიც მასზე ზემოქმედებენ (მაგ., საკრედიტო რეიტინგის შემცირება, ცენტრალური ბანკის ან სახელმწიფოს ჩარევები, ან ვალის რესტრუქტურიზაცია შესაბამის დარგში), შეუძლიათ შეცვალონ აღნიშნულ ბაზარზე მოქმედი კომპანიების დაფინანსების ხარჯი ან ხელმისაწვდომობა.

ჯგუფი შესაბამისობაში იყო სებ-ის მიერ დადგენილი მინიმალური ლიკვიდურობის მოთხოვნებთან, რომელიც მოიცავს ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტს (LCR) და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტს (NSFR). 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, წმინდა სესხების ფარდობამ დეპოზიტებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების დაფინანსების ჯამთან შეადგინა 101.3%, ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტმა - 115.8%, ხოლო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტმა - 127.3%. ყველა მათგანი სებ-ის მიერ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს ან შესაბამის სახელმძღვანელო მითითებებს საკმაოდ აღემატება.

2021 წლის მაისში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აღადგინა სებ-ის ლარის ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი (GEL LCR >=75%), რომელიც გაუქმდა ერთი წლით, კოვიდ-19-ის შედეგად ლიკვიდურობის მოთხოვნებთან დაკავშირებული ერთ-ერთი კონტრციკლური ღონისძიების სახით.

რისკის მიტიგაცია

მოცემული რისკის შესუსტების მიზნით, ჯგუფს უჭირავს მყარი ლიკვიდურობის პოზიცია და თანხის გატანის სცენარებს აანალიზებს, როგორც ჩვეულებრივი, ისე სტრესული გარემოებებისათვის იმაში დასარწმუნებლად, რომ მას აქვს საკმარისი ლიკვიდური აქტივები და ფულადი ნაკადების შემოდინება. ჯგუფი ინარჩუნებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ სტრუქტურას შესაბამისი ლიკვიდურობის რისკების სამართავად. ლიკვიდურობა საკმარისია იმისათვის, რომ გაუძლოს მომხმარებლების მიერ დეპოზიტების გატანას, თუმცა დეპოზიტების არსებითი თანხების მოულოდნელმა და სწრაფად გატანამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და/ან პერსპექტივებზე.

ჯგუფს ლიკვიდურობის მართვის ჩარჩოს ფარგლებში აქვს ლიკვიდურობის მართვის ალტერნატიული გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია რისკის მაჩვენებლები სხვადასხვა სტრესული სცენარისათვის და შესაბამისი სამოქმედო გეგმები. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (ALCO) ახორციელებს ლიკვიდურობის რისკის პოზიციისა და შიდა ლიმიტებთან შესაბამისობის მჭიდრო მონიტორინგს.

უცხოურ ვალუტაში მაღალი ლიკვიდური პოზიციის გამო, ბანკმა განახორციელა საერთაშორისო ფინანსური დაწესებულების რამდენიმე რესურსის წინასწარ გადახდა 237.4 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით 2020 წლის ბოლოს და 2021 წლის განმავლობაში. ამასთან, იმავე პერიოდში ბანკმა განახორციელა ფასების ოპტიმიზების პროცესი და ფინანსური დაწესებულებებისგან უფრო იაფი რესურსები მოიზიდა.

8. ჯგუფის მომგებიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული წმინდა საპროცენტო შემოსავალთან

რისკის აღწერა

წმინდა საპროცენტო შემოსავალი შეადგენს ჯგუფის საერთო შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს. შესაბამისად, წმინდა საპროცენტო მარჟის მერყეობა გავლენას ახდენს საოპერაციო შედეგებსა და მომგებიანობაზე. როგორც ახალმა რეგულაციებმა, ასევე მაღალმა კონკურენციამ, შესაძლოა გამოიწვიოს საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რაც რისკის ქვეშ აყენებს ჯგუფის მომგებიანობას. ამავდროულად, ფულადი რესურსის ხარჯი დამოუკიდებლად განისაზღვრება, ლოკალურ და საერთაშორისო ბაზრების შესაბამისად.

2021 წელს წმინდა საპროცენტო მარჟა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 0.4 pp-ით და შეადგინა 5.1%, რაც ძირითადად განპირობებულია სესხების ეფექტური განაკვეთის ზრდით, უცხოურ ვალუტაში ფულადი რესურსების ხარჯის შემცირებით, დაფინანსების სტრუქტურის ოპტიმიზაციითა და გაზრდილი ლარიზაციით ჯამური სესხის პორტფელში.

ბანკი საპროცენტო განაკვეთის რისკს მართავს სებ-ის მიერ 2020 წლის სექტემბრიდან შემოღებული რეგულაციის შესაბამისად. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლარში ცვლადგანაკვეთიანი აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობა შეადგენდა 4,148 მილიონი ლარს(18%) და 2,180 მილიონი ლარს (11%), შესაბამისად. ხოლო 8,054 მილიონი ლარის აქტივები (34%) და 761 მილიონი ლარის ვალდებულებები (4%) იყო ცვალებადი LIBOR/Euribor/FED/ECB განაკვეთებთან მიმართებით. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკი შესაბამისობაში იყო EVE (კაპიტალის ბანკი ეკონომიკური ღირებულება) მგრძნობელობის ზღვართან, რომელიც დაადგინა სებ-მა პირველადი კაპიტალის 15%-ით, ხოლო კოეფიციენტი შეადგენდა 2.9%-ს.

რისკის მიტიგაცია

2021 წელს ბანკმა გამოიყენა ჭარბი ლიკვიდურობა ძვირადღირებული ფულადი რესურსის დასაფარად და აქტიური კომუნიკაცია აწარმოა სხვა გრძელვადიანი დაფინანსების

მარჟების შესამცირებლად, რითაც ხელი შეუწყო წმინდა საპროცენტო მარჟის ზრდას. ბანკი განაგრძობს საკომისიო შემოსავლის ზრდაზე ორიენტირებას, მომავალში დაკრედიტებისა და სადეპოზიტო პროდუქტებზე მარჟის შესაძლო შემცირებისგან თავდაცვის მიზნით.

ბანკი აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე საპროცენტო განაკვეთის რისკის ეფექტურად სამართავად, იყენებს მაღალი ხარისხის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების პორტფელს, დაფინანსების გრძელვადიან ინსტრუმენტებსა და დერივატივებს.

9. ბოლო წლებში კიბერ-შეტევებით გამოწვეული საფრთხეების რიცხვი გაიზარდა და კიდევ უფრო იმატებს. პოტენციური კიბერ-შეტევების რისკმა, რომელიც უფრო დახვეწილი გახდა, შეიძლება უსაფრთხოების მნიშვნელოვანი რისკი წარმოქმნას. მსგავსი რისკები სწრაფად იცვლება და მოითხოვს მუდმივ ყურადღებასა და ინვესტიციას

რისკის აღწერა

ბოლო წლებში ქართულ ბანკზე რაიმე სერიოზული კიბერ-შეტევა არ განხორციელებულა. მიუხედავად ამისა, ჯგუფის მზარდი დამოკიდებულება საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებზე ზრდის მის მიმართ პოტენციური კიბერ-შეტევების რისკს.

რისკის მიტიგაცია

კიბერ-შეტევებთან დაკავშირებული რისკების შემცირების და კლიენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ჯგუფი მუდმივად აახლებს და აუმჯობესებს უსაფრთხოების მრავალშრიან სტრატეგიას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა პრევენციულ და დეტექციურ კონტროლის ღონისძიებებს - მონაცემებიდან და კომპიუტერული მოწყობილობიდან პერიმეტრის ფაიერვოლამდე.

შეიქმნა უსაფრთხოების საოპერაციო ცენტრი, რომელიც აკონტროლებს ორგანიზაციის ქსელში დაფიქსირებულ ყველა შესაძლო გადახრას, პოტენციური ინციდენტების გამოვლენის და მათზე ეფექტური რეაგირების მიზნით.

მინიმუმ წელიწადში ერთხელ ტარდება სრული ინფორმაციული უსაფრთხოებასა და კიბერ-უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეების ანალიზი, შესაბამისი რეგიონული და სექტორული პერსპექტივების გათვალისწინებით. ამასთან, მინიმუმ წელიწადში ერთხელ რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის კომიტეტს წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს პრეზენტაცია, ინფორმაციის უსაფრთხოების საკითხების სიღრმისეული შეფასებით. მინიმუმ ორ წელიწადში ერთხელ ამ ანალიზის ფარგლებში ფორმდება ხელშეკრულება დამოუკიდებელ კონსულტანტთან ჩვენი შესაძლებლობების ეფექტურობის შესაფასებლად საუკეთესო პრაქტიკების და რეალური მსოფლიო კიბერ-შეტევების სცენარების გათვალისწინებით. ეს ანალიზი ჯგუფს აძლევს ფართო და დეტალურ ინფორმაციას, რომელიც ეხმარება საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოების სისტემების შემდგომ გაუმჯობესებაში. გარდა ამისა რეგულარულად ტარდება კიბერ-შეტევებისთვის მზადყოფნის სავარჯიშოები. ეს სავარჯიშოები აფასებენ ჯგუფის ფაქტობრივ მდგომარეობას მოცემულ სფეროში და ქმნიან ორიენტირებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებთან შესადარებლად.

ჩვენი თანამშრომლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. შედეგად ყველა თანამშრომლისთვის ტარდება რეგულარული სავალდებულო ტრენინგ-კურსები, რომლებიც მოიცავს დისტანციურ სასწავლო კურსებს უსაფრთხოების საკითხებზე, თაღლითობის და ფიშინგის სიმულაციებს, ასევე საინფორმაციო ელ-ფოსტებს, ჩვენი თანამშრომლების ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებში ცოდნის გაღრმავების მიზნით. ადაპტაციის პროცესის ფარგლებში ტრენინგი ასევე ახალ თანამშრომლებსაც უტარდებათ. აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფს თანამშრომლების სრულ ინფორმირებას მათი პასუხისმგებლობების შესახებ და მათ მომზადებას კიბერ-საფრთხეებთან ეფექტურად გამკლავების კუთხით.

ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის კომიტეტი არეგულირებს საინფორმაციო და კიბერ-უსაფრთხოების პროცესს რისკების მისაღებ დონემდე დაყვანის და მართვის პროცესების უწყვეტი გაუმჯობესების მიღწევის მიზნით.

საგანგებო გარემოებების დადგომის შემთხვევებში ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით შედგენილია აღდგენის გეგმები.

კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყების შემდეგ, ჯგუფმა გააქტიურა უსაფრთხო დისტანციური სამუშაო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სახლში მუშაობის გარემოს დაცულობას კიბერ-შეტევებისგან, ხოლო უსაფრთხოების ჯგუფი დისტანციური სამუშაო საშუალებების ეფექტურ ზედამხედველობას ახორციელებს. ფიშინგის მცდელობების მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად თანამშრომლების მიმართ, არსებით ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია. უსაფრთხოების საოპერაციო

ცენტრმა და საფრთხეების გამოვლენის ჯგუფებმა წარმატებით დანერგეს ეფექტური და უსაფრთხო დისტანციური თანამშრომლობის და კომუნიკაციების ტექნოლოგიური საშუალებები და პრაქტიკები.

2021 წელს ბანკის ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის სისტემამ მიიღო ISO 27001 სერტიფიკატი. ეს იმის დემონსტრაციაა, რომ ბანკი ეფექტურად იცავს ინფორმაციის უსაფრთხოების პრაქტიკებს მისი ინფორმაციის და საინფორმაციო სისტემების სხვადასხვა ტიპის საფრთხისგან დასაცავად. გასული სამი წლის განმავლობაში „თიბისი ბანკში“ ადგილი არ ჰქონია ინფორმაციის უსაფრთხოების დარღვევის არსებით შემთხვევას.

2021 წლის დეკემბრის თვეში „ერნსტ ენდ იანგის“ თბილისის ოფისმა ორი აუდიტი ჩაატარა - კიბერ უსაფრთხოების მართვის სტრუქტურის შეფასება და SWIFT CSCF შეფასება ბანკისთვის. შედეგად, ამ აუდიტის პროცესში კრიტიკული დასკვნები და მნიშვნელოვანი შეუსაბამობები არ გამოვლენილა. კიბერ-უსაფრთხოების მართვის საფუძვლები საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განსაზღვრა და ის ეფუძნება NIST-ის კიბერ უსაფრთხოების მართვის საფუძვლებს.

10. ჯგუფის საქმიანობის თანდაყოლილი საოპერაციო რისკის ნაწილია გარე და შიდა თაღლითობის რისკები. ოპერაციების მზარდი სირთულისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, საბანკო სექტორის დიგიტალიზაციასთან ერთად იზრდება თაღლითობის რისკები. პროაქტიული მართვის გარეშე თაღლითობის შემთხვევებმა შეიძლება არსებითი ზეგავლენა მოახდინონ ჯგუფის მომგებიანობასა და რეპუტაციაზე

რისკის აღწერა

გარე თაღლითობა ჯგუფის საწინააღმდეგოდ შეიძლება მომდინარეობდეს მესამე მხარის ქმედებებიდან. ყველაზე ხშირად აღნიშნული შემთხვევები დაკავშირებულია საბანკო ბარათებთან, სესხებთან და კლიენტის ფიშინგთან. შიდა თაღლითობა მომდინარეობს ჯგუფის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ქმედებებიდან და მსგავსი შემთხვევები შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ხდება. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფში დაფიქსირდა თაღლითობის რამდენიმე შემთხვევა, რომელთაგან არცერთს ჰქონია არსებითი გავლენა ჯგუფის მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად, თაღლითობის და ციფრული დანაშაულის სწრაფი ზრდის საფრთხე გაძლიერდა, ხოლო თაღლითები იყენებენ ახალ ტექნიკებს და მიდგომებს, ფულის უკანონოდ მითვისებისთვის სხვადასხვა შესაძლებლობების მოსაძიებლად. აქედან გამომდინარე, თუ არ მოხდა ამ საკითხის სათანადოდ გაკონტროლება და მართვა, პოტენციურ გავლენას შესაძლოა არსებითი ხასიათი ჰქონდეს.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფი აქტიურ ახორციელებს თაღლითობასთან დაკავშირებული რისკების მონიტორინგს, დაფიქსირებას და აღმოფხვრას და მუდმივი მონიტორინგის პროცესებს საეჭვო ქმედებების დროულად აღმოსაჩენად. რისკისა და კონტროლის თვითშეფასების სავარჯიშოს მიზანია მნიშვნელოვან პროცესებში ნარჩენი რისკების გამოვლენა, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გათვალისწინებით. თაღლითობის რისკების მონიტორინგსა და მიტიგაციაზე ჩვენი მუდმივი ძალისხმევის გათვალისწინებით, შიდა პროცესების სირთულის მიუხედავად, ჯგუფი უზრუნველყოფს თაღლითური ქმედებების დროულად აღმოჩენას და კონტროლს.

11. ჯგუფს აქვს რეპუტაციის რისკი

რისკის აღწერა

არსებობს რეპუტაციასთან დაკავშირებული რისკები, რომელთა წინაშეც დგას ჯგუფი. ამგვარი რისკებია ანტი-საბანკო კამპანია, ფიშინგის შემთხვევებისა და სხვა კიბერ-დანაშაულების ზრდა. ასევე, გაციფრულების პროცესთან ასოცირებული რისკები, როგორიცაა ციფრული სერვისების შეფერხება, რაც უარყოფითად აისახება ციფრული ბანკის, ATM-ებისა და გადახდის ტერმინალების მუშაობაზე. თუმცა არცერთი ზემოხსენებული ჩამონათვალიდან არც ერთი არ არის რისკი, რომელიც მხოლოდ თიბისი ჯგუფზე ახდენას გავლენას.

რისკის მიტიგაცია

რეპუტაციის რისკების ალბათობის მიტიგაციის მიზნით, ბანკი მუდმივად მუშაობს, რათა შექმნას და შეინარჩუნოს ძლიერი ბრენდის აღქმა დაინტერესებულ პირებსა და ჯგუფებს შორის. ჯგუფი იცავს ყველა შესაბამის შიდა პოლიტიკას და პროცედურას, რეპუტაციის პირდაპირი თუ ირიბი რისკების გავლენის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. ჯგუფი მუდმივად ახორციელებს ბრენდის ღირებულების მონიტორინგს საზოგადოებრივი აზრის შესწავლის/კვლევისა და დაინტერესებული პირებისაგან უკუკავშირის მიღების გზით.

სპეციალური შიდა და გარე მარკეტინგის და კომუნიკაციების გუნდები ყოველდღიურად ახორციელებენ მედია გაშუქების მონიტორინგს.

ეს გუნდები აკონტროლებენ რისკებს, შეიმუშავებენ სცენარებს და ქმნიან შესაბამის სამოქმედო გეგმებს. ჯგუფი ცდილობს რეპუტაციის და ბრენდის პოტენციური დამაზიანებელი ნიშნების იდენტიფიცირებას მათი მიტიგაციის და აღმოფხვრის მიზნით და მათ გართულებამდე ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს აწვდის.

კომუნიკაციისა და კიბერ-უსაფრთხოების გუნდები ატარებენ ცნობიერების ამაღლების ფართომასშტაბიან კამპანიებს კიბერ-უსაფრთხოების და ფინანსური განათლების შესახებ, რაც მოიცავს მედიას, საქართველოს ბანკების ასოციაციას და „Edufin“-ს („თიბისის“ ფინანსური განათლების შიდა პლატფორმას), რომლებიც კიბერ-საფრთხეების და ფიშინგის შემთხვევების მიტიგაციისა და და პრევენციისაკენაა მიმართული.

12. ჯგუფი გასწევს რისკს, რომ სტრატეგიული ინიციატივები არ შექმნის გრძელვადიან ღირებულებას მისი დაინტერესებული მხარეებისთვის

რისკის აღწერა

ჯგუფს შესაძლოა ჰქონდეს ბიზნეს სტრატეგიის განვითარების რისკი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიანი ღირებულებების შექმნას ცვალებად სამომხმარებლო საჭიროებებისა და კონკურენტულ გარემოში, ასევე მარეგულირებლის შეზღუდვების პირობებში.

ამასთან, გაზრდილმა გაურკვევლობამ კოვიდ-19-ით გამოწვეულ მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ რღვევებთან ერთად, შესაძლოა ხელი შეუშალოს ჯგუფის უნარს ეფექტურად შეიმუშაოს და დროულად განახორციელოს სტრატეგიული ინიციატივები, ასევე საფრთხის ქვეშ დააყენოს ბანკის გრძელვადიანი ღირებულების შექმნის უნარი.

გთხოვთ, იხილოთ ჯგუფის ძირითადი სტრატეგიული უპირატესობები შემდეგ თავში: ჩვენი ბიზნეს სტრატეგიის და შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, გვერდებზე 18-23.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფი ატარებს სტრატეგიული მიმოხილვის ყოველწლიურ შეხვედრებს, სადაც მონაწილეობენ ბანკის უმაღლესი და შუა რგოლის ხელმძღვანელები. შეხვედრების ფარგლებში ხდება ბაზრის ძირითადი ტენდეციებსა და სხვადასხვა პრაქტიკების ანალიზი რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე - რათა სწორი მიმართულებით მოხდეს კომპანიის განვითარება და სხვადასხვა პერსპექტივით შეფასდეს ჯგუფის საქმიანობის ეფექტურობა. ასევე, ბანკი მუდმივად მუშაობს მსოფლიოს წამყვან კონსულტანტებთან მისი სტრატეგიის გასაუმჯობესებლად.

დამატებით, ჯგუფი ატარებს კვარტალურ ანალიზს და აკონტროლებს სტრატეგიის განხორციელების შეფასებისთვის გამოყენებულ საზომებს. საზომებში მნიშვნელოვანი გადახრის შემთხვევაში, ჯგუფი ზრუნავს გამოსწორებისა და მიტიგაციის ზომების შემუშავებაზე.

13. ჯგუფს აქვს რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მის უნართან მოიზიდოს და დაიქირაოს მაღალკვალიფიციური თანამშრომლები.

ჯგუფს აქვს კვალიფიციური პერსონალის დაკარგვის ან კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვის, განვითარების და შენარჩუნების რისკი. განსაკუთრებით, სტრატეგიული გადაწყვეტილება ციფრულ კომპანიად გარდაქმნის შესახებ ითვალისწინებს გაზრდილ მოთხოვნას მაღალი კალიბრის IT პროფესიონალებზე ჯგუფის მასშტაბით. გარდა ამისა სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოსთან ადაპტირების მიზნით, ჯგუფმა უნდა განავითაროს ეჯაილ კულტურა და თანამშრომლებს შესძინოს საჭირო უნარები. ასევე, კოვიდ-19-ის პანდემიამ ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული დამატებითი გამოწვევები შექმნა თანამშრომლების ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დაცვასთან, მაღალეფექტური დონეების შენარჩუნებასთან, ძლიერ შიდა კომუნიკაციასთან და კორპორატიულ კულტურასთან დაკავშირებით.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადამიანური კაპიტალის მართვის სტრატეგიებს და პოლიტიკას, რომელიც მოიცავს ნიჭიერი პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნებისა და განვითარების მიდგომებს და თავის თანამშრომლებს სთავაზობს კონკურენტული ანაზღაურების პაკეტს. ჯგუფმა ასევე შეიმუშავა და განახორციელა ეჯაილ ტრანსფორმაცია, რომლის მიზანია თანამშრომელთა ჩართულობის და კმაყოფილების გაზრდა. გარდა ამისა, ბანკმა შექმნა IT და რისკების აკადემია ახალგაზრდა პროფესიონალების მოზიდვისა და გადამზადებისთვის. საუკეთესო სტუდენტებს ბანკი დასაქმებას სთავაზობს. გარდა ამისა, ბანკს აქვს შიდა აკადემია, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით კურსებს სთავაზობს თანამშრომლებს.

ეფექტური შიდა საკომუნიკაციო სისტემის უზრუნველსაყოფად გავაუმჯობესეთ სხვადასხვა ციფრული საშუალებები ჩვენს თანამშრომლებთან ჩართულობისთვის. მენეჯმენტი რეგულარულად ატარებს შეხვედრებს პერსონალთან, ჯგუფის სტრატეგიული ინიციატივების და ფინანსური მდგომარეობის შესახებ მათი ინფორმირების, ასევე გაურკვევლობის პერიოდში მათი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით. ჩვენი კორპორაციული კულტურის დამატებით ხელშეწყობისა და გაუმჯობესების მიზნით, ბანკის შიდა Facebook ჯგუფი უფრო გააქტიურდა, მაგ. თანამშრომლის პროფილების განთავსების და წარმატებული ისტორიების გაზიარების გზით. გარდა ამისა, ბანკის მიერ მიღებული ახალი დისტანციური სამუშაო პოლიტიკა იძლევა უცხოეთიდან ახალი ნიჭიერი კადრების მოზიდვის შესაძლებლობას.

მოსალოდნელი რისკები

მოსალოდნელია რისკები, რომლებიც შეიცავენ უცნობ კომპონენტებს და შესაძლოა გავლენა მოახდინონ ჯგუფის საქმიანობის ეფექტურობაზე გრძელვადიან პერსპექტივაში. ჩვენ ვთვლით, რომ აღნიშნულ რისკებს მნიშვნელოვანი ზრდის პოტენციალი აქვთ და, როგორც ძირითადმა რისკებმა შესაძლოა ისეთივე გავლენა მოახდინონ ჯგუფზე.

1. ჯგუფის საქმიანობის შედეგებს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რეგიონში განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა, კერძოდ უკრაინის ომმა

რისკის აღწერა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკაში შემომავალი ფულადი ნაკადები საკმაოდ დივერსიფიცირებულია, ქვეყანა კვლავ მოწყვლადია მის რეგიონში გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების განვითარებების მიმართ. კერძოდ, უკრაინაში რუსეთის შეჭრას და შედეგად რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს უარყოფითი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე.

2021 წლის მდგომარეობით უკრაინისა და რუსეთის წილი ქართულ ექსპორტში, ფულად გზავნილებში, ტურისტულ შემოსავლებსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში დაახლოებით 21%-ს შეადგენდა. კონკრეტულად, უკრაინასა და რუსეთზე შესაბამისად მოდიოდა ექსპორტის 7% და 14%, ფულადი გზავნილების 1% და 18%, ტურისტების მთლიანი ნაკადის 15% და 12%. უკრაინის და რუსეთის წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში დაბალია (1% უკრაინისთვის, 6% რუსეთისთვის) და მეტწილად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წინა ნაკადებიდან რეინვესტირებულ ამონაგებს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ რუსეთსა და უკრაინაში ქართული ექსპორტის ნახევარზე მეტი რეექსპორტს წარმოადგენს, ხოლო ამ ქვეყნებიდან მიღებული ტურისტული შემოსავლებისა და ფულადი გზავნილების დაახლოებით 50% იმპორტზე იხარჯება. ეს ფაქტორები ამცირებენ გამოუმუშავებელი შემოსავლიდან მთლიან წმინდა უარყოფით გავლენას. ამავდროულად უნდა გავითვალისწინოთ არასასურველი ე.წ. „სპილოვერ“ ეფექტი საქართველოს სხვა ეკონომიკური პარტნიორებისგან.

უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე, თიბისი კაპიტალის პროგნოზით, 2022 წელს საქართველოს ეკონომიკა დაახლოებით 6.0%-ით, 2023 წელს - 5.5% და 2024 წელს - 5.0%-ით გაიზრდებოდა. 2022 წლის იანვრის მდგომარეობით მსოფლიო ბანკის პროგნოზების[1] თანახმად, 2022 და 2023 წლებში საქართველოს ეკონომიკა 5.5% და 5.0%-ით უნდა გაზრდილიყო (შესაბამისად). მართლაც, საქსტატის მიერ გამოქვეყნებული იანვრის ზრდის შესახებ ინფორმაცია უჩვენებს, რომ ზრდის ტემპი ძალიან ძლიერი იყო. მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით 18.0%-იანი რეალური ზრდა მეტწილად დაბალი საბაზო ეფექტით იყო გამოწვეული, ზრდა ასევე ძლიერი იყო (4.4%) პანდემიამდელ, 2020 წლის იანვართან შედარებით, რაც ბევრად მაღალია ვიდრე წინა თვეების შესადარისი მაჩვენებლები. თუმცა, უკრაინასა და რუსეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ საქართველოს მოწყვლადობის გათვალისწინებით, ზრდის პერსპექტივების მხრივ უარყოფითი მოლოდინები არსებობს, ისევე, როგორც სხვა მაკრო ცვლადებთან მიმართებით, რომლებსაც შესაძლოა ასევე ნეგატიური გავლენა ჰქონდეთ ბანკის საზედამხედველო კაპიტალის, ლიკვიდურობის და საკრედიტო რისკებზე.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფი აქტიურად იყენებს სტრეს-ტესტირების და რისკის შეფასებისა და მონიტორინგის სხვა ინსტრუმენტებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოხდეს ტრიგერების ადრეული იდენტიფიცირება და მათი კონკრეტულ სამოქმედო გეგმებად გარდაქმნა, ბანკის საზედამხედველო კაპიტალზე, ლიკვიდურობასა და პორტფელის ხარისხზე ნეგატიური გავლენის მინიმიზებისთვის, განუსაზღვრელობის მაღალი დონის არსებობის შემთხვევაში.

1 მსოფლიო ბანკი, გლობალური ეკონომიკური პერსპექტივები, 2022 წლის იანვარი.

2. ჯგუფს აქვს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკი

კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები ხასიათდება როგორც ფიზიკური ზემოქმედებით, რომელიც წარმოიშობა უფრო ხშირი და რთული მეტეოროლოგიური ცვლილებებით, ასევე გარდამავალი ზემოქმედებით, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს პოლიტიკურ, იურიდიულ და ტექნოლოგიურ ცვლილებებს საყოფაცხოვრებო და ბიზნეს-სექტორების გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად. ჯგუფისთვის აღნიშნული რისკები შესაძლოა მატერიალიზდეს აქტივის ღირებულების გაუფასურებით და ჩვენი მომხმარებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ჯგუფის მომგებიანობის შემცირება. ჯგუფს, ასევე, შეიძლება ჰქონდეს რეპუტაციის რისკი ისეთი მომხმარებლების დაკრედიტების ან მათთან სხვადასხვა ბიზნეს ოპერაციების შედეგად, რომლებიც მიიჩნევიან კლიმატური ცვლილებების ხელშემწყობებად.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფის მიზანია, იმოქმედოს პასუხისმგებლობით და მართოს მის ოპერაციებთან დაკავშირებული ეკოლოგიური და სოციალური რისკები, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად. ეს მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს, შევამციროთ ჩვენი გარემოზე ზემოქმედება რესურსების ეფექტურად გამოყენებით და ეკოლოგიური თვალსაზრისით უსაფრთხო ღონისძიებების ხელშეწყობით კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნით.

ჯგუფს აქვს გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც არეგულირებს მის გარემოსდაცვითი მართვის სისტემას („გმს“) და უზრუნველყოფს ჯგუფის ოპერაციების შესაბამისობას მოქმედ გარემოსდაცვით, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და შრომის დაცვის რეგულაციებთან და პრაქტიკებთან. ჩვენ ვიღებთ ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენმა მომხმარებლებმა ასევე შეასრულონ ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობები. ეკოლოგიური და სოციალური რისკების მართვა გათვალისწინებულია ჯგუფის დაკრედიტების პროცესში გმს-ის გამოყენების გზით. ჯგუფმა შეიმუშავა რისკის მართვის პროცედურა ეკოლოგიური და სოციალური რისკების დადგენის, მართვის და მონიტორინგის მიზნით. აღნიშნული პროცედურები სრულად ინტეგრირებულია ჯგუფის საკრედიტო რისკის მართვის პროცესში. ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკა სრულად შეესაბამება საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობას და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს (პოლიტიკა სრულად ხელმისაწვდომია ბმულზე www.tbcbankgroup.com). დეტალური ინფორმაცია გარემოსდაცვითი მართვის სისტემის შესახებ, იხილეთ გვერდებზე 73-78.

გარემოზე ჯგუფის დადებითი გავლენის გაზრდის და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგების შემსუბუქების მიზნით, 2021 წლის ბოლოსთვის ბანკმა დანერგა მწვანე დაკრედიტების ჩარჩო, რომელიც კერძო კომპანიებს და ფიზიკურ პირებს წაახალისებს, დანერგონ საქმიანობის ენერგო- და რესურსეფექტური და ეკო-მეგობრული მექანიზმები.

ბანკის საკრედიტო პორტფელზე კლიმატთან დაკავშირებული რისკების უკეთ შესასწავლად, ბანკმა განახორციელა სექტორულ დონეზე რისკების ზოგადი შეფასება, რადგან კლიმატთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკის მიმართ სხვადასხვა დარგის მოწყვლადობა შესაძლოა, განსხვადებოდეს მოწყვლადი დროის სხვადასხვა პერიოდებში. რისკების შეფასება ორიენტირებულია ისეთ ეკონომიკურ დარგებზე, როგორიც არის ენერგეტიკა, ნავთობის და გაზის სექტორი, მეტალურგია და სამთო-მოპოვებითი სამუშაოები, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, კვების ინდუსტრია, ჯანდაცვა, მშენებლობა და უძრავი ქონების სექტორი..

სასესხო პორტფელის ვადიანობის სტრუქტურის მიხედვით, აქტივების უდიდესი ნაწილი განაწილებულია დროის პერიოდებში, რომლებიც ბევრად უფრო მოკლეა, ვიდრე კლიმატის ცვლილები, განსაკუთრებით ფიზიკური რისკები შეიძლება მატერიალიზდეს საქართველოში. მეორეს მხრივ, კლიმატთან დაკავშირებული რისკების გრძელვადიანი ზემოქმედების შესახებ ექსპერტული ცოდნა მომავალში გაიზრდება. შედეგად, თუ ბანკს ექნება მყარი და სანდო დასკვნები, ის შეძლებს შესაბამისი კლიმატური რისკების შერბილების მიდგომის განვითარებას. გარდა ამისა, ჯგუფის პორტფელი უზრუნველყოფილია ნაღდი ფულით, უძრავი ქონებით ან ოქროთი, რაც მთლიანობაში სასესხო პორტფელის დაახლოებით 77%-ს შეადგენს. გირაოს შეფასების პროცედურა მოიცავს გირაოს მონიტორინგის პროცესს, შესაბამისად გირაოს ღირებულების ცვლილების აუცილებლობა იდენტიფიცირებულია გირაოს რეგულარული მონიტორინგის პროცესის საფუძველზე. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ჩვენი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგია გვერდებზე 24-37.

2021 წლის ივნისში ჯგუფმა გამოსცა მდგრადი განვითარების სრულმასშტაბიანი ანგარიში

2020 წლის შესახებ, გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) სტანდარტების შესაბამისად. გლობალური ანგარიშგების ინიციატივა (GRI) კერძო სექტორს ეხმარება, წარმოაჩინოს და გაიაზროს მისი როლი და გავლენა მდგრად განვითარების ისეთი მიმართულებების ჭრილში, , როგორიც არის კლიმატური ცვლილებები, ადამიანის უფლებები და მმართველობა. ანგარიში განკუთვნილია ყველა დაინტერესებული მხარისა და ჯგუფისთვის როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ანგარიში ორიენტირებულია მათთვის ცალსახა, ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის გაზიარებაზე 2020 წლის განმავლობაში ჩვენი საქმიანობის სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური გავლენის შესახებ . ანგარიშის მიზანია, წარმოაჩინოს ჩვენი განზრახვა, შევქმნათ ღირებულება ჩვენი თანამშრომლებისთვის, მომხმარებლებისთვის, მომწოდებლებისთვის, პარტნიორებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის. მდგრადი განვითარების 2020 წლის ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე www.tbcbankgroup.com.

2. ჯგუფის საქმიანობაზე შესაძლოა იმოქმედოს LIBOR-ის შეწყვეტის და გარდამავალმა პროცესმა

რისკის აღწერა

არსებობს სხვადასხვა ტიპის ფინანსური ინსტრუმენტები ჯგუფის საბალანსო უწყისზე, რომელთაგან თითოეულს აქვს ლონდონის ბანკთაშორის შეთავაზებულ განაკვეთთან („LIBOR“) შედარებული საპროცენტო განაკვეთი. ჯგუფი „LIBOR“-ს ასევე იყენებს რისკის გაზომვაში, აღრიცხვაში და შეფასების პროცესებში. 2017 წელს გაერთიანებული სამეფოს ფინანსური ქცევის უწყებამ (FCA) გამოაცხადა, რომ შეუთანხმდა LIBOR ჯგუფის ბანკებს LIBOR-ის 2021 წლამდე შენარჩუნებაზე და ფინანსური სექტორის მონაწილეებს მოუწოდა დაეწყოთ მუშაობა სხვა საცნობარო განაკვეთებზე გადასვლის მიმართულებით. 2021 წლის 5 მარტს FCA-იმ გამოაცხადა საპანელო ბანკის მიერ LIBOR-ის პარამეტრების წარდგენის შეწყვეტის თარიღები, რომლის შემდეგ წარმომადგენლობითი LIBOR-ის განაკვეთები ხელმისაწვდომი აღარ იქნებოდა:

- 2021 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, ფუნტ სტერლინგის, ევროს, შვედური ფრანკის და იაპონური იენის პარამეტრების შემთხვევაში და 1 კვირა და 2 თვე აშშ დოლარის პარამეტრებისთვის; და
- 2023 წლის 30 ივნისის შემდეგ, აშშ დოლარის დარჩენილი პარამეტრების შემთხვევაში.

ბანკის აშშ დოლარში გამოხატული მცურავი პორტფელი უკავშირდება აშშ დოლარის 6-თვიან LIBOR-ს, ხოლო ევროს მცურავი პორტფელი - ევროს ბანკთაშორის შეთავაზებულ განაკვეთს (Euribor), რომლის შეწყვეტაც არ არის გამოცხადებული.

LIBOR-ის შეწყვეტა და გარდამავალი პროცესი მიუთითებს ჯგუფის განხორციელების, წარმოების ფინანსურ და საოპერაციო რისკებს და შესაძლოა გამოიწვიოს შემოსავლების არასტაბილურობა, მომხმარებლის პრეტენზიები და სამართლებრივი პროცესები, ან სხვა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის საქმიანობაზე და ოპერაციებზე.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფი აქტიურად აკონტროლებს გადასვლასთან დაკავშირებულ საერთაშორისო და ადგილობრივ განვითარებებს, ჯგუფის გარდამავალი პროცესის ბაზრის პრაქტიკასთან მოსარგებად. 2021 წლის 29 ივლისს ალტერნატიული საცნობარო განაკვეთების კომიტეტმა (ARRC) გამოსცა რეკომენდაცია ორგანიზაციის „CME Group, Inc.“ მიერ გამოქვეყნებული „Term SOFR“ განაკვეთების გამოყენების შესახებ.

ARRC-ის რეკომენდაცია სასესხო ხელშეკრულებებს „LIBOR“-ის ნაცვლად, მის ადგილზე (იქნება ეს სარეზერვო დებულების მოქმედების შესაბამისად, თუ სხვაგვარად) ან ახალ გარიგებებში ტერმინის „Term SOFR“ გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. ადრე რეკომენდებული აშშ დოლარის „LIBOR“-ის საპროცენტო განაკვეთის ალტერნატივები წარსულზე იყო ორიენტირებული და ის გულღიად არ მიიღეს.

ჯგუფმა შექმნა ხელმძღვანელი კომიტეტი „LIBOR“-დან უხარვეზო გადასვლის უზრუნველსაყოფად, მათ შორის „Term SOFR“-ზე მიბმული პროგრესული განაკვეთების დასანერგად. ხელმძღვანელი კომიტეტი უზრუნველყოფს გარდამავალი პროცედურების შესახებ ცნობადობის ამაღლებას როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის გარეთ, რათა თანამშრომლებს ჰქონდეთ საჭირო ცოდნა და ინსტრუმენტები გარდამავალი პროცედურების გასამარტივებლად და ამასთან ჯგუფის მომხმარებლებთან სამართლიანი ურთიერთობისთვის.

რისკების მართვა

მიმოხილვა

ჯგუფში მოქმედებს რისკის მართვის ბიზნესზე ორიენტირებული, მძლავრი და დამოუკიდებელი სისტემა. მისი ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს რისკის გათვალისწინებით შეფასებული უკუგების მდგრადობას რისკის მართვის ეფექტიანი სისტემის მეშვეობით. მიზნების უკეთ მისაღწევად ჯგუფი იყენებს რისკის მართვის ოთხ ძირითად პრინციპს:

- რისკების გამჭვირვალედ მართვა ურთიერთგაგებისა და ნდობის მოსაპოვებლად. რისკთან დაკავშირებული პროცესებისა და პოლიტიკის თანამიმდევრულობა და გამჭვირვალობა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ნდობის მოპოვების წინაპირობაა. რისკის მიზნებისა და სტრატეგიული პრიორიტეტების კომუნიკაცია მმართველ ორგანოებთან და ანგარიშვალდებულების ფარგლებში სრულყოფილი რეაგირება რისკის მართვაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების ძირითადი პრიორიტეტებია;
- რისკების გონივრული მართვა ზრდისა და მდგრადობის ხელშესაწყობად. რისკების მართვის სისტემა უზრუნველყოფს ჯგუფის დაცვას გადაჭარბებული რისკებისგან; საზედამხედველო კაპიტალის მართვა და მძლავრი, მომავალზე ორიენტირებული მართვის ინსტრუმენტები და გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს ჯგუფის მდგრადობას;
- რისკის მართვის მეშვეობით სტრატეგიის გაძლიერების უზრუნველყოფა. რისკების იდენტიფიცირებით და მართვით მიზნების მიღწევის შესაძლებლობების შექმნა რისკის მართვაში ჩართული თანამშრომლების მიერ. რისკების იდენტიფიცირება და ადეკვატური ფასდადება, ასევე რისკის მიტიგაციისკენ მიმართული ქმედებების განხორციელება, უზრუნველყოფს ჯგუფის დასახული მიზნების განხორციელებას და მიზნობრივ უკუგებას.
- რისკის მართვისა და რისკებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების მეთოდების გამოყენება კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. სრულყოფილი, გამჭვირვალე და გონივრული რისკის მართვა ხელს უწყობს სხვადასხვა ჩართული მხარის მაღალ სანდოობას, ჯგუფის გრძელვადიან, მდგრად განვითარებას, რისკის მართვის სისტემის კონკურენტულ უპირატესობად და სტრატეგიულ ინსტრუმენტად ქცევას.

რისკების მართვის სტრუქტურა

ჯგუფის რისკის მართვის სისტემა მოიცავს რისკის მართვისათვის საჭირო ყველა აუცილებელ კომპონენტს და შედგება ორგანიზაციული, საკრედიტო, ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის, რისკ-რეპორტინგის და სხვა დამხმარე, გამაერთიანებელი რისკების ინსტრუმენტებისაგან, როგორებიც არის IT-ინფრასტრუქტურა, საზედამხედველო კაპიტალის მართვა, სტრეს-ტესტები და სხვა ანალიტიკური საშუალებები. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ნაჩვენებია რისკის მართვის სტრუქტურა:

ორგანიზაციის რისკის მართვა

> რისკის აპეტიტი > რისკის სტრატეგია > ბიზნესის დაგეგმვა



მმართველობა

ჯგუფი რისკების მართვას ახორციელებს რისკების მართვის ერთიანი სისტემის ფარგლებში. რისკების მართვის პროცესში ყველა მმართველი რგოლის ჩართულობა, უფლებამოსილების ნათლად გამიჯვნა და სხვადასხვა დანაყოფს შორის ეფექტური კომუნიკაცია ხელს უწყობს ჯგუფის სტრატეგიისა და რისკის მიზნების ნათლად წარმოჩენას, ასევე მათ შესაბამისობას რისკის დასაშვებ დონესთან. ჯგუფის მართვის სტრუქტურა უზრუნველყოფს ადეკვატურ ზედამხედველობას, ანგარიშვალდებულებისა და მოვალეობების მკაფიო გამიჯვნას. რისკების მართვის უმაღლესი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას და ზედამხედველობას უწევს სტრატეგიული მიზნების შესრულებას, ხოლო დირექტორთა საბჭო ხელმძღვანელობს და წარმართავს ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობას.

რისკების მართვა გაგრძელება

რისკის მართვის სტრუქტურა შედგება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსგან. სამეთვალყურეო საბჭოს ექვემდებარება რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის კომიტეტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ჯგუფის რისკის პროფილსა და რისკის მართვის პრაქტიკას, აგრეთვე აუდიტის კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელებასა და დანერგვაზე, შიდა და გარე აუდიტორების საქმიანობის ხელშეწყობაზე. სამეთვალყურეო საბჭოში ასევე შედის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის და ეთიკის კომიტეტი, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს გარემოს დაცვასთან, სოციალურ და მმართველობით საკითხებთან დაკავშირებული სტრატეგიის, პოლიტიკების, ინიციატივებისა და პროგრამების ზედამხედველობაში ეხმარება, ასევე ტექნოლოგიებისა და მონაცემთა კომიტეტი, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინსტრუმენტების, მონაცემებისა და კიბერ-უსაფრთხოების საკითხების, ასევე კომპანიის IT რესურსების ზედამხედველობაში ეხმარება.

დირექტორთა საბჭოს რისკის კომიტეტი შეიქმნა ჯგუფის მასშტაბით რისკის მართვის ღონისძიებების წარმართვისა და ძირითადი რისკის ტენდენციების მონიტორინგისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს რისკის პროფილის შესაბამისობა დასაშვებ რისკის დონესთან. დირექტორთა საბჭოს საოპერაციო რისკის კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს საოპერაციო რისკის მართვასთან დაკავშირებით, ხოლო აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (ALCO) პასუხისმგებელია აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის განხორციელებაზე. დირექტორთა საბჭოს საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის კომიტეტი არეგულირებს საინფორმაციო და კიბერ-უსაფრთხოების პროცესს რისკების მისაღებ დონემდე დაყვანის და მართვის პროცესების უწყვეტი გაუმჯობესების მიღწევის მიზნით. ამასთან, დირექტორთა საბჭოს დონეზე იქმნება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კომიტეტი, რომელიც პასუხს აგებს ჯგუფის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგიის განხორციელებაზე და მისი სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე, ხოლო გარემოსდაცვითი კომიტეტი ზედამხედველობს ჯგუფში გარემოსდაცვითი მართვის სისტემის სათანადო დანერგვას და ფუნქციონირებას.

სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოები რისკების მართვას ახორციელებენ რისკის დასაშვები დონის შესახებ პოლიტიკის მეშვეობით, რომელშიც დადგენილია რისკის სასურველი პროფილი და რისკის ლიმიტები. ეს პოლიტიკა ასევე მოიცავს მონიტორინგისა და რეპორტინგის პასუხისმგებლობებს და, სხვადასხვა გამომწვევი მოვლენისათვის ესკალაციის გზებს და რისკების მიტიგაციის ქმედებების განხორციელებას იმ შემთხვევაში, თუ ისინი სცილდება ჯგუფის მიერ დადგენილ საზღვრებს. ჯგუფის დასაშვები რისკის დონის ყოველდღიურ ოპერაციებში უფრო ეფექტურად ასახვისთვის, რისკის დასაშვები დონის შესახებ პოლიტიკის ინდიკატორები ჩაშლილია დეტალურ ლიმიტებად ბიზნეს ერთეულის დონეზე, რომელიც აყალიბებს რისკის განაწილებას სხვადასხვა სეგმენტსა და საქმიანობას შორის.

რისკის აპეტიტის დადგენა და კასკადირება ხორციელდება ბიზნესის დაგეგმვის პარალელურად. ბიზნესისა და რისკის გეგმების ინტერაქტიური შემუშავება უზრუნველყოფს გეგმების შეჯერებას ამ პროცესში რისკისა და უკუგების ურთიერთკავშირის განსაზღვრით, რაც ხელს უწყობს მიზნების მიღწევას. სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე ზედამხედველობა ჯგუფის რისკის მართვაში უფროსი ხელმძღვანელობის ჩართულობასთან ერთად, და რისკების ე.წ. „top-down“ განაწილება ორგანიზაციული რისკების მართვის განყოფილების მიერ უზრუნველყოფს რისკების მიზნების სიცხადეს, რისკის პროფილის ინტენსიურ მონიტორინგს დასაშვებ რისკის დონესთან მიმართებით, დროულ რეაგირებას რისკთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოსასწორებელი სამუშაოების ოპერატიულად განხორციელებას.

ცალკეული რისკების ყოველდღიური მართვა ემყარება დაცვის სამი დონის პრინციპს. იქედან გამომდინარე, რომ რისკებს ძირითადად ბიზნეს სეგმენტები გასწევენ, რისკების მართვის გუნდი ასრულებს დაცვის მეორე დონის ფუნქციას ტრანზაქციების სანქციონირებით, რისკის იდენტიფიცირების, ანალიზის, გაზომვის, მონიტორინგისა და რეპორტინგის ინსტრუმენტების და ტექნიკების გამოყენებით. კომიტეტები, რომლებიც ფუნქციონირებენ ოპერაციულ დონეზე, უფლებამოსილებების დელეგირების ფარგლებში იღებენ ტრანზაქციული დონის გადაწყვეტილებებს, რომლებიც „ოთხი თვალის“ პრინციპს ემყარება. ყველა ახალი პროდუქტი და პროექტი გადის რისკის ჯგუფების ხელში, რისკების სრულყოფილად გაანალიზების უზრუნველსაყოფად.

კონტროლის ეს მექანიზმები გარანტიას იძლევა, რომ ჯგუფი იღებს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს, რაც სათანადოდ არის შეფასებული და არ ხდება რისკების აღება ჯგუფის დადგენილ ზღვრებს ზევით. საკრედიტო, ლიკვიდურობის, ბაზრის, საოპერაციო და სხვა არაფინანსურ რისკებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები მართავენ. ჯგუფის რისკის მართვის მძლავრი და დამოუკიდებელი სტრუქტურა ყველა საჭირო ფუნქციის შესრულების საშუალებას იძლევა დაცვის მეორე დონის ფარგლებში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების წყალობით, რომლებიც ფლობენ დაბალანსებულ ცოდნას საბანკო მომსახურების სფეროში ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. რისკების მართვის დირექტორზე დაქვემდებარებული რისკის გუნდების გარდა, შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია უშუალოდ გენერალური დირექტორის წინაშე და პასუხისმგებელია ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასა და შესაბამისობის რისკის მართვაზე. მესამე დონის დაცვას წარმოადგენს შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რომელიც ბანკს აძლევს დამოუკიდებელ და ობიექტურ რწმუნებას, ამასთანავე, უწევს რეკომენდაციას დამატებით ოპერაციებისა და რისკების მართვის გასაუმჯობესებლად.

ორგანიზაციის რისკების მართვა

ორგანიზაციის რისკების მართვის (ERM) ცენტრალიზებული განყოფილება უზრუნველყოფს რისკის სტრატეგიისა და რისკის აპეტიტის ეფექტურად შემუშავებას, კომუნიკაციას და დანერგვას ჯგუფის მასშტაბით. ორგანიზაციის რისკების მართვის განყოფილება ხელს უწყობს რისკის ჯვარედინ ღონისძიებებს, როგორებიც არის აგრეგირება, ანალიზი და რეპორტინგი და ეხება ისეთ პრობლემებს, რომლებიც არაა სპეციფიკური რომელიმე ერთი ტიპის რისკისთვის შესაბამისად, ორგანიზაციის რისკების მართვის ფუნქცია ავსებს რისკის სხვა ფუნქციებს, რათა მოიცვას ძირითადი რისკის ღონისძიებები და პასუხისმგებლობები და წარმოქმნას ცენტრალიზებული გუნდის შესაძლებლობები. ორგანიზაციის რისკების მართვის ძირითადი ფუნქციები შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

- რისკის აპეტიტის განსაზღვრა, კასკადირება და მონიტორინგი ჯგუფის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ელემენტებია. რისკის ბიუჯეტი გადანაწილდება ცალკეულ ბიზნეს-მიმართულებებზე, რათა მიღწეულ იქნეს მაჩვენებლები აგრეგირებულ დონეზე;
- სტრეს-ტესტები რისკის იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მიტიგაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ამ მხრივ ჯგუფი მუდმივად ავითარებს სტრეს-ტესტირების შესაძლებლობებს და მეთოდოლოგიას. ბანკი ახორციელებს სხვადასხვა სცენარულ ანალიზს და სტრეს-ტესტირების მეთოდებს, იმისათვის, რომ მან შეინარჩუნოს ადეკვატური კაპიტალი მოცემულ სტრეს სცენართან გასამკლავებლად და სტაბილური ფინანსური მდგომარეობის შესანარჩუნებლად;
- გრძელვადიანი კაპიტალის დაგეგმვა და უწყვეტი მუშაობა კაპიტალის ოპტიმიზაციაზე და ანალიტიკაზე ასევე ბანკის რისკის მართვის პროცედურის არსებითი ასპექტებია;

1 აღნიშნული პირობები განსაზღვრულია ტერმინების განმარტებებში 316 გვერდზე.

- კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესის (ICAAP) შემუშავება და განახლება
- რისკების მართვის პრაქტიკების თანამიმდევრულობა ბანკი შიგნით ორგანიზაციის რისკების მართვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. რისკების მართვის ფუნქცია, რომელიც მიმართულია თანმიმდევრულობის უზრუნველყოფისკენ, გულისხმობს რისკების იდენტიფიცირებას, გაზომვას და მართვას ოპტიმალური გზით ჯგუფის ფარგლებში, და მათ ანგარიშგებას და გააზრებას კონსოლიდირებულ საფუძველზე;
- მოსალოდნელი ზარალის შეფასება, მონიტორინგი და ანალიზი სხვადასხვა სეგმენტში და პროდუქტებში, ჩვენი სტრატეგიის მორიგი მთავარი კომპონენტებია;
- რისკის ყველა მატრიცა ერთიანდება და ანალიზდება კონსოლიდირებულ საფუძველზე ჯგუფის რისკ-პროფილის შესაფასებლად. ბანკის რისკის პროფილის შესახებ რეგულარული ანგარიშები წარედგინება დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის კომიტეტს.

საკრედიტო რისკის მართვა

ჯგუფის, როგორც საბანკო მომსახურების მიმწოდებლის წინაშე დგას საკრედიტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია მსესხებლის ან მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან, კერძოდ გადაუხდელი თანხის გადახდასთან შეთანხმებულ ვადებში. საკრედიტო რისკი ჯგუფის ყველაზე არსებითი მნიშვნელობის რისკია, რადგან იგი ძირითადად ტრადიციულ დაკრედიტებას ეწევა. შესაბამისად, ჯგუფი მნიშვნელოვან რესურსს გამოყოფს მის სამართავად.

საკრედიტო რისკების მართვის მთავარი მიზანია ჯგუფში არსებობდეს სესხის დამტკიცების გამართული პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმირებული რისკის მიღებას და პროცედურებს რისკის ეფექტური იდენტიფიცირების, მონიტორინგისა და შეფასებისთვის. საკრედიტო რისკის გონივრულად და ეფექტურად სამართავად ჯგუფი სეგმენტზე და პროდუქტზე მორგებულ მიდგომებს იყენებს. შესაბამისად კორპორაციული, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების და საცალო პორტფელების მართვა ხორციელდება კონკრეტული სეგმენტების თავისებურებების გათვალისწინებით. კორპორაციული და მიკრო, მცირე და საშუალო სეგმენტის (მიკროს გარდა) მსესხებლების მართვა ხორციელდება ინდივიდუალურად, მოცემული კლიენტების შედარებით დიდი დავალიანებიდან გამომდინარე, ხოლო მიკრო და საცალო მსესხებლების მართვა პორტფელის დონეზე ხორციელდება. საკრედიტო რისკის ძირითადი ფუნქციების შეჯამება მოცემულია ქვემოთ:

კრედიტის დამტკიცება

ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს სესხების გაცემის ჯანსაღი პროცესის არსებობა, სესხის გაცემის კრიტერიუმების მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და მსესხებლის რისკის პროფილის შეფასების ეფექტიანი პროცესის მეშვეობით. ბანკში არსებობს საკრედიტო რისკის შეფასების სრულყოფილი ჩარჩო, სადაც ცალსახად არის გამიჯნული კრედიტის ანალიზის და დამტკიცების პროცესში მონაწილე მხარეების მოვალეობები. კრედიტის შეფასების პროცესი განსხვავდება სეგმენტებისა და ინდივიდუალური პროდუქტების მიხედვით, იმისთვის რომ სათანადოდ მოხდეს აქტივების სხვადასხვა ჯგუფების შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინება.კორპორატიული, მცირე და საშუალო და მსხვილი საცალო და მიკრო სესხების შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურ დონეზე, ხოლო მცირე ზომის საცალო და მიკრო სესხებზე გადაწყვეტილების პროცესი ძირითადად ავტომატიზებულია. მსესხებლების მოთხოვნების საფუძვლიანად შეფასების შემდეგ საკრედიტო ანალიტიკოსები (კორპორატიული სესხის შემთხვევაში) და ბიზნეს დაკრედიტების ექსპერტები (მცირე და საშუალო საწარმოების სესხის შემთხვევაში) ამზადებენ პროექტს, რომელშიც ასახულია პოტენციურ მსესხებელთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია და განსახილველად წარადგენენ დაკრედიტების რისკების მართვის განყოფილებაში. რისკების მართვის მენეჯერი აფასებს პროექტს და უზრუნველყოფს, რომ ანალიზი იყოს სრულყოფილი, ყველა სახის რისკი და შესაბამისი მიტიგაციის გზები იდენტიფიცირებული და სათანადოდ გათვალისწინებული, ხოლო სესხი - სწორად სტრუქტურირებული. ბიზნესის რისკის მენეჯერები სპეციალიზირდებიან კონკრეტული დარგების მიხედვით იმისთვის, რომ ფლობდნენ სათანადო ცოდნას კონკრეტულ დარგში მიმდინარე ტენდენციებსა და მოვლენებზე.

საკრედიტო კომიტეტის სესხის დამტკიცების სტრუქტურა მრავალდონიანია მსესხებლების ჯამური დავალიანებისა და რისკის პროფილის გასათვალისწინებლად. აღნიშნული საკრედიტო კომიტეტები პასუხს აგებენ საკრედიტო განცხადებების განხილვასა და დამტკიცებაზე სხვადასხვა კომიტეტებთან ერთად, სესხის მოცულობის და რისკის საფუძველზე. ყველაზე

მაღალი დონის კომიტეტში მონაწილეობენ: გენერალური დირექტორი, კორპორატიული ბიზნესის მართვის დირექტორი და რისკების მართვის დირექტორი. ამასთან, 20 უმსხვილესი მსესხებლის საკრედიტო განაცხადისთვის, ან სესხებისთვის, რომელთა ოდენობა აღემატება ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს, მოითხოვება სამეთვალყურეო საბჭოს რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის კომიტეტის მიერ განხილვა და დამტკიცება. საცალო და მიკრო სეგმენტის დაკრედიტების ექსპერტები საკრედიტო განაცხადებს წარუდგენენ შესაბამისი დაკრედიტების რისკების მართვის განყოფილებას. სესხის ოდენობიდან გამომდინარე, სესხის დამტკიცების კომიტეტი განიხილავს სესხის მოთხოვნას, მომხმარებლის რისკის დონესთან დაკავშირებული კონკრეტული ლიმიტების საფუძველზე. არაუზრუნველყოფილი საცალო სესხების, განვადებებისა და საკრედიტო ბარათების ანალიზისა და გაცემისთვის ხორციელდება შემოსავლის შეფასების პროცესი პასუხისმგებლიანი დაკრედიტების შესახებ რეგულაციების შესაბამისად. გადაწყვეტილების მიღებისთვის გამოიყენება შიდა სქორინგის მოდელები და საკრედიტო ბიუროს მიერ წარმოდგენილი რეიტინგები. სქორინგის მოდელები განსხვავებულია პროდუქტის ტიპებისა და მსესხებლების სეგმენტის მიხედვით, და ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის შიდა და გარე მონაცემებს. სქორინგის მოდელების მონიტორინგი ყურადღებით ხორციელდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მიღებული გადაწყვეტილებების წინასწარ განსაზღვრული რისკის ლიმიტებთან შესაბამისობა. საკრედიტო შეფასება და დაკრედიტების მოდელები შემუშავებულია საკრედიტო მოდელირების დამოუკიდებელი გუნდის მიერ, რისკების განყოფილების ფარგლებში. ამის შემდეგ მოდელებს ამოწმებს მოდელებთან დაკავშირებული რისკების მართვის კიდევ ერთი დამოუკიდებელი გუნდი, ასევე რისკების განყოფილებიდან.

სავალუტო კურსით გამოწვეული საკრედიტო რისკი

ბანკი დგას სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის წინაშე, რადგან მისი სესხების მატერიალური ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. ჯგუფი მუშაობს აღნიშნული რისკის შემცირებაზე და შესაბამისი ლიმიტები განსაზღვრულია ბანკის რისკის აპეტიტის ჩარჩოში. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის შესამცირებლად , საკრედიტო რისკის მართვის ყველა ეტაპზე გამოიყენება მართვის სხვადასხვა ინსტრუმენტები და მეთოდები. 2019 წლის იანვარში მთავრობამ განაგრძო ღონისძიებები უცხოური ვალუტით დაფინანსებაზე ეკონომიკის დამოკიდებულების შესამცირებლად, გაზარდა რა ზედა ლიმიტი 200,000 ლარამდე, რომლის ფარგლებშიც სესხების გაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. გარდა ამისა, სებ-მა თავისი პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ინიციატივით, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს, შემოიღო უფრო კონსერვატიული PTI და LTV ზღვრები არაჰეჯირებული საცალო მსესხებლებისთვის, რამაც კიდევ უფრო შეამცირა კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრეფიტო რისკები. მიუხედავად იმისა, რომ PTI და LTV ზღვრები არაჰეჯირებული საცალო მსესხებლებისთვის კვლავ რჩება კონსერვატული, 2020 წლის აპრილში, სებ-მა გაამარტივა რეგულაციები ჰეჯირებული მსესხებლებისთვისჯგუფი იყენებს კონსერვატორული დაკრედიტების სტანდარტებს არაჰეჯირებული მსესხებლების მიმართ, რომელთა სესხები უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი გაუძლებენ გაცვლითი კურსის გაუფასურების გარკვეულ დონეს საკრედიტო ხარისხის გაუარესების გარეშე. გარდა დაკრედიტების პროცესში მოქმედი ზომებისა, ჯგუფი აქტიურად აკვირდება და აფასებს უცხოურ ვალუტაში გამოხატულ სესხებს სტრეს-ტესტირების საშუალებით და ინარჩუნებს კაპიტალის საკმარის რეზერვებს მოულოდნელი დანაკარგების შემთხვევებისთვის. ვალუტის არსებითი გაუფასურების შემთხვევაში, ჯგუფი ფლობს ინსტრუმენტებს მონიტორინგის პროცესის დასაჩქარებლად, პოტენციური სისუსტეების მქონე მომხმარებლების იდენტიფიცირებისა და მიტიგაციისკენ მიმართული ღონისძიებების დაუყოვნებლივ გასატარებლად.

ბანკმა განსაზღვრა პორტფელში უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილის შემცირების სტრატეგია. განისაზღვრა ყოველწლიური მიზნები საშუალოვადიან სტრატეგიაში, უცხოურ ვალუტაში წილის თანდათანობით შემცირების გზით. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (ALCO) ყურადღებით აკონტროლებს ამ მიზნების მიღწევას.

საკრედიტო კონცენტრაციის რისკი

ჯგუფს გააჩნია კონცენტრაციის რისკი, რომელიც განისაზღვრება, როგორც პორტფელის ხარისხის პოტენციური გაუარესება პიროვნებებზე ან დარგებზე დიდი ოდენობით სესხის გაცემის გამო. ის ფლობს ინსტრუმენტებს კონცენტრაციის რისკის, კერძოდ კი, პორტფელში ცალკეული პირებისა და სექტორების კონცენტრაციის

ეფექტური მართვისათვის. ჯგუფი კონცენტრაციის ლიმიტებს ექვემდებარება ცალკეული მსესხებლებისა და 20 ყველაზე მსხვილ მსესხებელზე და ოს ორიენტირებულია ამ პორტფელის სტრუქტურისა და ხარისხის ოპტიმიზაციაზე. ამასთან, ჯგუფი აწესებს ლიმიტებს ცალკეულ სექტორებზე, მაღალი რისკის მქონე სექტორებში უფრო კონსერვატიული ზედა ლიმიტის გამოყენებით, რომლებიც განისაზღვრება დარგის ციკლებისა და პროგნოზის სრულყოფილ ანალიზზე დაყრდნობით. საკრედიტო კონცენტრაციების მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. კეთდება რისკის პოზიციათა ტენდენციების დეტალური ანალიზი და რისკის ახალი წყაროების წარმოქმნის ან პოზიტიური მოვლენების შემთხვევაში გაიცემა პრევენციულ ღონისძიებათა რეკომენდაციები. პორტფელში კონცენტრაციების დონის მართვის პარალელურად, ჯგუფი აფასებს მოულოდნელ ზარალს და შესაბამის ეკონომიკურ კაპიტალს როგორც ცალკეული მსესხებლებისთვის, ისე სექტორებისთვის, „Herfindahl-Hirschman“-ის ინდექსის გამოყენებით და ამგვარად უზრუნველყოფს კონცენტრაციის რისკისთვის საკმარისი კაპიტალის არსებობას.

უზრუნველყოფის მართვის პოლიტიკა

სესხის უზრუნველყოფა წარმოადგენს ჯგუფისთვის საკრედიტო რისკის ყველაზე მნიშვნელოვან მიტიგაციის საშუალებას, ამიტომ უზრუნველყოფაში არსებული ქონების ეფექტური მართვა საკრედიტო რისკების მართვის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ჯგუფის მიერ გაცემული სესხების უზრუნველყოფა შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით: უძრავი ქონება, ფულადი დეპოზიტები, სატრანსპორტო საშუალებები, მოწყობილობა-დანადგარები, სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ძვირფასი ლითონები, ფასიანი ქაღალდები და მესამე პირის გარანტიები. სესხისთვის მიღებული უზრუნველყოფა დამოკიდებულია საკრედიტო პროდუქტის ტიპზე და მსესხებლის საკრედიტო რისკის პროფილზე. ჯგუფის პორტფელის ყველა სეგმენტი უმეტესწილად უზრუნველყოფილია, ხოლო უზრუნველყოფის საშუალებებში მნიშვნელოვან წილს წარმოადგენს უძრავი ქონება. უზრუნველყოფის მართვასთან დაკავშირებით ჯგუფის მიდგომებსა და სტრატეგიას მართავს უზრუნველყოფის მართვისა და შეფასების ცენტრალიზებული განყოფილება. აღნიშნული განყოფილება უზრუნველყოფს, რომ უზრუნველყოფის ობიექტი წარმოადგენდეს საკრედიტო რისკის მიტიგაციის ადეკვატურ საშუალებას. უზრუნველყოფის მართვის ჩარჩო მოიცავს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, დამოუკიდებელი შეფასების პროცესის არსებობას, შეკვეცის სისტემას დაფარვის პროცესის ფარგლებში, უზრუნველყოფის მონიტორინგს (მათ შორის გადაფასებას და სტატისტიკურ ანალიზს) და უზრუნველყოფის პორტფელის ანალიზს.

„უზრუნველყოფის მართვისა და შეფასების განყოფილება“ („CMAD“) განსაზღვრავს უზრუნველყოფის მართვის პოლიტიკას და უზრუნველყოფის მართვის პროცედურებს (დამტკიცებული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ), იძენს შეფასების მომსახურებას „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების“ (IVS), სებ-ის მოქმედი რეგულაციების და შიდა პოლიტიკის/პროცედურების შესაბამისად, ამოწმებს შეფასების ანგარიშებს, მართავს უზრუნველყოფის მონიტორინგის პროცესს (აქტივები მაღალი სამართლიანი ღირებულებით გადაფასდება ყოველწლიურად, ხოლო სტატისტიკური მონიტორინგი გამოიყენება დაბალი ღირებულების მქონე უზრუნველყოფისთვის). CMAD შეფასებისთვის იყენებს შერეული ხარისხის შემოწმების სქემას: შეფასების ანგარიშები გადაიხედება ორგანიზაციის შიგნით, მისი პერსონალის მიერ და განცალკევებით - გარე კომპანიის მიერ. უზრუნველყოფის მართვის ფარგლებში თითქმის ყველა საქმიანობა ავტომატიზებულია შიდა ვებ-აპლიკაციების გამოყენებით. უზრუნველყოფის მართვის ფუნქცია იყენებს უძრავი ქონების საბაზრო ლაბორატორიის (REM ლაბორატორია) პროექტის ფარგლებში ჩატარებულ საბაზრო კვლევებს.

კრედიტის მონიტორინგი

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა და პროცესები ისეა შემუშავებული, რომ დროულად გამოვლინდეს და გაანალიზდეს სხვადასხვა ტიპის რისკები და საიმედო და დროულ მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდეს წინასწარ დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგი. ჯგუფი მნიშვნელოვან რესურსებს გამოყოფს სხვადასხვა ბიზნეს სეგმენტებში არსებული საკრედიტო რისკების ზუსტად შესაფასებლად. ჯგუფი იყენებს მონიტორინგის გამართულ სისტემას, რათა სწრაფად მოახდინოს რეაგირება მაკრო და მიკრო მოვლენებზე, საკრედიტო პორტფელში სისუსტეების იდენტიფიკაცია და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება რისკის მართვის კუთხით.

მონიტორინგის პროცესი მორგებულია ცალკეულ სეგმენტებზე და მოიცავს ინდივიდუალური სესხების მონიტორინგს, პორტფელის საერთო მონიტორინგსა და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის

ხარისხზე. რისკის კომიტეტი კვარტალურად განიხილავს ანგარიშებს საკრედიტო პორტფელის ხარისხის შესახებ. მენეჯმენტს სჯერა, რომ არსებული მონაცემების განვლილ დინამიკასა და სამომავლო პროგნოზებთან შედარებით შესაძლებელია რისკების დროულად გამოვლენა და მათზე რეაგირება პოლიტიკის დროულად შესწორების გზით.

რესტრუქტურიზაცია და თანხების ამოღება

ჯგუფი იყენებს პორტფელის მონიტორინგის კომპლექსურ სისტემას შესუსტებული მახასიათებლების მქონე კრედიტების გამოსავლენად და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზომების მისაღებად. ამოღებისა და აღდგენის პროცესების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც მსესხებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის შეთანხმებულ პირობებს ან მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა გაუარესებულია, რაც პოტენციურად საფრთხეს უქმნის კრედიტის გადახდას. შესაბამისი განყოფილებები ახორციელებენ გადახდისუუნარო მსესხებლების მართვას, ყველა ბიზნეს სეგმენტებზე და ინდივიდუალური დავალიანების კატეგორიებზე მორგებული ამოღებისა და აღდგენის სტრატეგიებით.

სტანდარტული, რუტინული რესტრუქტურიზაციის გარდა, რომელიც ბანკის ყველა ფილიალში ხორციელდება, რესტრუქტურიზაციის ქვედანაყოფის ძირითადი მიზანია მსესხებლის რეაბილიტაცია და სესხის გადაყვანა ისევ სტანდარტულ კატეგორიაში რეაბილიტაციის პროცესის სირთულე და კომპლექსურობა სესხის ტიპზე და სიდიდეზეა დამოკიდებული. ბიზნეს-სესხები პრობლემური აქტივების ქვედანაყოფს გადაეცემა მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ სესხის ძირითადი თანხის მატერიალური ნაწილის გადახდა ვერ მოხდება და მსესხებლის ფულადი ნაკადები აღარ წარმოადგენს სესხის დაფარვის ძირითად წყაროს.

სესხის ამოღების გეგმები შეიძლება მოიცავდეს სესხის ამოღების ყველა ხელმისაწვდომ რესურსს, მაგალითად მსესხებლის აქტივების გაყიდვა, უზრუნველყოფის რეალიზება ან გარანტიების/თავდებობების გამოყენება.

სესხის ამოღების პროცესში ჯგუფის მიზანია სესხის აღდგენის სტრატეგიის შეთანხმება მსესხებელთან და რაც შეიძლება მეტი ოდენობით თანხის ამოღება ან სესხის გადახდაზე მოლაპარაკება უზრუნველყოფის საგნის გაყიდვით ან დასაკუთრებით. საცალო და მიკროსესხების ამოღების ქვედანაყოფები ისეთი მომხმარებლების მხარდაჭერას ახდენენ, რომელთაც წარმოექმნათ ვალდებულებების დაფარვის სირთულე. ამგვარი მომხმარებლები ვერ ახორციელებენ გრაფიკით განსაზღვრული გადახდებს, ან თავად აცნობებენ ბანკს სესხის დაფარვასთან დაკავშირებული სირთულის შესახებ. ცენტრალიზებული გუნდი ფილიალებთან ერთად ახორციელებს საცალო ვადაგადაცილებული მსესხებლების მონიტორინგს, რომელიც ამოღების მაქსიმალურად გაზრდაზეა მიმართული. ადრეულ ეტაპზე ამოღების მართვის პროცესში გამოიყენება სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა - FICO.

ამოღების სტრატეგიები განისაზღვრება სესხის ოდენობისა და ტიპის მიხედვით. მომხმარებლების სხვადასხვა ქვეჯგუფზე მორგებული ინდივიდუალური სტრატეგიები ასახავს შესაბამისი რისკის დონეებს, რაც უზრუნველყოფს მეტ ჩართულობას უფრო მაღალი რისკის პროფილის მქონე მომხმარებლებთან მიმართებით.

უზრუნველყოფილიც და არაუზრუნველყოფილი სესხებიც გადაეცემა შიდა პრობლემური აქტივების ქვედანაყოფს, ხოლო არაუზრუნველყოფილი სესხების ამოღებაზე ჯგუფი თანამშრომლობს გარე კოლექტორულ კომპანიებთან. თანამშრომლობა ჩვეულებრივ მოიცავს სააგენტოების კოლექტორული მომსახურებების აუთსორსინგს, როდესაც ისინი ბანკის სახელით მოქმედებენ მსესხებლებთან თანამშრომლობისას, ან არაუზრუნველყოფილი პორტფელების კონკრეტული ნაწილის გარე კომპანიებისთვის მიყიდვისას, ფულის სასწრაფოდ ამოღების უზრუნველსაყოფად.

უზრუნველყოფილი სესხების ამოსაღებად განისაზღვრება ამოღების შესაბამისი გეგმა, რომელიც ინდივიდუალური მსესხებლის მახასიათებლებს ითვალისწინებს და შესაძლოა მოიცავდეს სესხის შეცვლილი გრაფიკით დაფარვას ან უზრუნველყოფის რეალიზაციას. სესხის პრობლემური აქტივების მართვის ქვედანაყოფზე გადაცემის შემდეგ, როდესაც ჯგუფს არ შეუძლია მისაღები პირობებით მსესხებელთან მოლაპარაკება, ჯგუფს შეუძლია დაიწყოს უზრუნველყოფის დასაკუთრება, რაც ჩვეულებრივ სტანდარტული პროცესია მცირე იურიდიული გართულებებით, რამაც შეიძლება მოიცვას სასამართლო, საარბიტრაჟო ან ნოტარიული პროცედურებიც. რესტრუქტურიზაციისა და პრობლემური აქტივების მართვის ქვედანაყოფებში მუშაობენ კვალიფიციური იურისტები სასამართლო დავების და უზრუნველყოფის დასაკუთრების პროცესების ეფექტურად წარმართვისა და აღსრულებისათვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

2018 წლის იანვრიდან ჯგუფი გადავიდა დარეზერვების ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებაზე ფასს (IFRS) 9-ის მოთხოვნების შესაბამისად. განახლებული მეთოდოლოგიით შესაძლებელია სესხის გაუფასურების რეზერვის შეფასება მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის გამოყენებით. მეთოდოლოგიის განვითარებასთან ერთად დაინერგა ახალი ინფორმაციულ ტექნოლოგიური ინსტრუმენტი დარეზერვებისთვის „Deloitte“-ის და ჯგუფის რისკების მართვის, ფინანსური და IT დეპარტამენტების მხარდაჭერით.

ფასს (IFRS) 9-ის მოდელები უფრო კომპლექსურია და იძლევა მასში მოსალოდნელი მაკრო მოვლენების ჩართვის შესაძლებლობას წინასწარ განსაზღვრული სცენარების გათვალისწინებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასებისთვის ჯგუფი ოთხ კომპონენტს იყენებს: (i) დეფოლტის ალბათობა (PD), (ii) დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (EAD), (iii) ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და (iv) დისკონტირების განაკვეთი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების დროს ჯგუფი იყენებს სამ-სტადიიან მოდელს და მის მსესხებლებს ამ სტადიების მიხედვით აფასებს:

- სტადია 1 - ჯგუფი ახდენს პორტფელის კლასიფიკაციას 1-ელ სტადიაში თუ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა და ფინანსური ინსტრუმენტი არ იყო გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებისას;
- სტადია 2 - დავალიანება მე-2 სტადიად კლასიფიცირდება, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ ითვლება გაუფასურებულად; და
- სტადია 3 - რისკები, რომლებზეც დადგინდა კრედიტის გაუფასურების მაჩვენებლები, კლასიფიცირებულია როგორც მე-3 სტადიის ინსტრუმენტები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა განსხვავდება მოცემული სამი სტადიის მიხედვით:

- 1-ლი სტადიის ინსტრუმენტები - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს ანგარიშგების თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი დეფოლტის შემთხვევებს.
- მე-2 სტადიის ინსტრუმენტები - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ე.ი. საკრედიტო ზარალს, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს დეფოლტის შესაძლო შემთხვევებს ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მთლიანი პერიოდის განმავლობაში. ზოგადად, „არსებობის პერიოდში“ იგულისხმება ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადა. ისეთი ფაქტორები, როგორიც არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვის გრაფიკების არსებობა, დაფარვის ვადის გახანგძლივების შესაძლებლობები და ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის პროცესები გავლენას ახდენს „არსებობის პერიოდზე“ განსაზღვრაზე;
- მე-3 სტადიის ინსტრუმენტები - დეფოლტის შემთხვევა უკვე წარმოიშვა და არსებობის პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოთვლა ხდება მოსალოდნელი ამოღების საფუძველზე.

ჯგუფი აქტიურად განიხილავს და აკონტროლებს ფასს (IFRS) 9 მოდელებიდან წარმოებულ შედეგებს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაბამისი შედეგები ადეკვატურად მოიცავდნენ მოსალოდნელ ზარალს.

ფინანსური რისკის მართვა

ლიკვიდურობის რისკის მართვა

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი შეიძლება არ ფლობდეს საკმარის ხელმისაწვდომ ფინანსურ რესურსებს თავისი მოვალეობების და ვალდებულებების დროულად დასაფარად ან აღნიშნული რესურსები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ მაღალ ფასად. როგორც დაფინანსების, ისე საბაზრო ლიკვიდურობის რისკი შეიძლება წარმოიქმნას მრავალი ფაქტორის შედეგად, რომლებსაც ჯგუფი ვერ აკონტროლებს. ფინანსური ბაზრის არასტაბილურობის გამო ისეთმა ფაქტორებმა, როგორიც არის საკრედიტო რეიტინგის გაუარესება ან სხვა უარყოფითი მოვლენა, შეიძლება გავლენა იქონიოს ფასზე ან საჭირო დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე ჯგუფის სამომავლო დავალიანებებისთვის გადახდების განსახორციელებლად.

ლიკვიდურობის რისკის მართვას ახორციელებენ ფინანსური რისკის მართვისა და ხაზინის დეპარტამენტები, მონიტორინგს კი – დირექტორთა საბჭო და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (ALCO) წინასწარ განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში.

ჯგუფის ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- დაფინანსების უზრუნველყოფა, მთლიანი ვალდებულებების და ბალანსგარეშე ფაქტიური და პირობითი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად ეკონომიკურ ფასად.
- ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნებისმიერი სტრუქტურული შეუსაბამობის აღმოჩენა და მონიტორინგის კოეფიციენტების განსაზღვრა დაფინანსების მართვის უზრუნველსაყოფად ჯგუფის დაბალანსებული ზრდის შესაბამისად; და
- ლიკვიდურობისა და დაფინანსების მუდმივი მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბიზნესის დამტკიცებული მიზნების მიღწევა ჯგუფის რისკის პროფილისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

დირექტორთა საბჭო განიხილავს ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკას, რომელიც წარედგინება რისკების კომიტეტს, შემდეგ კი მას სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს.

ლიკვიდურობის რისკი ორ ჯგუფად იყოფა: დაფინანსების ლიკვიდურობის და საბაზრო ლიკვიდურობის რისკები.

დაფინანსების ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მოსალოდნელი და მოულოდნელი მიმდინარე და სამომავლო ფულადი ნაკადების ეფექტურად დაკმაყოფილებას ოპერაციებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის გარეშე, როგორც ჩვეულებრივ, ისე - კრიზისულ პირობებში. ბანკი ლიკვიდურობის რისკს სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად აფასებს. დამატებით, საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად ჯგუფი იყენებს სტრეს-ტესტებს და „what-if“ სცენარების ანალიზს, ასევე აკონტროლებს ადგილობრივად შემუშავებულ ლიკვიდურობის რისკის სხვადასხვა პარამეტრებს.

დაფინანსების ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად, ბანკი ამჟამად აკონტროლებს Basel III-ზე დაფუძნებულ პარამეტრებს:

- მოკლევადიანი ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის, ბანკი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტს (LCR) იყენებს;
- გრძელვადიანი ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის, ბანკი იყენებს წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტს (NSFR).

2017 წელს, რისკის მართვის მიზნებისათვის, სებ-მა შემოიღო ლიკვიდურობის გადაფარვის საკუთარი კოეფიციენტი (LCR). Basel III-ის სახელმძღვანელო მითითებების გარდა, ეს კოეფიციენტი იყენებს კონსერვატიულ მიდგომებს დეპოზიტების გადინების კოეფიციენტების მიმართ, რაც დამოკიდებულია კლიენტთა ჯგუფის კონცენტრაციაზე. 2017 წლის სექტემბრიდან ჯგუფი ახორციელებს სებ-ის ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის ლიმიტების დაცვის მონიტორინგსაც. ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის მთლიანი ლიმიტის გარდა, სებ-მა ასევე განსაზღვრა ლიმიტები ვალუტების მიხედვით - ლარსა და უცხოურ ვალუტაში. ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი გამოითვლება მაღალლიკვიდური აქტივების გაყოფით 30-დღიანი წმინდა ფულადი სახსრების გადინებაზე. ის გამოიყენება მოკლევადიანი ლიკვიდურობის რისკების მართვისთვის. საქართველოში ლარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სებ-ი განსაზღვრავს დაბალ ლიმიტს ლარში ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტისთვის (LCR) უცხოური ვალუტის ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტთან შედარებით. 2019 წლის ოქტომბრიდან უცხოური ვალუტის სავალდებულო რეზერვი განისაზღვრა 100%-ით მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფარგლებში სებ-ის ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის მიზნებისთვის. იმავე პერიოდში სებ-მა 30%-დან 25-%-მდე შეამცირა უცხოურ ვალუტაში სავალდებულო რეზერვის მოთხოვნები. 2021 წლის ივნისის შემდეგ სებ-ის რეგულაცია უცხოურ ვალუტაში სავალდებულო რეზერვის მოთხოვნის თაობაზე კიდევ შეიცვალა და მასში აისახა უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების შემცირებული წილი მთლიან დეპოზიტებში. უცხოურ ვალუტაში სავალდებულო რეზერვის მოთხოვნა 1%-ით შემცირდება მთლიან დეპოზიტებში უცხოური ვალუტის წილში ყოველ 2%-იან კლებაზე. ინიციატივას დადებითი ეფექტი ექნება ბანკის საზედამხედველო კაპიტალის პოზიციაზე.

2019 წლის სექტემბრის თვეში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შემოიღო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი („სებ-ის NSFR“) ლიკვიდურობის რისკის მართვის დაფინანსების მიზნებისთვის. NSFR გამოითვლება ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსების სტაბილური დაფინანსების საჭიროებაზე გაყოფით. ის გამოიყენება გრძელვადიანი ლიკვიდურობის რისკის მართვისათვის უფრო ხანგრძლივ პერიოდში მდგრადობის ხელშეწყობისთვის დამატებითი მოტივაციის შესაქმნელად, რათა ბანკი უფრო მეტად დაეყრდნოს დაფინანსების სტაბილურ წყაროს ყოველთვიურად ბანკი აკონტროლებს დადგენილ ზღვართან შესაბამისობას სებ-ის NSFR-თან დაკავშირებით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კოეფიციენტები მნიშვნელოვნად აღემატებოდა სებ-ის მიერ დადგენილ გონივრულ ზღვარს, შემდეგი სახით:

	31-დეკ-21	31-დეკ-20	31-დეკ-19
მინიმალური წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ	*100%*	*100%*	*100%*
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ	127.3%	126.0%	126.7%
მინიმალური მთლიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ	*100.0%*	*100.0%*	*100.0%*
მინიმალური ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) ლარში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	*75%*	*n/a*	*75.0%*
მინიმალური ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) უცხოურ ვალუტაში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	*100.0%*	*100.0%*	*100.0%*
სულ ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ	115.8%	134.2%	110.1%
ილკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) ლარში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	107.7%	132.2%	83.7%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) უცხოურ ვალუტაში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	120.8%	134.9%	128.4%

ბაზრის ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ სუსტი საბაზრო ლიკვიდურობის მდგომარეობის ან ბაზარზე შექმნილი პრობლემების გამო ჯგუფი ვერ უზრუნველყოფს გარკვეული პოზიციების დაბალანსებას საბაზრო ფასებით.

საბაზრო ლიკვიდურობის რისკის სამართავად, ჯგუფი Basel III-ის სახელმძღვანელო მითითებებს ემყარება მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივის კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს მისი რეალიზაცია ღირებულების მინიმალური დანაკარგებით, ფასის მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე. ამასთან, ჯგუფს აქვს ლიკვიდურობის ალტერნატიული გეგმა, რომელიც ლიკვიდურობის მართვის მთლიანი გონივრული პოლიტიკის ნაწილია. გეგმა მიზნად ისახავს ჯგუფის მიერ დაფინანსებისა და ლიკვიდურობის მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველყოფას და მისი ძირითადი ბიზნეს ოპერაციების შეუფერხებლად შესრულებას ლიკვიდურობის გაუარესების პირობებში, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის ფარგლებს გარეთ.

დაფინანსება და დაფარვის ვადის ანალიზი

ჯგუფის ლიკვიდურობის ძირითად წყაროს წარმოადგენს დეპოზიტები და ანგარიშები, ადგილობრივი და საერთაშორისო ბანკებიდან და საფინანსო ინსტიტუტებიდან ნასესხები თანხები, სუბორდინირებული სესხები ინვესტორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, ადგილობრივ ბანკთაშორისი მოკლევადიანი დეპოზიტები და სესხები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვისგან მიღებული ამონაგები, სესხების ძირითადი თანხის გადახდები, საპროცენტო შემოსავალი და საკომისიო შემოსავალი

სამეთვალყურეო საბჭოს ხედვით, ერთ-ერთი, რაც ჯგუფს გამოარჩევს, არის მძლავრი და დივერსიფიცირებული დაფინანსების სტრუქტურა. ჯგუფი ძირითადად იზიდავს შედარებით სტაბილურ დეპოზიტებს საქართველოდან, როგორც დაფინანსების უმთავრეს წყაროს. ჯგუფი ასევე მონიტორინგს უწევს მსხვილი დეპოზიტების კონცენტრაციას და განსაზღვრავს ლიმიტებს არარეზიდენტი დეპოზიტების წილზე მთლიან სადეპოზიტო პორტფელში.

თავისი ვალდებულების სტრუქტურის შენარჩუნებისა და შემდგომი გაძლიერებისთვის, ჯგუფი ადგენს მიზნობრივ ნიშნულებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის ინვესტორებისგან მიღებული სახსრებისა და დეპოზიტებისთვის დასაშვები რისკის დონის შესაბამისი კოეფიციენტების გამოყენებით. გრძელვადიანი ლიკვიდურობის და IFI დაფინანსების კოეფიციენტი (განსაზღვრულია, როგორც წმინდა სესხების საერთო ღირებულება, გაყოფილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სახსრების და დეპოზიტების საერთო ღირებულების ჯამზე) შეადგენდა 101.3%, 100.7% და 104.3% შესაბამისად 2021, 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

ხელმძღვანელობის აზრით, მომხმარებლების ანგარიშების მნიშვნელოვანი მოთხოვნადი ნაწილის მიუხედავად, ამ დეპოზიტების დივერსიფიკაცია დეპოზიტარების რაოდენობის და ტიპის მიხედვით, ჯგუფის განვლილ გამოცდილებასთან ერთად იმაზე მეტყველებს, რომ კლიენტთა ეს ანგარიშები ჯგუფისთვის გრძელვადიან და სტაბილურ დაფინანსების წყაროს წარმოადგენს. გარდა ამისა, ჯგუფის ლიკვიდურობის რისკის მართვა მოიცავს მისი მიმდინარე დეპოზიტების ვადიანობის შეფასებას.

შეფასება ეფუძნება კლიენტთა ანგარიშზე ნაშთების ცვალებადობასთან დაკავშირებული განვლილი ინფორმაციის სტატისტიკურ მეთოდებს.

საბაზრო რისკი

ჯგუფის ბალანსური და გარებალანსური პოზიციის მიხედვით, საბაზრო რისკი არის საბაზრო ფასის ცვლილებით გამოწვეული ზარალის რისკი, რაც შეესაბამება Basel-ის კომიტეტის განსაზღვრებას. აღნიშნული რისკები მეტწილად წარმოადგენს (ა) რისკებს, რომელიც წარმოიქმნება საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებულ ინსტრუმენტების ან კაპიტალის „სავაჭრო პორტფელში“ (სავაჭროდ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტები ან საქონელი) ასახვის შედეგად, და (ბ) სავალუტო კურსის რისკს და სასაქონლო რისკს ჯგუფის მასშტაბით.

ჯგუფის სტრატეგიაა, არ მიიღოს მონაწილეობა ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობაში ან სასაქონლო ინვესტიციებში. შესაბამისად, ჯგუფის ერთადერთი საბაზრო რისკი არის სავალუტო რისკი თავის „სტრუქტურულ წიგნში“, რომელიც უკავშირდება რეგულარულ საბანკო საქმიანობას და არ ითვალისწინებს სავაჭრო, საარბიტრაჟო ან სპეკულაციურ განზრახვას.

სავალუტო რისკი

საქართველოს ეროვნული ბანკი მოითხოვს ბანკის მიერ საბალანსო მუხლებისა და მთლიანი ბალანსის (ბალანსგარეშე პოზიციების ჩათვლით) ღია სავალუტო პოზიციების მონიტორინგს და ასევე ღია სავალუტო პოზიციების შენარჩუნებას ბანკის საწესდებო კაპიტალის 20%-ის ფარგლებში. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ბანკი ინარჩუნებდა ღია სავალუტო პოზიციების აგრეგირებულ ნაშთს 0.5%-ის ოდენობით.

ამასთან, სამეთვალყურეო საბჭო დამატებით შეზღუდვებს აწესებს ღია სავალუტო პოზიციებზე. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტმა (ALCO) დააწესა რისკის ლიმიტები ვალუტების მიხედვით და აგრეგირებული პოზიციისათვის, რომლებიც უფრო კონსერვატიულია, ვიდრე სებ-ის და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დაწესებული შეზღუდვები. ხაზინისა და ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტების ხელმძღვანელები ცალ-ცალკე ყოველდღიურად ახორციელებენ ბანკის ზემოაღნიშნულ შეზღუდვებთან შესაბამისობის მონიტორინგს.

აღნიშნულ ზღვრებთან შესაბამისობის შესახებ ყოველდღიური ანგარიში წარედგინება აგრეთვე დირექტორთა საბჭოს, ხოლო პერიოდულად – სამეთვალყურეო საბჭოს და რისკების კომიტეტს. ჯგუფის დონეზე სავალუტო რისკის მონიტორინგი და მასთან დაკავშირებული ანგარიშგება ყოველთვიურად ხდება. სავალუტო რისკის შესაფასებლად ბანკი ახორციელებს რისკის ეკონომიკური ღირებულების ანალიზი (VAR) მგრძნობელობის ანალიზს კვარტალურ საფუძველზე. ეს ანალიზი ანგარიშობს ჯგუფის შემოსავალზე ქართული ლარის კურსის მიმართ სავალუტო კურსების შესაძლო ყველაზე ცუდ ცვლილებას, ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებლის მუდმივობის პირობებში. 2021, 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში, მგრძნობელობის ანალიზს არ გამოუვლენია რამე მნიშვნელოვანი პოტენციური გავლენა ჯგუფის საკუთარ კაპიტალზე:

ათას ლარში	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობი	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მაქსიმალური ზარალი (რისკის ეკონომიკური ღირებულების ანალიზი (VAR), 99%-იანი სანდოობის დონე)	(1,496)	(1,806)	(1,234)
მაქსიმალური ზარალი (რისკის ეკონომიკური ღირებულების ანალიზი (VAR), 95%-იანი სანდოობის დონე)	**(1,030)**	**(1,315)**	**(852)**

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის პოტენციური ცვლილებებისგან, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე. ეს რისკი შეიძლება წარმოიქმნას აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობას შორის განსხვავებით, ასევე მათი გადაფასების შედეგად. ჯგუფში განთავსებული დეპოზიტების უმეტესი ნაწილი და ჯგუფის მიერ შეთავაზებული სესხების ნაწილი გაცემულია

ფიქსირებული პროცენტით, ხოლო ჯგუფის მიერ მოზიდული ნასესხები სახსრების უმეტესობა მიბმულია ცვალებად საპროცენტო განაკვეთზე. ჯგუფის მიერ მოზიდული ცვლად პროცენტიანი სესხების ნაწილი ჰეჯირებულია, რადგან სებ-ი იხდის ცვალებად საპროცენტო განაკვეთს ბანკის განთავსებულ მინიმალურ რეზერვებზე. ამასთანავე, თიბისი ბანკის მიერ მომხმარებლებზე გაცემული მრავალი სესხი შეიცავს ჩანაწერს, რომელიც ბანკს აძლევს საპროცენტო განაკვეთის გადახედვის უფლებას, საპროცენტო განაკვეთების უარყოფითი ცვლილებების შემთხვევაში, რაც ქმნის საპროცენტო რისკის შემცირების შესაძლებლობას.

ბანკის ხელმძღვანელობის ხედვით, ბანკის საპროცენტო განაკვეთის მარჟები უზრუნველყოფენ ასევე გონივრულ რეზერვს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო უარყოფითი ცვლილების გავლენის შესამცირებლად. ბანკი ასევე იყენებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირების ინსტრუმენტებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მიტიგაციის მიზნით.

ჯგუფი საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისათვის იყენებს თანამედროვე ჩარჩოს, შესაბამისი დასაშვები რისკის დონის ლიმიტების დადგენით, მათთან შესაბამისობის მონიტორინგით და პროგნოზების მომზადებით.

რისკის წარმოშობის წყაროების გათვალისწინებით, ჯგუფი ოთხი სახის საპროცენტო განაკვეთის რისკს აფასებს: (i) გადაფასების რისკი; (ii) მომგებიანობის მრუდის რისკი; (iii) საბაზისო რისკი და (iv) არჩევითობის (თანამდევი ოფციონის) რისკი.

ერთი წლის მომგებიანობასა და კომპანიის ღირებულებაზე გავლენის გასაანგარიშებლად, ჯგუფი განიხილავს უამრავ სტრეს-სცენარს, მათ შორის – მომგებიანობის მრუდის სხვადასხვა ცვლილებას და ფულადი ნაკადების ქცევით კორექტირებებს (როგორიც არის დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანა ან სესხის წინასწარი დაფარვა). შესაბამისი ზღვრები განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დასაშვები რისკის დონის ჩარჩოს მიხედვით.

კონტრაჰენტის რისკი

ისეთი საბანკო მომსახურების გაწევისას, როგორიც არის ბანკთაშორის ბაზარზე სესხის გაცემა, ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ტრანზაქციის განხორციელება, ბანკთაშორისი ტრანზაქციის შესრულება ვაჭრობის ფინანსირების მიზნით ან ფასიან ქაღალდებში ინვესტირება, კონტრაჰენტი ბანკის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკი დგება შესაძლო დანაკარგის რისკის წინაშე.

კონტრაჰენტის რისკის მართვის მიზნით, ბანკი განსაზღვრავს ლიმიტებს როგორც ინდივიდუალური კონტრაჰენტისთვის, ასევე პორტფელის დონეზე, რაც ზღუდავს ზარალის რისკს როგორც სახაზინო, ისე - ვაჭრობის დაფინანსების თვალსაზრისით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ბანკთაშორისი პორტფელი კონცენტრირებული იყო სარეიტინგო კომპანიების „Fitch“, „Moody's“ და „Standard & Poor's“-ის მიერ მინიჭებული მაღალი - „A“ საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებზე.

კაპიტალის რისკის მართვა

კაპიტალის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს შესაძლოა არ ჰქონდეს კაპიტალის საკმარისი დონე საქმიანობების წარმოებისთვის და კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის ჩვეულებრივ ან სტრესულ სამუშაო გარემოში. ხელმძღვანელობის მიზანია, კაპიტალის მართვის თვალსაზრისით, შეინარჩუნოს კაპიტალის შესაბამისი დონე ბიზნეს სტრატეგიის მხარდასაჭერად, საზედამხედველო და სტრეს-ტესტებთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასევე ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ მუშაობის გაგრძელების უნარის დასაცავად. ჯგუფი ატარებს სტრეს-ტესტებს და სენსიტიურობის ანალიზს, რათა მოახდინოს დამატებითი კაპიტალის მოხმარების რაოდენობის განსაზღვრა სხვადასხვა სცენარების შემთხვევაში. ბანკის ხელმძღვანელობის ჩართულობით, აქტიურად ხორციელდება კაპიტალის პროგნოზების, ასევე სტრეს-ტესტების და სხვადასხვა შესაძლო სცენარების შედეგების მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას კაპიტალის გონივრული მართვა და, საჭიროების შემთხვევაში, დროული ღონისძიებების გატარება. 2021 წელს ჯგუფმა და ბანკმა დააკმაყოფილეს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები.

2017 წელს სებ-მა განახორციელა ცვლილებები რეგულაციაში კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით. ცვლილებები მოიცავდა კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით შესწორებებს რეგულაციაში და ახალი მოთხოვნების შემოღებას (i) კომერციული ბანკებისთვის პილარ 2-ის ფარგლებში დამატებითი კაპიტალის ბუფერის მოთხოვნების განსაზღვრის, (ii) კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის განსაზღვრის და (iii) სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების იდენტიფიცირების და განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული ცვლილებების მიზანია ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესება და უკეთესი შესაბამისობის მიღწევა Basel III-ის ჩარჩოსთან.

პილარ 1-ის მინიმალური მოთხოვნები, კომბინირებულ ბუფერულ მოთხოვნებთან ერთად. საქართველოში კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების ცვლილებამ პილარ 1-ის მინიმალური მოთხოვნები შესადარისი გახადა საბანკო საქმიანობის ზედამხედველობის Basel-ის კომიტეტის მიერ განსაზღვრულ სისტემასთან. ეს ცვლილებები მოიცავს:

- 2.5% კონსერვაციის ბუფერის გამოყოფა, რომელიც ადრე მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებთან გაერთიანდა. განახლებული მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებია 4.5%, 6.0% და 8.0% ძირითადი პირველადი კაპიტალისთვის, პირველადი კაპიტალისთვის და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალისთვის (შესაბამისად); და
- მოთხოვნების დანერგვა, რომ ბანკი ფლობდეს დამატებით კომბინირებულ ბუფერს ძირითად პირველად კაპიტალში, რომელიც შედგება კონსერვაციის, კონტრციკლური და სისტემური ბუფერებისგან.

კონსერვაციის ბუფერის განაკვეთად განისაზღვრა რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციების 2.5%, ხოლო კონტრციკლური ბუფერის განაკვეთად - 0%. კონტრციკლური ბუფერი შეიძლება დაწესდეს რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 0%-დან 2.5%-ის შუალედის ფარგლებში, უპირატესი ფინანსური და მაკროეკონომიკური გარემოს საფუძველზე. გარდა ამისა, სებ-მა განსაზღვრა საქართველოში სამი კომერციული ბანკი, როგორც ადგილობრივი სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკები („DSIB“), სისტემურად მნიშვნელოვანი კომერციული ბანკებისათვის მოხდა სისტემურობის ბუფერის შემოღება, რაც ნიშნავს, იმას, რომ ამ ბანკებს („DSIB“) მოუწევთ უფრო მეტი ძირითადი პირველადი კაპიტალის გადადება, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისთვის. ამ მოთხოვნების განხორციელებისთვის განისაზღვრა პერიოდი 2018 წლის ბოლოდან 2021 წლის ბოლომდე. კერძოდ სებ-ის მიერ განისაზღვრა ქვემოთ წარმოდგენილი სისტემური ბუფერები და შესაბამისობაში მოყვანის ვადები: 1.0% - 2018 წლის 31 დეკემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, 1.5% - 2019 წლის 31 დეკემბრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, 2.0% - 2020 წლის 31 დეკემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის და 2.5% - 2021 წლის 31 დეკემბრის შემდგომი პერიოდებისთვის.

პილარ 2-ის მოთხოვნები. Basel III-ის შესაბამისად, სებ-მა დანერგა კაპიტალის ბუფერის დამატებით მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის პილარ 2-ის ფარგლებში, რომლებიც ეფუძნება საზედამხედველო შემოწმებას და შეფასებას და ეხება ბანკისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლებიც არ არის საკმარისად გათვალისწინებული პილარ 1-ში, მათ შორის არაჰეჯირებული ვალუტის შედეგად საკრედიტო რისკის ბუფერი და წმინდა საერთო რისკის შეფასების პროგრამის (GRAPE) წმინდა ბუფერი.

სებ-მა ასევე შემოიღო საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი და წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი. საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი ძალაში 2018 წლის 1 აპრილიდან შევიდა და წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერის საჭიროება შეფასდება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სტრეს-ტესტების შედეგების საფუძველზე. წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი მოქმედებდა 2020 წლის 1 ოქტომბრიდან. დღეს ის 0%-ით არის განსაზღვრული. სებ-ის რეგულაციის შესაბამისად, პილარ 2-ის ფარგლებში მოთხოვნილი კაპიტალის 56% დაცული უნდა იყოს ძირითად პირველად კაპიტალში, ხოლო კაპიტალის 75% - პირველად კაპიტალში და კაპიტალის 100% საერთო საზედამხედველო კაპიტალში.

დროებითი ზომები

კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული უარყოფითი გავლენის შერბილების მიზნით, 2020 წლის მარტში სებ-მა შეიმუშავა კონკრეტული კონტრციკლური ღონისძიებები, კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან, მათ შორის პილარ-2-ის ბუფერების ეტაპობრივი გრაფიკის გადავადების ჩათვლით. სებ-ის მიერ 2020 წლის ოქტომბერში შედგენილი ახალი გრაფიკის შესაბამისად, კონცენტრაციის რისკის და წმინდა „GRAPE“ ბუფერის ეტაპები გაგრძელდება 2021 წლის მარტიდან და სრულად დაინერგება 2023 წლის მარტის ბოლომდე.

2021 წლის ივნისის თვეში სებ-მა გამოაქვეყნა მისი გადაწყვეტილება არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის (CICR) და კონსერვაციის ბუფერის აღდგენის თაობაზე. ბანკებს მოეთხოვებათ CICR ბუფერის სრულად აღდგენა 2022 წლის ბოლომდე, ხოლო კონსერვაციის ბუფერის აღდგენა - 2023 წლის ბოლომდე. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, თიბისი ბანკი სრულად აკმაყოფილებდა მთლიანად აღდგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მან სებ-ს დაუდასტურა, რომ ის სრულად აღადგენდა დროებით გაუქმებულ კაპიტალის ბუფერებს 2021 წლის ივლისისთვის, რომელიც აუქმებდა კაპიტალის განაწილებასთან დაკავშირებულ მარეგულირებელ შეზღუდვებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები და სებ-ის მიერ დადგენილი მინიმალური მოთხოვნები:

ათას ლარში	2021	2020	2019
ძირითადი პირველადი კაპიტალი	2,759,894	1,911,233	1,871,892
პირველადი კაპიტალი	3,379,414	2,385,181	2,281,706
მეორადი კაპიტალი	723,513	752,731	692,323
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი	**4,102,927**	**3,137,912**	**2,974,029**
რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები			
საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	18,091,753	16,322,524	13,825,677
საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	21,981	106,379	15,429
საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	2,103,895	1,872,574	1,749,821
სულ რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	**20,217,629**	**18,301,477**	**15,590,927**
მინიმალური ძირითადი პირველადი კაპიტალის კოე ფიციენტის მოთხოვნა	*11.73%*	*7.40%*	*10.40%*
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	13.65%	10.40%	12.00%
მინიმალური პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის მოთხოვნა	13.99%	9.20%	12.50%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	16.72%	13.00%	14.60%
მინიმალური მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტის მოთხოვნა	*18.38%*	*13.70%*	*17.50%*
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	20.29%	17.10%	19.10%

არაფინანსური რისკის მართვა

საოპერაციო რისკის მართვა

ჯგუფის წინაშე არსებული რისკებიდან ერთ-ერთი მთავარია საოპერაციო რისკი, რომელიც არის შიდა და გარე თაღლითობის შემთხვევების, გაუმართავი პროცესების ან პროდუქტების, ბიზნესის შეფერხებისდა სისტემის გაუმართაობის, ადამიანური შეცდომების ან აქტივების ზიანის შედეგად ზარალის მიღების რისკი. საოპერაციო რისკი ასევე გულისხმობს იურიდიული, რეპუტაციული, შესაბამისობის ან კიბერუსაფრთხოების რისკებით გამოწვეულ ზარალს.

ჯგუფს ახასიათებს სხვადასხვა სახის სახის საოპერაციო რისკები, მათ შორის: თაღლითობა და სხვა შიდა თუ გარე კრიმინალური ქმედებები; პროცესების, კონტროლის ან პროცედურების დარღვევა; სისტემების შეფერხებები ან გარე მხარისაგან კიბერ შეტევები ჯგუფის კლიენტებისათვის მომსახურების ან დამხმარე ინფრასტრუქტურის ხელმიუწვდომლობის მიზნით, რაც, თავის მხრივ, საფრთხის ქვეშ აყენებს ჯგუფის, მისი კლიენტების, პარტნიორების ან მომხმარებლების დაცულ ინფორმაციას და ფინანსურ ოპერაციებს.

გარდა ამისა, ჯგუფს ახასიათებს ისეთი რისკები, რომლებიც იწვევენ კრიტიკული ფუნქციების მქონე სისტემების ან ბიზნესის შეფერხებას ისეთი მოვლენების შედეგად, რომლებიც მის კონტროლს საერთოდ ან ნაწილობრივ არ ექვემდებარება. ამგვარი მოვლენებია: ბუნებრივი კატასტროფები, სატრანსპორტო ან კომუნალური მომსახურების შეფერხება და სხვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ზარალი ან მომხმარებელთა მომსახურების შენელება ან წყვეტა და/ან ეკონომიკური ზარალი ჯგუფისთვის.

ზემოთ განხილული საოპერაციო რისკები ვრცელდება ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც ჯგუფი მომსახურებას მესამე პირებისგან იღებს. სწრაფად ცვალებადი გარემოს, ასევე საბანკო მომსახურების და პოტენციურ თაღლითობათა სირთულის გათვალისწინებით, იზრდება პროცესების, კონტროლის, პროცედურებისა და სისტემების მუდმივად გაუმჯობესების მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული რისკი ან შემცირდეს ჯგუფის მიერ ზარალის მიღების რისკი.

საოპერაციო რისკის გადახედვისა და შერბილების მიზნით, ჯგუფში შექმნილია საოპერაციო რისკის მართვის ჩარჩო, რომელშიც მოცემულია ეფექტური საოპერაციო რისკის მართვის ზოგადი პრინციპები, განმარტებულია პროცესში მონაწილე მხარეების ფუნქციები და პასუხისმგებლობები. ამ ჩარჩოს შემადგენელი ნაწილია პოლიტიკები და პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია

საოპერაციო რისკების ეფექტური მართვა. დირექტორთა საბჭო უზრუნველყოფს მძლავრი შიდა კონტროლის კულტურის ჩამოყალიბებას ჯგუფში, სადაც კონტროლის ღონისძიებები ოპერაციების შემადგენელი ნაწილია. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს საოპერაციო რისკის დასაშვებ დონეს, ხოლო საოპერაციო რისკების კომიტეტი ახორციელებს ამ ზღვრებთან შესაბამისობის ზედამხედველობას. საოპერაციო რისკების კომიტეტი რეგულარულად განიხილავს ჯგუფის საოპერაციო რისკის პროფილს და რისკის მინიმუმამდე შემცირების რეკომენდაციებს.

საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი ასრულებს მეორე დონის დაცვის ფუნქციას. იგი პასუხისმგებელია ზემოთ აღნიშნული ჩარჩოს, სათანადო პოლიტიკებისა და პროცედურების განხორციელებაზე, ჯგუფის მიერ საოპერაციო რისკების მართვის უზრუნველსაყოფად. დეპარტამენტი ასევე პასუხისმგებელია საოპერაციო რისკის მქონე მოვლენების, რისკის დასაშვები დონისა და კონტროლის გარემოში არსებითი სისუსტეების მონიტორინგზე. აღნიშნული დეპარტამენტი აგრეთვე პასუხისმგებელია საოპერაციო რისკების ყოველდღიურ მართვაზე სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით. აღნიშნული მოიცავს შემდეგს და არა მხოლოდ:

- რისკისა და კონტროლის თვითშეფასების მექანიზმის (RCSA) მართვა, რომლის მიზანია ოპერაციებსა და პროცესებში შესაძლო ნაკლოვანებების აღმოჩენა სათანადო პრევენციული ღონისძიებების შესათავაზებელად;
- რეალიზებული რისკების შემთხვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და სიღრმისეული ანალიზის ჩატარება, მომავალში მათი მიტიგაციისთვის;
- საოპერაციო რისკების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა შემდგომი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზისათვის;
- შიდა თაღლითობის შემთხვევების ანალიზი და ძირითადი რისკის მაჩვენებლების მონიტორინგი;
- ახალი რისკების შეფასება და ახალი პროდუქტების, პროცედურებისა და მომსახურების დაწყების ვალიდაცია;
- ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა არასტანდარტულ შემთხვევებში;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) ინციდენტების წარმოშობის მონიტორინგი და იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის ზედამხედველობა; და
- სადაზღვევო პოლისების შეძენა საოპერაციო რისკის შემცველი მოვლენებიდან ზარალის რისკის გადასაცემად.

საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტმა გააძლიერა შიდა კონტროლის რისკის შეფასების მეთოდოლოგია, არსებული კონტროლის გარემოს გასაუმჯობესებლად. საოპერაციო რისკების მართვის იგივე იგივე მექანიზმები და მეთოდოლოგია ვრცელდება ჯგუფის წევრ კომპანიებში,რათა მოხდეს საოპერაციო რისკის მართვის პროცესების გაერთგვაროვნებასაოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია რისკების მართვის დირექტორის წინაშე. საოპერაციო რისკების კონტროლისა და შემსუბუქების მიზნით დანერგილია სხვადასხვა პოლიტიკები, პროცესები და პროცედურები, მათ შორის:

- რისკების შეფასების ახალი პოლიტიკა, რომელიც რისკების დეტალური შეფასების საშუალებას იძლევა ახალი პროდუქტების, მომსახურებების ან პროცედურების დანერგვამდე;
- აუთოსრინგული მომსახურებების (მესამე მხარის) რისკის შეფასების პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს შეფასდეს ისეთი რისკები, რაც შესაძლო წარმოიშვას: ომწოდებლის არასათანადო შერჩევის შედეგად, მომწოდებლის და/ან მის მიერ მოწოდებული მომსახურების არასაკმარისი კონტროლისა და ზედამხედველობის, ასევე მომწოდებლის სხვა გავლენების გამო;
- რისკებისა და კონტროლის თვითშეფასების მექანიზმის (RCSA) პოლიტიკა, რომელიც საშუალებას იძლევა განუწყვეტლივ შეფასდეს არსებული და პოტენციური რისკები, ჩამოყალიბდეს რისკის მიტიგაციის სტრატეგია და სისტემატურად მოხდეს რისკის შემცირების გეგმის პროგრესის მონიტორინგი. ამ გეგმების შესრულება ასევე შესაბამისი მენეჯერების შესრულების მნიშვნელოვან ინდიკატორების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს;
- საოპერაციო რისკების შემთხვევების იდენტიფიცირების პოლიტიკა, რომელიც ჯგუფს საოპერაციო რისკის მოვლენებზე სწრაფი ანგარიშგების, ამგვარი მოვლენების სისტემური დეტალური ანალიზის ჩატარების და პრევენციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას აძლევს; და
- საოპერაციო რისკის ცნობადის პროგრამის შემუშავება ბანკის თანამშრომლებისათვის და ტრენინგების რეგულარულად ჩატარება ბანკის შიდა რისკების კულტურის კიდევ უფრო გასაძლიერებლად.

საანგარიშო პერიოდში საოპერაციო რისკების მართვის ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო რისკებისა და კონტროლის თვითშეფასების მექანიზმზე (RCSA), რომლის ფარგლებშიც მოხდა ბანკის ყველაზე პრიორიტეტული პროცესების გადახედვა და გაუმჯობესების სფეროების განსაზღვრა.

საოპერაციო რისკის მართვის ჩარჩო და მისი დამატებითი პოლიტიკა განახლდა საოპერაციო რისკის მართვის პროგრამის ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. გარდა ამისა, ბანკი შეიმუშავა შიდა საბანკო საოპერაციო რისკების რეესტრი.

შესაბამისობა

დაცვის პირველი ხაზი პასუხს აგებს შესაბამისობის რისკზე, რომელსაც აქვს შესაბამისობის დეპარტამენტის, როგორც დაცვის მეორე ხაზის ძლიერი მხარდაჭერა. შესაბამისობის რისკების მართვის განყოფილების უფროსი კვარტალურად აბარებს ანგარიშს რისკის კომიტეტს და დისციპლინარული ხასიათის ანგარიშს წარუდგენს გენერალურ დირექტორს. ბანკის შესაბამისობის პროგრამა მოიცავს შესაბამისობასთან დაკავშირებულ პოლიტიკებს, ტრენინგებს, რისკების მიმოხილვას და ის მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკს მართავს:

- კანონებსა და რეგულაციებში მოქმედი ცვლილებების პროცესებზე პასუხისმგებელი პირების მიერ დროულად განხორციელების უზრუნველყოფით;
- მონაწილეობის მიღებით ახალი პროდუქტის/პროცესის დამტკიცების პროცესში;
- მომხმარებელთა პრეტენზიების გამომწვევი მიზეზების, საოპერაციო რისკის მოვლენების მონაცემთა ბაზის, შიდა აუდიტის მიერ აღმოჩენილი ფაქტებისა და სასამართლო საქმეების ანალიზი პროცესის სუსტი მხარეების პროაქტიურად გამოვლენის გზით; და
- შიდა პროცესების წლიური RCSA-ის ჩატარებით.

ზემოაღნიშნული ანალიზის და პროცესების შედეგების საფუძველზე, შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს ცვლილებებს შიდა ინსტრუქციებში ან გასცემს რეკომენდაციებს ბანკის სტრუქტურულ ერთეულებს შესაბამისი პროცესების ცვლილებების შესახებ.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა (AML)

ჯგუფის მიზანია მისი მომხმარებლების, აქციონერების და საზოგადოების დაცვა ფინანსური დანაშაულისგან და შედეგად მიღებული საფრთხეებისგან. ჯგუფი მოწოდებულია ფინანსურ დანაშაულთან დაკავშირებით ევროკავშირში, გაერთიანებულ სამეფოში და საქართველოში მოქმედ კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობაზე. ის ასევე აკმაყოფილებს შესაბამისი ინდუსტრიის საუკეთესო სტანდარტებს. ჯგუფმა დანერგა შიდა პოლიტიკები, პროცედურები და დეტალური ინსტრუქციები, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ თავიდან იქნას აცილებული მისი გამოყენება ან ჩარევა ფულის გათეთრებაში, ტერორიზმის დაფინანსებაში ან სხვა უკანონო საქმიანობაში, როგორებიც არის მექრთამეობა, კორუფცია ან გადასახადებისგან თავის არიდება. ჯგუფის მიერ განხორციელებული AML/CTF შესაბამისობის პროგრამა მოიცავს წერილობით პოლიტიკას, პროცედურებს, შიდა კონტროლს და სისტემებს, მათ შორის, შეუზღუდავად: პოლიტიკას და პროცედურებს AML კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის; „იცნობდე შენს კლიენტს“ (KYC) და მომხმარებლის კომპლექსური შემოწმების პროცედურებს; მომხმარებლის შემოწმებას ტერორისტების და განსაკუთრებული კატეგორიის და აკრძალულ პირთა ჩამონათვალის მიხედვით; ფინანსური და სხვა სანქციების ჩამონათვალს, პერსონალის რეგულარულ ტრენინგს და ცნობადობის ამაღლებას; და ბანკის მომხმარებლების საეჭვო საქმიანობების მონიტორინგის და ანგარიშგების პროცედურებს.

დაცვის მეორე ხაზის ფარგლებში, AML განყოფილება უზრუნველყოფს რისკების მართვას ჯგუფის მიერ განსაზღვრული დასაშვები რისკის დონის შესაბამისად და ხელს უწყობს რისკის ძლიერი კულტურის განვითარებას ორგანიზაციის მასშტაბით.

ჯგუფს აქვს კომპლექსური AML უზრუნველყოფა, რაც შესაძლებლობას აძლევს AML განყოფილებას დაიცვას სანქციების პოლიტიკა კლიენტების ტრანზაქციების მონიტორინგის და საეჭვო ქცევის დადგენის მიზნით. AML განყოფილება მუშაობს პროგრამული უზრუნველყოფის მუდმივ გაუმჯობესებაზე საოპერაციო ეფექტურობის გაზრდის და ცრუ დამთხვევების რაოდენობის შემცირების მიზნით.

ბანკი AML რისკების შეფასებას ყოველწლიურად ატარებს ორგანიზაციის შიგნით, დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მთლიანობაში, ჯგუფს შიდა ნარჩენი რისკები 2021 წლისთვის საშუალო დონით შეფასდა. შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი საქმიანობას დროული და სათანადო ფორმით ასრულებს.

2021 წელს მიმდინარე ზედამხედველობის შემადგენელი ნაწილის სახით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბანკის კომპლექსური შემოწმება ჩაატარა, რაც 2018 წლის იანვრიდან 2019 წლის ივნისამდე პერიოდს მოიცავდა. სებ-მა ბანკის შეაფასა ბანკის AML/CTF ღონისძიებები კლიენტის რისკების დონის კლასიფიკაციასთან და რისკებთან დაკავშირებული ღონისძიებებთან მიმართებით; რთული მფლობელობის სტრუქტურის მქონე საწარმოების UBO-ის (საბოლოო ბენეფიციალური მფლობელი) გამოვლენის პროცესი; ბანკის მიერ საერთაშორისო გარიგებების ცნობადობა; საეჭვო გარიგებების და სხვა პროცესების დაფიქსირება. სებ-ის მიერ ამ პროცესების შეფასება ადეკვატური ან მეტწილად ადეკვატური და ეფექტური იყო. ამ დასკვნების ნაწილის სახით, სებ-მა ორი კლიენტი განსაზღვრა არასათანადოდ იდენტიფიცირებულად და გამოიყენა შესაბამისი საზედამხედველო ჯარიმა ამ ორ კლიენტთან დაკავშირებით.

ინფორმაციის უსაფრთხოება

კიბერ-შეტევებთან დაკავშირებული რისკების შემცირებისა და კლიენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ჯგუფი მუდმივად აახლებს და აუმჯობესებს უსაფრთხოების მრავალშრიან სტრატეგიას, რომელიც ფარავს სხვადასხვა პრევენციულ და დეტექციურ კონტროლის ზომებს, მონაცემებიდან და კომპიუტერული მოწყობილობიდან პერიმეტრის ფაიერვოლამდე.

ახლად შექმნილი უსაფრთხოების საოპერაციო ცენტრი, აკონტროლებს ყველა შესაძლო გადახრას, რომელიც დაფიქსირდება ორგანიზაციის ქსელში პოტენციური ინციდენტების გამოვლენის და მათზე ეფექტური რეაგირების მიზნით.

მინიმუმ წელიწადში ერთხელ ტარდება სრული ინფორმაციული უსაფრთხოების და კიბერ-უსაფრთხოების საფრთხეების ანალიზი, შესაბამისი რეგიონული და სექტორული პერსპექტივების გათვალისწინებით. ამასთან, მინიმუმ წელიწადში ერთხელ რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის კომიტეტს წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს პრეზენტაცია, ინფორმაციის უსაფრთხოების საკითხების სიღრმისეული შეფასებით. მინიმუმ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ამ ანალიზის ფარგლებში ფორმდება ხელშეკრულება დამოუკიდებელ კონსულტანტთან ჩვენი შესაძლებლობების ეფექტურობის შესაფასებლად საუკეთესო პრაქტიკების და რეალური მსოფლიო კიბერ-შეტევების სცენარების გათვალისწინებით. ეს ანალიზი ჯგუფს აძლევს დეტალურ ინფორმაციას, რომელიც ეხმარება საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოების სისტემების შემდგომ გაუმჯობესებაში. გარდა ამისა რეგულარულად ტარდება კიბერ-შეტევებისთვის მზადყოფნის სავარჯიშოები. ეს სავარჯიშოები აფასებენ ჯგუფის ფაქტობრივ მდგომარეობას მოცემულ სფეროში და წარმოადგენს ორიენტირებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებთან შესადარებლად.

შეიქმნა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია მუდმივად გააუმჯობესოს ინფორმაციის უსაფრთხოება და ბიზნესის უწყვეტობის მართვის პროცესები და მინიმუმამდე შეამციროს ინფორმაციის უსაფრთხოების რისკები. აღნიშნული კომიტეტი შეიქმნა ინფორმაციის უსაფრთხოების ფუნქციის ცენტრალიზაციისთვის, ფიზიკური უსაფრთხოების, კადრების შესახებ ინფორმაციის უსაფრთხოების, მონაცემთა უსაფრთხოების, საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოებისა და ბიზნესის უწყვეტობის მიზნით.

ჯგუფი ინვესტიციას ახორციელებს ინფორმაციის უსაფრთხოების რისკის ეფექტურ მართვაში, ინციდენტის მართვისა და ცნობიერების ამაღლების ავტომატიზებული ინსტრუმენტებით აღჭურვილ პროგრამებში, რომლებიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მასშტაბით ინფორმაციის უსაფრთხოების რისკის მისაღებ დონეს. მაშინ, როცა პრევენციული კონტროლი არ ხდება, ბიზნესის უწყვეტობისა და ინციდენტზე რეაგირების გეგმები ბიზნესის შეფერხების შემთხვევაში უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ოპერირების უწყვეტად გაგრძელების და ზარალის წარმოქმნის შეზღუდვის შესაძლებლობას. ვინაიდან თანამშრომლები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ინფორმაციის უსაფრთხოებაში, ყველა თანამშრომლისთვის ტარდება რეგულარული სავალდებულო ტრენინგ-კურსები, რომლებიც მოიცავს დისტანციურ სასწავლო კურსებს უსაფრთხოების საკითხებზე, თაღლითობის და ფიშინგის სიმულაციურ სესიებს, ასევე საინფორმაციო ელ-ფოსტებს, ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებში ჩვენი თანამშრომლებისთვის დახმარების გაწევის მიზნით. ადაპტაციის პროცესის ფარგლებში ტრენინგი ასევე უტარდებათ ახალ თანამშრომლებს. აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფს თანამშრომლების სრულ ინფორმირებას მათი პასუხისმგებლობების შესახებ და მათ მომზადებას კიბერ-საფრთხეებთან ეფექტურად გამკლავების კუთხით.

2021 წელს ბანკის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემამ მიიღო ISO 27001 სერტიფიკატი. ეს იმის დემონსტრაციაა, რომ ბანკი ეფექტურად იცავს ინფორმაციული უსაფრთხოების პრაქტიკებს მისი ინფორმაციის და საინფორმაციო სისტემების სხვადასხვა ტიპის საფრთხისგან დასაცავად. გასული სამი წლის განმავლობაში „თიბისი ბანკში“ ადგილი არ ჰქონია ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის არსებით შემთხვევას.

2021 წლის დეკემბრის თვეში „ერნსტ ენდ იანგის“ თბილისის ოფისმა ორი აუდიტი ჩაატარა - კიბერ უსაფრთხოების მართვის სტრუქტურის შეფასება და SWIFT CSCF შეფასება. შედეგად, ამ აუდიტის პროცესში კრიტიკული დასკვნები და მნიშვნელოვანი შეუსაბამობები არ გამოვლენილა. კიბერ-უსაფრთხოების მართვის საფუძვლები საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განსაზღვრა და ის ეფუძნება NIST-ის კიბერ უსაფრთხოების მართვის საფუძვლებს.

მოდელის რისკის მართვა

სებ-ის მოთხოვნების, საერთაშორისო მარეგულირებელი სახელმძღვანელო მითითებებისა და საუკეთესო პრაქტიკების მიხედვით, „თიბისი ბანკი“ განსაზღვრავს მოდელს, როგორც რაოდენობრივ მეთოდს, სისტემას ან მიდგომას, რომელიც იყენებს სტატისტიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ ან მათემატიკურ თეორიებს, ტექნიკებს და დაშვებებს შემავალი მონაცემების რაოდენობრივ მაჩვენებლებად გარდაქმნისთვის. მოდელი სამ კომპონენტს მოიცავს: შემავალი ინფორმაციის კომპონენტი, ინფორმაციის დამუშავების კომპონენტი და ანგარიშგების კომპონენტი. მოდელის რისკი განისაზღვრება, როგორც ნეგატიური შედეგების რისკი (მაგ. ფინანსური ზარალი, რეპუტაციის ზიანი და ა.შ.), რომელიც წარმოიქმნება არასწორი ან არასწორად გამოყენებული მოდელის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან.

„თიბისი ბანკის“ მოდელის რისკის მართვის (MRM) ფუნქცია ანგარიშვალდებულია უშუალოდ რისკების მართვის დირექტორთან. დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული MRM პოლიტიკა განსაზღვრავს მოდელის რისკის მართვის ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მოდელების რისკების მართვა. მოდელების რისკის მართვის ფუნქციის ორი მთავარი კომპონენტია მმართველობა და ვალიდაცია. MRM მოქმედებს, როგორც დაცვის მეორე ხაზი და ის მუდმივად ახდენს მოდელთან დაკავშირებული რისკების გამოვლენას, რაოდენობრივ შეფასებას, მინიმიზებას და მიტიგაციას თიბისი ჯგუფის ფარგლებში.

MRM-ის მმართველობითი კომპონენტი განსაზღვრავს ფუნქციებს და პასუხისმგებლობებს მოდელის მთლიანი სასიცოცხლო ციკლისთვის. ის ადგენს იმ სტანდარტებს და პროცედურებს, რომლებიც მოიცავს სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპს - დაგეგმვიდან განვითარებამდე თავდაპირველი ვალიდაციის, მოდელის გამოყენების, მონიტორინგის, მიმდინარე ვალიდაციისა და მოდელის მიმოქცევიდან ამოღების ჩათვლით. ის ასევე პასუხს აგებს მოდელის ინვენტარის მართვაზე, და მოდელის რისკის დასაშვები რისკის დონის ფარგლებში შენარჩუნებაზე.

MRM-ის ვალიდაციის კომპონენტი პასუხს აგებს შესაბამისი მოდელის ტექნიკურ და კონცეპტუალურ ვალიდაციაზე, მმართველობითი კომპონენტის ფარგლებში დადგენილი სტანდარტების და პროცედურების შესაბამისად. მოდელის თავდაპირველი და მიმდინარე ვალიდაციის პროცესში MRM იყენებს რისკებზე-დაფუძნებულ მიდგომას.

იურიდიული რისკი

ბანკის იურიდიული დეპარტამენტი მართავს ბანკის საქმიანობიდან გამომდინარე ყველა იურიდიულ და დაკავშირებულ საკითხს. თავისი მისიის შესრულების პროცესში, რომლითაც ის უზრუნველყოფს ამ საქმიანობების სრულ შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობებსა და რეგულაციებთან, იურიდიული გუნდი პროფესიონალური იურიდიული მომსახურებების ფართო სპექტრს გასწევს: ის (i) ურთიერთობს შიდა და გარე კლიენტებთან, გარე იურისტებთან, სახელმწიფო და მარეგულირებელ უწყებებთან;

(ii) გამოსცემს კომენტარებს და მოსაზრებებს; (iii) ქმნის სტანდარტული და ინდივიდუალური ხელშეკრულებების სამუშაო ვერსიებს; (iv) ამზადებს კორპორაციულ დადგენილებებს; (v) გამოსცემს მარეგულირებელ განახლებებს და (vi) წარმოადგენს ბანკს სასამართლოებში, დავების განხილვის სხვა ორგანოებში და მესამე პირების წინაშე. სხვადასხვა ცოდნის და გამოცდილების მქონე იურისტებისგან შემდგარი იურიდიული გუნდი შემდეგი განყოფილებებისგან შედგება: მარეგულირებელი და იურიდიული შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, დავების განხილვის, იურიდიული მხარდაჭერის და კორპორაციული მართვის გუნდები. თითოეული განყოფილება მისი წევრების ცოდნაზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული სამუშაოს მკაფიო და ინდივიდუალური აღწერის შესაბამისად მოქმედებს. ბანკის ეჯაილ ტრანსფორმაციის ფარგლებში, რამდენიმე იურისტი მუშაობს და/ან თანამშრომლობს კონკრეტული

კომერციული პროექტების გუნდებთან. დეპარტამენტი უზრუნველყოფს მისი ვალდებულებების ეფექტურ განხორციელებას სხვადასხვა პროცესების და პროცედურების განხორციელების გზით.

იურიდიულ დეპარტამენტს მართავს ბანკის მთავარი იურისტი. ის განსაზღვრავს ყველა იურიდიული გუნდის მნიშვნელოვან საქმიან ვალდებულებებს, ატარებს პოლიტიკებს და უზრუნველყოფს თანამშრომელთა ვალდებულებების სათანადოდ შესრულებას. მთავარი იურისტი არსებული იურიდიული რისკების, მათი მიტიგაციის სტრატეგიების და მომავალში რისკების ეფექტურად მართვის თაობაზე ანგარიშს წარუდგენს დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს და მათ შესაბამის კომიტეტებს.

მდგრადობის მართვა

მდგრადობი მართვას ხდება რისკების მართვის დადგენილი პროცესების ფარგლებში. ჩვენი ხედვის თანახმად, მდგრადი ბანკი მომგებიანი დაწესებულებაა, რომელიც ადეკვატურ, ხელმისაწვდომ და საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებებს სთავაზობს თავის კლიენტებს, მის თანამშრომლებს, მომწოდებლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით ეპყრობა და ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას. ეს არის საზოგადოებისთვის სანდო, ტექნოლოგიურად განვითარებული და ეკოლოგიურად მცოდნე ბანკი. მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები უკავშირდება ჯგუფის სხვადასხვა ფუნქციას, იქნება ეს კრედიტორი, აქტივების მმართველი, მომსახურების გამწევი, შემსყიდველი, თუ დამსაქმებელი. მდგრადობის მიმართულებით კონკრეტული ინტერესის სფეროს წარმოადგენს შესაბამისობის უზრუნველყოფასთან, ქცევასა და დიგიტალიზაციასთან დაკავშირებული რისკები, ასევე ადამიანის უფლებების დაცვის, სამუშაო პირობების უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების, ფინანსური დანაშაულის და ინფორმაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების მიმართულებით. მდგრადი განვითარების პოლიტიკები და მართვის სტრუქტურები სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტში და მართვის დომენებზეა წარმოდგენილი.

ჯგუფმა შეიმუშავა რამდენიმე თემატური პოლიტიკა და კოდექსი, რომლებიც არეგულირებენ კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხს. ისინი მოიცავს ეთიკის კოდექსს, ინციდენტების მართვის პოლიტიკას, ანტიკორუფციულ პოლიტიკას, პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკას, ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკას, მწვანე შესყიდვების რეკომენდაციებს და სხვ. 2021 წელს შეიქმნა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები კოორდინაციის დეპარტამენტი, რომელიც ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ჩარჩოს ინტეგრირებას კომპანიის საქმიანობაში.
. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია რისკების მართვის დირექტორის წინაშე. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ჩვენი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგია გვერდებზე 24-37.

ქცევის რისკი

ქცევის რისკი განმარტებულია, როგორც ობიექტური შედეგების მიწოდების რისკი მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

ჯგუფის ქცევის კოდექსი წარმოადგენს მორალურ ორიენტირს ყველა პერსონალისთვის და ადგენს მაღალ ეთიკურ სტანდარტებს, რომელიც უნდა დაიცვას თითოეულმა თანამშრომელმა.

ჯგუფის თანამშრომლები პატიოსნად და სამართლიანად ასრულებენ მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას. თანამშრომლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ბანკის ოპერაციებისადმი ნდობისა და დამაჯერებლობის შენარჩუნებაში, ასევე ისეთი ღირებულებების დაცვაში, როგორიც არის ნდობა, ერთგულება, წინდახედულება და ზრუნვა.

გარდა ამისა, ჯგუფის ხელმძღვანელობა აცნობიერებს, რომ იგი პასუხისმგებელია ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების დივერსიფიცირებული ჯგუფის წინაშე და სჭირდება წესებისა და მექანიზმების უზრუნველყოფა მომხმარებლების დასაცავად, და ინვესტორებისა და ფინანსური ბაზრების ნდობის შესანარჩუნებლად. ჯგუფის დირექტორები ნერგავენ მიდგომას „tone from the top", რაც მოიაზრებს კარგი ქცევის პრინციპებს და ამასთან დაკავშირებით აქვთ კომუნიკაცია ბანკის თანამშრომლებთან.

ქცევის რისკის მართვისას ჯგუფი სხვადასხვა დეპარტამენტს და განყოფილებას ავალებს ქცევის რისკის მართვას, შერბილებასა და კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობაში ქცევის რისკის პრევენციას ჯგუფის მასშტაბით განხორციელებულ ოპერაციებში. შესაბამისობის უზრუნველყოფისა, ადამიანური კაპიტალის და საოპერაციო რისკის დეპარტამენტები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, რათა შექმნან ქცევის რისკის მართვის გაერთიანებული ჩარჩო

და დახმარება გაუწიონ ბიზნეს განყოფილებებს და დეპარტამენტებს შემდეგი მიმართულებით:

1. პოლიტიკებისა და პროცედურების დანერგვა და მართვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი დეპარტამენტებისა და ინდივიდუალური თანამშრომლების მიერ მარეგულირებელი დებულებების, საუკეთესო პრაქტიკის, ქცევის კოდექსისა და ეთიკის კოდექსის დაცვა;
2. შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან მუდმივი თანამშრომლობა პოლიტიკების და პროცედურების ადმინისტრირებასთან და დეპარტამენტის ქცევის, მისი მენეჯერების და/ან თანამშრომლების შესახებ საჩივრების გამოძიებასთან დაკავშირებით;
3. იმის უზრუნველყოფა, რომ მომხმარებლებისათვის წინა ხაზის თანამშრომლების მიერ პროდუქტის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია იყოს ზუსტი და სრული, ეს ინფორმაცია გადაიცეს (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით) მარტივად და გასაგებად, მომხმარებლის კატეგორიის მიუხედავად;
4. კლიენტებთან ისეთი საუბრებისა და ელ. გზავნილების ჩანაწერების შენახვა, რომლებიც შეიცავენ სენსიტიურ და გაყიდვებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის ინფორმაციას ახალი კლიენტების მოზიდვის და რთული პროდუქტების შეთავაზების თაობაზე არსებული და სავარაუდო კლიენტებისათვის;
5. გაცნობითი ტრენინგის დროულად ჩატარება ახალი თანამშრომლებისთვის სათანადო ქცევის შესახებ და იმის უზრუნველყოფა, რომ ჯგუფში პერიოდულად ტრენინგების ჩატარებით ყველა თანამშრომელი იცნობდეს შესაბამისობასთან დაკავშირებულ შემუშავებულ სტანდარტებს და სიახლეებს;
6. ღია კულტურის ჩამოყალიბება, რაც წაახალისებს თანამშრომლებს, ისაუბრონ დასჯის შიშის გარეშე. კონკრეტულად ეს ნიშნავს პროცესების დანერგვას ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისა და აღმოჩენისათვის, ეთიკური წახალისებისა და ბონუსების ფორმულების შექმნას, მოტივაციებისა და დისციპლინური პრაქტიკების ჯგუფში დამკვიდრებულ რისკის მისაღებ დონესთან შესაბამისობაში მოყვანას; და
7. კვალიფიციური თანამშრომლებისა და საკმარისი შრომითი და ტექნოლოგიური რესურსების დაქირავებაში გაყიდვებისა და გაყიდვის შემდგომი ქმედებების გამოძიების, ანალიზის, განხორციელებისა და მონიტორინგისათვის. ზემოაღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ქცევის რისკის მართვა მხოლოდ რისკის მართვის ქვედანაყოფებით, მათ შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარატმენტით კი არ შემოიფარგლებოდეს, არამედ სრულად მოიცავდეს გაყიდვების დეპარტამენტებს, ამასთან სრულად მოხდეს სათანადო ქცევის ინტეგრირება მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებში.

მმართველობა

კორპორაციული მართვა

სააქციო საზოგადოება თიბისი ბანკი (შემდგომში „ბანკი“) წარმოადგენს ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტზე განთავსებული კომპანიის, TBC Bank Group PLC-ის, ძირითად შვილობილ კომპანიას. ბანკის კორპორაციული მართვა შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 26 სექტემბრის კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის (შემდგომში - „კოდექსი“) მოთხოვნებს. ამავდროულად, ბანკი აკმაყოფილებს დიდი ბრიტანეთის კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილ კორპორაციული მართვის უმაღლეს სტანდარტებს.

გარდა ამისა, ბანკს გააჩნია ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა ზუსტი და სარწმუნო ფინანსური ანგარიშგების უზრუნველყოფის მიზნით. ბანკს აქვს ანგარიშვალდებულების და უფლებამოსილების დელეგირების მკაფიო სტრუქტურა, მათ შორის, პოლიტიკები და შესაბამისი პროცედურები, რომლების მოიცავენ, როგორც ფინანსურ დაგეგმვასა და ანგარიშგებას, ასევე, ყოველთვიური მართვის ანგარიშების მომზადებას, პროექტის მართვას, ინფორმაციის დაცვას და ინფორმაციის სამართლიანი და ობიექტური გამჟღავნების მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად და წლის განმავლობაში ყველა არსებული შესაბამისი სიახლის სწორი გამჟღავნების მიზნით, წლიურ ანგარიშსა და შესაბამისი ხელმძღვანელების სხვა ანგარიშებში გამჟღავნებული ინფორმაციის მიმოხილვას.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომში - „სამეთვალყურეო საბჭო“) უზრუნველყოფს, რომ ბანკის მმართველობის სტრუქტურა იძლეოდეს ადეკვატური ზედამხედველობის და ანგარიშვალდებულების, ასევე მოვალეობების გამიჯვნის შესაძლებლობას. მმართველობის ყველა დონის ჩართვა რისკის მართვაში, უფლებამოსილების მკაფიო გამიჯვნა და ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა მმართველობის ორგანოებს შორის, ხელს შეუწყობს გამჭვირვალობას სტრატეგიული და რისკის მიზნების მიმართლებით, დადგენილი რისკის აპეტიტის, რისკის ბიუჯეტისა და რისკის მართვის დაცვას. ცენტრალიზებული ორგანიზაციის რისკების მართვის (ERM) განყოფილება უზრუნველყოფს რისკის სტრატეგიისა და რისკის აპეტიტის ეფექტურად შემუშავებას, კომუნიკაციასა და დანერგვას ჯგუფის მასშტაბით.

ბანკის მთავარი აქციონერი არის TBC Bank Group PLC , რომელიც ფლობს ბანკის აქციების 99.9%-ს. ბანკის აქციონერთა უფლებები განმარტებულია ბანკის წესდებაში (იხ. www.tbcbank.ge) და რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და „კომერციული ბანკების საქმიანობების შესახებ“ საქართველოს კანონით.

კომპანიის დირექტორთა საბჭო (შემდგომში - „PLC საბჭო“) არის ბანკში გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანო და ერთობლივად პასუხისმგებელია ჯგუფის მიზნების, კულტურის, ღირებულების და გრძელვადიანი წარმატების სტრატეგიის ხელშეწყობაზე და დაინტერესებული პირებისთვის მდგრადი ღირებულების შედეგების მიწოდებაზე. PLC საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის სტრატეგიული მიმართულების დადგენასა და კონტროლზე.

ამასთან, ბანკის საქმიანობას ასევე ზედამხედველობს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო („სამეთვალყურეო საბჭო“). გარდა ამისა, ასევე არსებობს PLC-ის საბჭოს კომიტეტების ექვივალენტური სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების სტრუქტურა.შესაბამისად, პრაქტიკულად ჯგუფის ფარგლებში ფუნქციონორებს ორი ექვივალენტური სამეთვალყურეო ორგანო, PLC-ის საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს სახით, რომლებიც ერთმანეთისგან განცალკევებულია, თუმცა ურთიერთდაკავშირებულია კომიტეტებით. შესაბამისად, სამეთვალყურო საბჭოს, PLC-ის საბჭოს და მათი შესაბამისი კომიტეტების საქმიანობა სათანადოდ არის დაბალანსებული და გამიჯნული იმის მიხედვით, შესაბამისი გადაწყვეტილება შეეხება ჯგუფს თუ მხოლოდ ბანკს. შედეგად ჯგუფის მმართელობის სტრუქტურა უზრუნველყოფს ადეკვატურ ზედამხედველობას და ანგარიშვალდებულებას, ასევე მოვალეობების მკაფიო გამიჯვნას. PLC საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის შესაბამისი კომიტეტების შემადგენლობა, არა-აღმასრულებელი წევრების თვალსაზრისით, იდენტურია ორივე დონეზე.

წინამდებარე ანგარიშის თარიღისთვის, კოდექსით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის“ განმარტების კრიტერიუმების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო შედგება რვა არა-აღმასრულებელი დამოუკიდებელი წევრისგან არნე ბერგრენი (თავმჯდომარე), ცირა კემულარია (უფროსი დამოუკიდებელი წევრი), მარია ლუიზა ჩიკონიანი,ერან კლაინი, პერ ანდერს ფასტი, ტიმიოს კირიაკოპულოსი, ნინო სუქნიძე და რაჯივ სოუნი. .

PLC საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს ოთხი ძირითადი კომიტეტი:

- რისკის კომიტეტი კონცენტრირდება კომპანიის მოსალოდნელ რისკებსა და კაპიტალის საკითხებზე.
- აუდიტის კომიტეტს ეხება გარე აუდორთან დაკავშირებული საკითხები, შიდა კონტროლი და ფინანსური ანგარიშგებები, ასევე ბაზარსა და რეგულატორთან კომუნიკაცია.
- ანაზღაურების კომიტეტი ხელმძღვანელობს ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორებიცაა, კადრების მოსაზიდად და შესანარჩუნებლად ანაზღაურების საჭირო შესაბამის დონეს და მის ბალანსს კომპანიისა და ბანკის დაინტერესებული მხარეებისთვის მისაღებ ანაზღაურების დონესთან.
- კორპორატიული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი პასუხისმგებელია კადრების უნარების მენეჯმენტსა და PLC საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ბანკის მმართველი საბჭოს წევრების არჩევასა და განვიათრებაზე.

2021 წელს შექმნილი ორი ახალი კომიტეტი უზრუნველყოფს საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერას სამი სტრატეგიული მიმართულებით - ტექნოლიგოები, ESG სტრატეგია და კლიმატური ცვლილებები. ტექნოლოგიებისა და მონაცემთა კომიტეტი ხელს უწყობს საბჭოს სტატეგიის enablers-ზე, მონაცემებისა და კიბერ საკითხებზე და კომპანიის IT რესურსებზე ზედამხედველობის განხორციელებაში. ESG და ეთიკის კომიტეტი უზრუნველყოფს, რომ კომპანია კონცეტრირებულია დაინტერესებული მხარეებისთვის მნიშნელოვან ESG საკითხებზე. ორივე კომიტეტმა ფუნქციონირება დაიწყო 2022 წელს.

ბანკი აღიარებს მრავალფეროვნების უზრუნველყოფის მნიშვნელობას და თავისი საქმიანობისთვის მნიშვნელოვან სარგებელად მიიჩნევს სამეთვალყურეო საბჭოსა და ბანკის მმართველი საბჭოს სხვადასხვა ბიოგრაფიისა და გამოცდილების მქონე პირებით დაკომპლექტებას, რადგან ეს საჭირო გამოცდილებას, კულტურულ მრავალფეროვნებასა და სხვადასხვა განსხვავებულ პერსპექტივას ჰმატებს საბჭოს განხილვებს და ხელს უწყობს მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესებას.

სამეთვალყურეო საბჭოში წარმოდგენილია სამი ქალი წევრი. გარდა ამისა, ბანკის არაერთ მნიშნელოვან პოზიციაზე დასაქმებულია მრავალი ნიჭიერი ქალი, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან ბანკის გენერალურ დირექტორს და ბანკის მმართველი საბჭოს სხვა წევრებს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ტოპ მენეჯმენტის 17%-ის და ჯგუფის საშუალო ხელმძღვანელი რგოლის 35% -ს ფუნქციებს ასრულებდნენ ქალები. გარდა ამისა, ჯგუფის მასშტაბით თანამშრომელთა 68% ქალია.

პასუხისმგებლობის განცხადება

მმართველობითი ანგარიში და ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების დაცვით.

ჩვენ ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვადასტურებთ, რომ:

- ჯგუფისა (ბანკი მის შვილობილ კომპანიებთან ერთად) და ბანკის ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც მომზადებულია IFRS სტანდარტების შესაბამისად, ასახავს აქტივების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობის, მოგებისა დაზარალის და სხვა ვალდებულებების ნამდვილ და სამართლიან ხედვას;
- მმართველობითი ანგარიში მოიცავს ბანკისა და ჯგუფის ბიზნესის განვითარებისა და შედეგების და მისი მდგომარეობის სამართლიან მიმოხილვას, ძირითადი რისკებისა და არაპროგნოზირებადი გარემოებების გათვალისწინებით; და
- მმართველობითი ანგარიში და ფინანსური ანგარიშგებები ერთად არის სამართლიანი, დაბალანსებული და გასაგები და აქციონერებს აწვდის საჭირო ინფორმაციას რათა შეაფასონ ბანკისა და ჯგუფის მდგომარეობა, შედეგები, ბიზნესი და სტრატეგია.

პასუხისმგებლობის განსხადება დადასტურებულიასა მეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ

ვახტანგ ბუცხრიკიძე
გენერალური დირექტორი

2022 წლის 28 აპრილი

არნე ბერგრენი
თავმჯდომარე

2022 წლის 28 აპრილი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები

არნე ბერგრენი

თავმჯდომარე

ბანკს შემოუერთდა 2019 წლის აგვისტოში
თავმჯდომარედ დაინიშნა 2021 წლის 1 მარტს

გამოცდილება

- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და მთავრობების კონსულტირება
- დიდი ბრიტანეთის სხვა ბანკების საბჭოს წევრობა და კომიტეტის თავმჯდომარეობა
- საინვესტიციო საბანკო საქმიანობა და წამყვანი ბანკების რესტრუქტურიზაცია
- სტრატეგიული დაგეგმვა და განხორციელება

არნე 25 წელზე მეტია, რაც ფინანსური მომსახურების სფეროში მუშაობს. ეკავა მმართველობითი და საკონსულტაციო პოზიციები ისეთ ფინანსურ ინსტიტუტებში*, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), მსოფლიო ბანკი, შვედეთის ბანკი, კარნეგის საინვესტიციო ბანკი, შვედეთის ფინანსთა სამინისტრო და ბანკების მხარდაჭერის ორგანო. წამყვანი როლი ეკავა შვედეთის საბანკო კრიზისის მოგვარებაში 1991-1993 წლებში. აზიის კრიზისის დროს, პრობლემური აქტივების მართვაში დაეხმარა ფინანსური რესტრუქტურიზაციის ორგანოს (FRA) ტაილანდში, ფინანსური მომსახურების კომისიასა და კორეის აქტივების მართვის კორპორაციას (FSC/KAMCO) სამხრეთ კორეაში. კარიერის მანძილზე, მუშაობდა ასევე აღმასრულებელ დირექტორად ფინანსური სფეროს მიღმა და დამოუკიდებელ არააღმასრულებელ დირექტორად აქტივების მართვის თურქულ კომპანიაში - LBT Varlik Yonetim და სლოვენიურ საბანკო აქტივების მართვის კომპანიაში - DUBT Ltd.

მიმდინარე გარე არააღმასრულებელი თანამდებობები

- კვიპროსის ბანკის საბჭოს წევრი
- პირეოსის ბანკის საბჭოს წევრი

კომიტეტის წევრობა

- კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი (თავმჯდომარე)
- ანაზღაურების კომიტეტი

ცირა კემულარია, CDir

საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი

ბანკს შემოუერთდა 2018 წლის სექტემბერში
უფროს დამოუკიდებელ წევრად დაინიშნა 2021 წლის 15 სექტემბერს

გამოცდილება

- 23 წელზე მეტი ხნის გამოცდილება ენერგეტიკისა და ნავთობქიმიკატების ინდუსტრიაში, მათ შორის - რეგულირებად სასაქონლო ვაჭრობასა და ფინანსურ მომსახურებაში
- Chartered დირექტორი, დირექტორთა ინსტიტუტი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი
- ბრიტანულ-ქართული საზოგადოების ყოფილი წევრი და ბრიტანეთში ქართული სათვისტომოს ყოფილი თავმჯდომარე
- ექსპერტიზა ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვაში

ცირა სხვადასხვა როლს ასრულებდა სასაქონლო სავაჭრო კომპანიების საბაზრო რისკის მართვაში, როგორც Dynegy Inc.-ში აშშ-ში, ასევე Shell International Trading & Shipping Ltd-ში (STASCO) დიდ ბრიტანეთში. 2005-2016 წლებში, იკავებდა მმართველ პოზიციებს შერწყმა-შესყიდვისა და კომერციული ფინანსების, ხაზინის, ვაჭრობისა და მომარაგების განხრით დიდი ბრიტანეთში, მოსკოვსა და ბარბადოსში. 2016-2019 წლებში, იყო ლონდონში დაფუძნებული Shell International Ltd-ში, პენსიების სტრატეგიისა და სტანდარტების ჯგუფის ხელმძღვანელი. 2019 წლიდან, მართავს შიდა აუდიტსა და გამოძიებას Shell-ის გლობალური ვაჭრობისა და მომარაგების ორგანიზაციაში, რომელიც მსოფლიოში უმსხვილეს სასაქონლო ვაჭრობისა და მომარაგების ბიზნესს წარმოადგენს.

მიმდინარე გარე არააღმასრულებელი თანამდებობები

- დახურული საპენსიო ფონდის, British Gas Trustee Solutions Ltd-ის სამეურვეო დირექტორი (Shell-ის მიერ British Gas-ის შესყიდვის შემდგომ)
- სამეურვეო დირექტორი, Shell Trustee Solution Ltd
- FaRiG-ის (საქართველოში აკადემიური კვლევის მეგობრები) საბჭოს წევრი

კომიტეტის წევრობა და ფუნქციები საბჭოში

- აუდიტის კომიტეტი
- გარემოსდაცვითი/სოციალური/მმართველობითი (ESG) და ეთიკის კომიტეტი
- უფროსი დამოუკიდებელი დირექტორი
- არააღმასრულებელი დირექტორი სამუშაო ძალის ჩართულობისთვის

მარია ლუიზა ჩიკონიანი

საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ბანკს შემოუერთდა 2018 წლის სექტემბერში

გამოცდილება

- ფართო გამოცდილება საერთაშორისო საბანკო, ფინანსურ ინსტიტუტებსა და კორპორატიულ მმართველობაში
- გაერთიანებული სამეფოს კორპორატიული მმართველობისა და დირექტორების ანაზღაურების პრინციპების სიღრმისეული ცოდნა
- საბჭოში წევრობისა და თავმჯდომარეობის გამოცდილებით მიღებული ლიდერობის ძლიერი უნარები
- ფართო საერთაშორისო სტრატეგიული საკონსულტაციო გამოცდილება განვითარებად და მზარდ ეკონომიკებში

მარია ლუიზას ფართო გამოცდილება აქვს საბანკო, ფინანსური ინსტიტუტებისა და კორპორატიული მართვის სფეროში. 1993-2005 წლებში, მუშაობდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი). შემდგომში იყო Merrill Lynch-ისა და Renaissance Capital-ის ფინანსური ინსტიტუტების ხელმძღვანელი ლონდონსა და მოსკოვში, ასევე Mediobanca-ს (ლონდონის ფილიალი) მმართველი დირექტორი. 2014-2016 წლებში, იყო Azimut Global Counseling Srl (იტალია) და Azimut International Holding SA (ლუქსემბურგი) საბჭოს არააღმასრულებელი წევრი. იყო Moneta Money Bank-ის თავმჯდომარე (პრაღის საფონდო ბირჟაზე არსებული), ხოლო 2020-2021 წლებში - UBI Banca-ს (იტალია) დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი.

მიმდინარე გარე არააღმასრულებელი თანამდებობები

- ლონდონის საფონდო ბირჟაზე მყოფი Mobius Investment Trust-ის თავმჯდომარე
- კაიროს საფონდო ბირჟაზე მყოფი Arafa Holding-ის თავმჯდომარე

კომიტეტის წევრობა

- ანაზღაურების კომიტეტი (თავმჯდომარე)
- რისკის კომიტეტი
- კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტი

ერან კლაინი

საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ბანკს შემოუერთდა 2021 წლის ივნისში

გამოცდილება

- ფართო გამოცდილება საბანკო, საკრედიტო, კაპიტალის ბაზარზე და იურიდიულ საკითხებში
- მნიშვნელოვანი გამოცდილება რისკების, კორპორატიული მმართველობის, სტრატეგიისა და სტრუქტურირების მიმართულებით
- გამოცდილება განვითარებადი ბაზრების საბანკო საქმეების წარმოებასა და დაინტერესებული მხარეების მართვაში
- შესაბამისი გამოცდილება ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვაში

ერანი გამოცდილი საერთაშორისო ბანკირი და იურისტია, რომელიც ორი ათწლეულის განმავლობაში ისეთ წამყვან ფინანსურ ინსტიტუტებში მუშაობდა, როგორიცაა Commerzbank, Citibank, ING Financial Markets და Deutsche Bank, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ბაზრებზე. მან სიღრმისეული ცოდნა დააგროვა კაპიტალის ბაზრების, მცირე და საშუალო საწარმოების, საცალო დაკრედიტების, კორპორატიული მმართველობის, ლიკვიდურობის და საბალანსო ანგარიშების მართვის, ასევე რისკების მართვის, აუდიტისა და სტრატეგიული პროექტების მიმართულებით. ამჟამად, ბატონი კლაინი უკრაინაში ყველაზე დიდი ბანკის - პრივატ ბანკის დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი და რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარეა.

მიმდინარე გარე არააღმასრულებელი თანამდებობები

- პრივატბანკის არააღმასრულებელი დირექტორი და რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე, უკრაინა

კომიტეტის წევრობა

- გარემოსდაცვითი/სოციალური/მმართველობითი (ESG) და ეთიკის კომიტეტი (თავმჯდომარე)
- ტექნოლოგიებისა და მონაცემთა კომიტეტი
- რისკების კომიტეტი

პერ ანდერს ფასტი

საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ბანკს შემოუერთდა 2021 წლის ივლისში

გამოცდილება

- წამყვან ფინანსურ ინსტიტუტებში გენერალური დირექტორისა და აღმასრულებელ პოზიციებზე მუშაობის 20 წელზე მეტი ხნის გამოცდილება
- დამოუკიდებელ არააღმასრულებელ დირექტორად მუშაობის 30 წელზე მეტი გამოცდილება
- საბირჟო კომპანიების მართვის, ლიდერობისა და სტრატეგიული საკონსულტაციო უნარები
- შესაბამისი გამოცდილება ევროპის მასშტაბით, ფინანსური საინფორმაციო ტექნოლოგიებისა (Fintech) და საკრედიტო მენეჯმენტის ინდუსტრიაში
- შესაბამისი გამოცდილება ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვაში

პერ ანდერსი 20 წელია, რაც ჩრდილოეთ ევროპის წამყვანი ბანკის SEB-ის უფროსი აღმასრულებელი დირექტორია და SBAB ბანკის, Hoist Finance-სა და European Resolution Capital-ის გენერალური დირექტორია. პერ ანდერსს აქვს ღრმა სტრატეგიული საკონსულტაციო გამოცდილება, როგორც უმაღლესი დონის კონსულტანტს McKinsey & Company-სა და QVARTZ-ში (ახლა Bain & Company) 10 წლის განმავლობაში. ის რამდენიმე ფინანსური ინსტიტუტის არააღმასრულებელი დირექტორი იყო სკანდინავიასა და საბერძნეთში. იყო Piraeus Bank S.A.-ის (საბერძნეთის წამყვანი ბანკის) საბჭოს წევრი. გარდა ამისა, მას ფართო პროფესიული გამოცდილება აქვს სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, გერმანიაში, ლუქსემბურგში, სლოვენიაში, დიდ ბრიტანეთსა და უკრაინაში, სადაც იყო მსოფლიო ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს მრჩეველი.

მიმდინარე გარე არააღმასრულებელი თანამდებობები

- დაგროვილი კაპიტალის მართვის კომპანიის Lyra Financial Wealth-ის თავმჯდომარე
- Pepins Group ი-ს თავმჯდომარე, Nordic GM-ში შესული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის
- საბჭოს წევრი, Atle Investment Management/Services

კომიტეტის წევრობა

- აუდიტის კომიტეტი (თავმჯდომარე)
- რისკების კომიტეტი
- ანაზღაურების კომიტეტი

რაჯივ სოუნი

საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ბანკს შემოუერთდა 2021 წლის ნოემბერში

გამოცდილება

- გლობალური კორპორატიული ლიდერობის ფართო გამოცდილება 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში
- მნიშვნელოვანი საკონსულტაციო და აღმასრულებელი გამოცდილება ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების კომპანიებისთვის
- ფართო გამოცდილება პერსონალის მენეჯმენტში
- ექსპერტიზა ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვაში

რაჯივ სოუნის კორპორაციული განვითარების მიმართულებით, კერძოდ - ციფრულ ტექნოლოგიებში, აღმასრულებელ პოზიციებზე მუშაობის 40 წლიანი გამოცდილება აქვს. მუშაობდა მრეწველობის სხვადასხვა დარგში ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და აზიაში. ამჟამად, ოქსფორდის უნივერსიტეტთან არსებული სამედიცინო მოწყობილობის შემქმნელი კომპანიის შპს Oxsight-ის აღმასრულებელი თავმჯდომარე და არა-აღმასრულებელი დირექტორია. ასევე, მუშაობდა როგორც შპს Zensar-ის გენერალური დირექტორის მთავარი მრჩეველი ბრიტანეთში და კიბერუსაფრთხოების კომპანიის - Garble Cloud Inc. - მრჩეველთა საბჭოს წევრი სილიკონ ველიში (აშშ). მანამდე, მდიდარი საოპერაციო გამოცდილება შეიძინა Hewlett Packard-ის HCL Technologies და Mphasis-ში პრეზიდენტად მუშაობისას..

მიმდინარე გარე არააღმასრულებელი თანამდებობები

- შპს Oxsight-ის აღმასრულებელი თავმჯდომარე და საბჭოს წევრი

კომიტეტის წევრობა

- ტექნოლოგიებისა და მონაცემთა კომიტეტი (თავმჯდომარე)
- გარემოსდაცვითი/სოციალური/მმართველობითი (ESG) და ეთიკის კომიტეტი
- კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი

ნინო სუქნიძე

საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ბანკს შემოუერთდა 2021 წლის ნოემბერში

გამოცდილება

- ფინანსური მომსახურების სიღრმისეული ცოდნა, როგორც წამყვანი იურიდიული მრჩეველის ფართო გამოცდილება ფინანსური სექტორის ტრანზაქციებში
- მმართველობითი, მარეგულირებელი და რისკების მართვის გამოცდილება, მათ შორის ლონდონის საფონდო ბირჟაზე არსებულ კომპანიაში
- კომპანიების კონსულტირება სხვადასხვა სექტორში - ტელეკომუნიკაციების, ფარმაცევტული პროდუქტების, ენერგეტიკისა და კომერციის ჩათვლით.

ნინო არის ბიზნეს იურისტი, 19-წლიანი გამოცდილებით სხვადასხვა სფეროში, მათ შორის საბანკო, საფინანსო, კორპორატიული, მარეგულირებელი, კონკურენციისა და კაპიტალის ბაზრების ჩათვლით. ამჟამად, იურიდიული ფირმა შპს "სუქნიძე და პარტნიორების" მმართველი პარტნიორია. 2017-2020 წლებში მუშაობდა სს საქართველოს ბანკში მთავარი მრჩევლის თანამდებობაზე. ბანკში მუშაობამდე, 11 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იკავებდა სხვადასხვა პოზიციებს საერთაშორისო იურიდიული ფირმების Dentons და DLA Piper-ის საქართველოს წარმომადგენლობებში.

მიმდინარე გარე არააღმასრულებელი თანამდებობები

- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცე პრეზიდენტი
- საქველმოქმედო ორგანიზაცია Care Caucasus-ის საბჭოს წევრი საქართველოში

კომიტეტის წევრობა

- აუდიტის კომიტეტი
- ანაზღაურების კომიტეტი
- კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი

ტიმოს კირიაკოპულოსი

საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ბანკს შემოუერთდა 2021 წლის ივლისში

გამოცდილება

- ინვესტორი, პორტფელის მენეჯერი, რისკის გამწევი და ბალანსის დამგეგმავი
- ბალანსის რისკების შემცირება, საოპერაციო და მმართველობის რესტრუქტურიზაციის ფართო გამოცდილება
- ტრანსფორმაციის ლიდერობა და კრიზისის მართვა სისტემურ ბანკებსა და ფინტექში
- ფინანსური, რისკების და აქტივების მართვის საკონსულტაციო უნარები კომპანიებისა და სამთავრობო უწყებებისთვის

ტიმოსი საერთაშორისო გამოცდილების მქონე საბანკო მენეჯერია, რომელიც სპეციალიზირებულია ოპერაციული ტრანსფორმაციის, ბალანსის და რისკების მართვის, ფინანსური ინჟინერიისა და პორტფელის მართვის სფეროებში. ის აქტივების მართვის ბერძნული კორპორაციის, საბერძნეთის აქტივების სუვერენული ფონდის საბჭოს წევრი და საინვესტიციო და რისკების კომიტეტის თავმჯდომარეა. მანამდე იყო Piraeus Bank S.A-ის (ბირჟაზე არსებული საბერძნეთის წამყვანი ბანკი) აღმასრულებელი გენერალური მენეჯერი და რისკების მართვის დირექტორი, ასევე იყო კორპორაცია Goldman Sachs-ის მმართველი დირექტორი ფიქსირებული შემოსავლის ვალუტისა და საქონლით ვაჭრობის მიმართულებით, და მუშაობდა Insurtech-ის, Fintech-ის, ფინანსური მომსახურებისა და მართვის საკონსულტაციო კომპანიების საბჭოებში და იკავებდა აღმასრულებელ პოზიციებს.

მიმდინარე გარე არააღმასრულებელი თანამდებობები

- საბერძნეთის აქტივების და მონაწილეობის კორპორაციის საბჭოს წევრი

კომიტეტის წევრობა

- რისკების კომიტეტი (თავმჯდომარე)
- აუდიტის კომიტეტი
- ტექნოლოგიებისა და მონაცემთა კომიტეტი

მმართველი გუნდის წევრების ბიოგრაფიები

ვახტანგ ბუცხრიკიძე

გენერალური დირექტორი

გამოცდილება

- წამყვანი ბანკირი კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებში
- სტრატეგიული და ფინანსური ლიდერობის ფართო გამოცდილება 25 წელზე მეტი ხნის განმავლობაში
- სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების, სტარტაპებისა და ფინტექ მენეჯმენტის, შერწყმისა და შესყიდვების, კაპიტალისა და სასესხო კაპიტალის მოზიდვის, ინვესტორებთან ურთიერთობის სიღრმისეული ცოდნა და გამოცდილება

ვახტანგს 30 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს საბანკო და ფინანსურ სფეროში. ჯგუფს ხელმძღვანელობს საქართველოში დაარსებიდან (1992), დაწყებული სტარტაპიდან დღემდე, როგორც ფინანსური ტექნოლოგიების წამყვან ინსტიტუტს. 1993 წელს, თიბისი ბანკს შემოუერთდა უფროსი მენეჯერის თანამდებობაზე და 1996 წელს გახდა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. 1998 წლიდან იკავებს სს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის თანამდებობას .

ვახტანგი მოწინავე ბანკირია კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში. ფლობს პრესტიჟულ ჯილდოებს, მათ შორისაა: 2011 წლის საუკეთესო ბანკირის ჯილდო სუამ-ის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციისგან, 2014 წლის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევეროპისა და დსთ-ს საუკეთესო გენერალური დირექტორის ჯილდო ჟურნალ EMEA Finance-გან. 2019 წლის მარტში, მიენიჭა სპეციალური ჯილდო Responsible Capitalism in Adversity (პასუხისმგებელი კაპიტალიზმი გამოწვევების დროს) პრესტიჟული ორგანიზაციისგან FIRST (მულტიდისციპლინარული საერთაშორისო ურთიერთობების ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს გააძლიეროს დიალოგი მრეწველობის, ფინანსებისა და მთავრობის ლიდერებს შორის).

მიმდინარე გარე არააღმასრულებელი (ჯგუფგარეშე) თანამდებობები

- საქართველოს ბანკების ასოციაციის საბჭოს წევრი
- საქართველოს ბიზნეს ასოციაციის საბჭოს წევრი
- Visa-ს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის (CEMEA) ბიზნეს საბჭოს წევრი

გიორგი მეგრელიშვილი

გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი

გიორგი სს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილედ და ფინანსურ დირექტორად 2020 წლის ოქტომბერში დაინიშნა. ბანკს შემოუერთდა 2020 წლის მარტში, ფინანსური დირექტორის მოადგილედ.

აქვს ფინანსური სერვისების გლობალური ლიდერობის 25 წლიანი გამოცდილება. თიბისიში მოსვლამდე, ამსტერდამის Natwest Markets N.V.-ის კაპიტალის რისკისა და სტრესის ტესტირების სამსახურს ხელმძღვანელობდა. 2008-2019 წლებში, რამდენიმე ხელმძღვანელ თანამდებობას იკავებდა ლონდონის Barclays Bank-ში, მათ შორის იყო Barclays Treasury-ის დირექტორი, Barclays Internal Large Exposure-ის ხელმძღვანელი და Barclays Central Planning-ის ხელმძღვანელი. ასევე მუშაობდა Barclays Bank PLC Solo Capital and Leverage Management-ის მმართველად და Barclaycard UK-ში სტრატეგიული დაგეგმვის ხელმძღვანელად. ადრეულ კარიერაში, გიორგი სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავებდა რამდენიმე ქართულ ორგანიზაციაში.

ფლობს კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის (Judge Business School) ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს.

თორნიკე გოგიჩაიშვილი

გენერალური დირექტორის მოადგილე, საცალო და მცირე და საშუალო საწარმოების საბანკო მომსახურება

თორნიკე სს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილედ და საცალო საბანკო მომსახურების ხელმძღვანელად 2020 წლის იანვარში დაინიშნა. გარდა ამისა, 2021 წლის იანვრიდან ხელმძღვანელობს მცირე და საშუალო საწარმოების საბანკო ოპერაციებს. თიბისის შემოუერთდა 2018 წელს, როგორც ოპერაციების მართვის დირექტორი.

თორნიკეს აქვს ფინანსური მომსახურებისა და ოპერაციების მართვის 20 წელზე მეტი ხნის გამოცდილება საქართველოსა და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში. თიბისიში მოსვლამდე, მუშაობდა საქართველოს ბანკის ჯგუფში გენერალური დირექტორის მოადგილედ და ოპერაციების მართვის დირექტორად. მანამდე, ამავე ჯგუფში, სხვადასხვა მნიშვნელოვან პოზიციაზე საქმიანობდა. 2008-2010 წლებში, ეკავა ფინანსური დირექტორის თანამდებობა BG Bank Ukraine-ში (საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია). კარიერის დასაწყისში, იყო საქართველოს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ გენერალური დირექტორი, მუშაობდა UEDC PA საკონსულტაციო კომპანიაში ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე და ეკავა სხვადასხვა მენეჯერული პოზიციები BCI Insurance-ში.

თორნიკე ფლობს კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს და ოქსფორდის საიდ ბიზნეს სკოლის აღმასრულებელ დიპლომს.

ნინო მასურაშვილი

გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკების მართვის დირექტორი

ნინო სს თიბისი ბანკის რისკების მართვის დირექტორად 2020 წელს დაინიშნა. ბანკს შემოუერთდა 2000 წელს. ეკავა ეტაპობრივად მზარდი თანამდებობები, 2006 წელს, დაინიშნა ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილედ. სხვადასხვა დროს, ხელმძღვანელობდა თიბისის საცალო და მცირე და საშუალო საწარმოების საბანკო მომსახურებას. პარალელურად, წარმოდგენილია TBC Leasing-ის სამეთვალყურეო საბჭოში.

აქვს 25 წელზე მეტი ხნის გამოცდილება ფინანსური მომსახურებისა და საბანკო საქმიანობის სფეროში, საქართველოში. კარიერის დასაწყისში, იკავებდა სხვადასხვა ხელმძღვანელ და მენეჯერულ პოზიციებს სს თბილკომ ბანკსა და ბარენც ჯგუფში.

ნინო ფლობს ბიზნეს სკოლის (ESM) ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტირის ხარისხს.

გიორგი თხელიძე

გენერალური დირექტორის მოადგილე, კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგი, დაგროვილი კაპიტალის მართვა

გიორგი 2016 წლის ნოემბერში დაინიშნა მიმდინარე პოზიციაზე და ხელმძღვანელობს კორპორატიულ და საინვესტიციო საბანკო საქმეებს. 2021 წლის იანვრიდან, პასუხისმგებელია ბანკის დაგროვილი კაპიტალის მართვის და სალიზინგო ბიზნესებზე. თიბისის შემოუერთდა 2014 წელს, როგორც აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე და რისკების მართვის დირექტორი.

გიორგის 20 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს გლობალურ ფინანსურ სერვისებში. თიბისიში მოსვლამდე, მუშაობდა Barclays Investment Bank-ში, სადაც ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა ეკავა ფინანსური ინსტიტუტების ჯგუფში (FIG), EMEA. მანამდე კი, ასოცირებული დირექტორი იყო Barclays Bank Debt Finance and Restructuring გუნდებში. ლონდონის Barclays-ში, მუშაობდა და ახორციელებდა მრავალრიცხოვან გარიგებას შერწყმა-შესყიდვის (M&A), ვალისა და კაპიტალის ბაზრებზე ევროპულ ფინანსურ ინსტიტუტებთან. კარიერის დასაწყისში, საქართველოს წამყვანი სადაზღვევო კომპანია ალდაგის გენერალური დირექტორის იყო; ხოლო მანამდე, ეკავა მზარდი თანამდებობები ამავე კომპანიაში.

გიორგი არის სტენფორდის აღმასრულებელი პროგრამის (SEP) კურსდამთავრებული, ფლობს ლონდონის ბიზნეს სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხს და ნოტინჰემის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხს (LLM) საერთაშორისო კომერციულ სამართალში.

ნიკოლოზ ქურდიანი

გენერალური დირექტორის მოადგილე, ბრენდის გამოცდილება, მარკეტინგი და გადახდები

ნიკას თიბისი ბანკის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ, 2021 წლის იანვარში დაინიშნა და ხელმძღვანელობს ბრენდის გამოცდილებას, მარკეტინგსა და გადახდებს. ბანკს შემოუერთდა 2014 წელს, როგორც აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე მარკეტინგისა და მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურების განხრით. 2018 წლიდან, ნიკოლოზი ასევე ხელმძღვანელობს თიბისის საბანკო დიჯიტალ პლატფორმას, სფეისს.

საბანკო სფეროში მუშაობის 15 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს, როგორც CEE-სა (ცენტრ. და აღმ. ევროპის ქვეყნები) და ევროპაში, ისე ცენტრალურ აზიაში. სანამ თიბისი ბანკს შემოუერთდებოდა, იყო ყაზახეთის წამყვანი საცალო ბანკის - კასპი ბანკის მმართველი დირექტორი. UniCredit Group-ის ავსტრიის ბანკში, მუშაობდა გაყიდვების მხარდაჭერის უფროს ექსპერტად CEE-ის საცალო მომსახურების განყოფილებაში, სადაც პასუხისმგებელი იყო თურქეთზე, ყაზახეთზე, უკრაინასა და სერბეთზე. UniCredit Group-ის ATF Bank-ში, ყაზახეთში, ხელმძღვანელობდა საცალო საბანკო მომსახურების განყოფილებას. კარიერის დასაწყისში, Société Générale Group-ის ბანკ რესპუბლიკა საქართველოს საცალო საბანკო მომსახურების განყოფილებას ხელმძღვანელობდა; ასევე, ეკავა რამდენიმე ლიდერული და მენეჯერული პოზიცია საქართველოს ბანკში.

ფლობს IE ბიზნეს სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხსა (2007 წ.) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხს.

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თიბისი ბანკის“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „თიბისი ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში, ერთობლივად, „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ჯგუფისა და ბანკის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“), საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრის N284/04 ბრძანების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენი აუდიტის საგანი

ჯგუფისა და ბანკის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგს:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე დართული შენიშვნები, მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა განმარტებით ინფორმაციის ჩათვლით.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მიუკერძოებლობა

ჩვენ ვართ ჯგუფისგან და ბანკისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

აუდიტისადმი ჩვენი მიდგომა

მიმოხილვა



- ჯგუფის საერთო არსებითობა: 48.1 მილიონი ლარი, რაც წარმოადგენს ჯგუფის ფაქტობრივი დასაბეგრი მოგების 5%-ს.
- ბანკის საერთო არსებითობა: 48.7 მილიონი ლარი, რაც წარმოადგენს ბანკის ფაქტობრივი დასაბეგრი მოგების 5%-ს.
- ჩვენი მომსახურების საგანი განსაზღვრა იურიდიული პირის მონაწილეობამ დასაბეგრ მოგებაში და სხვა მთავარმა ფინანსურმა მაჩვენებლებმა. ჩვენი მომსახურების საგნის შეფასებისას ასევე მხედველობაში მივიღეთ აუდიტის ჩატარების საერთო ფარგლები (მოცვა).
- აუდიტთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას, არის შემდეგი:
  - მომხმარებლებზე გაცემული სესხების და ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი;

ჩვენი აუდიტის დაგეგმვისას განვსაზღვრეთ არსებითობა და შევაფასეთ არსებითი უზუსტობების რისკი კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. კერძოდ, ჩვენ გავითვალისწინეთ, სად გამოიყენა ხელმძღვანელობამ სუბიექტური განსჯა, მაგალითად, მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებთან მიმართებით, რაც გულისხმობდა დაშვებების გაკეთებას და თავისთავად განუსაზღვრელი სამომავლო მოვლენების განხილვას. ჩვენს ყველა აუდიტში ასევე გავითვალისწინეთ ხელმძღვანელობის მხრიდან შიდა კონტროლების უგულებელყოფის რისკი, მათ შორის, არსებობდა თუ არა მიკერძოების მტკიცებულება, რაც წარმოადგენდა თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკს.

არსებითობა

ჩვენი აუდიტის საგანზე გავლენა მოახდინა ჩვენ მიერ არსებითობის პრინციპის გამოყენებამ. აუდიტის მიზანია დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. ისინი არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ჩვენს პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით, ჩვენ განვსაზღვრეთ არსებითობის გარკვეული რაოდენობრივი ზღვარი, მათ შორის ჯგუფის და ბანკის საერთო არსებითობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის მთლიანობაში, რაც ქვემოთ ცხრილშია მოცემული. ეს ყველაფერი, ხარისხობრივ ფაქტორებთან ერთად, დაგვეხმარა ჩვენი აუდიტის საგნის და ჩვენი აუდიტის პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მასშტაბის განსაზღვრაში, ასევე უზუსტობების გავლენის შეფასებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, როგორც ინდივიდუალურად, ისე აგრეგირებულად კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის მთლიანობაში.

ჯგუფის და ბანკის საერთო არსებითობა	ჯგუფი: 48.1 მილიონი ლარი (2020 წ.: 23.8 მილიონი ლარი) ბანკი: 48.7 მილიონი ლარი (2020 წ.: 22,7 მილიონი ლარი)
როგორ განვსაზღვრეთ იგი	წლიური დასაბეგრი მოგების 5% (2020: ბოლო 3 წლის წლიური დასაბეგრი მოგების 5%)
არსებითობის საორიენტაციო მაჩვენებლის გამოყენების დასაბუთება	დასაბეგრი მოგება არის მთავარი საზომი, რომელსაც აქციონერი იყენებს ჯგუფის საქმიანობის შედეგების შესაფასებლად და არის საყოველთაოდ მიღებული საორიენტაციო მაჩვენებელი ჯგუფის აუდიტის არსებითობის დასადგენად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ.

აუდიტთან დაკავშირებული საკითხები	**როგორ შევუდექით აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში**
მომხმარებელზე გაცემული სესხების და ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი *ნახეთ გვერდები 154-დან 177-მდე (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა), გვერდები 177-დან 184-მდე (კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები) და გვერდები 194-დან 217-მდე (მე-9 შენიშვნა: მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები).* ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ამ მიმართულებით, რადგან მენეჯმენტის შეფასებები, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან (“ECL”) დაკავშირებით, კომპლექსურია და განსჯის მნიშვნელოვან ხარისხს მოითხოვს. ფასს 9-ის მიხედვით, ხელმძღვანელობას მოეთხოვება საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრა, რომლის დადგომა მოსალოდნელია 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში ან აქტივის დარჩენილი ვადის მანძილზე, ცალკეული აქტივის სტადიიდან გამომდინარე. ეს სტადიები განისაზღვრება იმის შეფასებით, საკრედიტო რისკი გაიზარდა თუ არა (საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა) ან აღმოჩნდა თუ არა მსესხებელი დეფოლტის სიტუაციაში სესხის გაცემის შემდეგ. ხელმძღვანელობის მიერ ასეთი შეფასებებისას გამოყენებული ზოგიერთი კრიტერიუმი ძალზე სუბიექტური ხასიათისაა და მოიცავს მსესხებლების კრედიტუნარიანობის ხარისხობრივ შეფასებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას ასევე საჭიროა სხვადასხვა სამომავლო მაკროეკონომიკური პირობების გავლენის გათვალისწინება. ეკონომიკაზე კოვიდ-19-ის გავლენის გამო მაკროეკონომიკური პროგნოზების განუსაზღვრელობის დონე კიდევ უფრო მაღალია. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა და განახორციელა რამდენიმე მოდელი, რათა მიაღწიოს ფასს 9-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამასთან, ხელმძღვანელობამ გამოიყენა განსჯა მოდელებთან მიმართებით ისეთ სიტუაციებში, როდესაც ჩაითვალა,	ჩვენ შევისწავლეთ და შევაფასეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრის კონტროლის მთავარი მექანიზმები და შევამოწმეთ მათი საოპერაციო ეფექტურობა. კონტროლის ეს მექანიზმები, სხვებთან ერთად, შემდეგსაც მოიცავს: – მოდელის ეფექტურობის მონიტორინგის კონტროლი, პოლიტიკის და მოდელების პერიოდული გადახედვის ჩათვლით, მოდელის საპროგნოზო შეფასებების შედარება რეალურად დამდგარ (ფაქტობრივ) შედეგებთან და მოდელის მეთოდოლოგიაში ცვლილებების დამტკიცება; – ძირითადი განსჯის და დაშვებების გადახედვა და დამტკიცება, რომლებიც გამოიყენება დეფოლტის შემთხვევაში ზარალის, დეფოლტის ალბათობის და საპროგნოზო ინფორმაციის განსაზღვრისთვის. – გამოთვლითი ინსტრუმენტების მეშვეობით ძირითადი პარამეტრების გაანგარიშების კონტროლი; – მსესხებლების ფინანსური მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის კონტროლი; – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების და შედეგების ანალიზის კონტროლი; და – რისკის მართვის კომიტეტის მიერ განსჯაზე დაფუძნებული დაშვებების და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელირებული შედეგების შეფასების გადახედვა და დამტკიცება. ჩვენ არ აღმოგვიჩენია რამე გამონაკლისი ზემოაღნიშნული კონტროლის მექანიზმების მოწყობის ან საოპერაციო ეფექტურობის მხრივ.

აუდიტთან დაკავშირებული საკითხები	როგორ შევუდექით აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში

რომ წარსული გამოცდილება არ ასახავდა სამომავლო შედეგებს შეზღუდული ან არასრული მონაცემების გამო.

მენეჯმენტმა ასევე განიხილია მოდელირების შემდგომი კორექტირებების საჭიროება, რომელიც დაფარავს იმ ასფექტებს, რომლებიც სრულად არ არის დაფარული არსებული მოდელების მიერ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრისას გამოყენებული შემდეგი განსჯა მნიშვნელოვანია:

- მოდელის მეთოდოლოგიები მართებულობა (მათ შორის მათი უნარი, ასახონ კოვიდ-19-ის მიმდინარე გავლენა არსებულ მიდგომებზე) და კრიტიკული განსჯები , მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასადგენად.
- საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დასადგენად გამოყენებული, განსჯაზე დიდწილად დამოკიდებული კრიტერიუმები, რაც მოიცავს მსესხებლების კრედიტუნარიანობის ხარისხობრივ შეფასებას კორპორაციული და მცირე და საშუალო ბიზნესისათვის;
- დეფოლტის შემთხვევაში ზარალის და დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის გამოყენებული კრიტიკული დაშვებები;
- მოდელის შეზღუდული ხასიათის შეფასება და მოდელირების შემდგომი კორექტირებების გამოყენება, თუ საჭიროა ასეთი რისკების შესაფასებლად; და
- საპროგნოზო ინფორმაციასთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებების, მათ შორის სცენარებისთვის მინიჭებული წონების და მაკროეკონომიკური ცვლადების მართებულობის შეფასება.

გარდა ამისა, ჩვენ ჩავატარეთ ქვემოთ აღწერილი პროცედურები.

ჩვენ შევაფასეთ, ხელმძღვანელობის მიერ ფასს 9-ის მიხედვით შემუშავებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის მეთოდოლოგიები რამდენად მართებული იყო, რაშიც ჩავრთეთ ჩვენი საკრედიტო რისკის მოდელირების სპეციალისტები და ჩვენი დარგის ცოდნა. ამასთანავე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ დაწესებული ძალზე სუბიექტური კრიტერიუმები იმის დასადგენად, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და კრიტიკული განსჯა და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია დეფოლტის შემთხვევაში ზარალის, დეფოლტის ალბათობის და საპროგნოზო ინფორმაციის განსაზღვრისთივს. ჩვენ დავასკვენით, რომ ხელმძღვანელობის განსჯა, რომლის საფუძველზეც ფასდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში, დეფოლტის ალბათობა და საპროგნოზო ინფორმაცია, გონივრულია.

ჩვენ შევაფასეთ მენეჯმენტის მიერ შემუშავებული ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდოლოგიების შესაბამისობა, ჩვენი საკრედიტო რისკის მოდელირების სპეციალისტების ჩართულობით და სფეროს ცოდნით

ჩვენ დამოუკიდებლად შევამოწმეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა და შევაფასეთ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა შესაბამისობაში იყო თუ არა დამტკიცებულ მოდელის მეთოდოლოგიასთან.

ჩვენ კრიტიკულად შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ მოდელის ფუნქციონირების და სტაბილურობის შესაფასებლად ჩატარებული მოდელის მონიტორინგის და შემოწმების (პროგნოზირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის „რეტროსპექტიული ტესტირება“) ძირითადი ასპექტები და კრიტიკულად შევაფასეთ მონიტორინგის შედეგები. შედეგების ინტერპრეტაცია მოხდა კოვიდ-19-ის კონტექსტში. გარემოებები და განმარტებები მოძიებული იქნა მოლოდინისგან გადახრების შემთხვევაში. სადაც საჭირო იყო, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პროცესში გაკეთებული გარკვეული დაშვებები განახლდა, რომ გადაჭრილიყო გამოვლენილი არადამაკმაყოფილებელი შედეგები.

საფუძვლიანად შევამოწმეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული მაკროეკონომიკური მოდელების მართებულობა და ასევე თითოეული მაკროეკონომიკური სცენარისთვის მინიჭებული წონა. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ბანკის მიერ გამოყენებული მაკროეკონომიკური დაშვებები და სცენარებისთვის მინიჭებული წონები გონივრულია.

გულდასმით შევამოწმეთ ხელმძღვანელობის მიერ აღიარებული მოდელირების შემდგომი კორექტირებების სისრულე და მართებულობა. შევაფასეთ გამოყენებული მოდელირების შემდგომი კორექტირებები, ასევე გამოყენებული განსჯა და დაშვებები და გამოთვლები. ყოველივე ამის შედეგად, მიგვაჩნია, რომ მოდელირების შემდგომი კორექტირებები სათანადოდ იყო აღიარებული, როდესაც არსებული მოდელები ვერ ასახავდა წარმოქმნილ რისკებს, და ხელმძღვანელობის განსჯა გონივრულია.

როგორ მოვიყვანეთ შესაბამისობაში ჩვენი ჯგუფის და ბანკის აუდიტის მასშტაბი

ჩვენი აუდიტის მასშტაბი შესაბამისობაში მოვიყვანეთ იმგვარად, რომ ჩაგვეტარებინა იმ მოცულობის სამუშაო, რაც საშუალებას მოგვცემდა, მოსაზრება გამოგვეთქვა მთლიან კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე და ამასთანავე გაგვეთვალისწინებინა ჯგუფის და ბანკის სტრუქტურა, სააღრიცხვო პროცესები და კონტროლები, და დარგი, რომელშიც ჯგუფი და ბანკი საქმიანობენ.

ჯგუფის საბანკო საქმიანობა ძირითადად საქართველოში ხორციელდება, თუმცა მისი შვილობილი კომპანიები ორ სხვა ქვეყანაშიც არიან შედარებით მცირე მასშტაბით წარმოდგენილები. ჯგუფის ბიზნესსაქმიანობა მოიცავს ოთხ სეგმენტს, რომლებისთვისაც ის მართავს და აცხადებს თავის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობას. ეს სეგმენტებია: საცალო საბანკო მომსახურება, კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო საქმიანობა, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები და კორპორატიული ცენტრი.

ბანკი არის ჯგუფის უმსხვილესი კომპონენტი. მისი ძირითადი საქმიანობაა საცალო და კომერციული საბანკო მომსახურება, რომლის ყველა მნიშვნელოვანი ოპერაცია საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება. ბანკის სააღრიცხვო ფუნქციები და მართვა ძირითადად საქართველოში ხდება და წარმოადგენს ჯგუფის აქტივების 99%-ს და დასაბეგრი მოგების 99%-ს. ჩვენ ასევე ჩავატარეთ აუდიტის სხვა პროცედურები, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების ზოგადი კონტროლების და ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი კონტროლების შემოწმება, რომ შეგვემცირებინა არსებითი უზუსტობის რისკი.

ჩვენი აუდიტის მიდგომისა და გუნდის შერჩევისას გავითვალისწინეთ ჯგუფის სტრუქტურა. ჩვენ არ გამოგვიყენებია კომპონენტის აუდიტორები იმ საკითხების აუდიტისთვის, რომლებიც შედიოდა აუდიტის მასშტაბში. ანგარიშვალდებული ერთეულებისთვის ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, ჩვენი აუდიტის მასშტაბი/მოცვა შეადგენდა ჯგუფის შემოსავლის 98%-ს და მთლიანი აქტივების 99%-ს.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, გავეცნოთ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობითი ანგარიშგება არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ამასთან, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება, მოსაზრება გამოვთქვათ იმის თაობაზე, მმართველობითი ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა სათანადო ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით სავალდებულო ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-7 პუნქტის (ბ), (ზ) ქვეპუნქტების მოთხოვნებს;
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის (ა), (ბ), (დ)-(ვ) ქვეპუნქტებით და მე-8 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრის N284/04 ბრძანებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვთ თუ არა ჯგუფს და ბანკს უნარი, საქმიანობა გააგრძელონ, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ან ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვაგვარად მოქცევის რეალური ალტერნატივა.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფისა და ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფისა და ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ბანკი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა

აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ან ბანკის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნესოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელნი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

ჩვენ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვ საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც შეიძლება გონივრულ ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ და, თუ შესაძლებელია, წარმოვადგენთ საფრთხეების აღმოსაფხვრელად მიღებულ ზომებს და შესაბამის გარანტიებს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა გადაწონოს ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელი.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის ლევან კანკავა.

შპს "პრაისუოტერჰაუსკუპერსი საქართველო" (რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-775813)

ლევან კანკავა (რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-592839)

თბილისი, საქართველო
28 აპრილი, 2022 წელი

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს, საქართველო
ს/კ 405220611
King David ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის ქ. #12,,
მე-7 სართული, თბილისი 0171, საქართველო
ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	1,595,460	1,601,599	994,479
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	7	42,237	19,690	15,597
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	8	2,086,113	2,098,506	1,591,829
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	9	16,547,185	14,594,269	12,349,399
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	10	1,938,196	1,527,268	985,293
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები	11	-	1,059,946	1,021,568
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	13	252,340	270,978	256,660
საინვესტიციო ქონება	17	22,892	68,689	72,667
მიმდინარე მოგების გადასახადის წინასწარ გადახდა	35	84	69,762	25,695
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივი	35	2,056	2,134	2,173
სხვა ფინანსური აქტივები	12	442,207	161,002	115,211
სხვა აქტივები	14	373,892	256,646	247,201
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	15	378,657	362,863	329,529
აქტივის გამოყენების უფლება	16	58,001	49,746	57,086
არამატერიალური აქტივები	15	267,406	223,577	159,109
გუდვილი	18	28,197	28,197	29,459
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		4,589	4,090	2,655
სულ აქტივები		**24,039,512**	**22,398,962**	**18,255,610**
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	19	2,984,075	4,485,873	3,593,901
მომხმარებელთა ანგარიშები	20	14,884,145	12,634,295	10,112,002
სხვა ფინანსური ვალდებულებები	23	120,620	211,242	95,643
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	35	86,302	27	818
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	35	10,979	13,084	18,806
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	21	1,583,699	1,419,513	1,213,598
ვალდებულებების და დანახარჯების რეზერვები	22	15,845	17,451	16,979
სხვა ვალდებულებები	24	83,623	59,969	70,366
საიჯარო ვალდებულებები	36	56,522	54,588	59,316
სუბორდინირებული ვალი	25	623,647	672,740	591,035
სულ ვალდებულებები		**20,449,457**	**19,568,782**	**15,772,464**
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	26	21,014	21,014	21,014
სააქციო პრემიუმი		521,190	521,190	521,190
გაუნაწილებელი მოგება		3,117,079	2,355,105	2,016,119
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	27	(52,521)	(73,130)	(62,669)
სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		(10,862)	11,157	(6,399)
კუმულატიური საკურსო სხვაობის რეზერვი		(5,938)	(5,261)	(6,691)
მფლობელებისთვის მიკუთვნებადი წმინდა აქტივები		**3,589,962**	**2,830,075**	**2,482,564**
არამაკონტროლებელი წილი	39	93	105	582
სულ საკუთარი კაპიტალი		**3,590,055**	2,830,180	**2,483,146**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**24,039,512**	**22,398,962**	**18,255,610**

143-313 გვერდებზე წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2022 წლის 28 აპრილს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

ვახტანგ ბუცხრიკიძე
გენერალური დირექტორი

გიორგი მეგრელიშვილი
ფინანსური დირექტორი

151-313 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)	31 დეკემბერი, 2019 წ. (გადაანგარიშებული)
საპროცენტო შემოსავალი	29	1,863,077	1,660,838	1,435,106
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი	29	1,805,196	1,608,751	1,387,172
სხვა საპროცენტო შემოსავალი	29	57,881	52,087	47,934
საპროცენტო ხარჯი	29	(895,428)	(854,089)	(670,422)
წმინდა საპროცენტო შემოსულობა სავალუტო სვოპებზე	29	28,143	20,950	28,556
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**995,792**	**827,699**	**793,240**
საკომისიო შემოსავალი	30	378,160	290,496*	280,618*
საკომისიო ხარჯი	30	(153,273)	(121,717)*	(101,492)*
წმინდა საკომისიო შემოსავალი		**224,887**	**168,779**	**179,126**
წმინდა შემოსავალი სავალუტო წარმოებული ინსტრუმენტებიდან, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან და კონვერტაციიდან	32	124,194	105,855	102,435
წმინდა შემოსავალი/ (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასხვისებიდან, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		11,156	(624)	169
სხვა საოპერაციო შემოსავალი	31	41,042	13,354	17,576
მეკავშირე საწარმოების მოგების წილი		837	–	632
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი		**177,229**	**118,585**	**120,812**
მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე საკრედიტო ზარალის ამოღება/(რეზერვი)	9	43,176	(330,811)	(82,030)
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე საკრედიტო ზარალის ამოღება/(რეზერვი)	13	236	(7,760)	582
ვალდებულების შესრულების გარანტიასა და საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებზე საკრედიტო ზარალის ამოღება/(რეზერვი)	22	1,204	3,238	(2,156)
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის	12	(14,461)	(13,408)	(7,717)
საკრედიტო ზარალის ამოღება/(რეზერვი) ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		2,594	(1,810)	(291)
არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურება		(11,715)	(5,830)*	(2,743)*
საოპერაციო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო და არაფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის შემდეგ		**1,418,942**	**758,682***	**998,823***
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები	33	(255,747)	(206,887)	(226,008)
ცვეთა და ამორტიზაცია	15,16,17	(70,622)	(64,068)	(57,319)
ვალდებულებების და დანახარჯების რეზერვები	22	-	(2,600)	(2,105)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	34	(128,624)	(111,914)*	(124,184)*
საოპერაციო დანახარჯები		**(454,993)**	**(385,469)***	**(409,616)***
ზარალი ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიკაციის შედეგად		(1,726)	(41,015)	–
დასაბეგრი მოგება		**962,223**	**332,198**	**589,207**
მოგების გადასახადის (ხარჯი)/შეღავათი	35	(119,278)	5,062	(43,522)
წლის წმინდა მოგება		**842,945**	**337,260**	**545,685**
წლის სხვა სრული (ხარჯი)/შემოსავალი				
მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:				
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების რეზერვის მოძრაობა	10	(22,020)	17,633	(15,175)
საკურსო სხვაობა წარსადგენ ვალუტაში კონვერტაციისას		(677)	1,588	241
წლის სხვა სრული (ხარჯი)/შემოსავალი		**(22,697)**	**19,221**	**(14,934)**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**820,248**	**356,481**	**530,751**
შემდეგი პირებისთვის მიკუთვნებადი მოგება:				
– ჯგუფის აქციონერები		842,929	337,238	545,612
– არამაკონტროლებელი წილის მფლობელები		16	22	73
წლის წმინდა მოგება		**842,945**	**337,260**	**545,685**
მთლიანი სრული შემოსავალი მიკუთვნებადია შემდეგი პირებისთვის:				
– ჯგუფის აქციონერები		820,232	356,459	530,678
– არამაკონტროლებელი წილის მფლობელები		16	22	73
წლის სრული შემოსავალი		**820,248**	**356,481**	**530,751**

** გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2020 და 2019 წლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს, რადგან ისინი ასახავს მე-2 შენიშვნაში აღწერილ გარკვეულ გადაანგარიშებებს.*

151-313 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	სააქციო პრემიუმი	აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისთვის, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	კუმულაციური საკურსო სხვაობის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი არამაკონტროლებელი წილების გამოკლებით	არამაკონტროლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		**21,014**	**521,190**	**(33,591)**	**8,775**	**(6,933)**	**1,551,176**	**2,061,631**	**568**	**2,062,199**
წლის წმინდა მოგება		–	–	–	-	-	545,612	545,612	73	**545,685**
სხვა სრული (ზარალი)/ შემოსავალი		–	–	–	(15,175)	241	-	(14,934)	-	**(14,934)**
2019 წლის მთლიანი სრული (ზარალი)/ შემოსავალი		**–**	**–**	**–**	**(15,175)**	**241**	**545,612**	**530,678**	**73**	**530,751**
წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის ხარჯი	27	-	-	33,762	-	-	-	33,762	-	**33,762**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის გადანაწილება მშობელი კომპანიის მიერ		-	-	(62,840)	-	-	-	(62,840)	-	**(62,840)**
დამატებითი წილის შესყიდვა არასაკონტროლო წილის მფლობელისგან		-	-	–	-	-	-	-	(19)	**(19)**
გამოცხადებული დივიდენდები		-	-	–	-	-	(80,911)	(80,911)	-	**(80,911)**
სხვა მოძრაობა		-	-	-	1	1	242	244	(40)	**204**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**21,014**	**521,190**	**(62,669)**	**(6,399)**	**(6,691)**	**2,016,119**	**2,482,564**	**582**	**2,483,146**
წლის წმინდა მოგება		–	–	–	–	–	337,238	337,238	22	**337,260**
სხვა სრული შემოსავალი		–	–	–	17,633	1,588	–	19,221	-	**19,221**
2020 წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**–**	**–**	**–**	**17,633**	**1,588**	**337,238**	**356,459**	**22**	**356,481**
წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის ხარჯი	27	–	–	17,472	–	–	–	17,472	–	**17,472**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის გადანაწილება მშობელი კომპანიის მიერ		–	–	(27,932)	–	–	–	(27,932)	–	**(27,932)**
სხვა მოძრაობა		–	–	(1)	(77)	(158)	1,748	1,512	(499)	**1,013**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**21,014**	**521,190**	**(73,130)**	**11,157**	**(5,261)**	**2,355,105**	**2,830,075**	**105**	**2,830,180**
წლის წმინდა მოგება		–	–	–	–	–	842,929	842,929	16	**842,945**
2021 წლის სხვა სრული ზარალი:		**–**	**–**	**–**	**(22,020)**	**(677)**	**-**	**(22,697)**	**-**	**(22,697)**
ბიზნეს მოდელის ცვლილების ეფექტი	2	–	–	–	26,062	–	–	26,062	-	**26,062**
სხვა ეფექტები პერიოდის განმავლობაში		–	–	–	(48,082)	(677)	–	(48,759)	-	**(48,759)**
2021 წლის მთლიანი სრული (ზარალი)/ შემოსავალი		**–**	**–**	**–**	**(22,020)**	**(677)**	**842,929**	**820,232**	**16**	**820,248**
წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის ხარჯი	27	–	–	20,609	–	–	-	20,609	-	**20,609**
გამოცხადებული დივიდენდები		–	–	–	–	–	(81,872)	(81,872)	(48)	**(81,920)**
სხვა მოძრაობა		–	–	–	1	–	917	918	20	**938**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**21,014**	**521,190**	**(52,521)**	**(10,862)**	**(5,938)**	**3,117,079**	**3,589,962**	**93**	**3,590,055**

151-313 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი ნაკადები				
მიღებული პროცენტი		1,953,538	1,455,624	1,359,528
სავალუტო სვოპებიდან მიღებული პროცენტი	29	28,143	20,950	28,556
გადახდილი პროცენტი		(841,066)	(841,146)	(657,671)
მიღებული საკომისიო		361,844	297,030	282,715
გადახდილი საკომისიო		(152,984)	(129,445)	(105,207)
მოგება/(ხარჯი) უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან	32	113,043	(92,191)	79,287
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		25,904	10,216	18,356
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები		(258,274)	(203,247)	(198,345)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(130,891)	(103,274)	(132,181)
მოგების გადახდილი გადასახადი		(7,100)	(44,285)	(68,166)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**1,092,157**	**370,232**	**606,872**
წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებში				
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ და სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში		390,174	(341,901)	(14,811)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები		(2,993,309)	(1,059,684)	(2,013,577)
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები		9,493	(2,010)	(44,268)
სხვა ფინანსური აქტივები		(229,236)	(58,914)	26,582
სხვა აქტივები		14,975	33,750	2,702
წმინდა ცვლილება საოპერაციო ვალდებულებებში				
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ		139,893	(32,294)	(1,938)
მომხმარებელთა ანგარიშები		2,606,998	1,457,569	274,769
სხვა ფინანსური ვალდებულებები		(112,238)	132,679	10,205
სხვა ვალდებულებები და ვალდებულებების და დანახარჯების რეზერვები		40,277	(5,128)	8,432
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**959,184**	**494,299**	**(1,145,032)**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი ნაკადები				
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	10	(797,285)	(763,531)	(1,781,816)
შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასხვისებიდან, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	10	1,025,775	287,917	240,603
შემოსულობა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან ვადის მოსვლისას	10	412,204	165,632	1,598,536
მიღებული დივიდენდები		-	694	-
შვილობილი კომპანიების შესყიდვა, მიღებული ფულადი სახსრების გამოკლებით		-	-	410
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციების შეძენა	11	-	(639,824)	(613,383)
შემოსულობა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციების გამოსყიდვიდან	11	-	413,038	216,871
შენობების, აღჭურვილობისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	15	(107,544)	(153,791)	(120,677)
შემოსულობა შენობების, აღჭურვილობის და არამატერიალური აქტივების გასხვისებიდან		20,826	3,450	13,225
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გასხვისებიდან		23,639	13,513	13,681
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	**67**	**577,615**	**(672,902)**	**(432,550)**
(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული)/ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები				
შემოსულობა სხვა ნასესხები სახსრებიდან	36	1,750,443	4,031,812	1,819,899
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა	36	(3,337,495)	(3,319,427)	(1,392,897)
საიჯარო ვალდებულების ძირითადი თანხის გადახდა	36	(12,825)	(13,251)	(6,453)
სუბორდინირებული ვალის დაფარვა	36	(12,562)	–	(104,079)
შემოსულობა სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან	36	242,287	31,601	1,176,049
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა	36	-	–	(14,296)
გადანაწილებული ხარჯების გადახდა		-	(27,932)	(62,840)
გადახდილი დივიდენდები		(81,920)	–	(80,911)
ფინანსურ საქმიანობაში (გამოყენებული)/ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(1,452,072)**	**702,803**	**1,334,472**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(90,866)	82,920	73,186
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		**(6,139)**	**607,120**	**(169,924)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**6**	**1,601,599**	**994,479**	**1,164,403**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**6**	**1,595,460**	**1,601,599**	**994,479**

151-313 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	1,565,400	1,536,717	978,870
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	7	16,722	13,717	12,709
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	8	2,086,113	2,098,506	1,591,829
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	9	16,549,460	14,611,204	12,416,985
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	10	1,958,198	1,547,330	983,131
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები	11	-	1,059,946	1,021,568
საინვესტიციო ქონება	17	22,022	67,812	71,801
მიმდინარე მოგების გადასახადის წინასწარ გადახდა		-	69,166	25,126
სხვა ფინანსური აქტივები	12	442,305	173,075	119,593
სხვა აქტივები	14	321,009	226,892	197,904
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	15	352,743	335,124	302,190
არამატერიალური აქტივები	15	249,356	210,602	152,393
აქტივის გამოყენების უფლება	16	56,244	46,699	55,571
გუდვილი	18	27,502	27,502	27,502
ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში		32,451	33,142	33,080
სულ აქტივები		**23,679,525**	**22,057,434**	**17,990,252**
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	19	2,757,243	4,230,013	3,418,798
მომხმარებელთა ანგარიშები	20	14,932,402	12,746,959	10,177,027
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	21	1,539,518	1,381,009	1,213,598
სხვა ფინანსური ვალდებულებები	23	92,613	186,487	58,809
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		86,681	-	-
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	35	10,979	13,083	18,347
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი	22	15,845	17,451	16,978
სხვა ვალდებულებები	24	75,263	52,083	60,371
საიჯარო ვალდებულებები	36	54,328	51,215	58,476
სუბორდინირებული ვალი	25	592,333	639,641	562,060
სულ ვალდებულებები		**20,157,205**	**19,317,941**	**15,584,464**
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	26	21,014	21,014	21,014
სააქციო პრემიუმი		521,190	521,190	521,190
გაუნაწილებელი მოგება		3,043,459	2,259,159	1,933,412
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	27	(52,521)	(73,129)	(62,669)
სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		(10,822)	11,259	(7,159)
სულ საკუთარი კაპიტალი		**3,522,320**	**2,739,493**	**2,405,788**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**23,679,525**	**22,057,434**	**17,990,252**

143-313 გვერდებზე წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2022 წლის 28 აპრილს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

ვახტანგ ბუცხრიკიძე
გენერალური დირექტორი

გიორგი მეგრელიშვილი
ფინანსური დირექტორი

151-313 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)	31 დეკემბერი, 2019 წ. (გადაანგარიშებული)
საპროცენტო შემოსავალი	29	1,803,709	1,609,791	1,387,720
საპროცენტო ხარჯი	29	(878,444)	(839,830)	(657,579)
წმინდა საპროცენტო შემოსულობა სავალუტო სვოპებზე	29	28,143	20,950	28,556
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**953,408**	**790,911**	**758,697**
საკომისიო შემოსავალი	30	349,598	263,981*	250,954*
საკომისიო ხარჯი	30	(176,028)	(139,583)*	(115,159)*
წმინდა საკომისიო შემოსავალი		**173,570**	**124,398**	**135,795**
წმინდა შემოსავალი სავალუტო წარმოებული ინსტრუმენტებიდან, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან და კონვერტაციიდან	32	124,879	108,101	103,210
წმინდა შემოსავალი/(ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასხვისებიდან, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		11,156	(624)	169
სხვა საოპერაციო შემოსავალი		86,170	6,120	15,452
მეკავშირე საწარმოების მოგების წილი		810	-	633
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი		**223,015**	**113,597**	**119,464**
მომხმარებლებზე გაცემულ სესხზე საკრედიტო ზარალის ამოღება/(რეზერვი)	9	37,633	(323,651)	(84,562)
ვალდებულების შესრულების გარანტიასა და საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებზე საკრედიტო ზარალის ამოღება/(რეზერვი)	38	1,204	3,238	(2,156)
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის	12	(5,979)	(9,844)	(2,173)
საკრედიტო ზარალის ამოღება/(რეზერვი) ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	10	2,670	(1,915)	(291)
არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურება		(10,205)	(4,490)*	(1,886)*
საოპერაციო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო და არაფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის შემდეგ		**1,375,316**	**692,244***	**922,888***
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები	33	(232,291)	(186,395)	(205,026)
ცვეთა და ამორტიზაცია		(62,653)	(55,761)	(50,726)
ვალდებულებებისა და დანახარჯების რეზერვები	22	-	(2,600)	(2,105)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	34	(103,668)	(90,153)*	(101,053)*
საოპერაციო დანახარჯები		**(398,612)**	**(334,909)***	**(358,910)***
ზარალი ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიკაციის შედეგად		(1,726)	(37,131)	-
დასაბეგრი მოგება		**974,978**	**320,204**	**563,978**
მოგების გადასახადის (ხარჯი)/შეღავათი	35	(109,813)	5,264	(43,101)
წლის წმინდა მოგება		**865,165**	**325,468**	**520,877**
წლის სხვა სრული (ხარჯი)/შემოსავალი: მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:				
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების რეზერვის მოძრაობა		(22,081)	17,632	(15,933)
წლის სხვა სრული (ხარჯი)/შემოსავალი		**(22,081)**	**17,632**	**(15,933)**
წლის სრული შემოსავალი		**843,084**	**343,100**	**504,944**

** გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2020 და 2019 წლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს, რადგან ისინი ასახავს მე-2 შენიშვნაში აღწერილ გარკვეულ გადაანგარიშებებს.*

151-313 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	სააქციო პრემიუმი	აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისთვის, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		**21,014**	**521,190**	**(33,591)**	**8,775**	**1,493,408**	**2,010,796**
წლის წმინდა მოგება		–	–	–	-	520,877	**520,877**
სხვა სრული ზარალი		–	–	–	(15,933)	-	**(15,933)**
2019 წლის მთლიანი სრული (ზარალი)/ შემოსავალი		**–**	**–**	**–**	**(15,933)**	**520,877**	**504,944**
წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის ხარჯი	27	–	–	33,762	–	–	**33,762**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ხარჯების გადანაწილება მშობელი კომპანიის მიერ		–	–	(62,840)	–	–	**(62,840)**
გამოცხადებული დივიდენდები		–	–	–	–	(80,911)	**(80,911)**
სხვა მოძრაობა		–	–	–	(1)	38	**37**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**21,014**	**521,190**	**(62,669)**	**(7,159)**	**1,933,412**	**2,405,788**
წლის წმინდა მოგება		–	–	–	–	325,468	**325,468**
სხვა სრული შემოსავალი		–	–	–	17,632	–	**17,632**
2020 წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**–**	**–**	**–**	**17,632**	**325,468**	**343,100**
წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის ხარჯი	27	–	–	17,472	–	–	**17,472**
აქციებზე დაფუძნებული გადახდა ხარჯების გადანაწილება მშობელი კომპანიის მიერ		–	–	(27,932)	–	–	**(27,932)**
სხვა მოძრაობა		–	–	–	786	279	**1,065**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**21,014**	**521,190**	**(73,129)**	**11,259**	**2,259,159**	**2,739,493**
წლის წმინდა მოგება		–	–	–	–	865,165	**865,165**
2021 წლის სხვა სრული ზარალი:		**–**	**–**	**–**	**(22,081)**	**-**	**(22,081)**
ბიზნეს მოდელის ცვლილების ეფექტი	2	–	–	–	26,062	-	**26,062**
სხვა ეფექტები პერიოდის განმავლობაში		–	–	–	(48,143)	-	**(48,143)**
2021 წლის მთლიანი სრული (ზარალი)/ შემოსავალი		**–**	**–**	**–**	**(22,081)**	**865,165**	**843,084**
წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის ხარჯი	27	–	–	20,609	–	–	**20,609**
გამოცხადებული დივიდენდები		–	–	–	–	(81,872)	**(81,872)**
სხვა მოძრაობა		–	–	(1)	–	1,007	**1,006**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**21,014**	**521,190**	**(52,521)**	**(10,822)**	**3,043,459**	**3,522,320**

151-313 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი ნაკადები				
მიღებული პროცენტი		1,896,294	1,402,828	1,310,626
სავალუტო სვოპებიდან მიღებული პროცენტი	29	28,143	20,950	28,556
გადახდილი პროცენტი		(827,586)	(826,633)	(663,802)
მიღებული საკომისიო		347,743	270,516	253,250
გადახდილი საკომისიო		(175,738)	(147,379)	(118,969)
მოგება/(ხარჯი) უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან	32	108,379	(91,996)	79,618
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		18,839	4,803	9,543
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები		(235,399)	(182,627)	(178,518)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(103,865)	(80,965)	(110,569)
მოგების გადახდილი გადასახადი		(60)	(44,040)	(68,508)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**1,056,750**	**325,457**	**541,227**
წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებში				
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ და სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში		414,144	(338,835)	(20,393)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები		(2,981,673)	(993,187)	(2,042,091)
სხვა ფინანსური აქტივები		(236,092)	(45,601)	477
სხვა აქტივები		32,810	6,882	19,332
წმინდა ცვლილება საოპერაციო ვალდებულებებში				
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ		139,332	(32,294)	(1,938)
მომხმარებელთა ანგარიშები		2,532,369	1,499,686	300,888
სხვა ფინანსური ვალდებულებები		(96,287)	125,129	3,456
სხვა ვალდებულებები და ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		39,348	(459)	5,019
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**900,701**	**546,778**	**(1,194,023)**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი ნაკადები				
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	10	(797,285)	(783,530)	(1,781,432)
შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასხვისებიდან, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	10	1,025,775	287,917	240,603
შემოსულობა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან ვადის მოსვლისას	10	412,204	165,632	1,598,536
მიღებული დივიდენდები		52,593	694	5,211
შვილობილ საწარმოებში კაპიტალის შემცირებიდან მიღებული ფულადი სახსრები და შვილობილ საწარმოებში გადახდილი შენატანები		1,101	(667)	-
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციების შეძენა	11	-	(639,824)	(613,383)
შემოსულობა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციების გამოსყიდვიდან	11	-	413,038	**216,871**
შენობების, აღჭურვილობისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	15	(93,626)	(142,367)	(112,345)
შემოსულობა შენობების, აღჭურვილობის და არამატერიალური აქტივების გასხვისებიდან		20,609	4,510	10,140
შემოდინება საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან		24,423	12,849	12,446
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	**67**	**645,794**	**(681,748)**	**(423,353)**
(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული)/ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები				
შემოსულობა სხვა ნასესხები სახსრებიდან		1,692,815	3,860,292	1,703,411
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა		(3,267,884)	(3,209,347)	(1,270,653)
საიჯარო ვალდებულების ძირითადი თანხის გადახდა		(10,797)	(15,784)	(6,960)
სუბორდინირებული ვალის დაფარვა		(12,562)	–	(104,079)
შემოსულობა სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან		236,820	–	1,196,422
გადახდილი დივიდენდები		(81,872)	–	(80,911)
გადანაწილებული ხარჯების გადახდა		-	(27,932)	(62,840)
(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული)/ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(1,443,480)**	**607,229**	**1,374,390**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(74,332)	85,588	66,468
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		**28,683**	**557,847**	**(176,518)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**6**	**1,536,717**	**978,870**	**1,155,388**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**6**	**1,565,400**	**1,536,717**	**978,870**

151-313 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი

ძირითადი საქმიანობა. სს „თიბისი ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) დაფუძნდა 1992 წლის 17 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. ბანკი არის აქციებით შეზღუდული სააქციო საზოგადოება და დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკის ძირითადი საქმიანობა არის უნივერსალური საბანკო ოპერაციები, რაც მოიცავს კორპორატიულ, მცირე და საშუალო საწარმოების, საცალო და მიკრო ოპერაციებს საქართველოში. ბანკი არის საქართველოსა და აზერბაიჯანში დაფუძნებული კომპანიების ჯგუფის (შემდგომში „ჯგუფი“) მშობელი კომპანია. მათი ძირითადი ბიზნესსაქმიანობაა საბანკო, სალიზინგო, საბროკერო და ბარათის დამუშავების მომსახურების გაწევა კორპორატიული კლიენტებისა და ფიზიკური პირებისთვის. ბანკი საქმიანობს 1993 წლის 20 იანვრიდან საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის შესაბამისად. ბანკის იურიდიული მისამართია და საქმიანობის ადგილია: მარჯანიშვილის ქუჩა #7, 0102 თბილისი, საქართველო. ბანკი დაარეგისტრირა ვაკის რაიონულმა სასამართლომ და მისი რეგისტრაციის ნომერია 204854595.

ბანკს აქვს 147 ფილიალი (2020 წ.: 149; 2019 წ.: 148) ფილიალი საქართველოში.

საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“ არის ინგლისსა და უელსში დაფუძნებული საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „თიბისი ბანკის“ საწესდებო კაპიტალის 99.88%-ს (2020 წ.: 99.88%, 2019 წ.: 99.88%), ამრიგად წარმოადგენდა ბანკის საბოლოო მშობელ კომპანიას. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ჰაიდაუნ ჰაუსი, იეომან ვეი, ვორთინგი, ვესტ სასექსი, გაერთიანებული სამეფო, BN99 3HH. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ჯგუფის“ სარეგისტრაციო ნომერია 10029943.

ჯგუფის მთლიანი გამოშვებული აქციების 3%-ზე მეტს პირდაპირ ფლობდნენ შემდეგი აქციონერები: დანარჩენი აქციონერებიდან თითოეული აქციათა 3%-ზე ნაკლებს ფლობდა. 2021 წლის, 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰყავდა საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

	წილობრივი მონაწილეობა (%) 31 დეკემბრის მდგომარეობით		
მფლობელები	**2021**	**2020**	**2019**
საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“	99.88%	99.88%	99.88%
სხვა	0.12%	0.12%	0.12%
სულ	**100.00%**	**100.00%**	**100.00%**

2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინფორმაცია კომპანიის მესაკუთრეების შესახებ ბენეფიციარული მფლობელების წილების მიხედვით, ასე გამოიყურება:

	წილობრივი მონაწილეობა (%) 31 დეკემბრის მდგომარეობით		
მფლობელები	**2021**	**2020**	**2019**
ინსტიტუციური და საცალო ინვესტორები	74.31%	74.79%	68.70%
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებები	7.84%	7.84%	8.04%
დამფუძნებლები*	14.61%	14.64%	16.26%
სხვა აქციონერები**	3.24%	2.73%	7.00%
სულ	**100.00%**	**100.00%**	**100.00%**

** დამფუძნებლები მოიცავს მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის პირდაპირ და არაპირდაპირ მფლობელობას.*

*** სხვა მოიცავს მფლობელებს – ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.*

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები გაგრძელება

1. შესავალი გაგრძელება

შვილობილი და მეკავშირე საწარმოები. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შემდეგ ძირითად შვილობილ საწარმოებს მოიცავს:

	ხმის უფლების მქონე და ჩვეულებრივი აქციების წილი საწესდებო კაპიტალში 31 დეკემბრის მდგომარეობით					
შვილობილი საწარმოს სახელი	2021	2020	2019	საქმიანობის ან დაფუძნების ძირითადი ადგილი	დაფუძნების წელი	ძირითადი საქმიანობა
სს „თიბისი ბანკი“	99.88%	99.88%	99.88%	თბილისი, საქართველო	1992	საბანკო საქმიანობა
სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“	99.53%	99.53%	99.53%	თბილისი, საქართველო	1997	ბარათების დამუშავება
შპს „თიბისი კაპიტალი“	100.00%	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	1999	საბროკერო საქმიანობა
სს „თიბისი ლიზინგი“	100.00%	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2003	იჯარა
შპს „თიბისი კრედიტი“	100.00%	100.00%	100.00%	ბაქო, აზერბაიჯანი	1999	არასაბანკო საკრედიტო დაწესებულება
შპს „თიბისი ფეი“	100.00%	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2009	დამუშავება
შპს „თიბისი ინვესტი“	100.00%	100.00%	100.00%	რამათ-განი, ისრაელი	2011	საზოგადოებასთან ურთიერთობა და მარკეტინგი
შპს „ინდექსი“	100.00%	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2011	უძრავი ქონების მართვა
შპს „თიბისი კაპიტალ ესეთ მენეჯმენტ“	100.00%	მითითებული არ არის	მითითებული არ არის	თბილისი, საქართველო	2021	აქტივების მართვა

ჯგუფს აქვს ინვესტიციები შემდეგ მეკავშირე საწარმოებში:

	ხმის უფლების მქონე და ჩვეულებრივი აქციების წილი საწესდებო კაპიტალში 31 დეკემბრის მდგომარეობით					
მეკავშირე საწარმოს სახელი	2021	2020	2019	საქმიანობის ან დაფუძნების ძირითადი ადგილი	დაფუძნების წელი	ძირითადი საქმიანობა
სს „კრედიტინფო საქართველო“	21.08%	21.08%	21.08%	თბილისი, საქართველო	2005	ფინანსური შუამავლობა
სს „თბილისის საფონდო ბირჟა“	28.87%	28.87%	28.87%	თბილისი, საქართველო	2019	ფინანსები, მომსახურება
სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“	22.87%	22.87%	27.70%	თბილისი, საქართველო	2019	ფინანსები, მომსახურება
სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“[1]	17.33%	17.33%	17.33%	თბილისი, საქართველო	2019	ფინანსები, მომსახურება
სს „კავკასრეესტრი“[1]	10.03%	10.03%	10.03%	თბილისი, საქართველო	2019	ფინანსები, მომსახურება

რეგისტრაციის ან დაფუძნების ქვეყანა ასევე წარმოადგენს თითოეული ზემოაღნიშნული შვილობილი საწარმოს საქმიანობის ძირითად ადგილს.

ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურა შედგება მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული სამეურნეო სუბიექტებისგან, რომლებიც შედგება შვილობილი და მეკავშირე საწარმოებისგან. ეს საწარმოები არ არის კონსოლიდირებული ან აღრიცხული წილობრივი მეთოდით მათი არაარსებითობის გამო. ქვემოთ წარმოდგენილია ამ სამეურნეო სუბიექტების სრული სია, დაფუძნების ქვეყანა და აქციების თითოეული კლასის მფლობელობა.

1. შესავალი გაგრძელება

კომპანიის დასახელება	ხმის უფლების მქონე და ჩვეულებრივი აქციების წილი საწესდებო კაპიტალში 31 დეკემბრის მდგომარეობით 2021	2020	2019	საქმიანობის ან დაფუძნების ძირითადი ადგილი	დაფუძნების წელი	ძირითადი საქმიანობა
შპს „თიბისი ინვესტ ინტერნეიშენალი“[2]	100.00%	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2016	ინვესტირების ინსტრუმენტი
უნივერსიტეტის განვითარების ფონდი[2]	33.33%	33.33%	33.33%	თბილისი, საქართველო	2007	განათლება
შპს „საქართველოს ნატურალური პროდუქტები“[2]	25.00%	25.00%	25.00%	თბილისი, საქართველო	2001	ვაჭრობა, მომსახურება
„შპს თიბისი ტრეიდი“	100.00%	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2008	ვაჭრობა, მომსახურება
სს „ჯორჯია ლარჯ ქეფ დაივერსიფაიდ კრედიტ პორთფოლიო“	100.00%	მითითებული არ არის	მითითებული არ არის	თბილისი, საქართველო	2021	აქტივების მართვა

ჯგუფის საოპერაციო გარემო. საქართველო, სადაც ჯგუფის საქმიანობის უმეტესობა იყრის თავს, განვითარებადი ბაზრის გარკვეული ნიშნებით ხასიათდება. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზა აგრძელებს განვითარებას და ექვემდებარება ხშირ ცვლილებას და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას (35-ე შენიშვნა). 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 10.6%-ით გიზარდა. ეკონომიკის გამოცოცხლება მოსალოდნელი იყო, მაგრამ საქართველოს ეკონომიკა ისეთი სიჩქარით გაიზარდა, რომ ყველაზე ოპტიმისტურ სცენარებსაც გადააჭარბა. მნიშვნელოვანია, რომ ზრდა ფართო ხასიათისაა და აისახა შემოდინების ყველა წყაროზე, ასევე შიდა მოთხოვნაზე. ეს უკანასკნელი განაპირობა პანდემიის პერიოდში დანაზოგების სიჭარბის შემობრუნებამ შეძლებულ სეგმენტში, რასაც ხელი შეუწყო აშშ დოლარში ანაბრების დაბალმა განაკვეთებმა. კრედიტების ზრდაც მძლავრი იყო, ხოლო ფისკალური პოლიტიკის კურსი ოდნავ გამკაცრდა ჯერ კიდევ დიდი, თუმცა, წინა წელთან შედარებით ბევრად უფრო დაბალი დეფიციტის გამო. ამავდროულად, საქართველოს კვლავ აქვს ეკონომიკური ზრდის შემცირების რისკი პანდემიის გაგრძელების, შიდა და გარე პოლიტიკური დაძაბულობის, რეგიონში შესაძლო სამხედრო კონფლიქტებისა და ფედერალური სარეზერვოს სისტემის (Fed) მიერ განაკვეთების მოსალოდნელზე ადრე გაზრდის გამო.

კოვიდ-19-ის ახალი შემთხვევები უპრეცედენტო ტემპით მატულობს. თუმცა საყოველთაოდ დადასტურებულია, რომ ომიკრონი ბევრად უფრო ნაკლებად მწვავე შტამია. ამავდროულად, საქართველოში, რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის მსგავსად, ვაქცინაციის პროცესი შეფერხებით მიმდინარეობს და მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს ჩამოუვარდება. 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, ზრდა ბევრად უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ტურიზმის ნაკადის უწყვეტ განახლებაზე და ამიტომ პანდემიასთან დაკავშირებული და სხვა რისკების მატერიალიზებამ შეიძლება მკვეთრად შეზღუდოს ეკონომიკური საქმიანობა საქართველოში და უარყოფითად იმოქმედოს ბიზნესგარემოზე და ჯგუფის კლიენტებზე.

ხელმძღვანელობა საჭირო ზომებს იღებს, რათა უზრუნველყოს ჯგუფის ოპერაციების მდგრადობა და მხარდაჭერა აღმოუჩინოს თავის მომხმარებლებსა და თანამშრომლებს. მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა სტრეს-ტესტებზე ჯგუფზე სხვადასხვა არასახარბიელო სცენარის შესაძლო გავლენების გასააზრებლად. გარდა ამისა, ხელმძღვანელობამ დამატებითი ნაბიჯები გადადგა, რათა გამოევლინა არაეფექტური პროცესები და კიდევ უფრო გაამყარა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა ოპტიმიზაციის გზით.

არსებული ეკონომიკური ვითარების და ზემოაღნიშნული ზომების სამომავლო ეფექტების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებისგან.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით ჯგუფი იყენებს დასაბუთებად საპროგნოზო ინფორმაციას, მაკროეკონომიკური ცვლადების პროგნოზირების ჩათვლით. თუმცა, როგორც ეკონომიკურ პროგნოზებს ახასიათებს, მათი დადგომის პროგნოზი და ალბათობა ექვემდებარება თანმდევი განუსაზღვრელობის მაღალ ხარისხს და ამიტომ ფაქტობრივი შედეგები შეიძლება

1 ჯგუფს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ და სს „კავკასრეესტრზე“, რომლებსაც ფლობს, როგორც ინვესტიციებს მეკავშირე საწარმოებში.
2 დროებით უმოქმედო

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები გაგრძელება

1. შესავალი გაგრძელება

პროგნოზირებულებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს. 37-ე შენიშვნაში წარმოდგენილია დამატებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ჩართო ჯგუფმა საპროგნოზო ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში.

2022 წლის თებერვლიდან რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობა გამწვავდა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ. ეს უარყოფითად აისახა სასაქონლო და ფინანსურ ბაზრებზე და გაზარდა მერყეობა, განსაკუთრებით უცხოური ვალუტის კურსებთან მიმართებით. რამდენიმე ქვეყნის მიერ დაწესებული სანქციების შედეგად, რუსეთის ბაზარი ბევრმა კომპანიამ დატოვა და შეწყვიტა მომსახურებისა და პროდუქტების მიწოდება რუსული ბაზრისთვის. მოსალოდნელია შემდგომი სანქციები და შეზღუდვები რუსეთში მოქმედი კომპანიების ბიზნესსაქმიანობაზე. საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის თავიდან ასარიდებლად საქართველოს მთავრობა არ შეუერთდა ყველა სანქციას, თუმცა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული შეზღუდვების, ასევე უკრაინის ეკონომიკის დაღმავლობის სრული ხასიათი და შესაძლო ეფექტები ჯერ კიდევ უცნობია. ამის მიუხედავად, უკრაინასა და რუსეთში განვითარებული მოვლენების მიმართ საქართველოს მოწყვლადობისა და ამ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების გამო, ეს ყველაფერი არასახარბიელოდ აისახება ზრდის პერსპექტივაზე და ასევე სხვა მაკრო ცვლადებზე, რამაც შეიძლება ასევე უარყოფითად იმოქმედოს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობაზე, ლიკვიდურობასა და საკრედიტო რისკებზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („ფასს“) ისტორიული ღირებულების კონვენციის შესაბამისად, შეცვლილი ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებით სამართლიანი ღირებულების საფუძველზე და ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებით, სამართლიანი ღირებულების მოგება ან ზარალში ასახვით და სამართლიანი ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოიყენება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისთვის აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ ქვემოთ საგანგებოდ სხვა რამე არ არის მითითებული.

კლიმატის ცვლილება. ჯგუფი, როგორც პასუხისმგებელი კრედიტორი, აგრძელებს კლიმატის ცვლილებისა და დაბალი ემისიის ეკონომიკაზე გადასვლის პოტენციური ზემოქმედების შეფასების განვითარებას მის ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ და წარმოდგენილ აქტივებსა და ვალდებულებებზე. წლის განმავლობაში ჯგუფმა შეასრულა მაღალი დონის დარგობრივი შეფასება, რადგან სხვადასხვა სექტორი შეიძლება იყოს დაუცველი კლიმატთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკების მიმართ. მეორე მხრივ, მომდევნო წლებში უნდა გაიზარდოს კლიმატთან დაკავშირებული რისკების ცოდნა, რომელსაც აქვს გრძელვადიანი ზემოქმედება. 2021 წლის 31 დეკემბერს, მაღალი დონის დარგობრივი შეფასებისას მენეჯმენტმა კონკრეტულად განიხილა კლიმატის ცვლილებისა და დაბალი ემისიის ეკონომიკაზე გადასვლის პოტენციური გავლენა. დაწვრილებითი ინფორმაცია წარმოდგენილია 37-ე შენიშვნაში.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ათასი ლარი“), თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ცვლილებები არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურების წარმოდგენაში. 2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა მოახდინა არაფინანსური აქტივების გაუფასურების/ამოღების რეკლასიფიკაცია „ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯებიდან’ „არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურებაში“. აღრიცხული გაუფასურების/ამოღების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება დასაკუთრებულ აქტივებს და საინვესტიციო ქონებას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აქტივების ეს ტიპი აქტიურად არ გამოიყენება ყოველდღიურ ოპერაციებში, არამედ ძირითადად გამიზნულია მომავალში გასაყიდად. ამ ხარჯების/ამოღებული თანხების ხასიათიდან გამომდინარე, ასეთი წარდგენა უფრო მართებულია და ჯგუფის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას სძენს მეტ სიცხადეს და აქცევს უფრო იოლად აღსაქმელად. შედარებადი ფინანსური მონაცემების წარდგენა დაკორექტირდა მიმდინარე პერიოდის თანხების წარდგენის დასადასტურებლად:

2. მნიშვნელოვანი საბუღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

ეფექტი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე

ათას ლარში	**31 დეკემბერი, 2020 წ (თავდაპირველად წარმოდგენილი)**	**რეკლასიფიკაცია**	**31 დეკემბერი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)**
არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურება	-	(5,830)	(5,830)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(117,744)	5,830	(111,914)

ათას ლარში	**31 დეკემბერი, 2019 წ (თავდაპირველად წარმოდგენილი)**	**რეკლასიფიკაცია**	**31 დეკემბერი, 2019 წ. (გადაანგარიშებული)**
არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურება	-	(2,743)	(2,743)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(126,927)	2,743	(124,184)

ეფექტი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაზე

ათას ლარში	**31 დეკემბერი, 2020 წ (თავდაპირველად წარმოდგენილი)**	**რეკლასიფიკაცია**	**31 დეკემბერი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)**
არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურება	-	(4,490)	(4,490)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(94,643)	4,490	(90,153)

ათას ლარში	**31 დეკემბერი, 2019 წ (თავდაპირველად წარმოდგენილი)**	**რეკლასიფიკაცია**	**31 დეკემბერი, 2019 წ. (გადაანგარიშებული)**
არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურება	-	(1,886)	(1,886)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(102,939)	1,886	(101,053)

საბარათე ოპერაციებისთვის მიღებული ქეშბექების და წამახალისებელი გადახდების გადაანგარიშება. სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მეტი სიცხადის შესატანად ჯგუფმა გადახედა Visa-სგან და Mastercard-ისგან საბარათე ოპერაციებისთვის მიღებული ქეშბექების და წამახალისებელი გადახდების წარმოდგენას. ქეშბექების და წამახალისებელი გადახდების მისაღები თანხის ოდენობა დამოკიდებულია ჯგუფის ოპერაციების მასშტაბზე Visa-ს და Mastercard-ის ბარათებით და მათთვის გადახდილ დაკავშირებულ საკომისიო ხარჯებზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ Visa-სთვის და Mastercard-ისთვის გადახდილი საკომისიო ხარჯების წარმოდგენა მათგან მიღებული ქეშბექების და წამახალისებელი გადახდების გამოკლებით, უფრო გასაგებად და ცხადად წარმოაჩენს ფინანსურ ანგარიშგებას და მასთან დაკავშირებულ საბუღალტრო აღრიცხვის წესებს. რეკლასიფიკაციის შედეგად, ხელმძღვანელობამ Visa-სგან და Mastercard-ისგან მიღებული ქეშბექები და წამახალისებელი გადახდები „საკომისიო შემოსავლიდან“ გადაიტანა „საკომისიო ხარჯში“. შედარებადი ფინანსური მონაცემების წარდგენა დაკორექტირდა მიმდინარე პერიოდის თანხების წარდგენის დასადასტურებლად:

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

ეფექტი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე

ათას ლარში	**31 დეკემბერი, 2020 წ (თავდაპირველად წარმოდგენილი)**	**რეკლასიფიკაცია**	**31 დეკემბერი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)**
საკომისიო შემოსავალი	298,496	(8,000)	290,496
საკომისიო ხარჯი	(129,717)	8,000	(121,717)

ათას ლარში	**31 დეკემბერი, 2019 წ (თავდაპირველად წარმოდგენილი)**	**რეკლასიფიკაცია**	**31 დეკემბერი, 2019 წ. (გადაანგარიშებული)**
საკომისიო შემოსავალი	284,428	(3,810)	280,618
საკომისიო ხარჯი	(105,302)	3,810	(101,492)

ეფექტი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაზე

ათას ლარში	**31 დეკემბერი, 2020 წ (თავდაპირველად წარმოდგენილი)**	**რეკლასიფიკაცია**	**31 დეკემბერი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)**
საკომისიო შემოსავალი	271,981	(8,000)	263,981
საკომისიო ხარჯი	(147,583)	8,000	(139,583)

ათას ლარში	**31 დეკემბერი, 2019 წ (თავდაპირველად წარმოდგენილი)**	**რეკლასიფიკაცია**	**31 დეკემბერი, 2019 წ. (გადაანგარიშებული)**
საკომისიო შემოსავალი	254,764	(3,810)	250,954
საკომისიო ხარჯი	(118,969)	3,810	(115,159)

ბიზნესმოდელის ცვლილება. ჯგუფი ისტორიულად იყენებდა ფინანსთა სამინისტროს ფასიან ქაღალდებს, რათა დაებანდებინა ზედმეტი ფულადი რესურსები და მიეღო პროცენტი ინვესტიციის სანაცვლოდ. უმეტეს შემთხვევაში ფასიანი ქაღალდები ფლობა გრძელდებოდა მათ ვადამდე და ჯგუფი არ ეწეოდა სავაჭრო საქმიანობას მოგების მიღების მიზნით. ამის შედეგად, მათი ბიზნესმოდელის მიხედვით, ასეთი ფასიანი ქაღალდები კლასიფიცირდებოდა, როგორც „ფლობილი ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“ და აისახებოდა, როგორც „ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები“ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში.

2020 წლის ბოლოსთვის ფინანსთა სამინისტრომ აამოქმედა ახალი პირველადი დილერების პლატფორმა, რათა გაეზარდა ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობა, კიდევ უფრო შეეწყო ხელი სახელმწიფო თამასუქებით ვაჭრობისთვის და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის. შეიქმნა მესამე მხარე დილერები ფინანსთა სამინისტროსა და ინვესტორებს შორის ვაჭრობისთვის. პლატფორმამ უნდა გააფართოოს ინვესტორების მონაცემთა ბაზა და გააუმჯობესოს მეორადი ბაზრის ლიკვიდურობა. სს „თიბისი ბანკს“ ექნება პირველადი დილერის სტატუსი პლატფორმაზე, რაც მას საშუალებას მისცემს იმოქმედოს, როგორც შუამავალმა ინვესტორებსა და ფინანსთა სამინისტროს შორის, ინვესტორების მხრიდან დაკვეთის შესრულებით.

ვინაიდან მეორადი ბაზარი კიდევ უფრო გააქტიურდა, ჯგუფი სიფხიზლით მოეკიდა ხელსაყრელ საბაზრო შესაძლებლობებს და დაიწყო ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ისეთ შემთხვევებში, როდესაც გაყიდვის ოპერაცია მნიშვნელოვნად არ აისახებოდა ჯგუფის ლიკვიდურობის პოზიციაზე და წარმოქმნიდა უფრო დიდ მოგებას, მათ ვადამდე ძირითადი თანხის და პროცენტის მიღებასთან შედარებით. ამის შედეგად, სახაზინო ფასიანი ქაღალდების მართვის პრაქტიკა, რომელიც გულისხმობდა ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდების უმეტესობის ვადამდე ფლობას, 2020 წლის ბოლოსთვის შეიცვალა და მომავალ პერიოდებშიც ამავე მიმართულებით დარჩება.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკა გაგრძელება

შესაბამისმა ცვლილებებმა მართვის პროცესებში განაპირობა არსებული „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობილი“ ბიზნესმოდელის შეცვლა „ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით ფლობილად“. შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდები რეკლასიფიცირდა „ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციებიდან“ „საინვესტიციო ფასიან ქაღალდებად, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებებში, ხოლო შესაბამისი ეფექტები აისახა მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 9-ის მოთხოვნის თანახმად, ცვლილება აღირიცხა პერსპექტიულად რეკლასიფიკაციის თარიღიდან. რეკლასიფიკაციის თარიღი წარმოადგენს ბიზნესმოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველ დღეს, რის შედეგადაც საწარმო ახდენს ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას, რაც არის 2021 წლის 1 იანვარი. ხელმძღვანელობის აზრით, ასეთი წარმოდგენა უფრო მიზანშეწონილია ტრანსაქციების ხასიათიდან გამომდინარე.

ბიზნესმოდელის შეფასებაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შესაბამისი ფასიანი ქაღალდები უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების შიდა ტესტირებამ აჩვენა, რომ ეს ფასიანი ქაღალდები ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით, სადაც ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და ისინი არ არის კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. 2021 წლის განმავლობაში აღრიცხულმა მომდევნო პერიოდის გაყიდვებმაც აჩვენა შესაბამისი ცვლილებები ჯგუფის ბიზნესოპერაციებში.

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე:

ათას ლარში	**ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.**	**ბიზნესმოდელის ცვლილება**	**ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით**
სამართლიანი ღირებულების რეზერვი:	11,157	26,062	37,219
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები	1,059,946	(1,059,946)	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	1,527,268	1,086,008	2,613,276

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაზე

ათას ლარში	**ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**	**ბიზნესმოდელის ცვლილება**	**ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით**
სამართლიანი ღირებულების რეზერვი:	11,259	26,062	37,321
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები	1,059,946	(1,059,946)	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	1,547,330	1,086,008	2,633,338

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი კომპანიები ის ინვესტიციის ობიექტებია, სტრუქტურირებული საწარმოების ჩათვლით, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან (i) შეუძლია წარმართოს ინვესტიციის ობიექტის ის საქმიანობები, რომლებიც მის უკუგებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს, (ii) აქვს ინვესტიციის ობიექტში მონაწილეობის შედეგად ცვლად უკუგებასთან დაკავშირებული რისკი და უფლებები, და (iii) შეუძლია გამოიყენოს ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენა და იმოქმედოს ინვესტორის უკუგების ოდენობაზე. სხვა საწარმოზე ჯგუფის გავლენის შეფასებისას ხდება არსებითი უფლებების, მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლებების, არსებობის და ეფექტის გათვალისწინება. იმისათვის, რომ უფლება არსებითად ჩაითვალოს, მის მფლობელს უნდა ჰქონდეს ამ უფლების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა ინვესტიციის

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

ობიექტის შესაბამისი საქმიანობების წარმართვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის ობიექტზე მაშინაც კი, როდესაც მისი ხმის უფლებების ნახევარს ან ნაკლებს ფლობს. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი ადარებს თავის ხმის უფლებათა რაოდენობას სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაბნევასთან, რათა განსაზღვროს აქვს თუ არა ფაქტობრივი გავლენა ინვესტიციის ობიექტზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა უფლებები, რომლებიც უკავშირდება ინვესტიციის ობიექტის საქმიანობაში ფუნდამენტურ ცვლილებებს ან გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ჯგუფს ინვესტიციის ობიექტის გაკონტროლებაში ხელს არ უშლის. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირდება იმ თარიღიდან, როდესაც ჯგუფს გადაეცემა კონტროლი და მათი დეკონსოლიდაცია ხდება კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

საწარმოთა გაერთიანებისა და გუდვილის აღრიცხვა. საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შეძენის მეთოდით. შეძენის ღირებულება ფასდება ანაზღაურების თანხის სამართლიანი ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების ჩათვლით, შეძენის თარიღისთვის. შეძენასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარებულია ხარჯის სახით იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ისინი გაიწია. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი ამოცნობადი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისთვის, არამაკონტროლებელი წილის ზომის მიუხედავად.

ჯგუფი არამაკონტროლებელ წილს, რომელიც წარმოადგენს კაპიტალში ამჟამინდელ წილობრივ მონაწილეობას და, ლიკვიდაციის შემთხვევაში, მფლობელს უფლებას აძლევს წმინდა აქტივების პროპორციულ წილზე, თითოეული ოპერაციისთვის ინდივიდუალურად აფასებს ან (ა) სამართლიანი ღირებულებით, ან (ბ) შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივებში არამაკონტროლებელი წილის პროპორციული ოდენობით. არამაკონტროლებელი წილი , რომელიც არ წარმოადგენს საკუთრების წილს, ფასდება სამართლიანი ღირებულებით.

გუდვილის შესაფასებლად ხდება შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების გამოქვითვა შეძენილ საწარმოში გადახდილი თანხის, შეძენილ საწარმოში არამაკონტროლებელი წილის ოდენობის და შეძენის თარიღამდე შეძენილ საწარმოში ფლობილი წილის სამართლიანი ღირებულების ჯამური თანხიდან. ყოველგვარი უარყოფითი თანხის („უარყოფითი გუდვილი“) აღიარება ხდება მოგება/ ზარალში მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს, გამოავლინა თუ არა ყველა შეძენილი აქტივი და ყველა ნაკისრი ვალდებულება და პირობითი ვალდებულება, და გადაამოწმებს თავისი შეფასებების მართებულობას.

შეძენილ საწარმოში გადახდილი თანხა ფასდება გადაცემული აქტივების, გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების და მიღებული ან ნაკისრი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების ხელშეკრულებებთან დაკავშირებული აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ჩათვლით, მაგრამ შეძენასთან დაკავშირებული ისეთი დანახარჯების გამოკლებით, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების გასამრჯელო.

წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება კაპიტალიდან; სავალო ინსტრუმენტების გამოსაშვებად გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან, ხოლო შეძენასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი გარიგების დანახარჯი ტარდება ხარჯებში.

შიდაჯგუფური ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის კომპანიებს შორის შემდგარი გარიგებებიდან არარეალიზებული შემოსულობები ერთმანეთთან გაიქვითება; არარეალიზებული ზარალიც გაიქვითება, თუ დანახარჯების ამოღება შეუძლებელი არ არის. ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები იყენებენ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც შესაბამისობაშია ჯგუფის შიდა პოლიტიკასთან.

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი კომპანიის წმინდა შედეგების და საკუთარი კაპიტალის ნაწილი, მიკუთვნებადი იმ წილებისთვის, რომლებსაც ბანკი პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის საკუთარი კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

მეკავშირე საწარმოები. მეკავშირე საწარმოები არის ისეთი საწარმოები, რომლებზეც ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირი ან არაპირდაპირი), მაგრამ არა კონტროლი და, როგორც წესი, ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების 20-50 პროცენტს. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის წილობრივი მეთოდით და თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით. მეკავშირე საწარმოების საბალანსო ღირებულება მოიცავს გუდვილს, რომელიც იდენტიფიცირდება შეძენისას, და აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

შემთხვევაში. მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები ამცირებს მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების საბალანსო ღირებულებას. შეძენის შემდგომი სხვა ცვლილებები მეკავშირე საწარმოში ჯგუფის წმინდა აქტივების წილში შემდეგნაირად აღიარდება: (i) ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოების მოგებაში ან ზარალში აისახება წლის კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, როგორც მეკავშირე საწარმოს საქმიანობის შედეგის წილი, (ii) ჯგუფის წილი სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აისახება ცალკე, (iii) ყველა სხვა ცვლილება მეკავშირე საწარმოს წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის წილში აღიარდება მოგებაში ან ზარალში, მეკავშირე საწარმოების საქმიანობის შედეგის წილის ფარგლებში. თუმცა, როდესაც ჯგუფის ზარალის წილი მეკავშირე საწარმოში უტოლდება ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, ნებისმიერი სხვა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების ჩათვლით, ჯგუფი არ აღიარებს შემდგომ დანაკარგებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მაინ იკისრა ვალდებულება ან განახორციელა გადახდები მეკავშირე საწარმოს სახელით.

არარეალიზებული შემოსულობა ჯგუფსა და მის მეკავშირე საწარმოებს შორის გარიგებებზე იქვითება მეკავშირე საწარმოთა კაპიტალში ჯგუფის წილის მოცულობით. არარეალიზებული ზარალიც იქვითება, თუ გარიგება არ ასახავს გადაცემული აქტივის გაუფასურებას.

არამაკონტროლებელი წილების ყიდვა-გაყიდვა. არამაკონტროლებელი წილის მფლობელებთან გარიგებების ბუღალტრული აღრიცხვისთვის ჯგუფი სამეურნეო სუბიექტის მოდელს იყენებს. ნებისმიერი სხვაობა შესყიდვის ღირებულებასა და შეძენილი არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებას შორის, პირდაპირ საკუთარ კაპიტალში აღირიცხება, როგორც კაპიტალის ოპერაცია. ჯგუფი სხვაობას გაყიდვის ღირებულებასა და გაყიდული არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებას შორის აღრიცხავს, როგორც კაპიტალის ოპერაციას საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

შვილობილი, მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოების გასხვისება. როდესაც ჯგუფი კარგავს კონტროლს ან მნიშვნელოვან გავლენას, სამეურნეო სუბიექტში დარჩენილი ყოველგვარი წილის გადაფასება ხდება მის სამართლიან ღირებულებამდე და საბალანსო ღირებულებაში შესული ცვლილება აისახება მოგებაში ან ზარალში. სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას, შენარჩუნებული წილის შემდგომში მეკავშირე საწარმოდ, ერთობლივ საწარმოდ ან ფინანსურ აქტივად აღრიცხვის მიზნებისთვის. ამასთან, მანამდე ამ სამეურნეო სუბიექტთან დაკავშირებით სხვა სრულ შემოსავალში ასახული ყველა თანხა აღირიცხება, ისე, თითქოს ჯგუფმა პირდაპირ ჩამოწერა მასთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები. ეს, შეიძლება, ნიშნავდეს მანამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხების გადატანას მოგებაში ან ზარალში.

თუ წილობრივი მონაწილეობა მეკავშირე საწარმოში მცირდება, მაგრამ ნარჩუნდება მნიშვნელოვანი გავლენა, მხოლოდ მანამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხების პროპორციული წილის რეკლასიფიკაცია ხდება მოგებაში ან ზარალში საჭიროების შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების ყველაზე ზუსტი მაჩვენებელი აქტიურ ბაზარზე მოქმედი ფასია. აქტიური ბაზარი ისეთი ბაზარია, სადაც აქტივისა თუ ვალდებულების გარიგებები ისეთი სიხშირითა და მოცულობით დგება, რომ ფასწარმოქმნის შესახებ ინფორმაცია მუდმივად არსებობდეს. აქტიურ ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ფასდება, როგორც ცალკეული აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის ნამრავლი საწარმოს კუთვნილ რაოდენობაზე. ეს იმ შემთხვევაშიც ასეა, თუ ბაზრის ნორმალური დღიური სავაჭრო მოცულობა არ არის საკმარისი, რომ შთანთქოს ფლობილი რაოდენობა და ერთიანი ოპერაციით პოზიციის გასაყიდად შეკვეთების განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კოტირებულ ფასზე.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომელიც არ ივაჭრება აქტიურ ბაზარზე, ფასდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით იმ ფასის საფუძველზე, რომელიც მიიღებოდა წმინდა გრძელი პოზიციის (ანუ აქტივის) გაყიდვით გარკვეული რისკის მოცულობით ან რომელიც გადაიხდებოდა წმინდა მოკლე პოზიციის (ანუ ვალდებულების) გადაცემით გარკვეული რისკის მოცულობით ჩვეულებრივი გარიგების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომელთა ფასების შესახებ არ მოიპოვება გარე საბაზრო ინფორმაცია, გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდები ან გაშლილი ხელის პრინციპით შემდგარი ბოლოდროინდელი გარიგებებისა თუ ინვესტიციის ობიექტების ფინანსური მონაცემების გათვალისწინების მეთოდები. სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით: (i) 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე, (ii) მე-2 დონე – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა, და (iii) მე-3 დონე – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომლებიც არ ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ე.ი. შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან არადაკვირვებად ამოსავალ მონაცემებს). სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეებს შორის გადატანა ჩაითვლება განხორციელებულად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

თვითღირებულება არის გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობა ან სხვა ანაზღაურების თანხის სამართლიანი ღირებულება, რომელიც გაიცემა აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში და მოიცავს გარიგების დანახარჯებს.

გარიგების დანახარჯები არის ზღვრული ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შესყიდვას, გამოშვებას ან გასხვისებას. ზღვრული ხარჯი ისეთი ხარჯია, რომელიც არ გაიწეოდა, გარიგება რომ არ შემდგარიყო. გარიგების დანახარჯებში შედის აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც გაყიდვების აგენტების ფუნქციას ასრულებენ), ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილი საკომისიო, მარეგულირებელი ორგანოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟების მოსაკრებლები და აქტივების გადაცემისთვის დაწესებული გადასახადები და მოსაკრებლები. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ინსტრუმენტების პრემიებსა თუ დისკონტებს, ფინანსურ დანახარჯებსა თუ შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველი აღიარების დროს, გამოკლებული სესხის ძირითადი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, დამატებული დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნებისმიერი ჩამოფასება. დარიცხული პროცენტი მოიცავს იმ გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას, რომლებიც თავდაპირველი აღიარების დროს მომდევნო პერიოდზეა გადატანილი და ვადამოსული თანხის ყოველგვარი პრემიასა თუ დისკონტს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დარიცხული კუპონი, ისე ამორტიზებული დისკონტი და პრემია (წარმოქმნისას შემდგომ პერიოდზე გადატანილი საკომისიოს ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში), ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არ არის ინდივიდუალურად წარმოდგენილი და არ აისახება შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში. სესხების დაფარვისას, პირველ რიგში აღირიცხება ჯარიმები, შემდეგ დარიცხული პროცენტი და ამის შემდეგ ძირითადი თანხა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე გადანაწილების მეთოდი პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების (სამომავლო საკრედიტო ზარალების გამოკლებით) დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელ ვადაზე ან, თუ მართებულია, უფრო ხანმოკლე პერიოდზე, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ხდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის მომდევნო გადაფასების თარიღამდე, გარდა პრემიისა თუ დისკონტისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის ცვალებად განაკვეთზე ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც საბაზრო განაკვეთების მიხედვით არ კორექტირდება. ასეთი პრემიებისა და დისკონტების ამორტიზაცია ხდება ინსტრუმენტის მთლიან მოსალოდნელ ვადაზე. დისკონტირებული (დღევანდელი) ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ თუ მიღებულ ყველა საკომისიოს, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს (ნახეთ შემოსავლის და ხარჯის აღიარების პოლიტიკა). იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც შეძენილი ან წარმოქმნილია დეფოლტის სიტუაციაში (შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული), თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. სამართლიანი ინსტრუმენტები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ყველა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯების მიხედვით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს გარიგების ფასი. თავდაპირველ აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც სამართლიანი ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის აღიარება ხდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივების ყველა ყიდვა-გაყიდვა, რომელიც მოითხოვს მიწოდებას რეგულაციით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (ყიდვა-გაყიდვა „სტანდარტული პროცედურით“) გათვალისწინებულ ვადაში, აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი იღებს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა დანარჩენი შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს შემდეგი შეფასების კატეგორიების მიხედვით: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნესმოდელზე, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვისთვის და (ii) აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნესმოდელი. ბიზნეს მოდელის მიხედვით ხდება ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ბიზნესმოდელის შეფასებისას ხელმძღვანელობა განსჯას ეყრდნობა, რათა განსაზღვროს აგრეგირების დონე და ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელები. გაყიდვების ოპერაციების შეფასებისას ჯგუფი მხედველობაში იღებს მათ ისტორიულ სიხშირეს, დროს და ღირებულებას, გაყიდვის მიზეზებს და მოლოდინებს სამომავლო გაყიდვებთან დაკავშირებით. გაყიდვების ოპერაციები, რომელთა მიზანია კრედიტის ხარისხის გაუარესების გამო პოტენციური ზარალის მინიმუმამდე დაყვანა, მიიჩნევა „ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობის“ ბიზნესმოდელის შესაბამისად. სხვა ვადამდე გაყიდვები, რომლებიც არ უკავშირდება საკრედიტო რისკის მართვის ღონისძიებებს, ასევე შეესაბამება „ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობის“ ბიზნესმოდელს, იმ პირობით, რომ ისინი არ არის ხშირი ან უმნიშვნელო ღირებულების, როგორც ინდივიდუალურად, ისე აგრეგირებულად. ჯგუფი გაყიდვების ოპერაციების მნიშვნელობას აფასებს გაყიდვების ღირებულების შედარებით პორტფელის ღირებულებასთან, რომელიც ექვემდებარება ბიზნესმოდელის შეფასებას პორტფელის საშუალო ვადაზე. გარდა ამისა, ფინანსური აქტივის გაყიდვა, რომელიც მოსალოდნელია მხოლოდ სტრესული სცენარით, ან განცალკევებული შემთხვევის შედეგად, რომელიც ჯგუფის კონტროლის მიღმაა, არ არის განმეორებითი ხასიათის და ჯგუფი მის პროგნოზს ვერ მოახდენს, მიიჩნევა ბიზნესმოდელის მიზნის თანმდევად და არ ახდენს გავლენას შესაბამისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

„ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობის“ ბიზნესმოდელი ნიშნავს იმას, რომ აქტივები ფლობილია ფულადი ნაკადების მისაღებად, მაგრამ გაყიდვაც განუყოფელი ნაწილია ბიზნესმოდელის მიზნის მისაღწევად, როგორიცაა, მაგალითად, ლიკვიდურობის საჭიროების მართვა, გარკვეული შემოსავლიანობის მიღწევა, ან ფინანსური აქტივების ვადიანობის შესაბამისობაში მოყვანა იმ ვალდებულებების ვადებთან, რომლებითაც ფინანსდება ეს აქტივები.

ნარჩენი კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების იმ პორტფელებს, რომლებიც იმართება ფულადი ნაკადების რეალიზების მიზნით, ძირითადად, გაყიდვის გზით, მაგალითად, როდესაც ვაჭრობის სქემა არსებობს. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ხშირად ახასიათებს ამ ბიზნესმოდელს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნესმოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ ჯგუფი აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას ("SPPI"). ჩართული წარმოებული ინსტრუმენტების მქონე ფინანსური აქტივები მთლიანად განიხილება იმის განსაზღვრისას, შეესაბამება თუ არა მათი ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების მახასიათებელს. შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების შესაბამისია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა.

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულებასთან შეუსაბამოა, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება. ქვემოთ განხილულია ჯგუფის მიერ გამოყენებული განსჯა SPPI ტესტირების ჩატარებისას თავისი ფინანსური აქტივებისთვის:

ფულის დროითი ღირებულების ელემენტი შეიძლება მოდიფიცირდეს, მაგალითად, თუ სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი პერიოდულად გადაიხედება, მაგრამ ამ გადახედვის სიხშირე არ ემთხვევა სავალო ინსტრუმენტის შესაბამისი საბაზისო საპროცენტო განაკვეთის ვადას, მაგალითად, სესხს ერიცხება სამთვიანი ბანკთაშორისი განაკვეთი, მაგრამ განაკვეთი ყოველთვიურად გადაიხედება. მოდიფიცირებული ფულის დროითი ღირებულების ეფექტი შეფასდა შესაბამისი ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების შედარებით SPPI ფულადი ნაკადების მქონე საორიენტაციო სავალო ინსტრუმენტებთან თითოეულ პერიოდში და კუმულაციურად, ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე. ჯგუფმა შემოიღო 10%-იანი ზღვარი, რათა დაედგინა სხვაობები საორიენტაციო ინსტრუმენტებთან შედარებით მნიშვნელოვანი იყო თუ არა. ისეთი სცენარის შემთხვევაში, რომლის მიხედვითაც ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავდება ზღვრული მაჩვენებლისგან, შეფასებული ინსტრუმენტის ფულადი ნაკადები არ არის SPPI და ინსტრუმენტი შემდეგ აღირიცხება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ჯგუფმა გამოავლინა და განიხილა ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დროს ან თანხას. SPPI კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, თუ სესხი ვადაზე ადრე დაფარვის საშუალებას იძლევა და წინსწრებით გადახდილი თანხა არსებითად წარმოადგენს ძირითად თანხას და დარიცხულ პროცენტს, რასაც ემატება გონივრული დამატებითი კომპენსაცია ხელშეკრულების ნაადრევი შეწყვეტის გამო. აქტივის ძირითადი თანხა არის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას, რასაც აკლდება ძირითადი თანხის შემდგომი დაფარვები, ანუ შენატანები პროცენტის გარეშე, რომლებიც განისაზღვრება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ პრინციპიდან გამონაკლისის სახით, სტანდარტის მიხედვით, წინსწრებით დაფარვის კომპონენტის მქონე ინსტრუმენტები შეესაბამებოდეს SPPI-ს, თუ აკმაყოფილებს შემდეგ პირობას: (i) აქტივი წარმოიქმნება ნომინალურზე მეტი ან ნაკლები ღირებულებით (პრემიუმით ან დისკონტით), (ii) წინსწრების თანხა წარმოადგენს სახელშეკრულებო თანხას და დარიცხულ პროცენტს, ასევე გონივრულ დამატებით კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო, და (iii) წინსწრებით დაფარვის კომპონენტის სამართლიანი ღირებულება არ არის არსებითი თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნესმოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნესმოდელის შეცვლის შემდეგ პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. ჯგუფმა თავისი ბიზნესმოდელი 2020 წელს შეცვალა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფასიან ქაღალდებთან მიმართებით, რაც ძალაში შევიდა 2021 წლის 1 იანვრიდან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც ამას ფასს 9 მოითხოვს. დაწვრილებითი ინფორმაცია და შემდგომი შეფასება წარმოდგენილია მე-2 შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი. ჯგუფი საპროგნოზო შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისთვის. ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

თარიღისთვის აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს საკრედიტო ზარალის რეზერვს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ჯგუფი იყენებს გაუფასურების სამი სტადიის მოდელს, რომელიც ეფუძნება თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილებებს:

- 1-ლი სტადია: ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არ არის დეფოლტის სიტუაციაში, მიეკუთვნება 1-ელ სტადიას. 1-ელ სტადიაზე მყოფი ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება იმ ოდენობით, რომელიც უდრის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელსაც განაპირობებს მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან ხელშეკრულების დაფარვის თარიღამდე (რომელიც უფრო ხანმოკლე ვადაა) შესაძლო დეფოლტის მოვლენა („12-თვიანი საკრედიტო ზარალი“);
- მე-2 სტადია: თუ ჯგუფი გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქტივი გადავა მე-2 სტადიაზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე („არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა აღარ ფიქსირდება, ინსტრუმენტი კვლავ გადაინაცვლებს 1-ელ სტადიაზე. ფინანსური ინსტრუმენტები მე-2 სტადიიდან 1-ელ სტადიაზე გადადის 6-თვიანი გამოსასწორებელი ვადით, თუ სესხები მანამდე გადაუხდელი (დეფოლტის) კატეგორიაში იყო, ხოლო რესტრუქტურირებული სესხები რჩება მე-2 სტადიაზე, სანამ არ მოეხსნება რესტრუქტურიზებულის სტატუსი. რესტრუქტურიზებულის სტატუსის მოსახსნელად მსესხებელმა მინიმუმ 12-თვიანი თანმიმდევრული გადახდა უნდა განახორციელოს, თუ არ ტარდება ფინანსური მონიტორინგი. 37-ე შენიშვნაში აღწერილია, როგორ განსაზღვრავს ჯგუფი, საპროგნოზო შეფასებაზე დაყრდნობით, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდა;
- მე-3 სტადია: დეფოლტის სიტუაციაში მყოფი აქტივები გადაინაცვლებს მე-3 სტადიაზე და აღიარდება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი. ჯგუფის მიერ დეფოლტის სიტუაციაში მყოფი აქტივების განმარტება და დეფოლტის (გადაუხდელობის) განმარტება ეყრდნობა ზარალის დადგომის მინიმუმ ერთ შემთხვევას, რაც უფრო დაწვრილებით აღწერილია 38-ე შენიშვნაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო შესაბამისი რეზერვი აისახება, როგორც ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ფინანსური გარანტიებისა და საკრედიტო ვალდებულებების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები აისახება, როგორც ვალდებულება ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხებში.

მთლიანი საბალანსო ღირებულება და ჩამოწერები. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება ზარალის რეზერვის მიხედვით დაკორექტირებამდე. ჯგუფი პირდაპირ ამცირებს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას, როდესაც საწარმოს აღარ აქვს ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ეს უკანასკნელი მოიცავს ადგილობრივი რეგულაციებით გათვალისწინებულ ჯარიმებს. სესხები ჩამოსაწერად ფასდება ან კოლექტიურად, ვადაგადაცილებული დღეების კრიტერიუმების საფუძველზე, ან ინდივიდუალურად, სესხის სეგმენტისა და პროდუქტის ტიპის მიხედვით.

ფინანსური აქტივები – აღიარების შეწყვეტა და მოდიფიკაცია. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადა სხვაგვარად გაუვიდა, ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო აქტივის გადაცემის ხელშეკრულება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. გადაცემულ აქტივზე კონტროლი ნარჩუნდება, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და აქტივის გადაცემაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე. ჯგუფი ზოგჯერ ახდენს ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობების რესტრუქტურიზაციას ან სხვაგვარ მოდიფიკაციას.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

ჯგუფი გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით აფასებს, არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია არსებითი. ქვემოთ წარმოდგენილი ჯგუფის შიგნით შექმნილი მეთოდოლოგიის მიხედვით, არსებობს გარკვეული ხარისხობრივი მიზეზები, რომლებიც იწვევს აქტივის აღიარების შეწყვეტას ისე, რომ შემდგომი რაოდენობრივი ტესტირება საჭირო აღარ არის. ეს ხარისხობრივი კრიტერიუმები ჩამოთვლილია ქვემოთ:

- სახელშეკრულებო ვალუტის ცვლილება;
- ორი ან მეტი სესხის გაერთიანება ერთ ახალ სესხად;
- კონტრაჰენტის ცვლილება;
- წინასწარ განსაზღვრული დაფარვის გრაფიკის არმქონე სესხი იცვლება გრაფიკის მქონე სესხით, ან პირიქით;
- სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის ცვლილება საბაზრო პირობების შეცვლის გამო.

ჯგუფი აქტივის თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს ადარებს, რათა დაადგინოს, აქტივთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი არსებითად განსხვავებული არის თუ არა ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად. უნდა შეფასდეს არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვლილება მნიშვნელოვანი (მნიშვნელოვნად მიიჩნევა 10%-იანი ცვლილება). თუ ტესტის შედეგია 10%-იან ზღვარზე მეტი, უნდა მოხდეს სესხის აღიარების შეწყვეტა, ხოლო თუ ტესტის შედეგი 10% ან ნაკლებია, ფინანსური აქტივი შეიძლება შეფასდეს, როგორც მოდიფიცირებული.

თუ რისკები და სარგებელი არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება (აღემატება 10%-ს) თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. ჯგუფი ხელახლა გამოითვლის საერთო საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დისკონტირებით თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ან, სადაც საჭიროა, გადასინჯული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი გაწეული დანახარჯები ან გასამრჯელოები აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი ვადის განმავლობაში.

გადახდისგან დროებითი გათავისუფლება, რაც ჯგუფმა დაუშვა კოვიდ-19-ის პანდემიის შემდეგ, აღირიცხება, როგორც შესაბამისი სესხების და ავანსების ხელშეკრულების მოდიფიკაცია, თუ ისინი არ გამოიწვევს აღიარების შეწყვეტას ზემოაღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად. მოდიფიკაციის გავლენა მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (მოდიფიკაციით განპირობებული წმინდა ზარალი) წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიცირების შედეგად მიღებული ზარალის მუხლში. კოვიდ-19-ის გავლენა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდოლოგიაზე აღწერილია 37-ე შენიშვნაში.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია ეხება წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, სავაჭროდ განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა და მოდიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ჯგუფსა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული დღევანდელი

2. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

ღირებულებისგან. გარდა ამისა, მხედველობაში მიიღება სხვა ხარისხობრივი ფაქტორები, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ინსტრუმენტი, საპროცენტო განაკვეთის ტიპის ცვლილებები, ინსტრუმენტის კონვერტაციის ახალი პირობები. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯით ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალურ ოპერაციას.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არის მუხლები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობად და რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, მოთხოვნებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ, გარდა სავალდებულო რეზერვებისა, და ყველა ბანკთაშორის განთავსებებს და ბანკთაშორის მოთხოვნებს სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადით. სამ თვეზე მეტი ხნით შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები არ შედის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ვინაიდან: (i) მათი ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს, და (ii) ისინი არ არის კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები, როგორიცაა სასესხო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კანონი ზოგიერთ ქვეყანაში, არ მოქმედებს SPPI ტესტზე, თუ ისინი არ არის ასახული ხელშეკრულების პირობებში იმგვარად, რომ ეს მექანიზმები ძალაში დარჩეს მაშინაც, თუ კანონმდებლობა შემდგომში შეიცვლება.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი გადახდილი ან მიღებული თანხები წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გადატანებს, მათ შორის ჯგუფის კონტრაჰენტების ჯგუფის შიგნით განთავსებული მიმდინარე ანგარიშების დებეტში ან კრედიტში გატარებულ თანხებს, როგორიცაა სესხზე საპროცენტო შემოსავალი ან ამოღებული ძირითადი თანხა მომხმარებლის მიმდინარე ანგარიშის დადებეტებით, ან პროცენტის გადახდები ან სესხის გაცემები, რომლებიც კრედიტდება მომხმარებლის მიმდინარე ანგარიშზე, რაც წარმოადგენს ფულად სახსრებს ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების მომხმარებლის პოზიციიდან.

სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში. სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად. აქედან გამომდინარე, ისინი არ მიიჩნევა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაწილად ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისთვის.

მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება, როდესაც ჯგუფი ავანსად უხდის ფულს კონტრაჰენტ ბანკებს. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, როდესაც: (i) ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI), და (ii) ისინი არ არის კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. სხვა შემთხვევაში ისინი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით.

ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში. ბიზნესმოდელსა და ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე დაყრდნობით, ჯგუფი სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებს შემდეგ კატეგორიებს მიაკუთვნებს: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავალო ფასიანი ქაღალდები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, თუ მათი ფლობის მიზანი არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და როდესაც

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და თუ ისინი არ არის ნებაყოფლობით კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს ბუღალტრული აცდენები.

სავალო ფასიანი ქაღალდები აღირიცხება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ მათი ფლობის მიზანი არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და როდესაც ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და თუ ისინი არ არის კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ამ აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით შეფასებული გაუფასურების რეზერვი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. ყველა სხვა ცვლილება საბალანსო ღირებულებაში აისახება სხვა სრულ შემოსავალში. როდესაც ხდება სავალო ფასიანი ქაღალდის აღიარების შეწყვეტა, მანამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი რეკლასიფიცირდება სხვა სრული შემოსავლიდან მოგებაში ან ზარალში. ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში აღირიცხება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ისინი არ აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულის ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებულის, მოგებაში ან ზარალში ასახვით, კრიტერიუმებს. ჯგუფმა შეიძლება ასევე შეუქცევადად მოახდინოს სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების კლასიფიცირება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თავდაპირველი აღიარებისას თუ ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად ამცირებს ბუღალტრულ აცდენებს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, რომლებიც აღიარდება ან ფასდება ბუღალტრული აღრიცხვის სხვადასხვა საფუძველზე.

ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში. ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს საკუთარი კაპიტალის განმარტებას ემიტენტის პოზიციიდან, ანუ ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ფულის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულებას და რომლებიც ადასტურებს ნარჩენ წილობრივ მონაწილეობას ემიტენტის წმინდა აქტივებში, ჯგუფის მიერ მიიჩნევა წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებად. ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჯგუფი თავდაპირველი აღიარებისას არჩევს შეუქცევადად აღიაროს კაპიტალის ინვესტიციები, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფის პოლიტიკა გულისხმობს კაპიტალის ინვესტიციების კლასიფიცირებას სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როდესაც ეს ინვესტიციები ფლობილია სტრატეგიული მიზნით, და არა მხოლოდ ინვესტიციაზე უკუგების მისაღებად. თუ გადაწყდება სამართლიანი ღირებულებით შეფასება, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სამართლიანი ღირებულების შემოსულობა და ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და შემდგომში არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, მათ შორის გასხვისებისას. გაუფასურების ზარალი და მისი შემობრუნება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ფასდება სამართლიანი ღირებულების სხვა ცვლილებებისგან განცალკევებით. დივიდენდების აღიარება გრძელდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც დადგინდება ჯგუფის უფლება, მიიღოს გადახდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი წარმოადგენს ინვესტიციის ამოღებას და არა უკუგებას ამ ინვესტიციაზე.

მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები აღირიცხება, როდესაც ჯგუფი ავანსად იხდის ფულს მომხმარებლისგან მისაღები სესხის შესყიდვის ან წარმოშობის მიზნით. ბიზნესმოდელისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჯგუფი მომხმარებლებზე გაცემული სესხების და ავანსების კლასიფიცირებას ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიაში ახდენს: (i) ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული: სესხები, რომლებიც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად არის განკუთვნილი და ეს ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს წარმოადგენს, ასევე სესხები, რომლებსაც ნებაყოფლობით არ მიენიჭება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, კატეგორია; და (ii) სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით: სესხები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტის ან ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, შეფასების სხვა კრიტერიუმებს, შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებზე დაყრდნობით. 37-ე შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია ამოსავალი მონაცემების,

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

დაშვებების და შეფასების მეთოდების თაობაზე, რომლებიც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, მათ შორის ახსნილია, როგორც იყენებს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში.

დასაკუთრებული უზრუნველყოფა. დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ჯგუფმა შეიძინა ვადაგადაცილებული სესხების თანხის დასაფარად. ამ აქტივების შეძენისას ისინი თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და აისახება შენობებსა და აღჭურვილობაში, საინვესტიციო ქონებაში ან დასაკუთრებულ უზრუნველყოფაში, სხვა აქტივების მუხლში. ეს კლასიფიკაცია დამოკიდებულია უზრუნველყოფის მახასიათებლებსა და ჯგუფის გადაწყვეტილებაზე ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივები შემდგომში გადაფასდება და აღირიცხება აქტივების ამ კატეგორიების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. დასაკუთრებული აქტივები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

სასესხო ვალდებულებები. ჯგუფი იღებს სესხის გაცემის ვალდებულებებს. ეს ვალდებულებები არის შეუქცევადი ან შექცევადი მხოლოდ არსებითი არახელსაყრელი ცვლილების შემთხვევაში. ეს ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, დამოწმებულია მიღებული საკომისიო თანხის ოდენობით. ეს თანხა ამორტიზდება დარიცხვის წრფივი მეთოდით ვალდებულების არსებობის განმავლობაში, იმ სესხების გაცემის ვალდებულებების გარდა, თუ სავარაუდოა, რომ ჯგუფი კონკრეტულ სასესხო ხელშეკრულებას გააფორმებს და არ დააპირებს ამ სესხის გაყიდვას გაცემის თარიღიდან მოკლე პერიოდში; ასეთი სესხის საკომისიო თანხები გადავადებულია და შეტანილია სესხის საბალანსო ღირებულებაში თავდაპირველი აღიარებისას. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ვალდებულებები ფასდება (i) თავდაპირველად აღიარებული თანხის დარჩენილი არაამორტიზებული ნაშთის ოდენობით, რასაც ემატება (ii) ზარალის რეზერვის ოდენობა, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელზე დაყრდნობით, თუ ვალდებულება არ გულისხმობს სესხის გაცემას საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით, რა შემთხვევაშიც შეფასება ხდება ამ ორი თანხიდან უმეტესით. სასესხო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ვალდებულებას.

ფინანსური გარანტიები. ფინანსური გარანტია ჯგუფს ავალდებულებს გარკვეული შენატანების განხორციელებას, რომ აუნაზღაუროს გარანტიის მფლობელს ზარალი, რომელიც მან განიცადა კონკრეტული დებიტორის მიერ სავალო ინსტრუმენტის თავდაპირველი ან შეცვლილი პირობების თანახმად გადახდის დაგვიანების გამო.ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, დამოწმებულია მიღებული საკომისიო თანხის ოდენობით. ამ თანხის ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით გარანტიის ვადაზე. გარანტიები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამ ორიდან უფრო მაღალი ღირებულებით: (i) მოსალოდნელი ზარალის მოდელის მიხედვით განსაზღვრული გარანტირებული დავალიანების ზარალის რეზერვის ოდენობა და (ii) თანხის დარჩენილი არაამორტიზებული ნაშთი თავდაპირველი აღიარებისას. გარდა ამისა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის აღიარება ხდება მისაღები საკომისიოსთვის, რომელიც აღიარებულია აქტივის სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ვალდებულების შესრულების გარანტია. ვალდებულების შესრულების გარანტია არის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ასეთი ხელშეკრულებები, საკრედიტო რისკთან ერთად, არაფინანსურ, ვალდებულების შესრულების რისკსაც გადასცემს. ვალდებულების შესრულების გარანტიები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, დამოწმებულია მიღებული საკომისიო თანხის ოდენობით. ამ თანხის ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით ხელშეკრულების ვადაზე. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულების შესრულების გარანტიის ხელშეკრულებები ფასდება შემდეგ ორ თანხას შორის უდიდესით: (ა) თავდაპირველი აღიარებისას გამოანგარიშებული თანხის არაამორტიზებული ნაშთი და (ბ) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელშეკრულების დაფარვისთვის საჭირო ხარჯის ყველაზე მიახლოებული შეფასება, დისკონტირებული დღევანდელ ღირებულებამდე. როდესაც ჯგუფს აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება, მიმართოს თავის მომხმარებელს ვალდებულების შესრულების გარანტიის ხელშეკრულებების დასაფარად გადახდილი თანხების ამოსაღებად, ეს თანხები აღიარდება აქტივად გარანტიით მოსარგებლისთვის ზარალის კომპენსაციის გადაცემისას. ამ საკომისიოების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში საკომისიო შემოსავლის მუხლში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

გაყიდვის და გამოსყიდვის ხელშეკრულებები. გაყიდვის და გამოსყიდვის ხელშეკრულებები („რეპო ხელშეკრულებები"), რომლებიც ეფექტურად უზრუნველყოფს კრედიტორის უკუგების გადაცემას კონტრაჰენტისთვის, აღირიცხება, როგორც უზრუნველყოფილი ფინანსური ტრანსაქციები. კრედიტორი მსესხებელს გადასცემს ფულად სახსრებს და მიიღებს ფასიან ქაღალდს, როგორც უზრუნველყოფის საგანს. ასეთი გაყიდვისა და გამოსყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში გაყიდული ფასიანი ქაღალდების აღიარება არ წყდება. ფასიანი ქაღალდების რეკლასიფიკაცია არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ მიმღებ მხარეს ხელშეკრულებით არ აქვს ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ან ხელახლა დაგირავების უფლება ან პრაქტიკა, რა შემთხვევაშიც მათი რეკლასიფიკაცია ხდება გამოსყიდვის მოთხოვნებად. შესაბამისი ვალდებულება აისახება საკრედიტო დაწესებულებების მიმართ არსებული ვალდებულებების ოდენობით. გამოსყიდვის ხელშეკრულებები მოკლევადიანი ხასიათისაა. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ან ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები, რომლებიც რეკლასიფიცირებულია გამოსყიდვის მოთხოვნებად, კვლავაც აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, შესაბამისი თანმიმდევრობით, ამ კატეგორიის აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისად.

გადაყიდვის ხელშეკრულებების („უკურეპო ხელშეკრულებები") ფარგლებში შესყიდული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ეფექტურად უზრუნველყოფს კრედიტორის უკუგების გადაცემას ჯგუფისთვის, აღირიცხება, როგორც მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ ან მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები, რომელიც უფრო მიზანშეწონილია. სხვაობა გაყიდვისა და გამოსყიდვის ფასებს შორის აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი და დაერიცხება რეპო გარიგებების შეთანხმებების ვადას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

კონტრაჰენტებისთვის ფიქსირებული საკომისიოთი გადაცემული ფასიანი ქაღალდები ფინანსურ ანგარიშგებაში რჩება მათ თავდაპირველ კატეგორიაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ კონტრაჰენტს არ აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება ან პრაქტიკა, გაყიდოს ან ხელახლა დააგირაოს ფასიანი ქაღალდები, რა შემთხვევაშიც ისინი რეკლასიფიცირდება და ცალ-ცალკე აისახება. ფიქსირებული საკომისიოთი მიღებული ფასიანი ქაღალდები არ აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ ისინი არ იყიდება მესამე მხარეებზე, რა შემთხვევაშიც ყიდვა და გაყიდვა წლის მოგებაში ან ზარალში აღირიცხება, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებულ შემოსულობას გამოკლებული ზარალი. ფასიანი ქაღალდების დაბრუნების ვალდებულება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით სხვა ნასესხებ სახსრებში. გაყიდვის და გამოსყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში გაყიდული ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციის მიხედვით, ჯგუფი გამოსყიდვის მოთხოვნებს მიაკუთვნებს შეფასების შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთს: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები. თუ ჯგუფი არის მოიჯარე ისეთ იჯარაში, რომელიც არსებითად გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს მოიჯარეს, იჯარით გადაცემული აქტივები აისახება, როგორც ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები და აღირიცხება სამომავლო საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება საწყისი თარიღით (როდესაც იწყება იჯარის ვადა) იჯარის გაფორმების თარიღით (საიჯარო ხელშეკრულების ვადასა და მხარეების მიერ იჯარის მთავარი პირობების შესრულების ვალდებულების აღების თარიღს შორის უადრესი) დადგენილი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

სხვაობა მთლიან მოთხოვნებსა და მის დღევანდელ ღირებულებას შორის წარმოადგენს გამოუმუშავებელი ფინანსურ შემოსავალს. ამ შემოსავლის აღიარება ხდება იჯარის ვადის განმავლობაში წმინდა საინვესტიციო მეთოდის გამოყენებით (გადასახადით დაბეგვრამდე), რაც ასახავს მუდმივ პერიოდულ უკუგების განაკვეთს. ნაზარდი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება იჯარაზე მოლაპარაკებას და იჯარის გაფორმებას, აისახება ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების თავდაპირველ შეფასებაში და ამცირებს საიჯარო ვადის განმავლობაში შემოსავლის ოდენობას. იჯარებიდან ფინანსური შემოსავალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში საპროცენტო შემოსავლის მუხლში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება იმავე წესით, როგორითაც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სესხები და ავანსები და აღიარდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება ჩამოიწეროს მოსალოდნელი ფულადი

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე, რომელიც დისკონტირებულია საიჯარო ინვესტიციებში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. არსებობს „სამი სტადიის“ მეთოდი, რომელიც ეყრდნობა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას. მყისიერი ზარალი, რომელიც უდრის 12-თვიან საკრედიტო ზარალს, აღირიცხება ფინანსური იჯარების თავდაპირველი აღიარებისას, რომლებიც არ არის დეფოლტის სიტუაციაში. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, გაუფასურება ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, და არა 12-თვიანი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადები ასახავს იმ ფულად ნაკადებს, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას იჯარას დაქვემდებარებული აქტივების მიღებიდან და გაყიდვიდან.

ჯგუფი, როგორც წესი, ფინანსური იჯარის ხელშეკრულებებს ისე აყალიბებს, რომ მოიჯარე იხდის მინიმალურ ავანსს აღჭურვილობის შესყიდვის ფასის 20%-ის ოდენობით იჯარის ვადის დასაწყისში. ჯგუფი საკუთრების უფლებს ფლობს საიჯარო აქტივებზე იჯარის ვადის განმავლობაში. აქტივზე საკუთრების უფლება ფინანსური იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში მოიჯარეს გადაეცემა სახელშეკრულებო ვადის დასასრულს, საიჯარო გადახდების სრულად დაფარვის ჩათვლით. იჯარის ვადა, ზოგადად, ხუთ წლამდეა.

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- საიჯარო აქტივები (მარაგები და აღჭურვილობა);
- წინასწარი შენატანი;
- უძრავი ქონება;
- მესამე მხარის გარანტიები.

უზრუნველყოფის საგნის ფინანსური ეფექტი წარმოდგენილია უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების ცალ-ცალკე წარმოდგენით (i) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფის საგნის და საკრედიტო ხარისხის გაუმჯობესების სხვა საშუალებები უტოლდება ან აღემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას („ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები“) და (ii) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფის საგანი და საკრედიტო ხარისხის გაუმჯობესების სხვა საშუალებები ნაკლებია აქტივის საბალანსო ღირებულებაზე („არასრულად უზრუნველყოფილი აქტივები“).

ჯგუფი თავის პორტფელს ანაწილებს სამ სტადიაზე:

- 1-ლი სტადია – აქტივები, რომლებზეც არ დაფიქსირებულა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ;
- მე-2 სტადია – აქტივები, რომლებზეც დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ;
- მე-3 სტადია – დეფოლტის სიტუაციაში მყოფი კრედიტები.

1-ლი სტადიის დავალიანებისთვის ჯგუფი ქმნის 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ხოლო მე-2 და მე-3 სტადიებისთვის – არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

მე-2 სტადიაზე კლასიფიცირების მიზნით ჯგუფი იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ კრიტერიუმებს, მათ შორის, და არა მხოლოდ:

- 30-დღიანი ვადაგადაცილება;
- თავდაპირველი აღიარების შემდეგ მსესხებლის რისკის კატეგორიის გაუარესება;

დეფოლტის განმარტება მოიცავს ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა: (i) 90 ვადაგადაცილებული დღე, (ii) ფინანსური სირთულეების გამო რესტრუქტურიზაცია და (iii) სხვა კრიტერიუმები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ ნაკლებად სავარაუდოა მსესხებელმა ვალდებულება დაფაროს.

ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ შეფასებებში. საპროგნოზო ინფორმაციის მიზნებისთვის ჯგუფი განსაზღვრავს შემდეგ სამ სცენარს:

- საბაზო (ყველაზე უფრო სავარაუდო);
- ოპტიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უკეთესი);
- პესიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უარესი);

ჯგუფი ადგენს საბაზისო მაკრო სცენარს და მხედველობაში იღებს პროგნოზებს სხვადასხვა გარე წყაროდან (საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

ფონდი, ასევე სხვა საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებები), რათა უზრუნველყოფს შესაბამისობა შეთანხმებულ საბაზრო მოლოდინებთან. 37-ე შენიშვნაში აღწერილია, როგორ იყენებს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად. ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები განისაზღვრება ბანკის მაკროეკონომიკური განყოფილების მიერ შემუშავებული სისტემით.

ჯგუფი მოსალოდნელ გაუფასურების ზარალს ანგარიშობს თითოეული სცენარისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საბოლოო სიდიდის მისაღებად ბანკი იყენებს ალბათობით შეწონილი საშუალოს მეთოდს, სადაც თითოეული სცენარის ალბათობა გამოყენებული წონის სახით.

კოვიდ-19-თან დაკავშირებით გადასახადისგან დროებითი გათავისუფლება აღირიცხება იმავე საფუძველზე, როგორიც წარმოდგენილია ზემოთ, ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტისა და მოდიფიკაციის თავში.

შეწყვეტილ იჯარებთან დაკავშირებული მოთხოვნები. ჯგუფი შეწყვეტილ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს აღიარებს საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში. ამ მოთხოვნების აღიარებული თანხა მოიცავს სხვაობას დასაკუთრებული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუფარავ ნაშთს შორის. მოთხოვნები (მისაღები თანხები) აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რასაც აკლდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

წინასწარგადახდა საიჯარო აქტივების შესყიდვისთვის. საიჯარო აქტივების შესყიდვისთვის წინასწარგადახდა მოიცავს საავანსო გადახდებს აქტივების შესასყიდად, რომლებიც იჯარით უნდა გადაიცეს. ასეთი ავანსები აღირიცხება, როგორც არაფინანსური აქტივები. იჯარის დაწყებისას საიჯარო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები გადაინაცვლებს ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებში.

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ აღირიცხება, როდესაც კონტრაჰენტი ბანკები ჯგუფს ავანსად გადასცემს ფულს ან სხვა აქტივებს. არაწარმოებული ვალდებულება აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის თავის საკუთარ დავალიანებას, იგი აღარ აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აისახება ვალის დაფარვის შედეგად მიღებულ შემოსულობაში ან ზარალში.

მომხმარებელთა ანგარიშები. მომხმარებელთა ანგარიშები არის არაწარმოებული ვალდებულებები ფიზიკური პირების, სახელმწიფოს ან იურიდიული პირების მიმართ და აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

სუბორდინირებული ვალი. სუბორდინირებული ვალის გადახდა შეიძლება მხოლოდ ლიკვიდაციის შემთხვევაში უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ და აისახება ბანკის მეორად კაპიტალში. სუბორდინირებული ვალი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს ჯგუფის მიერ გამოშვებულ მარტივ თამასუქებს, ობლიგაციებს, სადეპოზიტო სერტიფიკატებს და სავალო ვალდებულებებს. სავალო ფასიანი ქაღალდები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებს, მათ ამოიღებენ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აისახება ვალის დაფარვის შედეგად მიღებულ შემოსულობაში.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის სავალუტო ხელშეკრულებები, საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსები, ფორვარდული განაკვეთის ხელშეკრულებები, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის სვოპები, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის ოფციონები აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი ასევე თავის კონტრაჰენტ ბანკებთან მიმართებაში ახდენს ანაბრების გაქვითვას ვალუტის გადაცვლის მიზნით. ასეთი ანაბრები იურიდიულად განცალკევებულია, მაგრამ არის აგრეგირებული და აღირიცხება ერთიანი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის სახით (სავალუტო სვოპი) ნეტოს საფუძველზე, როდესაც (i) ანაბრების განთავსება ხდება ერთსა და იმავე დროს და ერთმანეთის გათვალისწინებით, (ii) ჰყავთ ერთი და იგივე კონტრაჰენტი, (iii) აქვთ ერთი და იგივე რისკი, და (iv) არ არსებობს ოპერაციების განცალკევების მიზანი, რომლის მიღწევაც არ შეიძლება ერთიანი ოპერაციით. ყველა წარმოებული ინსტრუმენტი

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

აღირიცხება აქტივად, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია და ვალდებულებად, როცა სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში. ჯგუფი ამ ინსტრუმენტებზე ჰეჯირების აღრიცხვას არ აწარმოებს. გარკვეული წარმოებული ინსტრუმენტები, რომლებიც ჩართულია სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში, აღირიცხება, როგორც ცალკე მდგომი წარმოებული ინსტრუმენტები, როდესაც მათი რისკები და მახასიათებლები არ არის მჭიდროდ დაკავშირებული ძირითადი ხელშეკრულების რისკებთან და მახასიათებლებთან.

როდესაც წარმოებული ინსტრუმენტები ფორმდება დაფინანსების ხარჯის შესამცირებლად, შესაბამისი საპროცენტო ეფექტი აისახება წმინდა საპროცენტო შემოსავალში, სრული შემოსავლის ანგარიშგების ცალკე მუხლის სახით.

გუდვილი. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ჯგუფი ამოწმებს გუდვილის გაუფასურებას სულ მცირე ყოველწლიურად და ყოველთვის, როცა არსებობს გუდვილი გაუფასურების შესაძლო ნიშნები. გუდვილი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული სინერგიიდან სარგებელს მიიღებენ. ასეთი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფები წარმოადგენს უმცირეს დონეს, რომელზეც ჯგუფი ახდენს გუდვილის მონიტორინგს და ისინი უნდა აღემატებოდეს საოპერაციო სეგმენტის სიდიდეს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფარგლებში ისეთი ოპერაციის შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელზეც გუდვილი იყო განაწილებული, შეიცავს შეწყვეტილ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილის საბალანსო ღირებულებას. ეს, როგორც წესი, ფასდება შეწყვეტილი ოპერაციისა და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დარჩენილი ნაწილის ხვედრითი წილის საფუძველზე.

შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი, სადაც საჭიროა. შეძენილი შვილობილი კომპანიების შენობების და აღჭურვილობის თვითღირებულება არის შეძენის თარიღისთვის შეფასებული სამართლიანი ღირებულება.

უმნიშვნელო რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება ხარჯების ნაწილში მათი გაწევისთანავე. შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს აღდგენით ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენით ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, შებრუნდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

გასვლის შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯებში). გაუფასურების შემთხვევაში, შენობა და აღჭურვილობა ჩამოფასდება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდეს ღირებულებამდე. თანხა, რომლითაც საბალანსო ღირებულების მცირდება, აისახება მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, შებრუნდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

ცვეთა. მიწისა და მიმდინარე მშენებლობის ცვეთა არ ხდება შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების სხვა ერთეულების და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა გამოიანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

აქტივი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	30-110 წელი;
ავეჯი და მოწყობილობები	5-8 წელი;
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	3-8 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები	4-5 წელი;
სხვა აღჭურვილობა	2-10 წელი;
აქტივის გამოყენების უფლება	შესაბამისი იჯარის ვადა;
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	შესაბამისი იჯარის ვადა ან, თუ არ არის განსაზღვრული, არაუმეტეს 7 წელი.
არამატერიალური აქტივები	1-20 წელი;

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა ამ აქტივის გაყიდვით, რასაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ სიძველისაა და იმ მდგომარეობაშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია თუ ჯგუფი მოელის აქტივის გამოყენებას მისი ფიზიკური მომსახურების ვადის ბოლომდე. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის უძრავი ქონება, რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის ღირებულების ზრდისთვის, ან ორივე მიზნით, და რომელსაც თვითონ არ იკავებს.

საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით, სადაც საჭიროა. მისი ამორტიზაცია ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით მოსალოდნელ სასარგებლო მომსახურების 30-50 წლიან ვადაზე. საინვესტიციო ქონების გაუფასურების ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, ჯგუფი ანაზღაურებად ღირებულებას აფასებს, როგორც გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესს. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულების ჩამოფასება ხდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე წლის მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვით. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი შემობრუნდება, თუ მოხდა შემდგომი ცვლილება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ პროგნოზებში.

მიწა, რომელიც საინვესტიციო ქონებას მიეკუთვნება, არ ცვდება. საინვესტიციო ქონების სხვა მუხლების ცვეთა იანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი თვითღირებულების განაწილება ნარჩენ ღირებულებებზე მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების 30-50-წლიანი ვადის განმავლობაში. საინვესტიციო ქონების ნარჩენი ღირებულებები შეფასებულია ნულით.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში საოპერაციო შემოსავლის ნაწილში.

შემდგომი დანახარჯები მხოლოდ მაშინ კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ ჯგუფი მოელის დანახარჯებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას და თუ შესაძლებელია თვითღირებულების სათანადო სიზუსტით შეფასება. ყველა დანარჩენი რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები ტარდება ხარჯების ნაწილში მათი გაწევისთანავე. თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავებს მესაკუთრე, მოხდება მისი რეკლასიფიკაცია შენობებად და აღჭურვილობად.

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს, გუდვილის გარდა, სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადები აქვთ და მათში, ძირითადად შედის, კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და სამუშაო პირობებში მოსაყვანად. ჯგუფის კონტროლის ქვეშ მყოფ იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება, როგორც არამატერიალური აქტივები, თუ მოსალოდნელია, რომ შემოდინებული ზღვრული ეკონომიკური სარგებელი გადააჭარბებს ხარჯებს. კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების გუნდში შემავალ თანამშრომლებზე გაწეულ დანახარჯებს და პირდაპირ ზედნადებ ხარჯს. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც კომპიუტერების პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირდება, მაგ. მატერიალურ-

2. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

ტექნიკური უზრუნველყოფა, აღირიცხება მათი გაწევის დროს. კაპიტალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაცია ხდება 1-დან 20 წლამდე სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადაზე ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდით.

იჯარის აღრიცხვა ჯგუფის, როგორც მოიჯარის მიერ. ჯგუფს იჯარით აქვს აღებული ოფისის, ფილიალების და სერვისცენტრების შენობები. იჯარა აღიარდება აქტივის გამოყენების უფლებით და როგორც შესატყვისი ვალდებულება იმ თარიღით, როდესაც იჯარით გადაცემული აქტივი ჯგუფის მიერ გამოყენებისთვის ხელმისაწვდომია. ყოველი იჯარის გადახდა გადანაწილდება ვალდებულებას და საფინანსო ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა განაწილდეს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ. აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება თვითღირებულებით და ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უფრო ხანმოკლე პერიოდზე.

იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეფასება თავდაპირველად ხდება მათი დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები შედგება ქვემოთ მოყვანილი საიჯარო გადასახდელების წმინდა დისკონტირებული ღირებულებისგან:

- ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც ეფუძნება ინდექსს ან განაკვეთს;
- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

საიჯარო გადახდების დისკონტირება ხდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს განაკვეთს, რომელსაც მოიჯარე გადაიხდიდა მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის ანალოგიურ ეკონომიკურ გარემოში ანალოგიური პირობებით.

საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა;
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა, გადახდილი იჯარის დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებული მიღებული ნებისმიერი საიჯარო შეღავათით;
- ყოველგვარი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები, და
- აღდგენის დანახარჯები.

ზემოაღნიშნულიდან გამონაკლისის სახით, ჯგუფი მოკლევადიან იჯარებს და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებს აღრიცხავს საიჯარო გადახდების აღიარებით საოპერაციო ხარჯად დარიცხვის წრფივი მეთოდით.

იჯარის პირობის განსაზღვრისას ჯგუფის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომელიც განაპირობებს ვადის გაგრძელების არჩევანის უფლების გამოყენების და არა იჯარის შეწყვეტის უფლების გამოყენების ეკონომიკურ სტიმულს. იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (ან იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენების შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებში აისახება მხოლოდ მაშინ, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

ჯგუფმა გამოიყენა ფასს 16-ის შესწორება „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ მეიჯარეების მხრიდან 2020 წელს და ამ შესწორების მოქმედების გახანგრძლივება 2021 წელს, შესაბამისად. ეს დათმობები აღირიცხა, როგორც საიჯარო ვალდებულების და ცვალებადი ქირის შემცირება იმ პერიოდში, როდესაც ისინი დაუშვეს. თანხა არ იყო არსებითი ფინანსური ანგარიშგებისთვის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

საოპერაციო იჯარის აღრიცხვა ჯგუფის, როგორც მეიჯარის მიერ. როდესაც აქტივები საოპერაციო იჯარით გაიცემა, მისაღები საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება იჯარიდან შემოსავლად წრფივი მეთოდით იჯარის მთელ პერიოდზე.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის შესაბამის ტერიტორიებზე, სადაც მოქმედებს ბანკი და მისი შვილობილი საწარმოები. მოგების გადასახადის ხარჯი/შეღავათი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი აღიარება ხდება პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში, რადგან იგი დაკავშირებულია ტრანსაქციებთან, რომლებიც აგრეთვე პირდაპირ აღიარებულია იმავე ან სხვა პერიოდის სხვა სრულ შემოსავალში.

მიმდინარე გადასახადი არის ის თანხა, რომელიც საგადასახადო ორგანოებს უნდა გადაეხადოს ან მათგან დაბრუნებული იქნას დასაბეგრ მოგებასა, თუ ზარალთან მიმართებაში მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის. თუ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება მოხდა შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსების წინ, დასაბეგრი მოგება თუ ზარალი ემყარება მიახლოებულ შეფასებებს. გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადის დარიცხვა ხორციელდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომდევნო პერიოდებზე გადატანის შემთხვევაში და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ დროებით სხვაობებზე. თავდაპირველი აღიარების გამონაკლის შემთხვევებში, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ისეთი აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას არსებული დროებითი სხვაობებისთვის, რომლებიც მონაწილეობს არა საწარმოთა გაერთიანების, არამედ სხვა ტიპის გარიგებაში, თუ ეს გარიგება თავდაპირველი აღიარებისას არ ახდენს გავლენას არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები არ აღირიცხება დროებითი სხვაობებისთვის გუდვილის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომში გუდვილისთვის, რომელიც არ არის გამოქვითვადი საგადასახადო მიზნებისთვის. გადავადებული გადასახადის ნაშთი ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც ამოქმედებულია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის და რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს დროის იმ მონაკვეთში, როდესაც დროებითი სხვაობები შებრუნდება ან მომდევნო პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი გამოიყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება მხოლოდ ჯგუფის ცალკეულ კომპანიებში. დროებით გამოქვითვად სხვაობებზე გადავადებული საგადასახადო აქტივები და მომდევნო პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი აისახება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ალბათობა სამომავლო დასაბეგრი მოგებისა, რომლიდანაც შესაძლებელი იქნება გამოქვითვა.

გადავადებული მოგების გადასახადი ირიცხება შვილობილი კომპანიების შეძენის შემდგომ გაუნაწილებელ მოგებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი აკონტროლებს კომპანიის სადივიდენდო პოლიტიკას და სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში სხვაობა არ შებრუნდება დივიდენდების მეშვეობით ან სხვაგვარად.

განუსაზღვრელი საგადასახადო სტატუსი. ჯგუფის განუსაზღვრელ საგადასახადო სტატუსს ხელმძღვანელობა ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებზეც ხელმძღვანელობის აზრით, უფრო არის მოსალოდნელი დამატებითი გადასახადების დაკისრება, თუ ამ პოზიციებს საგადასახადო ორგანოები ეჭვქვეშ დააყენებენ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობების ინტერპრეტაციებს, რომლებიც ამოქმედდა ან ფაქტობრივად შევიდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, ასევე ამ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს ან სხვა უწყების ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტის და გადასახადების სახით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიღებულ შემოსავალთან, აღიარებულია იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ხელმძღვანელობა აფასებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო დანახარჯებს.

2. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი. ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები, რომელთა მთავარი მახასიათებლებია დაუზუსტებელი დრო და თანხის ოდენობა. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა. არსებითი ანარიცხები მოიცავს ანარიცხებს ვალდებულების შესრულების გარანტიებისთვის და საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისთვის.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების ან ოფციონების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული ზღვრული ხარჯები კაპიტალში ნაჩვენებია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან, გადასახადის გათვალისწინებით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებითი შენატანები კაპიტალში.

დივიდენდები. დივიდენდების აღიარება კაპიტალში კაპიტალში ხდება იმავე პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია „ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენების“ თავში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება. ყველა სავალო ინსტრუმენტის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. აღნიშნული მეთოდით ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილი თუ მიღებული ყველა საკომისიო, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების დანახარჯებისა და სხვა პრემიებისა თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს, გადავადდება საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის სახით. ჯგუფს არ აქვს საპროცენტო შემოსავალი სავალო ინსტრუმენტებზე, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავს გაცემის საკომისიოს, რომლებიც მიღებულია, ან გადახდილია იმ საწარმოს მიერ, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასა თუ შესყიდვასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, მაგალითად, გასამრჯელოები კრედიტუნარიანობის შეფასებისათვის, გარანტიების, თუ უზრუნველყოფის დარეგისტრირება და შეფასება, ინსტრუმენტის ვადებზე მოლაპარაკება და ტრანსაქციის დოკუმენტაციის დამუშავება. ჯგუფის მიერ მიღებული თანხები სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთში გასაცემად, არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილი, იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი გააფორმებს კონკრეტულ სასესხო ხელშეკრულებას და არ დააპირებს ამ სესხის გაყიდვას გაცემის თარიღიდან მოკლე პერიოდში. ჯგუფი არ აღრიცხავს სასესხო ვალდებულებებს, როგორც ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის საერთო საბალანსო ღირებულებიდან, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც არის დეფოლტის სიტუაციაში (მე-3 სტადია), როდესაც საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით დაკორექტირებული ინსტრუმენტის ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც დეფოლტის სიტუაციაში შეძენილი ან შექმნილი ფინანსური აქტივებია, რომლებისთვისაც კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა ხდება ამორტიზებულ ღირებულებაზე.

ყველა დანარჩენი საკომისიო და სხვა შემოსავლის და ხარჯის მუხლი ჩვეულებრივ აღირიცხება მიღებისთანავე კონკრეტული ტრანსაქციის დასრულების მითითებით, რომელიც ფასდება რეალურად გაწეული მომსახურების საფუძველზე, გასაწევი მთლიანი მომსახურების პროპორციულად.

საკომისიო შემოსავალი. საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება დროთა განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდით, მომსახურების გაწევასთან ერთად, როდესაც მომხმარებელი ერთდროულად მიიღებს და მოიხმარს ჯგუფისგან მიწოდებულ სარგებელს. ასეთი შემოსავალი მოიცავს ანგარიშების მხარდაჭერის რეგულარულ საკომისიოს, ანგარიშის მომსახურების საკომისიოს, ანგარიშის გამოწერის საკომისიოს, პლასტიკური ბარათების წლიურ საკომისიოს და სხვა. ცვლადი საკომისიოს აღიარება ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ მაღალი ალბათობით მოსალოდნელი არ არის მნიშვნელოვანი შემობრუნება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

სხვა საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც ჯგუფი აკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას, როგორც წესი, შესაბამისი ტრანზაქციის განხორციელებისთანავე. მიღებული ან მისაღები საკომისიოს თანხა წარმოადგენს გარიგების ფასს იმ მომსახურებისთვის, რომლებიც იდენტიფიცირებულია, როგორც ცალკე შესასრულებელი ვალდებულება. ასეთ შემოსავალი მოიცავს მომხმარებლის სახელით უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის საკომისიოს, გადახდის ოპერაციების დამუშავების საკომისიოს, პლასტიკური ბარათებით ოპერაციებს, მოვაჭრე სუბიექტის საკომისიოს, ნაღდი ფულით ანგარიშსწორების, ფულადი სახსრების მიღების ან გაცემის საკომისიოს და სხვა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი. ჯგუფის და ბანკის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული საწარმოს სამუშაო ვალუტაა იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ეს საწარმო საქმიანობს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების შესაბამისი პერიოდის ბოლოსთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით იმ ტერიტორიებზე, სადაც ბანკი და მისი შვილობილი საწარმოები ფუნქციონირებენ. საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი გარიგებების ანგარიშსწორებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აისახება მოგებაში ან ზარალში. კონვერტაცია წლის ბოლოსთვის არსებული განაკვეთებით არ ეხება არაფულად ერთეულებს, მათ შორის კაპიტალის ინვესტიციებს. სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი წილობრივი ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაზე აღირიცხება, როგორც სამართლიანი ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

ჯგუფის თითოეული სამეურნეო სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის შედგები (რომელთაგან არცერთის სამუშაო ვალუტა არ არის ჰიპერინფლაციის მქონე ეკონომიკის ვალუტა) შემდეგნაირად კონვერტირდება წარსადგენი ვალუტაში:

i. წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის თითოეული ანგარიშგების შემთხვევაში, აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დასკვნითი კურსით;
ii. მოგება და ხარჯები კონვერტირდება საშუალო სავალუტო კურსებით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საშუალო კურსი არ წარმოადგენს გარიგების თარიღისთვის მოქმედი განაკვეთების კუმულაციურ ეფექტთან გონივრულ მიახლოებას, რა დროსაც შემოსავალი და ხარჯები კონვერტიდება გარიგების თარიღებით);
iii. კაპიტალის კომპონენტების კონვერტაცია ხდება ისტორიული განაკვეთით; და
iv. ყველა შედეგად მიღებული საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

უცხოური ქვედანაყოფზე კონტროლის დაკარგვის შემდეგ, საკურსო სხვაობები, რომლებიც მანამდე აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, რეკლასიფიცირდება წლის მოგებაში ან ზარალში, როგორც გასხვისებიდან (გასვლიდან) მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი. შვილობილი საწარმოს ნაწილობრივი გასხვისების შემთხვევაში, კონტროლის დაკარგვის გარეშე, დაგროვილი საკურსო სხვაობების შესაბამისი ნაწილი რეკლასიფიცირდება საკუთარ კაპიტალში არამაკონტროლებელი წილის სახით.

უცხოური საწარმოს შეძენიდან წარმომდგარი გუდვილი და სამართლიანი ღირებულების კორექტირებები აღირიცხება ამ უცხოური საწარმოს აქტივებად და ვალდებულებებად და მათი კონვერტაცია ხდება დასკვნითი (საბოლოო) კურსით. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოურ ვალუტაში ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საბალანსო უწყისის თარიღის საბოლოო გაცვლითი კურსი იყო: 1 გირვანქა სტერლინგი = 4.1737 (2020 წ.: 1 გირვანქა სტერლინგი = 4.4529 ლარი; 2019 წ.: 1 გირვანქა სტერლინგი = 3.7593 ლარი); 1 აშშ დოლარი = 3.0976 (2020 წ.: 1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარი; 2019 წ.: 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარი); 1 ევრო = 3.5040 (2020 წ.: 1 ევრო = 4.0233 ლარი; 2019 წ.: 1 ევრო = 3.2095 ლარი).

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

2. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები და შესაბამისი შენატანები. ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი, ასევე აქციებზე დაფუძნებული გადახდების ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებული ნაწილი ირიცხება იმ წელს, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ანგარიშგება სეგმენტების მიხედვით. საოპერაციო სეგმენტების ანგარიშგება ხდება იმგვარად, რომ შესაბამისობაში იყოს ჯგუფის მთავარი საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღებისთვის მომზადებულ შიდა ანგარიშგებასთან. სეგმენტები, რომელთა შემოსავალი, შედეგი ან აქტივები ყველა სეგმენტის ათი პროცენტი ან მეტია, ცალკე გაცხადდება.

აქციებზე დაფუძნებული გადახდები. აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმება არის შეთანხმება საწარმოსა და სხვა მხარეს (დასაქმებული პირის ჩათვლით) შორის, რომელიც სხვა მხარეს უფლებას აძლევს, მიიღოს საწარმოს ფულადი სახსრები ან სხვა აქტივები ისეთი ოდენობით, რომელიც ეფუძნება საწარმოს ან ჯგუფის სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების (მათ შორის აქციების) ფასს (ან ღირებულებას); ან საწარმოს ან ჯგუფის სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტები (მათ შორის აქციები ან აქციის ოფციონები), იმ პირობით, რომ კონკრეტული უფლების გადაცემის პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაკმაყოფილებულია. წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის გეგმის მიხედვით, ჯგუფი ხელმძღვანელობისგან იღებს მომსახურებას, როგორც საზღაურს ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტებისთვის. წილობრივი ინსტრუმენტის გაცემის სანაცვლოდ თანამშრომლისგან მიღებული მომსახურების სამართლიანი ღირებულება აღიარებულია ხარჯის სახით. ხარჯად გასატარებელი მთლიანი თანხა განისაზღვრება გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, რაშიც არ შედის არასაბაზრო მომსახურების და უფლების გადაცემის პირობების გავლენა. არასაბაზრო უფლების გადაცემის პირობები გათვალისწინებულია დაშვებებში წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ, რომლებზეც მოსალოდნელია უფლების გადაცემა. ხარჯად გატარებული მთლიანი თანხის აღიარება ხდება უფლების გადაცემის პერიოდზე, რაც არის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ყველა კონკრეტული უფლების გადაცემის პირობები უნდა დაკმაყოფილდეს. საბალანსო ანგარიშის შედგენის თითოეული თარიღისთვის ჯგუფი გადახედავს თავის შეფასებებს იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ, რომლებზეც უფლების გადაცემა მოსალოდნელია, უფლების გადაცემის არასაბაზრო პირობების საფუძველზე. იგი აღიარებს თავდაპირველი შეფასებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადასინჯვის გავლენას მოგებაზე ან ზარალზე, შესაბამისი კორექტირებით საკუთარ კაპიტალში. საკუთარი კაპიტალის ზრდა, რომელიც დარიცხულია წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების სქემის შედეგად, აღირიცხება, როგორც წილობრივი ინსტრუმენტის რეზერვი.ბანკი გადანაწილების თანხას უხდის საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფს“ და აქციებზე დაფუძნებული რეზერვი შესაბამისად დებეტდება, როდესაც გამოსყიდულ აქციებს ყიდულობს თანამშრომელთა სარგებლის სატრასტო ფონდი. როდესაც ერთი გადაცემის ნაწილებზე უფლებები გადაიცემა ორი ან მეტი თარიღით, საწარმო მიმართავს უფლების ეტაპობრივ გადაცემას, რათა ბუღალტრულად აღრიცხოს აქციებზე დაფუძნებული გადახდების სქემა. გადაცემის თითოეულ ტრანშზე უფლების გადაცემის პერიოდი სრულდება მაშინ, როდესაც თანამშრომელი ფლობს აქციებს მომსახურების შემდგომი შეზღუდვების გარეშე. უფლების ეტაპობრივი გადაცემის სქემის მიხედვით, წინა წლების ხარჯი უფრო მაღალია, ვიდრე მომდევნო წლებისა. თითოეული ტრანში გატარდება ხარჯებში თავისი მომსახურების ვადის განმავლობაში, ხოლო საკუთარი კაპიტალი კრედიტდება.

3. კრიტიკული საღრიცხვო შეფასებები და განსჯა საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კრიტიკული განსჯა და შეფასებები

ბანკი აკეთებს შეფასებებს და განსჯას, რაც გავლენას ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების გაცხადებულ ოდენობებზე. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია განსჯა და შეფასებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

3. კრიტიკული საარღრიცხვო შეფასებები და განსჯა საარღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას გაგრძელება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებასთან დაკავშირებული განსჯა და შეფასებები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა მნიშვნელოვანი შეფასებაა, რაც მოიცავს მეთოდოლოგიის განსაზღვრას, მოდელების შემუშავებას და ამოსავალი მონაცემების მომზადებას (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგია 37-ე შენიშვნაშია განხილული). ხელმძღვანელობის კომპეტენტური განსჯაც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებები, რომლებსაც ეყრდნობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას, ასეთია:

დეფოლტის განმარტებაში გამოყენებული კრიტერიუმების განსაზღვრისას გამოყენებული განსჯა. ბანკის დეფოლტს განმარტავს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კრიტერიუმების გამოყენებით. მსესხებელი კლასიფიცირდება დეფოლტის სიტუაციაში მყოფად, თუ:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე გადახდა 90 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული, ან
- ფაქტორები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ მსესხებლისგან გადახდების მიღება არ არის მოსალოდნელი.

გარდაამისა, დეფოლტიდან გასვლის კრიტერიუმები განისაზღვრება განსჯის საფუძველზე, ასევე იმის დასადგენად, დეფოლტი მსესხებელზე უნდა გამოიყენებოდეს, თუ რისკის (კრედიტის ოდენობის) დონეზე. დაწვრილებითი ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ წარმოდგენილია 37-ე შენიშვნაში.

შეფასების კრიტერიუმების დასადგენად გამოყენებული განსჯა, თუ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც განისაზღვრება როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კრიტერიუმების გამოყენებით.

ხარისხობრივი ფაქტორები, ჩვეულებრივ, მოიცავს განსჯას ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდების 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილების პერიოდის თაობაზე; კრედიტის მოცულობა რესტრუქტურირებულია, მაგრამ არ არის დეფოლტის სიტუაციაში, მსესხებელი მიეკუთვნება „საყურადღებო“ კატეგორიას.

რაოდენობრივ საფუძველზე ჯგუფი აფასებს თავდაპირველი აღიარების შემდეგ თითოეული კონკრეტული კრედიტის მოცულობის დეფოლტის პარამეტრის ალბათობის ცვლილებას და მას ადარებს წინასწარ დადგენილ ზღვრულ მაჩვენებელს. როდესაც აბსოლუტური ცვლილება დეფოლტის ალბათობაში აღემატება მოქმედ ზღვარს, მიიჩნევა, რომ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და კრედიტის მოცულობა გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის რაოდენობრივი მაჩვენებელი ვრცელდება საცალო და მიკრო სეგმენტებზე, სადაც ბანკს აქვს საკმარისი რაოდენობის ემპირიული მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში, წარმოდგენილია (i) საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ზღვრული მაჩვენებლების 20%-იანი შემცირების (რაოდენობრივი კრიტერიუმები ეხება ზემოაღნიშნულ საცალო და მიკრო კრედიტებს), (ii) მე-2 სტადიის მსესხებლების მთლიანი რაოდენობის 10%-იანი ზრდის მგრძნობელობის ანალიზი.

3. კრიტიკული საღრიცხვო შეფასებები და განსჯა საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას
გაგრძელება

ათას ლარში	2021	2020	2019
საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ზღვრული მაჩვენებლების 20%-იანი შემცირება	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა 2,470 ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 2 საბაზისო პუნქტით.	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა 2,543 ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 2 საბაზისო პუნქტით.	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა 1,954 ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 2 საბაზისო პუნქტით.
მე-2 სტადიის ხელშეკრულებების რაოდენობის ზრდა 10%-ით.	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა 2,511 ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 2 საბაზისო პუნქტით.	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა 3,311 ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 2 საბაზისო პუნქტით.	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა 2,380 ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 2 საბაზისო პუნქტით.

საკრედიტო რისკის პარამეტრების გასაანგარიშებლად გამოყენებული განსჯა, კერძოდ, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება, დეფოლტის ალბათობა და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში. განსჯაში, სხვებთან ერთად, შედის შემდეგიც:

v. სეგმენტაციის განმარტება რისკის პარამეტრების შეფასების მიზნებისთვის,
vi. გადაწყვეტილება იმის შესახებ, უფრო გამარტივებული თუ უფრო რთული მოდელები უნდა იქნეს გამოყენებული,
vii. დრო დეფოლტის თარიღის შემდეგ, რომლის შემდეგაც არსებითი თანხების ამოღება მოსალოდნელი არ არის,
viii. უზრუნველყოფის საგნის დისკონტი საბაზრო ღირებულებიდან, ასევე უზრუნველყოფის მართვის საშუალო ვადა უზრუნველყოფის საგნის დისკონტირებისთვის.

ცხრილში წარმოდგენილია მგრძნობელობა დეფოლტის ალბათობის და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასებების 10%-იანი ზრდისადმი:

ათას ლარში	2021	2020	2019
დეფოლტის ალბათობის შეფასების 10%-იანი ზრდა (შემცირება)	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 25,043 (GEL 18,905) ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 16 (12) საბაზისო პუნქტით.	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 24,901 (GEL 26,013) ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 18 (19) საბაზისო პუნქტით.	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 17,427 (GEL 17,547) ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 16 (16) საბაზისო პუნქტით.
დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასების 10%-იანი ზრდა (შემცირება)	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 39,900 (GEL 35,129) ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 26 (22) საბაზისო პუნქტით.	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 50,719 (GEL 53,813) ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 37 (39) საბაზისო პუნქტით.	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 24,758 (GEL 26,604) ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 22 (24) საბაზისო პუნქტით.

საპროგნოზო მაკროეკონომიკური სცენარებისთვის გამოყენებული შეფასებები და მათი ალბათობის შეწონისთვის გამოყენებული განსჯა. საპროგნოზო ინფორმაციის მიზნებისთვის, ბანკი სამ მაკრო სცენარს განსაზღვრავს. სცენარები განისაზღვრება, როგორც საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის საბაზო (ყველაზე უფრო სავარაუდო), ოპტიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უკეთესი) და პესიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უარესი) სცენარები.

3. კრიტიკული საარღრიცხვო შეფასებები და განსჯა საარღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას გაგრძელება

ამ სამი სცენარის ერთმანეთისგან გასამიჯნად გამოყენებული შეფასებები შეეხო შემდეგს: მშპ, აშშ/ლარის კურსი, უძრავი ქონების ფასი, უმუშევრობის დონეები და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და სხვა მაკრო ცვლადები. ჩვეულებრივ პირობებში საბაზო სცენარს ენიჭება 50% და ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს – 25-25% (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 60%, 10% და 30%. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 50% და 25-25%). ბანკი მაკროგარემოში ცვლილებების მიხედვით ცვლის წონებს ექსპერტის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ცხრილში წარმოდგენილია არაშეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი თითოეული ეკონომიკური სცენარისთვის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ათას ლარში	საბაზო	ოპტიმისტური	პესიმისტური	შეწონილი
კორპორატიული	48,220	46,752	59,640	50,731
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები	112,592	104,856	122,768	113,101
სამომხმარებლო	180,003	176,638	183,600	180,050
იპოთეკური	63,080	59,464	68,491	63,486
სულ	**403,895**	**387,710**	**434,499**	**407,368**

ცხრილში წარმოდგენილია არაშეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი თითოეული ეკონომიკური სცენარისთვის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	საბაზო	ოპტიმისტური	პესიმისტური	შეწონილი
კორპორატიული	96,039	94,607	135,188	107,641
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები	155,709	149,480	166,582	159,910
სამომხმარებლო	240,827	238,427	245,072	241,825
იპოთეკური	96,351	95,496	98,329	96,870
სულ	**588,926**	**578,010**	**645,171**	**606,246**

ცხრილში მოცემულია მთავარი მაკროეკონომიკური ცვლადები თითოეული სცენარის მიხედვით მომავალი 3-წლიანი პერიოდისთვის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საბაზო			ოპტიმისტური			პესიმისტური		
წლიური ზრდის ტემპები, %	**2022**	**2023**	**2024**	**2022**	**2023**	**2024**	**2022**	**2023**	**2024**
მშპ	6.0%	5.5%	5.0%	7.8%	8.2%	8.3%	4.1%	2.8%	1.7%
აშშ დოლარი/ლარი განაკვეთი (პერიოდის ბოლოს)	3.30	3.25	3.20	2.95	2.87	2.80	3.55	3.55	3.52
უძრავი ქონების ფასი (აშშ დოლარში)	1.6%	2.1%	2.6%	4.6%	6.3%	7.7%	-1.6%	-2.5%	-3.5%
შრომითი	1.0%	1.0%	0.5%	1.5%	1.7%	1.3%	0.6%	0.4%	-0.2%
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (პერიოდის ბოლოს, დონე)	8.5%	7.5%	7.0%	8.0%	6.8%	6.1%	9.4%	8.7%	8.4%

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას
გაგრძელება

ცხრილში მოცემულია მთავარი მაკროეკონომიკური ცვლადები თითოეული სცენარის მიხედვით მომავალი 3-წლიანი პერიოდისთვის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საბაზო			ოპტიმისტური			პესიმისტური		
წლიური ზრდის ტემპები, %	2021	2022	2023	2021	2022	2023	2021	2022	2023
მშპ	4.2%	7.4%	5.3%	4.9%	8.3%	6.5%	2.7%	5.2%	2.6%
აშშ დოლარი/ლარი განაკვეთი (პერიოდის ბოლოს)	3.2	3.1	3.0	3.0	2.8	2.7	3.5	3.4	3.3
უძრავი ქონების ფასი (აშშ დოლარში)	-3.5%	5.2%	7.5%	-2.1%	4.6%	6.9%	-5.7%	6.3%	4.2%
შრომითი	2.6%	1.0%	1.0%	2.8%	1.3%	1.3%	2.4%	0.7%	0.6%
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (პერიოდის ბოლოს, დონე)	7.5%	7.0%	6.5%	7.3%	6.7%	6.1%	8.4%	8.3%	8.1%

ბანკმა შეაფასა მშპ-ის ზრდის ცვლილების, უმუშევრობის დონის და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლადების გავლენა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე, როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებული ყველაზე კრიტიკული შეფასებები.

ცალკე თითოეული ცვლადისთვის ჩატარდა მგრძნობელობის ანალიზი, რათა ცხადი გამხდარიყო მათი მნიშვნელობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, მაგრამ ცვლილებები ამ ცვლადებში შეიძლება არ მოხდეს იზოლირებულად, ვინაიდან ეკონომიკური ფაქტორები, როგორც წესი, ურთიერთდამოკიდებულია სხვადასხვა სცენარში. ცვლადები დაკორექტირდა სამივე მაკროეკონომიკური სცენარისთვის და სტადიებად დაყოფა უცვლელი დარჩა. საპროგნოზო სცენარების შეფასებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობისთვის მისაღებია, რომ სცენარები ასახავს არაწრფივ ზარალებს.

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მშპ-ის ზრდის, უმუშევრობის და მონეტარული პოლიტიკის ცვლადების +/-20%-იანი ცვლილების გავლენა ბანკის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ყველა სცენარის მიხედვით:

	მშპ-ის ზრდის ცვლილება		უმუშევრობის დონის ცვლილება		მონეტარული პოლიტიკის ცვლილება	
ათას ლარში	20%-იანი ზრდა	20%-იანი შემცირება	20%-იანი ზრდა	20%-იანი შემცირება	20%-იანი ზრდა	20%-იანი შემცირება
გავლენა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(9,036)	10,359	4,805	(4,541)	4,045	(3,493)

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მშპ-ის ზრდის და უმუშევრობის ცვლადების +/-20%-იანი ცვლილების გავლენა ბანკის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ყველა სცენარის მიხედვით:

	მშპ-ის ზრდის ცვლილება		უმუშევრობის დონის ცვლილება		მონეტარული პოლიტიკის ცვლილება	
ათას ლარში	20%-იანი ზრდა	20%-იანი შემცირება	20%-იანი ზრდა	20%-იანი შემცირება	20%-იანი ზრდა	20%-იანი შემცირება
გავლენა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(6,973)	7,323	3,899	(3,083)	4,136	(3,234)

ინდივიდუალური შეფასება: ინდივიდუალური შეფასება ძირითადად გამოიყენება მე-2 და მე-3 სტადიების ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლებისთვის.

3. კრიტიკული საღრიცხვო შეფასებები და განსჯა საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას გაგრძელება

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი კრედიტების შესარჩევად ხელმძღვანელობა იყენებს შემდეგ ზღვრულ ნორმას, რომელთა ზემოთ კრედიტები შეირჩევა ინდივიდუალური გადამოწმებისთვის: მე-2 სტადიისთვის – 10 მილიონი ლარი და მე-3 სტადიისთვის – 4 მილიონი ლარი. გარდა ამისა, ბანკმა შეიძლება თვითნებურად აირჩიოს გარკვეული კრედიტის მოცულობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ინდივიდუალურად შეფასებისთვის, ბანკის საკრედიტო რისკის მართვის ან ანდერაიტინგის დეპარტამენტების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. ინდივიდუალური შეფასება ითვალისწინებს უახლეს ხელმისაწვდომ ინფორმაციას, რათა განსაზღვროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საბაზო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარების მიხედვით.[1]

მოდელირებული შედეგის ზრდისა და კორექტირებების გამოყენება

ქვემოთ განვმარტავთ, რას ვუწოდებთ მოდელირების შემდგომ კორექტირებებს ან მოდელირებული შედეგის ზრდას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის.

მოდელის შემდგომი კორექტირებები

მოდელირების შემდგომ კორექტირებებს ჩვენ ვუწოდებთ ხელმძღვანელობის კონკრეტულ კორექტირებებს მოდელის ცნობილი შეზღუდვების აღმოფხვრის მიზნით, ან მოდელის მეთოდოლოგიაში, ან მოდელის ამოსავალ მონაცემებში. მოდელირების შემდგომი კორექტირებები ხდება მოდელის ამოსავალი მონაცემების და პარამეტრების ანალიზის საფუძველზე, რათა განისაზღვროს საჭირო მოდიფიკაცია, რითაც გაუმჯობესდება მოდელის სიზუსტე.

მოდელირებული შედეგის ზრდა

მოდელირებული შედეგის ზრდა ასახავს ხელმძღვანელობის განსჯას, რომელიც ძირითადად ეყრდნობა ექსპერტის მოსაზრებას და გამოიყენება პირდაპირ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე აგრეგირებულ დონეზე.

დანერგვის შემდეგ მოდელირებული შედეგის ზრდა და კორექტირებები ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის თავიდან შეფასდება, რათა განისაზღვროს კორექტირებების სისწორე. მოდელირების შემდგომი კორექტირებებისა და მოდელირებული შედეგის ზრდის მართებულობა ექვემდებარება საფუძვლიან გადახედვას და ანალიზს. მოდელირებული შედეგის ზრდისა და კორექტირებების გადახედვისა და დამტკიცების პროცესი იმავე ფაზებს გადის, რომლებსაც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცესის მართვა, რომელიც აღწერილია 37-ე შენიშვნაში, „რისკის მართვის“ თავში.

კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ბანკმა ექსპერტის მოსაზრებას მიმართა მოდელის ფარგლებში მოდელირების შემდგომი კორექტირებების სახით. ყველა კორექტირება წარმოადგენს მოდელის კორექტირებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კორექტირებები შევიტანეთ ან მოდელის ამოსავალ მონაცემებში, ან მის პარამეტრებში და მოდელები ავამოქმედეთ განახლებული კორექტირებების საფუძველზე. მოდელირებული შედეგის ზრდა მიმდინარე წელს არ ყოფილა. (2020 ნოლი)

ქვემოთ შეჯამებულია მოდელში ასახული მოდელირების შემდგომი კორექტირებები 2020 წლისა და 2021 წლის ბოლოსთვის. მოდელირების შემდგომი კორექტირებების მთლიანმა ეფექტმა 16,107 ათასი ლარი და 105,502 ათასი ლარი შეადგინა 2020 წლისა და 2021 წლის ბოლოსთვის:

- **დეფოლტის განმარტება:** ბანკმა დეფოლტის დამატებითი კრიტერიუმები დაუწესა კრედიტის იმ მოცულობებს, რომლებზეც განსაკუთრებით იმოქმედა პანდემიასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა. ეს მოიცავდა კრედიტებს, რომლებსაც შეეხო კოვიდ-19-თან დაკავშირებით გადახდისგან დროებით გათავისუფლების ან რესტრუქტურიზაციის რამდენიმე ფაზა. კრიტერიუმებში შედიოდა ნაკლები ვადაგადაცილებული დღის ზღვარი და გაუარესებული სესხის დაფარვის კოეფიციენტები ამ კრედიტებისთვის, რათა შესაძლებელი გახდეს გაუფასურებული კრედიტის მოცულობების ადრეულ ეტაპზევე გამოვლენა. მოდელირების შემდგომი კორექტირებები მოქმედებდა 2020 წლის ბოლოსთვის და აღარ მოქმედებს 2021 წლის ბოლოსთვის, ვინაიდან კოვიდ-19-თან დაკავშირებული საშეღავათო პერიოდები ან რესტრუქტურიზაცია აღარ არის ძალაში.
- **მე-2 სტადიის განმარტება:** კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად, ბანკმა გარკვეული მოდელირების შემდგომი კორექტირებები გამოიყენა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის კრიტერიუმებისთვის, რათა გაეადვილებინა რისკის გაზრდილი მოცულობების ადრეულ ეტაპზე ამოცნობა. კრიტერიუმები ეყრდნობა კრედიტის მოცულობების დაფარვის ისტორიას მეორე ეტაპის საშეღავათო პერიოდის შემდეგ და ბოლოდროინდელი ფინანსური მონიტორინგის შესახებ

3. კრიტიკული საღრიცხვო შეფასებები და განსჯა საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას
გაგრძელება

ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მოწყვლადი ბიზნეს მსესხებლების შემთხვევაში. მოდელირების შემდგომი კორექტირებები მოქმედებდა 2020 წლის ბოლოსთვის და აღარ მოქმედებს 2021 წლის ბოლოსთვის, ვინაიდან კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული საშეღავათო პერიოდები აღარ არის ძალაში.

- **ზარალი დეფოლტის შემთხვევაში – დავალიანების ამოღების მაჩვენებელი:** 2020 წლის ბოლოსთვის, დეფოლტის შემთხვევაში ზარალის მოდელირებისას ბანკმა შეამცირა მე-3 სტადიაზე მყოფი საცალო (იპოთეკური, უზრუნველყოფილი სამომხმარებლო და არაუზრუნველყოფილი) და მიკრო კრედიტების ამოღების მაჩვენებლები, რათა აესახა პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების მოსალოდნელი გავლენა. 2021 წელს ბანკმა თავიდან შეაფასა კორექტირება და ამოღებების ანალიზის საფუძველზე გარკვეული მოდიფიკაციები შეიტანა 2020 წლის ბოლოსთვის გამოყენებულ მოდელირების შემდგომ კორექტირებებში. იპოთეკური პორტფელი – ამოღების მაჩვენებლის დაღმავალი კორექტირება მთლიანად გაუქმდა, ვინაიდან, ანალიზმა აჩვენა, რომ ამოღებებმა მოახერხა პანდემიამდელი დონის მიღწევა. არაუზრუნველყოფილი საცალო პორტფელი – ამოღებები გაუმჯობესდა, თუმცა მაინც დაბალი დარჩა პანდემიამდელ დონესთან შედარებით. შესაბამისად, ამოღების მაჩვენებლის დაღმავალი კორექტირება შენარჩუნდა, მაგრამ 2020 წლის ბოლოსთან შედარებით შემცირდა. კორექტირებები სხვა პორტფელებში, კერძოდ, უზრუნველყოფილ სამომხმარებლო და მიკრო სეგმენტებში უცვლელი დარჩა 2020 წლის ბოლოსთან შედარებით, რადგან ამოღებების არსებითი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა.
- **ზარალი დეფოლტის შემთხვევაში – უზრუნველყოფის დისკონტი/უზრუნველყოფის მართვის საშუალო ვადა[2]:** მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე უძრავი ქონების ფასების მოსალოდნელი ვარდნის გავლენის ასახვის მიზნით, მე-3 სტადიის მცირე და საშუალო საწარმოებისა და მე-3 სტადიის არამნიშვნელოვანი კორპორატიული კრედიტების შემთხვევაში, 2020 წლის ბოლოსთვის გამოყენებული იქნა უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების დაღმავალი კორექტირება. 2021 წლის ბოლოსთვის კორექტირება გაუქმდა უძრავი ქონების ფასის მაკრო დაშვებების განახლების გამო. თუმცა, ამ კონკრეტული პორტფელებისთვის (მცირე და საშუალო საწარმოები, უმნიშვნელო კორპორატიული), ბანკმა უზრუნველყოფის მართვის ერთწლიანი საშუალო ვადა 2021 წელს 2 წლამდე გაზარდა, რათა აესახა 2021 წელს კოვიდ-19-ის პანდემიის გამო დავალიანების დაგვიანებული ამოღება. კორექტირება შეეხო ყველა სტადიას.[3]
- **სრულად წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტი:** 2020 წლის ბოლოსთვის ბანკმა მიმართა სრულად წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტის დაღმავალ კორექტირებას, რომელიც გამოიყენება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების მოდელირებისთვის. კორექტირება დაეყრდნო მოლოდინს, რომ სრულად წინსწრებით დაფარვის მაჩვენებელი უფრო დაბალი იქნება პანდემიამდელ დონეებთან შედარებით. 2021 წელს ბანკმა გაანალიზა ფაქტობრივი გადახდები და ანალიზის შედეგების საფუძველზე შეინარჩუნა ან შეამცირა/სრულად გააუქმა კორექტირება.
- **საკრედიტო ბიუროს ქულები:** 2020 წლის დეკემბერში ბანკმა დააკორექტირა საკრედიტო ბიუროს ქულა/რისკის დონე, ვინაიდან არსებული საკრედიტო ქულა არ ასახავდა შესაბამის პერიოდში გარკვეული კრედიტის მოცულობის კრედიტუნარიანობას კოვიდ-19-თან დაკავშირებული საშეღავათო პერიოდების გამო. 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ბიუროს ქულასთან მიახლოებული მაჩვენებელი უკვე გაუქმებული იყო და ბანკი პირდაპირ იყენებს გარე საკრედიტო ბიუროს მიერ მოწოდებულ საკრედიტო ქულებს.

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია მოდელის შემდგომი კორექტირებების ეფექტი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე. ზოგიერთი ეფექტი დამოკიდებულია ერთმანეთზე, ამიტომ ცალკეული ეფექტების ჯამი არ უდრის სრულ ეფექტს რომელიც ასახულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე მოდელის შემდგომი კორექტირებების შედეგად:

1 ბანკის რისკის სრული მოცულობა მსესხებლისგან ან ურთიერთდაკავშირებული მსესხებლებისგან.
2 უზრუნველყოფის მართვის საშუალო ვადა
3 მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდოლოგიის მიხედვით, უზრუნველყოფის მართვის საშუალო ვადა ერთი წლით განისაზღვრა. 2020 წლის ბოლოსთვის მეთოდოლოგიაში უზრუნველყოფის მართვის საშუალო ვადასთან მიმართებით ცვლილებები არ შესულა.

3. კრიტიკული საღრიცხვო შეფასებები და განსჯა საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას გაგრძელება

ათას ლარში	2021	2020
დეფოლტის განმარტება	-	34,304
მე-2 სტადიის განმარტება	-	2,906
ზარალი დეფოლტის შემთხვევაში – დავალიანების ამოღების მაჩვენებელი	12,835	45,578
ზარალი დეფოლტის შემთხვევაში – უზრუნველყოფის დისკონტი/უზრუნველყოფის მართვის საშუალო ვადა[1]	2,754	3,116
სრულად წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტი:	512	2,166
საკრედიტო ბიუროს ქულები	-	17,708

4. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

2021 წლის განმავლობაში შემდეგი შეცვლილი სტანდარტები ამოქმედდა:

„კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ – ცვლილება ფასს 16-ში (გამოშვებული 2021 წლის 31 მარტს და ძალაში შესული 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

2020 წელს გამოვიდა ფასს 16-ში შესწორება, რომელმაც დაუშვა ნებაყოფლობითი გამარტივებული მიდგომა მოიჯარეებისთვის, რომ შეეფასებინათ კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რის შედეგადაც მცირდებოდა 2021 წლის 20 ივნისს ან ამ თარიღამდე გადასახდელი იჯარები, იყო თუ არა იჯარის მოდიფიკაცია. 2021 წლის 31 მარტს გამოშვებული შესწორებით გამარტივებული მიდგომის გამოყენების ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გახანგრძლივდა.

ცვლილების გამოყენებას არ მოუხდენია გავლენა აქტივის გამოყენების უფლებაზე და არსებითად არ უმოქმედია საიჯარო ვალდებულებებსა და მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე.

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის (ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსი) ცვლილება - მეორე ფაზის ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში და ფასს 7-ში, ფასს 4-სა და ფასს 16-ში (გამოშვებული 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაში შესული 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

მეორე ფაზის ცვლილებები ეხება საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა რეფორმების გატარების შედეგად, მათ შორის ერთი კრიტერიუმის შეცვლას ალტერნატიული კრიტერიუმით. ცვლილებები ეხება შემდეგ სფეროებს:

- ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილების შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში შესული ცვლილებების აღრიცხვა: იმ ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებსაც ეხება ამორტიზებადი ღირებულების შეფასება, ეს ცვლილებები საწარმოებისგან მოითხოვს, რომ გამარტივებული მეთოდით აღრიცხონ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის შეცვლა ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილების შედეგად, ფასს 9-ის „ბ“ მუხლის 5.4.5. პუნქტის მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით. ამასთან დაკავშირებით შემოსულობა ან ზარალი არ არის აღიარებული. ეს გამარტივებული მიდგომა ეხება მხოლოდ ასეთ ცვლილებას და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა, როგორც ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილების პირდაპირი შედეგი, და თუ ახალი საფუძველი ეკონომიკური თვალსაზრისით ეკვივალენტურია წინა საფუძვლისა. ამავე გამარტივებული მიდგომის გამოყენება ევალებათ იმ დამზღვევებსაც, რომლებიც ფასს 9-დან დროებითი გამონაკლისით სარგებლობენ. ფასს 16-ში შესული ცვლილებაც მსგავსი გამარტივებული მიდგომის გამოყენებას მოითხოვს მოიჯარეებისგან, როდესაც აღრიცხავენ საიჯარო მოდიფიკაციებს, რომლებითაც იცვლება ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილების შედეგად სამომავლო საიჯარო გადასახადების განსაზღვრის საფუძველი.
- ჰეჯირების ურთიერთობებში ხელშეკრულებაში დაუკონკრეტებელი რისკის კომპონენტებისთვის პირველი ფაზით გათვალისწინებული შეღავათის შეწყვეტის თარიღი: მეორე ფაზის ცვლილებების მიხედვით, საწარმო ვალდებულია, პერსპექტიულად შეწყვიტოს პირველი ფაზის შეღავათების გამოყენება ხელშეკრულებაში დაუკონკრეტებელი რისკის კომპონენტისთვის, როდესაც ხელშეკრულებაში დაუკონკრეტებელი რისკის კომპონენტში შედის ცვლილებები ან როდესაც წყდება ჰეჯირების ურთიერთობა, რომლის თარიღიც უფრო ადრე დადგება. რისკის კომპონენტებისთვის პირველი ფაზის ცვლილებებში შეწყვეტის თარიღი არ იყო მოცემული.

4. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება გაგრძელება

- დამატებითი დროებითი გამონაკლისები ჰეჯირების აღრიცხვის კონკრეტული მოთხოვნების გამოყენებიდან:მეორე ფაზის ცვლილებები დამატებით შეღავათებს ითვალისწინებს, კერძოდ, დროებით ათავისუფლებს ჰეჯირების ურთიერთობების მიმართ ჰეჯირების აღრიცხვის ბასს 39-ისა და ფასს 9-ის მოთხოვნების შესრულებისგან, რომლებზეც ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების ცვლილებამ პირდაპირი გავლენა იქონია.
- ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის რეფორმასთან დაკავშირებით:ცვლილებები მოითხოვს განმარტებებს შემდეგზე: (i) როგორ ახერხებს საწარმო გადასვლას ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე, მისი გადასვლის პროგრესი და გადასვლასთან დაკავშირებული რისკები; (ii) რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოებულ და არაწარმოებულ ინსტრუმენტებზე, რომლებიც ჯერ არ გადასულა ამ განაკვეთებზე, ჩაშლილი მნიშვნელოვანი საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთების მიხედვით და (iii) ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილების გამო რისკის მართვის სტრატეგიაში შესული ნებისმიერი ცვლილების აღწერა.

ლიბორი არის ჯგუფში ყველაზე ხშირად გამოყენებული ცვალებადი განაკვეთი, შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი ანალიზი ძირითადად ეხება ლიბორის ცვლილებას.

ლიბორის ცვლილება

2021 წლის 5 მარტს IBA ადასტურებს თავის განზრახვას შეწყვიტოს დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგში, შვეიცარიულ ფრანკში, ევროში და იაპონურ იენში ლიბორის (ყველა ვადის) და აშშ დოლარში ლიბორის (ერთკვირიანი და ორთვიანი ვადები) გამოქვეყნება 2021 წლის ბოლოსთვის. აშშ დოლარში ლიბორის დანარჩენ ვადებს IBA გამოაქვეყნებს 2023 წლის ივნისის ბოლოსთვის. ბანკს ჯერ არ გადაუხედავს აშშ დოლარში ლიბორში არსებული ხელშეკრულებებისთვის და ისარგებლებს გაგრძელებული ვადით. როგორც მოსალოდნელია, ლიბორის საორიენტაციო ინდექსების უმრავლესობა თანდათან გარდაიქმნება შესაბამის თითქმის ურისკო საორიენტაციო განაკვეთებად (ურისკო განაკვეთები).

ამ შესწორებების თანახმად, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში შესული ცვლილებები აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირებით, რის საშუალებასაც იძლევა გამარტივებული მიდგომა. მყისიერი შემოსულობის ან ზარალის აღიარება არ ხდება. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ეს გადასინჯვა მხოლოდ მაშინ არის ძალაში, როდესაც ცვლილება საჭიროა, როგორც საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის რეფორმის პირდაპირი შედეგი და სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის ახალი საფუძველი, ეკონომიკური თვალსაზრისით, წინა საფუძვლის ეკვივალენტურია.

ჯგუფს არ აქვს კრედიტის რამე მოცულობა ბრიტანულ გირვანქა სტერლინგში, შვეიცარიულ ფრანკში, ევროში ან იაპონურ იენში ლიბორის ხელშეკრულებების ფარგლებში და მასზე არ იმოქმედებს ამ ხელშეკრულებების შეწყვეტა. ევროში გამოხატული, ცვალებადი განაკვეთის მქონე აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის ჯგუფში გამოიყენება ევრიბორი, როგორც დეფოლტის საორიენტაციო ინდექსი. ყველა ახალი ხელშეკრულებისთვის მოქმედებს განაკვეთის სარეზერვო პირობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი გართულებები, თუ ევრიბორის საორიენტაციო ინდექსში ცვლილებები შევა.

აშშ დოლარში ჯგუფს აქვს ლიბორის ინდექსთან მიბმული კრედიტის მოცულობა, ძირითადად იმ ხელშეკრულებების გამო, რომლებსაც აქვს აშშ დოლარში 6-თვიანი ლიბორის საორიენტაციო ინდექსი.

მომხმარებლებთან გაფორმებული ახალი ხელშეკრულებებისთვის დაგეგმილია აშშ დოლარში ლიბორიდან მთლიანად ურისკო განაკვეთებზე გადასვლა 2022 წელს.

ცხრილში ჩაშლილია ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები, რომლებიც ჯერ არ გადასულა ალტერნატიულ საორიენტაციო ინდექსებზე:

1 როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უზრუნველყოფის დისკონტი გამოყენებულია 2020 წლის ბოლოს მდგომარეობით. რაც შეეხება უზრუნველყოფის მართვის საშუალო ვადას, იგი გამოყენებულია მხოლოდ 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით.

4. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება გაგრძელება

ათას ლარში			არაწარმოებული ფინანსური აქტივები	არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები		პირობითი ვალდებულებები		წარმოებული ინსტრუმენტები
ინდექსი	**ვალუტა**	**შეწყვეტის თარიღი**	**მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები**	**სუბორდინირებული ვალი**	**ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ**	**აკრედიტივები**	**აუთვისებელი საკრედიტო ხაზები**	**წარმოებული ინსტრუმენტები**
6-თვიანი ევრიბორი	ევრო	ჯერ არ დადგენილა*	-	-	88,761	-	-	-
1-თვიანი ლიბორი	აშშ დოლარი	ჯერ არ დადგენილა*	24,831	-	-	-	1,032	-
3-თვიანი ლიბორი	აშშ დოლარი	30-ივნ-23	26,139	-	2,858	-	11	3,613
6-თვიანი ლიბორი	აშშ დოლარი	30-ივნ-23	5,432,142	281,604	361,360	4,771	909,315	-
12-თვიანი ლიბორი	აშშ დოლარი	30-ივნ-23	1,460	-	30,992	-	-	-
სულ			**5,484,572**	**281,604**	**483,971**	**4,771**	**910,358**	**3,613**

** ჯერ უნდა განისაზღვროს.*

ლიბორის შეწყვეტით და ახალი საორიენტაციო განაკვეთების საბაზრო ლიკვიდურობის განვითარებით გამოწვეული ფინანსური რისკები ასევე იმოქმედებს ჯგუფზე ამ გარდამავალ ეტაპზე სხვაობები ლიბორსა და ახალ საორიენტაციო განაკვეთებს შორის შექმნის საბაზო რისკს, რომლის აქტიური მართვა საჭირო გახდება სათანადო ფინანსური ჰეჯირებით. საბაზო რისკი შეიძლება წარმოიშვას ურისკო განაკვეთების ასიმეტრიული დანერგვით სხვადასხვა აქტივისა და ვალდებულების, ვალუტისა და პროდუქტისთვის. გარდა ამისა, ამან შეიძლება ეფექტურად ჰეჯირების შესაძლებლობა შეზღუდოს. საჭიროების შემთხვევაში, გარდამავალ ეტაპზე გამოიყენება პორტფელის იმუნიზაციის ან ფულადი ნაკადების თანხვედრის (შესაბამისობაში მოყვანის) სტრატეგიები რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. ჰეჯირება, სავარაუდოდ, მოხდება ხელმისაწვდომი საპროცენტო განაკვეთის წარმოებულებით შესაბამისი ურისკო განაკვეთებისთვის.

ლიბორიდან უწყვეტი, გეგმაზომიერი გადასვლა ჯგუფის მთავარი ამოცანა იყო 2021 წლის განმავლობაში და დაყოფილი იყო ორ სამუშაო ნაკადად:

1. ალტერნატიული განაკვეთის და ურისკო განაკვეთის პროდუქტის შესაძლებლობების განსაზღვრა.
2. არსებული ლიბორის ხელშეკრულებების გადატანა.

ჯგუფის ინიციატივები ლიბორიდან გადასვლასთან დაკავშირებით, ასე გამოიყურება:

a. საჭიროების შემთხვევაში, განაკვეთის სარეზერვო პირობების შემუშავება;
b. ჯგუფი აგრძელებს ბაზრის მონაწილეებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან თანამშრომლობას, რათა გადაჭრას აშშ დოლარში ლიბორიდან გადასვლასთან დაკავშირებული გამოწვევები, მათ შორის ძალისხმევას არ იშურებს, რომ შემოიღოს საპროგნოზო ვადის განაკვეთები, რომლებიც მიბმულია უზრუნველყოფილ ერთდღიან დაფინანსების განაკვეთთან.
c. კლიენტების განათლება და ინფორმირება ლიბორიდან გადასვლისა და ლიბორის შეწყვეტისთვის მომზადების აუცილებლობის შესახებ;

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები

ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია არცერთი ცვლილება, რომელიც ძალაში შედის 2021 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და იგი მოელის, რომ მათ დანერგვისას, ან გავლენის მასშტაბის შეფასებისას, უმნიშვნელო გავლენა ექნება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე და ბანკის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები გაგრძელება

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოშვებული 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შესული 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე ფასს 17-ში მომდევნო ცვლილებების შესაბამისად).

ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს, რომელმაც კომპანიები გაათავისუფლა სადაზღვევო ხელშეკრულებების არსებული პრაქტიკის მიხედვით აღრიცხვის გაგრძელების ვალდებულებისგან. ამის შედეგად ინვესტორებს გაუჭირდათ სხვა მხრივ მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შედეგების ერთმანეთთან შედარება და შეპირისპირება. ფასს 17 ეყრდნობა ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულების, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ერთიანი აღრიცხვის პრინციპს. სტანდარტით სავალდებულოა სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და შეფასება: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის მიხედვით კორექტირებული დღევანდელი ღირებულებით (ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები), რომელიც სრულად შეიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შესახებ ხელმისაწვდომ ინფორმაციას ისე, რომ შესაბამისობაში იყოს საბაზრო ინფორმაციასთან; არის დადებითი (თუ მიღებული რიცხვი ვალდებულებას წარმოადგენს) ან უარყოფითი (თუ მიღებული რიცხვი აქტივია) მაჩვენებელი; (ii) თანხით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებების ჯგუფზე მიუღებელ მოგებას (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). დამზღვევები სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას აღიარებენ იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც მათ გასწიეს სადაზღვევო მომსახურება და როდესაც ისინი თავისუფლდებიან რისკისგან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი არის ან ხდება ზარალიანი, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს.

ცვლილებები ფასს 17-ში და ცვლილებები ფასს 4-ში (გამოშვებული 2020 წლის 25 ივნისს და ძალაში შესული 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ცვლილებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს, რომელთა მიზანია ფასს 17-ის უფრო იოლად დანერგვა, სტანდარტის ზოგიერთი მოთხოვნისა და სტანდარტზე გადასვლის გამარტივება. ცვლილება შეეხო ფასს 17-ში ასახულ რვა საკითხს და მათი მიზანი არ არის სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შეცვლა. ფასს 17-ში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

- ძალაში შესვლის თარიღი:ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) ორი წლით გადავადდა 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის; ხოლო ფასს 4-ში ფასს 9-ისგამოყენებიდან დროებითი გამონაკლისების ვადის ამოწურვის ფიქსირებული თარიღი ასევე გადავადდა 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის.
- აკვიზიციიდან ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ამოღება: საწარმო ვალდებულია აკვიზიციური ხარჯების ნაწილი გაანაწილოს შესაბამისი ხელშეკრულებების მოსალოდნელ განახლებებზე, და აღიაროს ეს დანახარჯები აქტივად, სანამ საწარმო აღიარებს ხელშეკრულებების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ აქტივის ამოღების შესაძლებლობის შეფასება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის წარმოდგენა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- საინვესტიციო მომსახურებებისთვის მიკუთვნებადი სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა: ცვალებადი გასამრჯელოს მეთოდით შედგენილი ხელშეკრულებებისა და ზოგადი მოდელის მიხედვით შედგენილი, „ინვესტიციაზე უკუგების მომსახურების“ შემცველი სხვა ხელშეკრულებებისთვის უნდა განისაზღვროს სადაზღვევო დაფარვის ერთეულები, ანაზღაურების რაოდენობისა და როგორც სადაზღვევო დაფარვის, ისე საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი ვადის გათვალისწინებით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯები უნდა აისახოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში, თუ საწარმო ამ საქმიანობას ეწევა დამზღვევისთვის სადაზღვევო დაფარვიდან მიღებული ანაზღაურების გაზრდის მიზნით.
- გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებები - ზარალის ამოღება:როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს წამგებიანი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას, ან ჯგუფისთვის წამგებიანი ხელშეკრულებების დამატებისას, საწარმომ უნდა დააკორექტიროს გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებების შესაბამისი ჯგუფის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა და აღიაროს შემოსულობა გაფორმებულ გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებიდან ამოღებული ზარალის თანხა განისაზღვრება საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის გამრავლებით საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებებზე სადაზღვევო მოთხოვნების პროცენტულ მაჩვენებელზე, რომლის

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები გაგრძელება

ამოღებასაც საწარმო მოელის გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან აღიარების დროს.

- სხვა ცვლილებები:სხვა ცვლილებებში შედის: ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსი) ხელშეკრულებისა და ზოგი სასესხო ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული გამონაკლისები; სადაზღვევო ხელშეკრულებების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელებად და არა ჯგუფებად; რისკის შემცირების ოფციონის გამოყენების შესაძლებლობა, როდესაც რისკების შემცირება ხდება გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებების და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით; ფასს 17-ის გამოყენების დროს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში გაკეთებული პროგნოზების შესაცვლელად სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევის საშუალება; დამზღვევისთვის დაკისრებადი გადახდილი და მიღებული მოგების გადასახადის შეტანა სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებში, ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ნაწილში; და სტანდარტზე გადასვლასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათები და სხვა წვრილ-წვრილი ცვლილებები.

სტანდარტზე გადასვლის უფლება მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოშვებული 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაში მყოფი 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 17-ში გადასვლის მოთხოვნებში შესული ცვლილებები მზღვეველებს აძლევს არჩევანის უფლებას, რომლის მიზანიც არის, ინფორმაცია უფრო სასარგებლო გახდეს ინვესტორებისთვის ფასს 17-ის თავდაპირველად გამოყენებისას. ცვლილება ეხება მხოლოდ მზღვეველების გადასვლას ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა რომელიმე მოთხოვნაზე. გადასვლის მოთხოვნები ფასს 17-სა და ფასს 9-ში ძალაში შედის სხვადასხვა თარიღით და განაპირობებს კლასიფიკაციის მხრივ შემდეგ ერთჯერად სხვაობებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შესადარის ინფორმაციაში: ბუღალტრული შეუსაბამობები მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ დაკავშირებულ ფინანსურ აქტივებს შორის; და თუ საწარმო არჩევს შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებას ფასს 9-ისთვის, კლასიფიკაციის სხვაობები შესადარის პერიოდში აღიარებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივებსა (რომლებზეც ფასს 9 არ ვრცელდება) და სხვა ფინანსურ აქტივებს (რომლებზეც ფასს 9 ვრცელდება) შორის. ცვლილება მზღვეველებს დაეხმარება იმაში, რომ თავიდან აირიდონ ეს დროებითი სააღრიცხვო შეუსაბამობები, რის შედეგადაც გაუმჯობესდება ინვესტორებისთვის შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა. ამისთვის ცვლილება მზღვეველებს აძლევს არჩევანს, წარმოადგინონ შედასარისი ინფორმაცია ფინანსური აქტივების შესახებ. ფასს 17-ის გამოყენებისას საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მიზნით, უფლება ეძლეოდათ გამოეყენებინათ კლასიფიკაციის მოდელირებული შედეგის ზრდა იმ ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ ახდენს ფასს 9-ის მიხედვით შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებას. გადასვლის არჩევანი ხელმისაწვდომი იქნებოდა თითოეული ინსტრუმენტისთვის ცალკე; საშუალებას მისცემდა საწარმოს, რომ წარმოედგინა შესადარისი ინფორმაცია ისე, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციის და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ საწარმოსგან არ მოითხოვდა, რო გამოეყენებინა ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და საწარმოსგან, რომელიც ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის მოდელირებული შედეგის ზრდას მიმართავს, მოითხოვდა, რომ გამოეყენებინა გადასვლის თარიღისთვის ხელმისაწვდომი გონივრული და დასაბუთებადი ინფორმაცია, რათა განესაზღვრა, როგორ მოელის საწარმო ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას ფასს 9-ის გამოყენებით.

ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკული რეკომენდაცია 2: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (გამოშვებული 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაში მყოფი 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 1-ში შესული ცვლილების თანახმად, კომპანიებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა თავიანთი არსებითი და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ცვლილება შეიცავს არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტებას. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, სავარაუდოდ, არსებითია, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებდნენ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი სხვა არსებითი ინფორმაციის გაგებას. ცვლილებაში მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები გაგრძელება

ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომელიც, დიდი ალბათობით, ჩაითვლებოდა არსებითად საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესული ცვლილება განმარტავს, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გაცხადება არ არის საჭირო. ამის მიუხედავად, მისი გაცხადების შემთხვევაში, იგი არ უნდა ჩრდილავდეს არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას. ამ ცვლილების დანერგვის გასაადვილებლად ასევე შეიცვალა ფასს-ის პრაქტიკული რეკომენდაცია 2 „არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება“, რომელშიც მოცემულია მითითება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს არსებითობის ცნების გამოყენება სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებში.

ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი – ცვლილებები ბასს 12-ში (გამოშვებული 2021 წლის 7 მაისს და ძალაში შესული 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 12-ში შესული ცვლილება აკონკრეტებს, როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. გარკვეულ შემთხვევებში საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე გარკვეული გაურკვევლობა არსებობდა იმის შესახებ, ეხებოდა თუ არა გამონაკლისი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები – გარიგებები, რომლებისთვისაც ხდება როგორც აქტივის, ისე ვალდებულების აღიარება. ცვლილება განმარტავს, რომ გამონაკლისი არ ეხება ამ შემთხვევებს და რომ საწარმოებს ევალებათ გადავადებული გადასახადის აღიარება ასეთ გარიგებებზე. ცვლილებები კომპანიებისგან მოითხოვს გადავადებული გადასახადის აღიარებას ისეთ გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოქმნის ერთნაირი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს.

შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე, წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის საჭირო დანახარჯები, კონცეპტუალური საფუძვლების მითითება - დამაზუსტებელი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და ფასს-ების ყოველწლიური გაუმჯობესება - 2018-2020 წ.წ. - ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოშვებული 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შესული 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 16-ში შესული ცვლილება საწარმოს უკრძალავს ძირითადი საშუალებების ობიექტის თვითღირებულებიდან გამოქვითოს ამ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის მომზადების პროცესში წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი. ასეთი ერთეულების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, ახლა უკვე აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო ამ ერთეულების თვითღირებულების შესაფასებლად ბასს 2-ით იხელმძღვანელებს. თვითღირებულებაში არ შევა იმ აქტივის ცვეთა, რომელიც იტესტება, რადგან ჯერ არ არის მზად დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. ბასს 16-ში შესული ცვლილებები ასევე განმარტავს, რომ საწარმო „ამოწმებს, აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“, როდესაც აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ მდგომარეობას. აქტივის ფინანსური შედეგიანობა ამ შეფასებისთვის აქტუალური არ არის. ამიტომ აქტივი შეიძლება ასრულებდეს ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ ფუნქციას და ექვემდებარებოდეს ცვეთას, სანამ მიაღწევს ექსპლუატაციის იმ დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მისგან მოელის.

ცვლილება ბასს 37-ში განმარტავს „ხელშეკრულების შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების“ მნიშვნელობას. ცვლილება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს, და სხვა სხვა განაწილებულ ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულების შესრულებას. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ სანამ განისაზღვრება წამგებიანი კონტრაქტისთვის ცალკე ანარიცხები, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესასრულებლად გამოყენებული აქტივების, და არა ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივების გაუფასურებით გამოწვეულ ყოველგვარ ზარალს. ფასს 3-ში შევიდა ცვლილება 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების შესახებ, რათა განისაზღვროს რა წარმოადგენს აქტივს ან ვალდებულებას საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. გარდა ამისა, ფასს 3-ს დაემატა ახალი გამონაკლისი ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისით ზუსტდება, რომ ზოგიერთი ტიპის ვალდებულებისა და პირობითი ვალდებულებების

5. საარღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები გაგრძელება

შემთხვევაში, საწარმომ, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, უნდა მიმართოს ბასს 37-ს ან ფასიკ 21-ს, და არა 2018 წლის კონცეპტუალურ საფუძვლებს. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო საწარმოთა გაერთიანებაში აღიარებდა ზოგიერთ ისეთ ვალდებულებას, რომლებსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის მიხედვით. ამიტომ საწარმოს შესყიდვისთანავე მოუხდებოდა ასეთი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც არ ასახავდა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე დაზუსტდა, რომ მყიდველმა საწარმომ არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, ბასს 27-ის განმარტების შესაბამისად, შეძენის თარიღით.

ცვლილება ფასს 9-ში ეხება იმას, თუ რომელი საკომისიო გადასახდელები უნდა აისახოს ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. მესამე მხარეებს ან კრედიტორს შეიძლება აუნაზღაურდეს დანახარჯები ან გადაეხადოს საკომისიოები. ამ ცვლილების თანახმად, მესამე მხარეებისთვის გადახდილი დანახარჯები თუ საკომისიოები არ აისახება 10%-იან ტესტში.

ფასს 16-ზე დართული საილუსტრაციო მაგალითი #13 შეიცვალა, კერძოდ ამოღებულია მეიჯარისთვის საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული გადახდების ილუსტრაცია. ამ ცვლილების მიზანი არის საიჯარო შეღავათების ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებით ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის თავიდან არიდება.

ფასს 1 უშვებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია გამოიყენებს ფასს-ს თავის მშობელ კომპანიაზე უფრო გვიანი თარიღით. შვილობილ კომპანიას შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება საბალანსო ღირებულებებით, რომლებიც შევიდოდა მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს-ზე მშობელი კომპანიის გადასვლის თარიღისთვის, თუკი არ ასახულა კორექტირებები კონსოლიდირების პროცედურებისა და საწარმოთა გაერთიანების გამო, რომლის დროსაც მშობელმა კომპანიამ შეისყიდა შვილობილი კომპანია. ფასს 1-ში შევიდა ცვლილება, რომლითაც საწარმოებს, რომლებსაც გამოყენებული აქვთ ფასს 1-დან გამონაკლისი, ასევე უფლება მიეცათ, კუმულაციური საკურსო სხვაობა მშობელი კომპანიის მიერ გაცხადებული თანხებით შეაფასონ ფასს-ზე მშობელი კომპანიის გადასვლის თარიღის მიხედვით. ფასს 1-ში შესული ცვლილების მიხედვით, ზემოაღნიშნული გამონაკლისი კუმულაციურ საკურსო სხვაობასაც ეხება იმ საწარმოებისთვის, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს-ს, ხარჯების შემცირების მიზნით. ეს ცვლილება ასევე ვრცელდება მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებზე, რომლებსაც გამოყენებული აქვთ ფასს 1-დან იგივე გამონაკლისი.

ამოღებულია მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, ბასს 41-ის შესაბამისად სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, საწარმოებს არ უნდა გაეთვალისწინებინათ ფულადი ნაკადები გადასახადით დაბეგვრის მიზნებისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომლის მიხედვითაც უკვე დაბეგრილი ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად – ცვლილებები ბასს 1-ში (გამოშვებული 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შესული 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ეს ვიწრო მოქმედების სფეროს ცვლილებები აზუსტებს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი იმისდა მიხედვით, თუ რა უფლებები არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას. ვალდებულებები გრძელვადიანია, თუ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. სტანდარტით აღარ არის სავალდებულო, რომ ეს უფლება უპირობო იყოს. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ვალდებულების დაფარვის უფლებას, არ მოქმედებს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო აკმაყოფილებს ყველა შესაბამის პირობას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ვალდებულება მოკლევადიანად კლასიფიცირდება, თუ დაირღვევა რომელიმე პირობა საანგარიშგებო თარიღამდე ან საანგარიშგებო თარიღით მაშინაც კი, თუ კრედიტორისგან მიღებულია ამ პირობის დაკმაყოფილების მოთხოვნაზე უარი საანგარიშგებო პერიოდის გასვლის შემდეგ. ამავდროულად, სესხის კლასიფიცირება გრძელვადიანად ხდება მაშინ, თუ სესხის პირობა დაირღვევა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. ცვლილებები ასევე მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების დაზუსტებას ისეთი დავალიანების შემთხვევაში, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალად გარდაქმნით. „ვალდებულების დაფარვა“ განიმარტება, როგორც ვალდებულების გასტუმრება ფულადი სახსრებით, სხვა ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსებით ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. კაპიტალად კონვერტირებადი

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები გაგრძელება

ინსტრუმენტებისთვის დაშვებულია გამონაკლისი, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერტაციის ოფციონი კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით.

ფასს 9-ის გადავადება - ცვლილებები ფასს 4-ში (გამოშვებული 2020 წლის 25 ივნისს და ძალაში შესული 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები ფასს 4-ში, რომელიც ეხება ფასს 9-ის და მომავალი ფასს 7-ის ძალაში შესვლის სხვადასახვა თარიღებით გამოწვეულ დროებით სააღრიცხვო შედეგებს. ფასს 4-ის ცვლილებებმა გაახანგრძლივა ფასს 9-ისგან დროებითი გათავისუფლების ამოწურვის ვადა 2023 წლამდე იმისთვის, რომ შეესაბამებოდეს ახალი ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღს. ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების ვადის ამოწურვის ფიქსირებული თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადაწევა - ცვლილებები ბასს 1-ში (გამოშვებული 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შესული 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ცვლილებები ბასს 1-ში, რომლებიც მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივების კლასიფიკაციას ეხება, გამოიცა 2020 წლის იანვარში და მათი ძალაში შესვლის თავდაპირველი თარიღი იყო 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, კოვიდ-19-ის პანდემიის გამო ძალაში შესვლის თარიღმა ერთი წლით გადაიწია, რათა კომპანიებს კლასიფიკაციაში შესული ცვლილებების დანერგვისთვის მეტი დრო ჰქონოდათ.

ცვლილებები ბასს (IAS) 8-ში: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოშვებული 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაში მყოფი 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 8-ში შესული ცვლილება განმარტავს იმას, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში შესული ცვლილებებისგან.

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათას ლარში	2021	2020	2019
ნაღდი ფული სალაროში	831,035	747,195	646,394
ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში (გარდა სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებისა)	134,262	102,289	35,133
საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები სხვა ბანკებში	630,247	588,343	186,623
სხვა ბანკებში განთავსებული თანხები ან სხვა ბანკებისადმი მოთხოვნები, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია	45	163,851	126,359
სულ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მთლიანი ოდენობა	**1,595,589**	**1,601,678**	**994,509**
გამოკლებული: საკრედიტო ზარალის რეზერვი სტადიების მიხედვით	(129)	(79)	(30)
1-ლი სტადია	(129)	(79)	(30)
მე-2 სტადია	-	-	-
მე-3 სტადია	-	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	**1,595,460**	**1,601,599**	**994,479**

სხვა ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშების და ერთდღიანი დეპოზიტების 94% განთავსებულია ეთგოს (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) საბანკო დაწესებულებებში (2020 წლის 31 დეკემბერი: 89%; 2019 წლის 31 დეკემბერი: 85%).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 45 ათასი ლარი განთავსდა ბანკთაშორის ვადიან დეპოზიტებზე ერთ არა-ეთგოს ბანკში და არაფერი განთავსებულა ეთგოს ბანკებში (2020 წ.: 25,030 ათასი ლარი – არა-ეთგოს ბანკში და 163,838 ათასი ლარი – ერთ ეთგოს ბანკში; 2019 წ.: 11,348 ათასი ლარი – ერთ არაეთგოს ბანკში და 115,012 ათასი ლარი – ორ ეთგოს ბანკში). ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია 37-ე შენიშვნაში.

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გაგრძელება

სხვა ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშებისა და ერთდღიანი დეპოზიტების საკრედიტო რეიტინგი ასეთია:

ათას ლარში	2021	2020	2019
AA	69,943	–	–
AA-	2,117	1,891	–
A+	425,554	417,938	66,805
A	1,795	1,896	13,816
A-	23,766	35,753	–
BBB+	70,886	–	20,286
BBB	7	64,985	69,302
BBB-	12,569	897	–
BB+	367	–	733
BB	1,519	1,858	2,970
BB-	13,367	9,072	12,336
B+	8,343	53,684	375
B	14	15	–
რეიტინგის გარეშე	–	354	–
სულ საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი დეპოზიტები სხვა ბანკებში	**630,247**	**588,343**	**186,623**

სხვა ბანკებში სამ თვეზე ნაკლები ვადით განთავსებული თანხების და სხვა ბანკებისადმი სამ თვეზე ნაკლები ვადის მქონე მოთხოვნების საკრედიტო რეიტინგი ასეთია:

ათას ლარში	2021	2020	2019
A-	–	–	115,012
BBB+	–	163,837	–
BB	–	–	1,718
B+	–	–	9,629
რეიტინგის გარეშე	45	14	–
სულ სხვა ბანკებში განთავსებული თანხები ან სხვა ბანკებისადმი მოთხოვნები, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია	**45**	**163,851**	**126,359**

ცხრილში წარმოდგენილია საერთაშორისო სააგენტოების – Standard & Poor's-ის და Fitch Ratings-ის მიერ მინიჭებული რეიტინგები. როდესაც სააგენტოების მხრიდან ხდება სხვადასხვა საკრედიტო რეიტინგის მინიჭება, ამ აქტივისთვის ყველაზე მაღალი რეიტინგი გამოიყენება, ხოლო იმ ფინანსური დაწესებულებების შემთხვევაში, რომლებსაც საკრედიტო რეიტინგი არ ენიჭება, ქვეყნის რეიტინგი გამოიყენება. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები არ იყო გამიზნული უკურეპო ხელშეკრულებების თანახმად სხვა ბანკებში განთავსებების უზრუნველსაყოფად (2020 წ.: ნული; 2019 წ.: ნული).

7. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ

სხვა ბანკების მიმართ მოთხოვნებში შედის სამ თვეზე მეტი საწყისი ვადის მქონე განთავსებები, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი და წარმოადგენს არც ვადაგადაცილებულ და არც გაუფასურებულ თანხებს 2021 წლის, 2020 წლის და 2019 წლის ბოლოსთვის. სხვა ბანკებში სამ თვეზე მეტი საწყისი ვადის მქონე განთავსებების საკრედიტო რეიტინგები ასეთია:

7. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ გაგრძელება

ათას ლარში	2021	2020	2019
AA-	–	31	–
A+	13,099	10,908	9,541
BBB+	21	98	–
BBB-	2,943	2,010	–
BBB	–	–	2,493
BB	1,468	5,943	1,388
B+	24,706	700	2,175
სხვა ბანკებში განთავსებული თანხები, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე მეტია, სულ	**42,237**	**19,690**	**15,597**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა ორი განთავსება სამ თვეზე მეტი საწყისი ვადით და 5,000 ათას ლარზე მეტი აგრეგირებული თანხით (2020 წ.: ნული, 2019 წ.: ნული). სხვა ბანკებში განთავსებების მთლიანი აგრეგირებული თანხა, სამ თვეზე მეტი საწყისი ვადით, იყო 28,428 ათასი ლარი (2020 წ.: 2,012 ათასი ლარი; 2019 წ.: ნოლი) ანუ სხვა ბანკებისადმი მთლიანი მოთხოვნების 67.3% (2020 წ.: 4%;; 2019 წ.: 40.8%).

დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია დაგროვილი გაუფასურების ზარალის ჩათვლით	(47,694)	(156,136)	-	**(203,830)**	(94,726)	**(298,556)**
შემოსვლები	10,606	38,097	10,422	**59,125**	103,226	**162,351**
გადატანა შენობა-ნაგებობებსა და აღჭურვილობაში	2,888	-	(2,888)	**-**	-	**-**
გასვლები	(12,312)	(12,243)	(1,693)	**(26,248)**	(30,080)	**(56,328)**
წარსადგენ ვალუტაში კონვერტაციის ეფექტი – თვითღირებულება	(66)	(68)	-	**(134)**	(23)	**(157)**
წარსადგენ ვალუტაში კონვერტაციის ეფექტი – დაგროვილი ცვეთა	52	66	-	**118**	21	**139**
გაუფასურების (ხარჯი)/შემობრუნება	(7,787)	354	(483)	**(7,916)**	(92)	**(8,008)**
დარიცხული ცვეთა/ამორტიზაცია	(5,346)	(19,823)	-	**(25,169)**	(30,994)	**(56,163)**
დაგროვილი ცვეთის/ამორტიზაციის ელიმინირება გასხვისებისას	8,093	7,925	-	**16,018**	1,771	**17,789**
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**158,468**	**111,162**	**109,027**	**378,657**	**267,406**	**646,063**
თვითღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	203,363	279,130	109,027	**591,520**	391,334	**982,854**
დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია დაგროვილი გაუფასურების ზარალის ჩათვლით	(44,895)	(167,968)	-	**(212,863)**	(123,928)	**(336,791)**

**საოფისე და სხვა აღჭურვილობა მოიცავს ავეჯსა და მოწყობილობებს, კომპიუტერულ და საოფისე აღჭურვილობას, ავტოტრანსპორტს და ასევე სხვა აღჭურვილობას.*

15. შენობა-ნაგებობები, აღჭურვილობა და არამატერიალური აქტივები გაგრძელება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 352,743 ათასი ლარის შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა და 249,356 ათასი ლარის არამატერიალური აქტივები იყო მიკუთვნებადი ბანკისთვის (2020 წ.: 335,124 ათასი ლარი და 210,602 ათასი ლარი; 2019 წ.: 302,190 ათასი ლარი და 152,393 ათასი ლარი).

2021 წლის 10 აგვისტოს ბანკმა გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება „სფეისის“ პლატფორმის გასხვისების თაობაზე, რომელიც ახორციელებდა ჯგუფის ციფრული ბანკის ოპერაციებს. გასხვისებები განხორციელდა ჯგუფის შემდგომი გაფართოების გეგმის მხარდასაჭერად. გასხვისება დასრულდა 2021 წლის 10 აგვისტოს, რა თარიღითაც „სფეისის“ პლატფორმაზე კონტროლი გადაეცა სს „სფეის ინტერნეიშენალს“ (საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ შვილობილ საწარმოს). გაყიდული აქტივების საბალანსო ღირებულება იყო 24,615 ათასი ლარი, რომელიც გაიყიდა 24,615 ათასი ლარის საზღაურის სანაცვლოდ, და არ მოუხდენია გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ შედეგზე, რამდენადაც გარიგება მოხდა ჯგუფის ორ კომპანიას შორის.

2021 წლის 18 ივნისს ჯგუფმა 24 მილიონ აშშ დოლარად გაყიდა მიწა და შენობა-ნაგებობები, სადაც ზოგიერთი მისი ბექ-ოფისის ფუნქცია მდებარეობს. 5 მილიონი აშშ დოლარი (16.5 მილიონი ლარი) უკვე მიღებულია, ხოლო დარჩენილ 20 მილიონ აშშ დოლარს (63.2 მილიონი ლარი) ჯგუფი 2022 წლის 30 აპრილამდე მიიღებს. ამ აქტივების გაყიდვა შეადგენდა ჯგუფის გეგმის ნაწილს, ეტაპობრივად მომზადებულიყო ახალ სათავო ოფისში გადასასვლელად, რომელიც ახლა მშენებლობის პროცესშია. არსებული გეგმის მიხედვით, ჯგუფი თანდათანობით გაათავისუფლებს შენობების დაკავებულ ნაწილს 2022 წლის 30 აპრილამდე და თანამშრომლები არსებულ ოფისებში გადანაწილდებიან, სანამ ახალი სათავო ოფისი დასრულდება. ამ პერიოდის განმავლობაში ხდება ქონების უკუიჯარა მოკლევადიანი იჯარებისთვის ფასს 16-ით გათვალისწინებული გამონაკლისის გამოყენებით. გასხვისებული ქონების წმინდა საბალანსო ღირებულება იყო 37,416 ათასი ლარი, საიდანაც გასხვისებული შენობა-ნაგებობების და აღჭურვილობის წმინდა ნაშთი შეადგენდა 5,442 ათას ლარს, ხოლო დარჩენილი ნაწილი გასხვისდა საინვესტიციო ქონებიდან (მე-17 შენიშვნა). გაყიდვის შედეგად გასხვისებიდან მიღებული შემოსულობა აღიარებული იქნა, როგორც სხვა საოპერაციო შემოსავლის ნაწილი მოგება-ზარალის აუდიტირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში 26,294 ათასი ლარის ოდენობით.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული დარიცხული ცვეთა და ამორტიზაცია მოიცავს შენობა-ნაგებობების და აღჭურვილობის, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯს.

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს ფილიალების შენობების და ბანკის ახალი სათავო ოფისის მშენებლობას და აღჭურვას. მშენებლობის დასრულებისთანავე აქტივები გადაინაცვლებს შენობა-ნაგებობებში.

ბანკის მიწა და შენობა-ნაგებობები გაუფასურებამდე შედგებოდა 12,950 ათასი ლარის მიწისგან და 188,906 ათასი ლარის შენობებისგან (2020 წ.: 11,000 ათასი ლარი და 191,495 ათასი ლარი, 2019 წ.: 25,793 ათასი ლარი და 219,497 ათასი ლარი).

16. აქტივების გამოყენების უფლება

ჯგუფს იჯარით აქვს აღებული ოფისები, ფილიალები და სერვისცენტრები. საიჯარო ხელშეკრულებები, როგორც წესი, ფორმდება ფიქსირებული ვადით 1-დან 15 წლამდე.

იჯარები აღიარებულია აქტივის გამოყენების უფლებისა და შესაბამისი ვალდებულების სახით, იმ თარიღიდან, როდესაც საიჯარო აქტივი ჯგუფის სარგებლობისთვის ხელმისაწვდომი ხდება.

აქტივის გამოყენების უფლება შესაბამისი მუხლების კლასების მიხედვით არის გაანალიზებული:

ათას ლარში	2021 შენობა-ნაგებობები	2020 შენობა-ნაგებობები	2019 შენობა-ნაგებობები
საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	**49,746**	**57,086**	**60,232**
შემოსვლები ახალი კონტრაქტებიდან	5,650	-	16,571
ღირებულების ზრდა სახელშეკრულებო პირობების არსებითი ცვლილებების გამო	17,549	8,180	-
შეწყვეტები	(1,234)	(955)	(7,340)
ცვეთის ხარჯი	(13,710)	(14,565)	(12,377)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერს	**58,001**	**49,746**	**57,086**

16. აქტივების გამოყენების უფლება

საიჯარო ხელშეკრულებები არ აწესებს რამე პირობებს, საიჯარო აქტივზე მეიჯარის უზრუნველყოფის საგნის დასაკუთრების უფლების გარდა. საიჯარო აქტივების გამოყენება ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად არ შეიძლება.

იჯარის გაგრძელების და ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებები ასახულია ჯგუფის მთელ რიგ უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებებში. ეს გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გასაზრდელად ჯგუფის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვის თვალსაზრისით. იჯარის გაგრძელების და ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებების გამოყენება შეუძლია მხოლოდ ჯგუფს და არა შესაბამის მეიჯარეს.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მოკლევადიან იჯარებთან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული მოკლევადიან იჯარებად, შესულია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში:

ათას ლარში	2021	2020	2019
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯი	5,325	5,760	7,388
დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარასთან დაკავშირებული ხარჯი	7,112	6,990	6,154

17. საინვესტიციო ქონება

ათას ლარში	შენიშვნა	2021	2020	2019
თვითღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით		73,876	76,521	86,884
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება 1 იანვრის მდგომარეობით		(5,187)	(3,854)	(2,588)
საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით		**68,689**	**72,667**	**84,296**
გადატანა შენობა-ნაგებობებსა და აღჭურვილობაში	15	–	–	(1,817)
გადატანა დასაკუთრებული უზრუნველყოფიდან		1,874	10,367	4,914
შემოსვლა უზრუნველყოფის საგნის ჩამორთმევის შედეგად		–	–	47
გასვლები		(42,524)	(13,012)	(13,507)
ცვეთის ხარჯი		(749)	(929)	(933)
ცვეთის ელიმინაცია გასხვისებისას		1,022	159	717
გაუფასურების ხარჯი		(5,420)	(563)	(1,050)
თვითღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით		**33,226**	**73,876**	**76,521**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება 31 დეკემბრის მდგომარეობით		(10,334)	(5,187)	(3,854)
საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით		**22,892**	**68,689**	**72,667**

2021 წელს ჯგუფმა გაასხვისა გარკვეული საინვესტიციო ქონება, რომელთა უმეტესი ნაწილი აღირიცხა გაყიდვის ერთ ოპერაციად, რაც აღწერილია მე-15 შენიშვნაში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონება შედგებოდა 44 მიწის ნაკვეთისგან (2020 წ.: 58 ნაკვეთი; 2019 წ.: 63 ნაკვეთი) და 102 შენობისგან (2020 წ.: 111 შენობა; 2019 წ.: 111 შენობა). ბანკის საინვესტიციო ქონება გაუფასურებამდე მოიცავდა 4,834 ათასი ლარის მიწას და 24,222 ათასი ლარის შენობებს (2020 წ.: 26,703 ათასი ლარი და 42,723 ათასი ლარი; 2019 წ.: 32,630 ათასი ლარი და 39,558 ათასი ლარი) თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეადგენდა 29,493 ათას ლარს (2020 წ.: 120,959 ათასი ლარი; 2019 წ.: 123,325 ათასი ლარი).

გაცხადების მიზნით საინვესტიციო ქონებას ჩაუტარდა სამართლიანი ღირებულების შეფასება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შეფასება განახორციელეს გარე შემფასებლებმა, რომლებსაც აქვთ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული სერტიფიცირება და ანალოგიური ადგილმდებარეობისა

17. საინვესტიციო ქონება გაგრძელება

და კატეგორიის აქტივების შეფასების გამოცდილება. შედარების პროცესში, მათ გამიყენეს სამი შედარებადი ანალოგია (რეგისტრირებული გაყიდვა და/ან გაყიდვის შეთავაზება), რომლებშიც ფასები დაკორექტირდა შესაფასებელ აქტივებსა და ანალოგებს შორის არსებული განსხვავებების მიხედვით. აქტივების სამართლიანი ღირებულება შეფასებულია საბაზრო და თვითღირებულების მიდგომების გამოყენებით ბაზარზე არსებული ვითარების გამო, კერძოდ, შეფასების თარიღისთვის რეგისტრირებული გაყიდვისა და შეთავაზების საკმარისი რაოდენობის საფუძველზე.

ათას ლარში (ამოსავალი მონაცემების დიაპაზონის გარდა)	**სამართლიანი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (შეფასების თარიღი)**	**შეფასების მეთოდი**	**არაემპირიული ამოსავალი მონაცემები**	**არაემპირიული ამოსავალი მონაცემების დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)**
მიწა	6,214	გაყიდვების შედარებითი მეთოდი	კვ.მ.-ის ფასი	0.23 – 1,736 (93)
შენობები	23,279	გაყიდვების შედარებითი მეთოდი	კვ.მ.-ის ფასი	1.1 – 7,738 (971)

ამოსავალი მონაცემების მგრძნობელობა სამართლიანი ღირებულების მიმართ – 1 კვ.მ.-ის ფასის 20%-ით გაზრდა/(შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას/(შემცირებას) 2,448 ათასი ლარით/(2,705 ათასი ლარით).

როდესაც ჯგუფი მეიჯარეა, შეუქცევადი საოპერაციო იჯარის მიხედვით სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდების მოთხოვნები ასე გამოიყურებოდა:

ათას ლარში	**2021**	**2020**	**2019**
არაუგვიანეს 1 წლისა	29	82	207
1 წელზე გვიან და არაუგვიანეს 2 წლისა	–	–	230
2 წელზე გვიან და არაუგვიანეს 3 წლისა	–	–	–
3 წელზე გვიან და არაუგვიანეს 4 წლისა	–	–	–
4 წელზე გვიან და არაუგვიანეს 5 წლისა	–	–	–
5 წელზე გვიან	–	–	–
სულ საოპერაციო იჯარის გადახდების მოთხოვნები	**29**	**82**	**437**

18. გუდვილი

გუდვილის მოძრაობა, რომელიც წარმოიქმნება შვილობილი საწარმოების შეძენის შედეგად:

ათას ლარში	**2021**	**2020**	**2019**
საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	**28,197**	**29,459**	**29,459**
გაუფასურების ზარალი	-	(1,262)	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**28,197**	**28,197**	**29,459**

18. გუდვილი გაგრძელება

გუდვილის გაუფასურების ტესტირება

გუდვილი შემდეგი წესით გადანაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები წარმოადგენს ჯგუფის უმცირეს დონეს, რომელზეც ხდება გუდვილის მონიტორინგი ხელმძღვანელობის მიერ და რომელიც არ აღემატება სეგმენტს):

ათას ლარში	2021	2020	2019
სს „ბანკი რესპუბლიკა“	**24,166**	**24,166**	**24,166**
ბანკი რესპუბლიკა საცალო	11,088	11,088	11,088
ბანკი რესპუბლიკა კორპორატიული	7,491	7,491	7,491
ბანკი რესპუბლიკა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები	4,791	4,791	4,791
ბანკი რესპუბლიკა სხვა	796	796	796
შპს „ბონაკო“	2,567	2,567	2,567
ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული „მიკრო“	769	769	769
სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“	695	695	695
შპს „თიბისი კრედიტი“	–	–	1,262
სულ გუდვილის საბალანსო ღირებულება	**28,197**	**28,197**	**29,459**

თითოეული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულების გამოთვლის საფუძველზე. გამოთვლაში გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზი, რომელიც ემყარება ხელმძღვანელობის მიერ ხუთწლიანი პერიოდისთვის დამტკიცებულ ფინანსურ ბიუჯეტს. ხუთწლიანი პერიოდის შემდგომი ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაცია მოხდა ქვემოთ მოცემული მოსალოდნელი ზრდის ტემპების საფუძველზე.

პოტენციური გაუფასურებისთვის გუდვილის შეფასებისას 2020 წელს ჯგუფმა განსაზღვრა, რომ შპს „თიბისი კრედიტისგან“ მიღებული გუდვილი გაუფასურებული იყო.

გამოყენებული დაშვებები გამოყენების ღირებულების გამოსათვლელად:

ათას ლარში	2021	2020	2019
სს „ბანკი რესპუბლიკა“**			
საკუთარ კაპიტალში თავისუფალი ფულადი ნაკადების ზრდის ტემპი ხუთი წლის მერე	წლიური 5.2%*	წლიური 5.2%	წლიური 4.6%
დისკონტირების განაკვეთი გადასახადით დაბეგვრამდე	წლიური 17.1%	წლიური 24.6%	წლიური 16.5%
ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული „მიკრო“			
საკუთარ კაპიტალში თავისუფალი ფულადი ნაკადების ზრდის ტემპი ხუთი წლის მერე	წლიური 5.2%	წლიური 5.2%	წლიური 4.6%
დისკონტირების განაკვეთი გადასახადით დაბეგვრამდე	წლიური 12.3%	წლიური 19.7%	წლიური 10.4%
სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“			
საკუთარ კაპიტალში თავისუფალი ფულადი ნაკადების ზრდის ტემპი ხუთი წლის მერე	წლიური 5.2%	წლიური 5.2%	წლიური 4.6%
დისკონტირების განაკვეთი გადასახადით დაბეგვრამდე	წლიური 12.1%	წლიური 15.1%	წლიური 15.5%
შპს „თიბისი კრედიტი“			
საკუთარ კაპიტალში თავისუფალი ფულადი ნაკადების ზრდის ტემპი ხუთი წლის მერე	-	-	წლიური 2.7%
დისკონტირების განაკვეთი გადასახადით დაბეგვრამდე	-	-	წლიური 16.4%
შპს „ბონაკო“			
საკუთარ კაპიტალში თავისუფალი ფულადი ნაკადების ზრდის ტემპი ხუთი წლის მერე	წლიური 5.2%	წლიური 5.2%	წლიური 4.6%
დისკონტირების განაკვეთი გადასახადით დაბეგვრამდე	წლიური 12.4%	წლიური 11.4%	წლიური 10.2%

**წლიური ნიშნავს ყოველწლიურს.*
***სს „ბანკი რესპუბლიკასთან“ დაკავშირებული დაშვებები მსგავსია ყველა შესაბამისი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის.*

18. გუდვილი გაგრძელება

დისკონტირების განაკვეთი დაბეგვრამდე, რომლითაც დათვლილია გამოყენების ღირებულება, დაშვებაა, რომლის მიმართაც ამოგებადი ღირებულება ყველაზე მგრძნობიარეა. ხელმძღვანელობამ ბიუჯეტირებული საერთო მარჟა განსაზღვრა წარსულში განხორციელებულ საქმიანობასა და ბაზრის სამომავლო ანალიზის საფუძველზე. გრძელვადიანი ზრდის საშუალო შეწონილი განაკვეთი შეესაბამება დარგის ანგარიშში მოცემულ პროგნოზებს. დისკონტირების განაკვეთები ასახავს ფულადი სახსრების წარმომქმნელ შესაბამის ერთეულებთან დაკავშირებულ კონკრეტულ რისკებს.

გადახედილი სავარაუდო დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული „ბანკი რესპუბლიკა საცალოს“ დისკონტირებული ფულადი ნაკადებისთვის, ხელმძღვანელობის ვარაუდებზე 10 პროცენტული პუნქტით მაღალი რომ ყოფილიყო, ჯგუფს არ დასჭირდებოდა გუდვილის საბალანსო ღირებულების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების შემცირება. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული „ბანკი რესპუბლიკა საცალოს“ ანაზღაურებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებას 2,269,542 ათასი ლარით აღემატება (2020 წ.: 619,250 ათასი ლარი; 2019 წ.: 3,068,466 ათასი ლარი). ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გაუტოლდებოდა მის გამოყენების ღირებულებას 41.86%-იანი წლიური დისკონტირების განაკვეთის შემთხვევაში (2020 წ: წლიური 35.49%; 2019 წ.: წლიური 39.87%).

გადახედილი სავარაუდო დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული „ბანკი რესპუბლიკა კორპორატიულის“ დისკონტირებული ფულადი ნაკადებისთვის, ხელმძღვანელობის ვარაუდებზე 10 პროცენტული პუნქტით მაღალი რომ ყოფილიყო, ჯგუფს არ დასჭირდებოდა ან გუდვილის საბალანსო ღირებულების, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების შემცირება. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული „ბანკი რესპუბლიკა კორპორატიულის“ ანაზღაურებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებას 1,744,639 ათასი ლარით აღემატება (2020 წ.: 410,824 ათასი ლარი; 2019 წ.: 2,316,056 ათასი ლარი). ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გაუტოლდებოდა მის გამოყენების ღირებულებას 29.47%-იანი წლიური დისკონტირების განაკვეთის შემთხვევაში (2020 წ: წლიური 30.87%; 2019 წ.: წლიური 36.34%).

გადახედილი სავარაუდო დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული „ბანკი რესპუბლიკა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების“ დისკონტირებული ფულადი ნაკადებისთვის, ხელმძღვანელობის ვარაუდებზე 10 პროცენტული პუნქტით მაღალი რომ ყოფილიყო, ჯგუფს არ დასჭირდებოდა ან გუდვილის საბალანსო ღირებულების, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების შემცირება. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული „ბანკი რესპუბლიკა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების“ ანაზღაურებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებას 611,733 ათასი ლარით აღემატება (2020 წ.: 389,641 ათასი ლარი; 2019 წ.: 1,210,045 ათასი ლარი). ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გაუტოლდებოდა მის გამოყენების ღირებულებას 28.41%-იანი წლიური დისკონტირების განაკვეთის შემთხვევაში (2020 წ: წლიური 35.87%; 2019 წ.: წლიური 36.52%).

გადახედილი სავარაუდო დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული „მიკროს“ დისკონტირებული ფულადი ნაკადებისთვის, ხელმძღვანელობის ვარაუდებზე 10 პროცენტული პუნქტით მაღალი რომ ყოფილიყო, ჯგუფს არ დასჭირდებოდა ან გუდვილის საბალანსო ღირებულების, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების შემცირება. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული „მიკროს“ ანაზღაურებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებას 510,490 ათასი ლარით აღემატება (2020 წ.: 370,815 ათასი ლარი; 2019 წ.: 732,567 ათასი ლარი). ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გაუტოლდებოდა მის გამოყენების ღირებულებას 29.62%-იანი წლიური დისკონტირების განაკვეთის შემთხვევაში (2020 წ: წლიური 45.25%; 2019 წ.: წლიური 29.74%).

გადახედილი სავარაუდო დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის“ დისკონტირებული ფულადი ნაკადებისთვის, ხელმძღვანელობის ვარაუდებზე 10 პროცენტული პუნქტით მაღალი რომ ყოფილიყო, ჯგუფს არ დასჭირდებოდა გუდვილის საბალანსო ღირებულების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების შემცირება. სს „გაერთიანებული საფინანსო

18. გუდვილი გაგრძელება

კორპორაციის“ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებას 151,060 ათასი ლარით აღემატება (2020 წ.: 23,116 ათასი ლარი; 2019 წ.: 8,222 ათასი ლარი). ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გაუტოლდებოდა მის გამოყენების ღირებულებას 53.79%-იანი წლიური დისკონტირების განაკვეთის შემთხვევაში (2020 წ: წლიური 24.23%; 2019 წ.: წლიური 19.53%).

გადახედილი სავარაუდო დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია შპს „ბონაკოს“ დისკონტირებული ფულადი ნაკადებისთვის, ხელმძღვანელობის ვარაუდებზე 10 პროცენტული პუნქტით მაღალი რომ ყოფილიყო, ჯგუფს არ დასჭირდებოდა ან გუდვილის საბალანსო ღირებულების, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების შემცირება. შპს „ბონაკოს“ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებას 17,447 ათასი ლარით აღემატება (2020 წ.: 116,174 ათასი ლარი; 2019 წ.: 342,920 ათასი ლარი). ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გაუტოლდებოდა მის გამოყენების ღირებულებას 37.49%-იანი წლიური დისკონტირების განაკვეთის შემთხვევაში (2020 წ: წლიური 25.75%; 2019 წ.: წლიური 49.45%).

19. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

ათას ლარში	2021	2020	2019
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ			
საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები	181,905	43,298*	27,747*
ანაბრები ბანკებიდან	142,752	97,496*	139,267*
სულ ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	**324,657**	**140,794**	**167,014**
სხვა ნასესხები სახსრები			
უცხოური ბანკებისგან და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	1,653,245	2,370,656	2,005,900
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან ნასესხები სახსრები	-	-	536
სხვა ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	-	58,948	41,456
სხვა ადგილობრივი ბანკებისგან და ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	24,754	32,185	62,916
საქართველოს ეროვნული ბანკისგან ნასესხები სახსრები	981,419	1,883,290	1,316,079
სხვა ნასესხები სახსრები, სულ	**2,659,418**	**4,345,079**	**3,426,887**
სულ ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	**2,984,075**	**4,485,873**	**3,593,901**

**მენეჯმენტმა გადახედა 2020 და 2019 წლისთვის ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულების მიმართ წარდგენის ლოგიკას და იდენტიფიცირებული შეუსაბამობები დააკორექტირა. შედეგად, რიცხვები, რომლებიც წარდგენილია ცხრილში იქნა შესწორებული, რადგან ასახულიყო უფრო ზუსტი შედეგები.*

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზის მიზნით (37-ე შენიშვნა), ზემოაღნიშნული ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ შევიდა იმ თანხებში, რომელთა დაფარვა მოსალოდნელი 3 თვეში.

20. მომხმარებელთა ანგარიშები

ათას ლარში	2021	2020	2019
სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები			
მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	577,020	504,019	616,397
ვადიანი ანაბრები	364,121	590,426	298,177
სხვა იურიდიული პირები			
მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	4,865,920	3,512,078	3,161,526
ვადიანი ანაბრები	932,480	763,035	363,217
ფიზიკური პირები			
მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	4,444,586	3,487,017	2,712,910
ვადიანი ანაბრები	3,700,018	3,777,720	2,959,775
სულ მომხმარებელთა ანგარიშები	**14,884,145**	**12,634,295**	**10,112,002**

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, მოგებაზე ორიენტირებულ ბიზნესებს. ეკონომიკური სექტორის კონცენტრაციები მომხმარებელთა ანგარიშებში ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2021 წ.		31 დეკემბერი, 2020 წ.*		31 დეკემბერი, 2019 წ.	
ათას ლარში	**თანხა**	**%**	**თანხა**	**%**	**თანხა**	**%**
ფიზიკური პირები	8,144,604	55%	7,264,737	58%	5,672,685	56%
ვაჭრობა	1,237,807	8%	873,995	7%	741,385	7%
ფინანსური მომსახურება	1,226,110	8%	771,510	6%	351,537	3%
მომსახურება	718,050	5%	526,227	4%	446,876	4%
მშენებლობა	598,856	4%	610,321	5%	596,703	6%
ენერგეტიკა და კომუნალური მომსახურება	542,425	4%	384,660	3%	322,311	3%
სახელმწიფო სექტორი	480,046	3%	647,856	5%	505,494	5%
უძრავი ქონება	418,062	3%	323,547	3%	322,416	3%
ტრანსპორტირება	403,249	3%	332,850	3%	308,268	3%
ჯანდაცვა	194,648	1%	131,936	1%	98,294	1%
მასპინძლობა და დასვენება	155,778	1%	99,770	1%	110,816	1%
„სოფლის მეურნეობა“	78,810	1%	58,005	0%	50,915	1%
ლიტონები და სამთო მრეწველობა	32,675	0%	18,458	0%	12,264	0%
სხვა	653,025	4%	590,423	4%	572,018	6%
სულ მომხმარებელთა ანგარიშები	**14,884,145**	**100%**	**12,634,295**	**100%**	**10,112,002**	**100%**

**მენეჯმენტმა გადახედა 2020 წლისთვის ეკონომიკური სექტორის რისკის კონცენტრაციების მომხმარებელთა ანგარიშების პორტფელში წარდგენის ლოგიკას და იდენტიფიცირებული შეუსაბამობები დააკორექტირა. შედეგად, რიცხვები, რომლებიც წარდგენილია ცხრილში იქნა შესწორებული, რადგან ასახულიყო უფრო ზუსტი შედეგები.*

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰყავდა 141 მომხმარებელი (2020 წ.: 117 მომხმარებელი; 2019 წ.: 93 მომხმარებელი), რომელთა ნაშთები აღემატებოდა 10,000 ათას ლარს. მათი აგრეგირებული ნაშთი იყო 4,754,533 ათასი ლარი (2020 წ.: 3,898,678 ათასი ლარი; 2019 წ.: 2,872,119 ათასი ლარი), ანუ მომხმარებელთა მთლიანი ანგარიშების 32% (2020 წ.: 31%; 2019 წ.: 28%). 2020 და 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებებში, ზემოთ აღნიშნული განმარტება დათვლილი იყო 3,000 ათასი ლარის ზღვრით და კლიენტების რაოდენობა შესაბამისი ზღვრის გამოყენებით იყო 454 (5,630,143 ათასი ლარი) და 361 (4,327,035 ათასი ლარი).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებელთა ანგარიშებში შედის 28,379 ათასი ლარის და 109,404 ათასი ლარის ანაბრები (2020 წ.: 4,903 ათასი ლარი და 94,348 ათასი ლარი; 2019 წ.: 9,555 ათასი ლარი და 101,615 ათასი ლარი), რომლებიც გამიზნულია აკრედიტივების და გაცემული გარანტიების საფუძველზე აღებული შეუქცევადი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი თანმიმდევრობით. ეს უკანასკნელი განხილულია 38-ე შენიშვნაში. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებლებზე გაცემული სესხების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ანაბრები შეადგენდა 576,261 ათას ლარს (2020 წ.: 512,637 ათასი ლარი; 2019 წ.: 469,205 ათასი ლარი).

20. მომხმარებელთა ანგარიშები გაგრძელება

მომხმარებელთა ანგარიშების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულების გაცხადების შესახებ აღწერილია 42-ე შენიშვნაში. ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთებისა და გარიგებების შესახებ წარმოდგენილია 44-ე შენიშვნაში

21. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

ათას ლარში	ვალუტა	საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	დაფარვის თარიღი	კუპონის განაკვეთი	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
ირლანდიის საფონდო ბირჟაზე გამოშვებული ობლიგაციები	აშშ დოლარი	918,504	6/19/2024	5.8%	6.4%
ირლანდიის საფონდო ბირჟაზე გამოშვებული ობლიგაციები	აშშ დოლარი	392,840	10/3/2024	10.8%	11.4%
ირლანდიის საფონდო ბირჟაზე გამოშვებული ობლიგაციები	აშშ დოლარი	228,174	2/4/2027	8.9%	9.9%
საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამოშვებული ობლიგაციები	ლარი	38,532	3/20/2023	თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი 3-თვიანი+3.25%	12.5%
დახურული სააქციო საზოგადოება „ბაქოს საფონდო ბირჟა“	აზერბაიჯანული მანათი	5,649	9/23/2023	12.0%	12.4%
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, სულ		**1,583,699**			

ათას ლარში	ვალუტა	საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	დაფარვის თარიღი	კუპონის განაკვეთი	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
ირლანდიის საფონდო ბირჟაზე გამოშვებული ობლიგაციები	აშშ დოლარი	966,793	6/19/2024	5.8%	6.4%
ირლანდიის საფონდო ბირჟაზე გამოშვებული ობლიგაციები	აშშ დოლარი	414,216	10/3/2024	10.8%	11.4%
საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამოშვებული ობლიგაციები	ლარი	38,504	3/20/2023	თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი 3-თვიანი+3.25%	12.5%
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, სულ		**1,419,513**			

ათას ლარში	ვალუტა	საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	დაფარვის თარიღი	კუპონის განაკვეთი	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
ირლანდიის საფონდო ბირჟაზე გამოშვებული ობლიგაციები	აშშ დოლარი	842,471	6/19/2024	5.8%	6.4%
ირლანდიის საფონდო ბირჟაზე გამოშვებული ობლიგაციები	აშშ დოლარი	371,127	10/3/2024	10.8%	11.4%
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, სულ		**1,213,598**			

21. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები გაგრძელება

2021 წლის 28 ოქტომბერს ბანკმა გამოუშვა 75 მილიონი აშშ დოლარის, 8.894%-იანი სარგებლის მქონე, დამატებითი პირველადი კაპიტალის უვადო სუბორდინირებული თამასუქები („AT1 თამასუქები“) და წარმატებით დაუბრუნდა საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებს. AT1 თამასუქები დარეგისტრირებულია ევრონექსტ დუბლინის რეგულირებად ბაზარზე და Fitch-ის მიერ მინიჭებული აქვს „B-“ რეიტინგი.

2021 წლის 23 სექტემბერს „თიბისი კრედიტმა“ დაასრულა 3 მილიონი აზერბაიჯანული მანათის, 2-წლიანი, 12%-იანი, უქაღალდო, არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების გამოშვების ოპერაცია („თამასუქები“).

2020 წლის 20 მარტს „თიბისი ლიზინგმა“, „თიბისი კაპიტალის“ დახმარებით, საქართველოს საფონდო ბირჟაზე განათავსა 58.4 მილიონი ლარის ოდენობის პრიორიტეტული უზრუნველყოფილი ობლიგაციები. ფასიანი ქაღალდების პროცენტი ცვალებადია, 3.25% ემატება 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს. Fitch-მა ობლიგაციებს „BB-“ რეიტინგი მიანიჭა.

2019 წლის 3 ივლისს ბანკმა დაასრულა სადებიუტო, საზეიმო 125 მილიონი აშშ დოლარის 10.75%-იანი სარგებლის მქონე დამატებითი პირველადი კაპიტალის უვადო სუბორდინირებული თამასუქების გამოშვების ოპერაცია („AT1 თამასუქები“). AT1 თამასუქები დარეგისტრირებულია ევრონექსტ დუბლინის რეგულირებად ბაზარზე და Fitch-ის მიერ მინიჭებული აქვს „B-“ რეიტინგი. AT1 თამასუქები ამავდროულად დარეგისტრირდა სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“, რის შედეგადაც გახდა დამატებითი პირველადი კაპიტალის თამასუქების პირველი ორგზის რეგისტრირებული საერთაშორისო შეთავაზება საქართველოდან.

2019 წლის 19 ივნისს ბანკმა დაასრულა სადებიუტო 300 მილიონი აშშ დოლარის 5-წლიანი 5.75%-იანი (6%-იანი სარგებელი) პრიორიტეტული არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების გამოშვების ოპერაცია. თამასუქები დარეგისტრირებულია ევრონექსტ დუბლინის რეგულირებად ბაზარზე და Moody's-ის მიერ მინიჭებული აქვს „Ba2“, ხოლო Fitch-ის მიერ – „BB-“ რეიტინგი. თამასუქები ამავდროულად დარეგისტრირდა სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“, რის შედეგადაც გახდა პრიორიტეტული არაუზრუნველყოფილი თამასუქების პირველი ორგზის დარეგისტრირებული საერთაშორისო შეთავაზება საქართველოდან.

22. ანარიცხები ვალდებულების შესრულების გარანტიების, საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისა და ვალდებულებებისა და ხარჯებისთვის

ვალდებულების შესრულების გარანტიების საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების და ვალდებულებებისა და ხარჯების საკრედიტო ზარალის რეზერვის მოძრაობა ასე გამოიყურება:

ათას ლარში	ვალდებულების შესრულების გარანტია	საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	სხვა ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**4,393**	**5,424**	**4,000**	**13,817**
მოგებაში ან ზარალში აღრიცხული წმინდა დანახარჯები	3,069	(913)	2,105	4,261
რეზერვის გამოყენება	-	-	(1,104)	(1,104)
წარსადგენ ვალუტაში გადაყვანის ეფექტი	4	-	-	4
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**7,466**	**4,511**	**5,001**	**16,978**
მოგებაში ან ზარალში აღრიცხული წმინდა დანახარჯები	(3,568)	330	2,600	(638)
წარსადგენ ვალუტაში გადაყვანის ეფექტი	529	583	-	1,112
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,427**	**5,424**	**7,601**	**17,452**
მოგებაში ან ზარალში აღრიცხული წმინდა დანახარჯები	384	(1,588)	-	(1,204)
წარსადგენ ვალუტაში გადაყვანის ეფექტი	(191)	(212)	-	(403)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,620**	**3,624**	**7,601**	**15,845**

22. ანარიცხები ვალდებულების შესრულების გარანტიების, საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისა და ვალდებულებებისა და ხარჯებისთვის გაგრძელება

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები და ვალდებულების შესრულების გარანტიები: გაუფასურების ზარალის შეფასების მეთოდები განსხვავდება (i) აკრედიტივებისა და გარანტიებისთვის და (ii) აუთვისებელი საკრედიტო ხაზებისთვის.

აკრედიტივებისა და გარანტიების რეზერვის შეფასების მიზნებისთვის ჯგუფი მიმართავს სტადიების მიდგომას და მათ კლასიფიკაციას ახდენს 1-ელ, მე-2 და მე-3 სტადიებად. მნიშვნელოვანი მე-3 სტადიის გარანტიები ინდივიდუალურად ფასდება. უმნიშვნელო მე-3 სტადიის, ასევე 1-ელი და მე-2 სტადიის გარანტიები და აკრედიტივები კოლექტიურად ფასდება კრედიტის მოცულობის, კონვერსიის ზღვრული ალბათობის, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების და დისკონტირების ფაქტორის გამოყენებით. მოსალოდნელი რეზერვის ოდენობა განსხვავდება ინსტრუმენტის შესაბამის სტადიაზე კლასიფიცირების მიხედვით.

აუთვისებელი კრედიტის გაუფასურების რეზერვის შეფასების მიზნით ჯგუფი ერთმანეთისგან მიჯნავს შექცევად და შეუქცევად სასესხო ვალდებულებებს. შექცევადი ვალდებულებებისთვის ჯგუფი არ ქმნის გაუფასურების რეზერვს. რაც შეეხება შეუქცევად გაუცემელ კრედიტს, ჯგუფი აფასებს უტილიზაციის პარამეტრს (რაც წარმოადგენს მოსალოდნელი ლიმიტის უტილიზაციის პროცენტულ წილს, რომელიც დამოკიდებულია დეფოლტის შემთხვევაზე), რათა მოახდინოს კრედიტის გარებალანსური ნაწილის კონვერტაცია ბალანსურად.

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება შესაბამისი ბალანსური კრედიტის მოცულობა, ჯგუფი იმავე გაუფასურების მეთოდს მიმართავს, როგორსაც იყენებდა ბალანსური კრედიტების შესაბამისი ტიპისთვის.

23. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

ათას ლარში	შენიშვნა	2021	2020	2019
სადებეტო ან საკრედიტო ბარათით შესრულებულ ოპერაციებზე გადასახდელი თანხები		28,963	6,408	13,259
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება		27,307	31,598	21,223
ვალდებულებები ფინანსური იჯარის აქტივების და მომსახურების მომწოდებლების მიმართ		18,295	10,851	25,923
გადარიცხვები გზაში		15,136	2,156	-
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	41	10,216	121,183*	20,440
სასტუმროების და რესტორნების სექტორების თანადაფინანსებასთან დაკავშირებული ვალდებულებები		1,638	13,771	315
დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსთვის გადასახდელი თანხა		1,033	930	549
საგარანტიო შენატანები ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნებისთვის		906	91	1,171
გარანტიებთან დაკავშირებით გადახდილი ავანსები		516	1,152	879
სხვა დარიცხული ვალდებულებები		16,610	23,102*	11,884
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები		**120,620**	**211,242**	**95,643**

**მენეჯმენტმა გადახედა ზღვრული დეპოზიტების ბალანსს ერთ-ერთ ფორვარდულ სავალუტო კონტრაქტზე, გამომდინარე იქიდან, რომ ის არ წარმოადგენს წარმოებულ ინსტრუმენტს. ფინანსური ანგარიშგების მეტი სიცხადისთვის, ეს დეპოზიტი წარმოებული ფინანსური ვალდებულებიდან, თანხით 5,270 ათასი ლარი, გადატანილი იქნა სხვა დარიცხული ვალდებულებების ქვე-კატეგორიაში, კერძოდ სხვა ფინანსური ვალდებულების შენიშვნის ქვეშ.*

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 92,613 ათასი ლარის სხვა ფინანსური ვალდებულებები იყო მიკუთვნებადი ბანკისთვის (2020 წ.: 186,487 ათასი ლარი; 2019 წ.: 58,809 ათასი ლარი).

სხვა ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 42-ე შენიშვნაში.

24. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

ათას ლარში	2021	2020	2019
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების დარიცხული ხარჯი	45,984	28,957	42,017
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა	17,046	12,370	11,669
მიღებული ავანსები	13,075	10,390	11,161
სხვა	7,518	8,252	5,519
სხვა ვალდებულებები, სულ	**83,623**	**59,969**	**70,366**

ყველა ზემოაღნიშნული ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია წლის ბოლოდან 12 თვის განმავლობაში.

25. სუბორდინირებული ვალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული ვალი შედგებოდა შემდეგისგან:

ათას ლარში	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	დაუფარავი თანხა თავდაპირველ ვალუტაში	დაუფარავი თანხა ლარში
აზიის განვითარების ბანკი	10/18/2016	12/31/2026	აშშ დოლარი	50,486	156,386
კერძო კრედიტორები	6/8/2017	12/19/2024	აშშ დოლარი	35,304	109,427
გლობალური კლიმატის პარტნიორობის ფონდი	11/20/2018	11/20/2028	აშშ დოლარი	25,097	77,739
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის	12/21/2018	12/21/2028	აშშ დოლარი	20,079	62,195
ფონდი მწვანე ზრდისთვის	12/18/2015	12/16/2030	აშშ დოლარი	15,189	47,048
მიკროსაფინანსო ფონდი „ბლუორჩარდი“	12/14/2018	12/15/2025	აშშ დოლარი	14,966	46,360
მიკროსაფინანსო ფონდი „ბლუორჩარდი“	12/14/2018	12/14/2028	აშშ დოლარი	14,954	46,321
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის	12/18/2015	12/16/2030	აშშ დოლარი	7,594	23,523
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის	3/15/2016	3/17/2031	აშშ დოლარი	7,592	23,517
responsAbility SICAV (Lux) – მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსების ფონდი	11/30/2018	11/30/2028	აშშ დოლარი	5,930	18,369
ResponsAbility SICAV (Lux) – ფინანსური ჩართულობის ფონდი	11/30/2018	11/30/2028	აშშ დოლარი	3,115	9,649
ResponsAbility SICAV (Lux) – მიკროსაფინანსო ლიდერები	11/30/2018	11/30/2028	აშშ დოლარი	1,005	3,113
სულ სუბორდინირებული ვალი					**623,647**

25. სუბორდინირებული ვალი გაგრძელება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული ვალი შედგებოდა შემდეგისგან:

ათას ლარში	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	დაუფარავი თანხა თავდაპირველ ვალუტაში	დაუფარავი თანხა ლარში
აზიის განვითარების ბანკი	10/18/2016	12/31/2026	აშშ დოლარი	50,438	165,266
კერძო კრედიტორები	6/8/2017	12/19/2024	აშშ დოლარი	25,217	82,628
გლობალური კლიმატის პარტნიორობის ფონდი	11/20/2018	11/20/2028	აშშ დოლარი	25,096	82,230
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის	12/21/2018	12/21/2028	აშშ დოლარი	20,079	65,789
ფონდი მწვანე ზრდისთვის	12/18/2015	12/18/2025	აშშ დოლარი	15,244	49,950
მიკროსაფინანსო ფონდი „ბლუორჩარდი“	12/14/2018	12/14/2025	აშშ დოლარი	14,949	48,983
მიკროსაფინანსო ფონდი „ბლუორჩარდი“	12/14/2018	12/14/2028	აშშ დოლარი	14,941	48,956
სუბორდინირებული ობლიგაცია (კერძო კრედიტორი)	8/31/2018	1/25/2023	აშშ დოლარი	10,102	33,098
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის	12/18/2015	12/18/2025	აშშ დოლარი	7,633	25,010
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის	3/15/2016	3/15/2026	აშშ დოლარი	7,631	25,004
responsAbility SICAV (Lux) – მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსების ფონდი	11/30/2018	11/30/2028	აშშ დოლარი	5,930	19,430
ResponsAbility SICAV (Lux) – ფინანსური ჩართულობის ფონდი	11/30/2018	11/30/2028	აშშ დოლარი	3,115	10,206
KfW	5/4/2015	5/8/2021	ლარი	6,737	6,737
KfW	6/10/2014	5/8/2021	ლარი	6,161	6,161
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების ლიდერები	11/30/2018	11/30/2028	აშშ დოლარი	1,005	3,292
სულ სუბორდინირებული ვალი					**672,740**

25. სუბორდინირებული ვალი გაგრძელება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული ვალი შედგებოდა შემდეგისგან:

ათას ლარში	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	დაუფარავი თანხა თავდაპირველ ვალუტაში	დაუფარავი თანხა ლარში
აზიის განვითარების ბანკი	10/18/2016	10/18/2026	აშშ დოლარი	50,585	145,064
კერძო კრედიტორები	6/8/2017	12/19/2024	აშშ დოლარი	25,218	72,317
გლობალური კლიმატის პარტნიორობის ფონდი	11/20/2018	11/20/2028	აშშ დოლარი	25,089	71,948
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის	12/21/2018	12/21/2028	აშშ დოლარი	20,074	57,565
ფონდი მწვანე ზრდისთვის	12/18/2015	12/18/2025	აშშ დოლარი	15,305	43,890
მიკროსაფინანსო ფონდი „ბლუორჩარდი“	12/14/2018	12/14/2025	აშშ დოლარი	14,924	42,798
მიკროსაფინანსო ფონდი „ბლუორჩარდი“	12/14/2018	12/14/2028	აშშ დოლარი	14,920	42,786
სუბორდინირებული ობლიგაცია (კერძო კრედიტორი)	8/17/2018	11/30/2022	აშშ დოლარი	10,101	28,976
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის	12/18/2015	12/18/2025	აშშ დოლარი	7,663	21,975
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის	3/15/2016	3/15/2026	აშშ დოლარი	7,662	21,971
responsAbility SICAV (Lux) – მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსების ფონდი	11/30/2018	11/30/2028	აშშ დოლარი	5,935	17,020
ResponsAbility SICAV (Lux) – ფინანსური ჩართულობის ფონდი	11/30/2018	11/30/2028	აშშ დოლარი	3,117	8,940
KfW	5/4/2015	5/8/2021	ლარი	6,739	6,739
KfW	6/10/2014	5/8/2021	ლარი	6,162	6,162
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების ლიდერები	11/30/2018	11/30/2028	აშშ დოლარი	1,006	2,884
სულ სუბორდინირებული ვალი					**591,035**

ლიკვიდაციის შემთხვევაში, სუბორდინირებული სესხი იფარება მას შემდეგ, რაც ყველა დანარჩენი კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ.

სუბორდინირებული ვალის სამართლიანი ღირებულება განხილულია 42-ე შენიშვნაში. ინფორმაცია სუბორდინირებული ვალის ნაშთების შესახებ წარმოდგენილია 44-ე შენიშვნაში.

მსესხებლის ლიკვიდაციის და/ან მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების შემთხვევაში, კრედიტორი ეთანხმება იმას, რომ კრედიტორის მოთხოვნები ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის და სხვა დავალიანების ძირითადი თანხის ან პროცენტის დაფარვასთან დაკავშირებით, სუბორდინირებულია და უნდა დაიფაროს მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილდება მეანაბრეების და არაუზრუნველყოფილი კრედიტორების გადახდის მოთხოვნები, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც თავადაც სუბორდინირებულია.

თუ სხვა რამე არ არის მარეგულირებელ ორგანოსთან შეთანხმებული, სესხის წინასწარ ნებაყოფლობითი ან სავალდებულო დაფარვა ან ამ ხელშეკრულების გაუქმება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სესხის გაცემის თარიღიდან ხუთი კალენდარული წლის შემდეგ და დასჭირდება მარეგულირებელი ორგანოს წინასწარი წერილობითი თანხმობა.

კრედიტის მიზანი არის, მსესხებელი უზრუნველყოს დაფინანსებით, რომელსაც მსესხებელი გამოიყენებს, როგორც მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტს, რათა გააუმჯობესოს მისი კრედიტუნარიანობა და მსესხებლისთვის კაპიტალის მარაგი შექმნა ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

26. საწესდებო კაპიტალი

ათას ლარში	ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	სააქციო კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**52,539,769**	**21,014**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**52,539,769**	**21,014**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**52,539,769**	**21,014**

თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 0.4 ლარი (2020 წლის 31 დეკემბერი: 0.4 ლარი ერთ აქციაზე, 2019 წლის 31 დეკემბერი: 0.4 ლარი ერთ აქციაზე). ყველა გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია სრულად განაღდებულია და მათზე მიიღება დივიდენდები.

	2021	2020	2019
ათას ლარში	**შუალედური**		**ჩვეულებრივი**
გადასახდელი დივიდენდები 1 იანვრის მდგომარეობით	**-**	**-**	**-**
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	81,872	-	80,911
წლის განმავლობაში ფულის სახით გაცემული დივიდენდები	(81,872)	-	(80,911)
გადასახდელი დივიდენდები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**-**
წლის განმავლობაში ერთ აქციაზე გამოცხადებული დივიდენდები	**1.56 ლარი**	**-**	**1.54 ლარი**

2021 წლის 11 აგვისტოს სს თიბისი ბანკის აქციონერების დირექტორთა საბჭო შეთანხმდა ერთ აქციაზე 1.56 ლარის ოდენობის დივიდენდზე. დივიდენდები აღირიცხა 2021 წლის 20 აგვისტოს და 2021 წლის 7 სექტემბერს აქციონერებმა მიიღეს ჯამში 81,872 ათასი ლარის დივიდენდები.

2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული უპრეცედენტო განუსაზღვრელობის გათვალისწინებით, დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა, არ გაეწია დივიდენდების განაწილების რეკომენდაცია. გადაწყვეტილება დამტკიცდა ჯგუფის აქციონერების მიერ.

2019 წლის 19 აპრილს სს „თიბისი ბანკის“ აქციონერების წლიური სართო კრება, 2018 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, ერთ აქციაზე 1.54 ლარის ოდენობის დივიდენდზე შეთანხმდა. დივიდენდები აღირიცხა 2019 წლის 28 მაისს და 2019 წლის 12 ივლისს აქციონერებმა მიიღეს ჯამში 80,911 ათასი ლარის დივიდენდები.

27. აქციებზე დაფუძნებული გადახდები

2015 წლის ივნისის სქემა:

2015 წლის ივნისში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ხელმძღვანელობის ანაზღაურების სქემა ზედა და საშუალო რგოლის ხელმძღვანელებისთვის, რომელიც მოქმედებდა 2015 წლიდან 2018 წლის ჩათვლით. ამ სქემის მიხედვით ყოველწლიურად წინასწარ განსაზღვრული საქმიანობის შედეგების მიხედვით, აქციების გარკვეული რაოდენობა გადაეცემოდა ჯგუფის წამყვან მენეჯერებს და საშუალო რგოლის მენეჯერების უმრავლესობას. საქმიანობის შედეგებში იგულისხმება ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები (KPI), რომლებიც არის (i) კორპორატიული და (ii) ინდივიდუალური. კორპორატიული ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები ძირითადად უკავშირდება საბჭოს მიერ დაწესებული მომგებიანობის, ეფექტიანობის და პორტფელის ხარისხის სტანდარტების, ასევე მომხმარებელთა გამოკვლევებთან და თანამშრომელთა ჩართულობასთან დაკავშირებულ არაფინანსურ მაჩვენებლების მიღწევას. ეფექტურობის ინდივიდუალური მაჩვენებლები განისაზღვრება ინდივიდუალურად და გამოიყენება თითოეული თანამშრომლისთვის გადაცემული აქციების რაოდენობის გამოსათვლელად. ამ სქემის მიხედვით, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრებმა ასევე მიიღეს აქციების ფიქსირებული რაოდენობა. გადაცემის შემდეგ ყველა აქციას აქვს მომსახურების პირობები და, ამ პირობების დაკმაყოფილებამდე, მათზე შესაძლებელია დივიდენდების მიღება; თუმცა არ შეიძლება მათი გაყიდვა ან გადაცემა მესამე მხარეებისთვის.

ვადა ითვალისწინებს უწყვეტ დასაქმებას მანამ, სანამ სქემის მონაწილეებისთვის უფლების ეტაპობრივი გადაცემა დასრულდება. 2015, 2016, 2017 და 2018 წლების თითოეული ტრანშის აქციები თანდათანობით გაგრძელდა მეორე, მესამე და მეოთხე წელს საქმიანობის შეფასების შემდეგ. აქციების

27. აქციებზე დაფუძნებული გადახდები გაგრძელება

ოთხმოც პროცენტზე უფლების გადაცემის პერიოდი 3 წელია აქციების გამოყოფიდან. ამ კომპენსაციის სისტემით, უფლების გადაცემის პერიოდი მთლიანი პერიოდი გაგრძელდა 2022 წლის მარტამდე.

2015 წელს ჯგუფმა 17 ივნისი მიიჩნია წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად. ხელმძღვანელობის მხრიდან მიღწეული მიზნების შეფასების საფუძველზე, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,908,960 აქცია გამოიყო 2015-2018 წლის სქემებისთვის სრულად. აქციები თანდათანობით გადაეცა წევრებს წინასწარ გაწერილი სქემის თანახმად. წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის, სამართლიანი ღირებულება შეადგენდა 24.64 ლარს ლონდონის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ ერთ აქციაზე.

ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტში განთავსების შემდეგ, აქციებზე დაფუძნებული გადახდის სქემა თავისი არსით იგივე დარჩა და მხოლოდ იმ მიზნით განახლდა, რომ აესახა ჯგუფის ახალი სტრუქტურა, რის შემდეგაც საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფმა“ გაუნაწილა თავისი აქციები სქემის მონაწილეებს, სს „თიბისი ბანკის“ მაგივრად. შესაბამისი აქციების ღირებულება გადაუნაწილდა სს „თიბისი ბანკს“. ამის შედეგად სქემის ბუღალტრული აღრიცხვის წესი არ შეცვლილა ფინანსურ ანგარიშგებაში.

აქციებზე დაფუძნებული გადახდის სქემა საშუალო რგოლის ხელმძღვანელობისა და სხვა შესაბამისი თანამშრომლებისთვის გაგრძელდა არსებული პირობებით 2018 წლის შემდეგ, გარდა უფლების გადაცემის პირობებისა, რომლებიც 2019 წლიდან შეიცვალა 10%, 10%, 80%-დან 33%, 33%, 34%-ით 3-წლიანი ვადით.

2018 წლის დეკემბრის სქემა:

2018 წლის 21 მაისს აქციონერებმა წლიურ საერთო კრებაზე დაამტკიცეს კომპენსაციის ახალი სისტემა, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან და მოიცავდა 2019 წლიდან 2021 წლის ჩათვლით პერიოდს. 2018 წლის 28 დეკემბერს დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის ამ ახალი კომპენსაციის სქემების შემდეგი დეტალები და ჯგუფმა ეს თარიღი მიიჩნია უფლების მინიჭების თარიღად. ყველა სქემა არის წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული და შესაბამისად აღირიცხება.

აქციების სახით გაცემული გადავადებული ხელფასის გეგმა

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ხელფასის ნაწილი გადაიხდება აქციებით, რისი მიზანიც არის ჯგუფის გრძელვადიანი წარმატების ხელშეწყობა და უფროსი აღმასრულებელი დირექტორებისა და მფლობელების ინტერესების შესაბამისობაში მოყვანა. აქციები, ჩვეულებრივ, გადაიცემა მეორე წლის (ანუ მომსახურების გაწევის წლის მომდევნო წლის) პირველ კვარტალში და ზუსტი თარიღი განისაზღვრება საბჭოს მიერ. აქციების 50%-ს აქვს 1-წლიანი გადავადების პერიოდი, ხოლო დარჩენილი 50% გადავადება გაცემის თარიღიდან 2 წლის ვადით. აქციები რეგისტრირდება მონაწილეების მინდობილი პირის, როგორც ნომინალური მფლობელის სახელზე და მონაწილეებს დივიდენდების მიღების უფლება ეძლევათ. 2021 წლიდან აქციების სახით გადავადებული ხელფასი აღარ ექვემდებარება გადავადებას და მიწოდებისთანავე დაუყოვნებლივ გადაიცემა მათზე უფლებები.

როდესაც ამის საჭიროება დგება, გადავადებული ანაზღაურება აქციების სახით გადაიხდება ნაწილობრივ სს „თიბისი ბანკის“ მენეჯმენტის წევრებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე და ნაწილობრივ საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისისთან“, საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი“ ჯგუფთან ან ჯგუფის სხვა შვილობილ საწარმოებთან გაფორმებული მისი მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, რათა აისახოს აღმასრულებელი დირექტორის პასუხისმგებლობა თითოეულის წინაშე. თავდაპირველი ხელფასები განისაზღვრება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს მიერ. ანაზღაურების კომიტეტი ორივე საბჭოს ეხმარება კომპენსაციასთან დაკავშირებულ საკითხებში და უწევს შესაბამის რეკომენდაციებს. გადადებული კომპენსაცია ექვემდებარება ჯგუფის ანაზღაურების შემცირების და დაბრუნების პოლიტიკას, სანამ არ მოხდება აქციებზე უფლების გადაცემა. თუ გადავადებული კომპენსაციის გადახდის შემდეგ, ნებისმიერ დროს, წლის ფინანსურ შედეგებში არსებითი უზუსტობა აღმოჩნდება, რომელთან მიმართებითაც მოხდა კომპენსაციის ფორმალურად გადახდა, ანაზღაურების კომიტეტს უფლება აქვს, იმ წლის ან ნებისმიერი მომდევნო ფინანსური წლის გადავადებული კომპენსაცია, რომელზეც უფლება არ გადაცემულა (ან რომელიც არ გადახდილა) მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს (ან არ გადაიხადოს).

27. აქციებზე დაფუძნებული გადახდები გაგრძელება

აქციების რაოდენობა გამოითვლება კომიტეტის გადაწყვეტილების თარიღამდე ბოლო ათი დღის აქციის საშუალო ფასის მიხედვით.

გადავადებული პრემიის გეგმა

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის წლიური პრემია განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის შესრულებული ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები. აქციები, ჩვეულებრივ, გადაიცემა მეორე წლის (ანუ მომსახურების გაწევის წლის მომდევნო წლის) პირველ კვარტალში და ზუსტი თარიღი განისაზღვრება საბჭოს მიერ. აქციების 50%-ს აქვს 1-წლიანი გადავადების პერიოდი, ხოლო დარჩენილი 50% გადავადება გაცემის თარიღიდან 2 წლის ვადით. აქციები რეგისტრირდება მონაწილეების მინდობილი პირის, როგორც ნომინალური მფლობელის სახელზე და მონაწილეებს დივიდენდების მიღების უფლება ეძლევათ.

წლიურ ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლებს ადგენს ანაზღაურების კომიტეტი ყოველი წლის დასაწყისში ამ კონკრეტული წლისთვის და ამტკიცებს საბჭო. თუ ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები შესრულებულია, ანაზღაურების კომიტეტმა შეიძლება საბჭოს რეკომენდაცია გაუწიოს იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა გადაიცეს ჯილდო და ასეთი ჯილდოს ოდენობა. ჯგუფი არ უხდის გარანტირებულ პრემიებს აღმასრულებელ დირექტორებს. ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების ხასიათი, მათი შესაბამისი წონებით და მიზნებით, წარმოდგენილია გამოქვეყნებულ წლიურ ანგარიშში. ჯილდოები ექვემდებარება ჯგუფის ანაზღაურების შემცირების და დაბრუნების პოლიტიკას, სანამ არ მოხდება აქციებზე უფლების გადაცემა. თუ ჯილდოს გადახდის შემდეგ, ნებისმიერ დროს, წლის ფინანსურ შედეგებში არსებითი უზუსტობა აღმოჩნდება, რომელთანაც მიმართებითაც მოხდა ჯილდოს ფორმალურად გადაცემა, ანაზღაურების კომიტეტს შეუძლია საბჭოს ურჩიოს, იმ წლის ან ნებისმიერი მომდევნო ფინანსური წლის ჯილდო, რომელზეც უფლება არ გადაცემულა (ან რომელიც არ გადახდილა) მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს (ან არ გადაიხადოს). როდესაც ამის საჭიროება დგება, გადავადებული პრემია აქციების სახით გადაიხდება ნაწილობრივ სს „თიბისის“ მენეჯმენტის წევრებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე და ნაწილობრივ საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისისთან“, საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი“ ჯგუფთან ან ჯგუფის სხვა შვილობილ საწარმოებთან გაფორმებული მისი მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, რათა აისახოს აღმასრულებელი დირექტორის პასუხისმგებლობა თითოეულის წინაშე.

აქციების რაოდენობა გამოითვლება კომიტეტის გადაწყვეტილების თარიღამდე ბოლო ათი დღის აქციის საშუალო ფასის მიხედვით.

გრძელვადიანი წამახალისებელი გეგმა

გრძელვადიანი წამახალისებელი გეგმა გამოიყენება გრძელვადიანი შედეგების მიღწევის პირობების შესასრულებლად ძლიერი მოტივაციის შესაქმნელად და, ამ პირობების შესრულების შემთხვევაში, ჯილდოს გასაცემად. შედეგების მიღწევის პირობები შეირჩევა ისე, რომ ჯგუფის და ბანკის აღმასრულებელი დირექტორების ინტერესები შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სტრატეგიულ მიზნებთან მრავალწლიანი პერიოდის განმავლობაში და ხელს უწყობდეს გრძელვადიან ხედვას. აქციების მისაღებად აღმასრულებელმა დირექტორებმა უნდა დააკმაყოფილონ შედეგების მიღწევის განახლებადი პირობები სამწლიანი საქმიანობის ვადის განმავლობაში.

გრძელვადიანი წამახალისებელი გეგმის და აქციებზე დაფუძნებული გადახდების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია წარმოდგენილია ანაზღაურების კომიტეტის ანგარიშში.

2020 წლის განმავლობაში სს „თიბისი ბანკის“ ხელმძღვანელობამ დაკარგა უფლება აქციების სახით გადავადებულ პრემიაზე და გრძელვადიანი წამახალისებელი გეგმის ჯილდოებზე, რომლებიც მიკუთვნებადია 2020 წლისთვის. ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას არ მოუხდენია გავლენა 2019 წლისა და 2021 წლის წახალისების სქემებზე. გადაწყვეტილება შეთანხმებულია ანაზღაურების კომიტეტთან, რომლის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია ანაზღაურების ანგარიშში.

27. აქციებზე დაფუძნებული გადახდები გაგრძელება

სქემების შესახებ ინფორმაცია ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილის სახით:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
აქციების რაოდენობა, რომლებზეც უფლებები არ გადაცემულა პერიოდის დასაწყისში	**3,028,818**	**3,141,541**	**2,121,129**
გამოყოფილი აქციების რაოდენობა			
გამოყოფილი აქციების რაოდენობა – გადავადებული ხელფასი	–	–	285,047
გამოყოფილი აქციების რაოდენობა – გადავადებული პრემია	–	–	471,778
გამოყოფილი აქციების რაოდენობა – გრძელვადიანი წამახალისებელი გეგმა	–	–	459,751
მომდევნო პერიოდზე გადატანილი საგადასახადო ზარალი	11,950	(11,950)	-
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	**(10,950)**	**2,027**	**(8,923)**
აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივი	2,134	(78)	2,056
აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(13,084)	2,105	(10,979)
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	**(10,950)**	**2,027**	**(8,923)**

ათას ლარში	1 იანვარი, 2020 წ.	(დაკრედიტებული)/ დარიცხული მოგებაზე ან ზარალზე	31 დეკემბერი, 2020 წ.
(დაბეგვრადი)/გამოქვითვადი დროებითი სხვაობების და საგადასახადო ზარალის მომდევნო პერიოდზე გადატანის საგადასახადო ეფექტი			
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	(11,363)	7,582	(3,781)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	(8,822)	(9,795)	(18,617)
სხვა ფინანსური აქტივები	4,802	(2,194)	2,608
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(2,486)	802	(1,684)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	792	(1,253)	(461)
სხვა ვალდებულებები	(1,800)	(533)	(2,333)
აქციებზე დაფუძნებული გადახდა	2,253	(885)	1,368
მომდევნო პერიოდზე გადატანილი საგადასახადო ზარალი	–	11,950	11,950
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	**(16,624)**	**5,674**	**(10,950)**
აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივი	2,173	(39)	2,134
აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(18,797)	5,713	(13,084)
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	**(16,624)**	**5,674**	**(10,950)**

35. მოგებიდან გადასახადები გაგრძელება

ათას ლარში	1 იანვარი, 2019 წ.	(დაკრედიტებული)/ დარიცხული მოგებაზე ან ზარალზე	31 დეკემბერი, 2019 წ.
(დაბეგვრადი)/გამოქვითვადი დროებითი სხვაობების და საგადასახადო ზარალის მომდევნო პერიოდზე გადატანის საგადასახადო ეფექტი			
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	(20,748)	9,385	(11,363)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	2,864	(11,686)	(8,822)
სხვა ფინანსური აქტივები	2,317	2,485	4,802
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(3,641)	1,155	(2,486)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(70)	70	–
სხვა ვალდებულებები	(41)	833	792
აქციებზე დაფუძნებული გადახდა	864	(2,664)	(1,800)
მომდევნო პერიოდზე გადატანილი საგადასახადო ზარალი	663	1,590	2,253
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	**(17,792)**	**1,168**	**(16,624)**
აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივი	1,992	181	2,173
აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(19,784)	987	(18,797)
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	**(17,792)**	**1,168**	**(16,624)**

ჯგუფის არსებული სტრუქტურისა და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის კონტექსტში, ჯგუფის სხვადასხვა კომპანიის საგადასახადო ზარალი და მიმდინარე საგადასახადო აქტივები შეიძლება არ გაიქვითოს ჯგუფის სხვა კომპანიების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან და დასაბეგრ მოგებასთან და, შესაბამისად, გადასახადები შეიძლება დაირიცხოს მაშინაც, თუ არსებობს კონსოლიდირებული საგადასახადო ზარალი. აქედან გამომდინარე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი უკავშირდება ერთსა და იმავე დასაბეგრ სამეურნეო სუბიექტს და ერთსა და იმავე საგადასახადო ორგანოს.

36. ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების მოძრაობა თითოეულ წარმოდგენილ პერიოდში. ამ ვალდებულებების მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია, როგორც ფინანსური საქმიანობა.

36. ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებების შეჯერება გაგრძელება

ათას ლარში	სხვა ნასესხები სახსრები	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	სუბორდინირებული ვალი	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**2,872,071**	**13,343**	**650,919**	**60,232**	**3,596,565**
შემოსავალი ძირითადი თანხის მოძრაობიდან	1,819,899	1,176,049	-	-	**2,995,948**
ძირითადი თანხის გამოსყიდვა	(1,392,897)	(14,296)	(104,079)	(6,453)	**(1,517,725)**
წმინდა პროცენტის მოძრაობა**	5,225	1,140	(1,338)	383	**5,410**
სხვა არაფულადი მუხლების მოძრაობა*	-	-	-	2,818	**2,818**
სავალუტო კურსის კორექტირებები	122,589	37,362	45,533	2,336	**207,820**
ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,426,887**	**1,213,598**	**591,035**	**59,316**	**5,290,836**
შემოსავალი ძირითადი თანხის მოძრაობიდან	4,031,812	31,601		-	**4,063,413**
ძირითადი თანხის გამოსყიდვა	(3,319,427)			(13,251)	**(3,332,678)**
წმინდა პროცენტის მოძრაობა**	6,851	(2,133)	(812)	236	**4,142**
სხვა არაფულადი მუხლების მოძრაობა*	-	-	-	1,947	**1,947**
სავალუტო კურსის კორექტირებები	198,956	176,447	82,517	6,340	**464,260**
ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,345,079**	**1,419,513**	**672,740**	**54,588**	**6,491,920**
შემოსავალი ძირითადი თანხის მოძრაობიდან	1,750,443	242,287		-	**1,992,730**
ძირითადი თანხის გამოსყიდვა	(3,337,495)		(12,562)	(12,825)	**(3,362,882)**
წმინდა პროცენტის მოძრაობა**	(30,002)	2,710	(191)	63	**(27,420)**
სხვა არაფულადი მუხლების მოძრაობა*	-	-	-	18,462	**18,462**
სავალუტო კურსის კორექტირებები	(68,607)	(80,811)	(36,340)	(3,766)	**(189,524)**
ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,659,418**	**1,583,699**	**623,647**	**56,522**	**4,923,286**

** სხვა არაფულადი მოძრაობა წარმოადგენს ფინანსური იჯარის ხელშეკრულებებით გაფორმებულ იჯარებს გამოკლებული შეწყვეტილი იჯარები.*
*** წმინდა პროცენტის მოძრაობა მოიცავს დარიცხულ და გადახდილ პროცენტებს. სხვა ნასესხებ სახსრებზე, გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე, სუბორდინირებულ სესხებზე და საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი გადახდილი პროცენტი შედის საოპერაციო ფულადი ნაკადების გადახდილი პროცენტში.*

37. ფინანსური და სხვა რისკის მართვა

საკრედიტო ხარისხი. ფინანსური აქტივის ტიპიდან გამომდინარე, ჯგუფმა შეიძლება გამოიყენოს აქტივის საკრედიტო ხარისხის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა წყარო, მათ შორის სარეიტინგო სააგენტოების (Standard & Poor's, Fitch) მიერ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგები, საკრედიტო ბიუროს მიერ მინიჭებული საკრედიტო ქულები და ჯგუფის შიგნით შემუშავებული საკრედიტო რეიტინგები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ჯგუფის შიგნით შექმნილი საკრედიტო ხარისხის კატეგორიებად, ერთდროულად შიდა და გარე საკრედიტო ხარისხის ინფორმაციისა და კონკრეტული კრედიტისთვის სპეციფიკური სხვა მაჩვენებლების გათვალისწინებით (მაგ. ვადაგადაცილება). ჯგუფი განსაზღვრავს საკრედიტო ხარისხის შემდეგ კატეგორიებს:

- ძალიან დაბალი რისკი – კრედიტები ავლენს ფინანსური ვალდებულებების შესრულების ძლიერ უნარს;
- დაბალი რისკი – კრედიტები ავლენს ფინანსური ვალდებულებების შესრულების საკმარის უნარს;
- საშუალო რისკი – კრედიტები ავლენს ფინანსური ვალდებულებების შესრულების დამაკმაყოფილებელ უნარს;
- მაღალი რისკი – კრედიტები საჭიროებს თვალყურის მკაცრად დევნებას, და
- დეფოლტი – კრედიტები დეფოლტის სიტუაციაში, საკრედიტო რისკით გაუფასურებული.

37. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის სამომავლო ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას ჯგუფი ეყრდნობა იყენებს ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება ("EAD"), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") და დისკონტირების განაკვეთი. ამ შეფასებებში ითვალისწინებენ პერსპექტიულ ინფორმაციას, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე, ალბათობით შეწონილ ცვლილებას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ჯგუფი მიმართავს სამი სტადიის მოდელს და თავის მსესხებლებს მიაკუთვნებს სამ სტადიას: ჯგუფი თავის კრედიტის ოდენობას პირველ სტადიას მიაკუთვნებს, თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხი მნიშვნელოვნად არ გაუარესებულა და ინსტრუმენტი არ იყოს საკრედიტო დეფოლტის სიტუაციაში თავდაპირველი აღიარებისას. კრედიტის ოდენობა მეორე სტადიას მიეკუთვნება, თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ დაფიქსირდა საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ მიიჩნევა დეფოლტის სიტუაციაში მყოფად. კრედიტის ოდენობა, რომელზეც გამოვლენილია დეფოლტის ნიშნები, მიეკუთვნება მესამე სტადიის ინსტრუმენტებს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა განსხვავდება კრედიტის ოდენობის ერთ-ერთი სტადიისთვის მიკუთვნების მიხედვით. პირველი სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება მიეწეროს საანგარიშგებო თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში პოტენციურად დამდგარ დეფოლტის მოვლენებს. მეორე სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ანუ საკრედიტო ზარალს, რომელიც შეიძლება მიეწეროს შესაძლო დეფოლტის მოვლენებს ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი არსებობის ვადის განმავლობაში. როგორც წესი, არსებობის ვადა უდრის ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილ სახელშეკრულებო ვადას. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ხელშეკრულების მიხედვით დაფარვის გრაფიკის არსებობა, დაფარვის ვადის გაგრძელების უფლებები და მონიტორინგის პროცესები ჯგუფის მხრიდან მოქმედებს ვადის განსაზღვრაზე. მესამე სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, დეფოლტის მოვლენა უკვე დამდგარია და არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება თანხების მოსალოდნელი ამოღების საფუძველზე.

დეფოლტის განმარტება

ფინანსური აქტივები, რომლებისთვისაც ჯგუფმა გამოავლინა მინიმუმ ერთი ზარალის დადგომის შემთხვევა, მიეკუთვნება მე-3 სტადიას.

ჯგუფი დეფოლტის განმარტებისთვის იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ინფორმაციას. მსესხებელი კლასიფიცირდება, როგორც დეფოლტის სიტუაციაში მყოფი, თუ შემდეგი პირობებიდან ერთი მაინც დადგება:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე გადახდა 90 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული;
- ფაქტორები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ მსესხებლისგან გადახდების მიღება არ არის მოსალოდნელი.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლების შემთხვევაში, ჯგუფი დამატებით იყენებს კრიტერიუმებს, მათ შორის, და არა მხოლოდ: გაკოტრების პროცედურა, მნიშვნელოვანი თაღლითობა მსესხებლის ბიზნესში, რამაც სერიოზულად იმოქმედა მის ფინანსურ მდგომარეობაზე, ხელშეკრულების პირობების დარღვევა და სხვა. მცირე და საშუალო საწარმოებისა და კორპორატიული მსესხებლების შემთხვევაში, დეფოლტის გამოვლენა ხდება კონტრაჰენტის დონეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მოთხოვნა მსესხებლის მიმართ აღირიცხება, როგორც დეფოლტის სიტუაციაში მყოფი. რაც შეეხება საცალო და მიკრო კრედიტებს, გამოიყენება დეფოლტის განმარტება საკრედიტო ინსტრუმენტის დონეზე, „პულინგ ეფექტის" (ზღვარი, რომლის ზემოთაც მთლიანი დავალიანება ჩაითვლება დეფოლტის სიტუაციაში მყოფად) დამატებითი კრიტერიუმების გათვალისწინებით. თუ დეფოლტის

37. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

სიტუაციაში მყოფი კრედიტის ოდენობა აღემატება წინასწარ განსაზღვრულ ზღვარს, ყველა მოთხოვნა მსესხებლის მიმართ კლასიფიცირდება, როგორც დეფოლტის სიტუაციაში მყოფი. როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი კლასიფიცირდება, როგორც დეფოლტის სიტუაციაში მყოფი, იგი ამ კატეგორიაში რჩება იმ დრომდე, ვიდრე ვეღარ დააკმაყოფილებს დეფოლტის კრიტერიუმებს ექვსი თანმიმდევრული თვის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ კრედიტი აღარ არის დეფოლტის სიტუაციაში (ანუ დეფოლტი გამოსწორდა). იმის გასაანალიზებლად, თუ რამდენად მოსალოდნელია, რომ დეფოლტის აღმოფხვრის შემდეგ ფინანსური ინსტრუმენტი დაუბრუნდეს დეფოლტის სიტუაციაში მყოფის სტატუსს, ექვსთვიანი გამოსაცდელი ვადა განისაზღვრა. კრედიტები, რომლებიც გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე დეფოლტის მდგომარეობიდან, იქ ნარჩუნდება გარკვეული ვადით, სანამ გადავა 1-ელ სტადიაზე და კვლავ კლასიფიცირდება, როგორც სრულად მოქმედი ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ფინანსური აქტივები, რომლებზეც ჯგუფი აღმოაჩენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას მათი შექმნის თარიღის შემდეგ, მიეკუთვნება მე-2 სტადიას. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებლების აღიარება ხდება ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი ეხება მსესხებლის მახასიათებლებს. ჯგუფი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს იყენებს.

რაოდენობრივი კრიტერიუმები

რაოდენობრივ საფუძველზე ჯგუფი აფასებს თავდაპირველი აღიარების შემდეგ თითოეული კონკრეტული კრედიტის მოცულობის დეფოლტის პარამეტრის ალბათობის ცვლილებას და მას ადარებს წინასწარ დადგენილ ზღვრულ მაჩვენებელს. როდესაც აბსოლუტური ცვლილება დეფოლტის ალბათობაში აღემატება მოქმედ ზღვარს, მიიჩნევა, რომ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და კრედიტის მოცულობა გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის რაოდენობრივი მაჩვენებელი ვრცელდება საცალო და მიკრო სეგმენტებზე, სადაც ჯგუფს აქვს საკმარისი რაოდენობის ემპირიული მონაცემები.

ხარისხობრივი კრიტერიუმები

ფინანსური აქტივი გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე და არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემდეგი ხარისხობრივი კრიტერიუმებიდან ერთი მაინც დაფიქსირდება:

- სახელშეკრულებო დაფარვების ვადაგადაცილების 30-დღიანზე მეტი პერიოდი;
- კრედიტი რესტრუქტურიზებულია, მაგრამ არ არის დეფოლტის სიტუაციაში;
- მსესხებელი მიეკუთვნება „საყურადღებოს“ კატეგორიას.

ჯგუფს არ უარუყვია ვარაუდი, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოშობის შემდეგ, როდესაც ფინანსური აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ეს ხარისხობრივი მაჩვენებელი, სესხის რესტრუქტურიზაციასთან ერთად, გამოიყენება ყველა სეგმენტზე. განსაკუთრებით კორპორატიული და მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტისთვის, ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის წარმოშობის შემდეგ რისკის კატეგორიის გაუარესებას იყენებს, როგორც საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებელს. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, მსესხებლები ნაწილდებიან რისკის სხვადასხვა კატეგორიაში. თუ არსებობს გარკვეული სისუსტეები, რომლებმაც, მატერიალიზების შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიოს სესხის დაფარვასთან დაკავშირებით პრობლემები, მსესხებლები მიეკუთვნებიან „საყურადღებოს“ კატეგორიას. მიუხედავად იმისა, რომ საყურადღებო მსესხებლების ფინანსური მდგომარეობა საკმარისია ვალდებულებების დასაფარად, ამ მსესხებლების მკაცრი მონიტორინგი ხდება და გარკვეული ზომები მიიღება პოტენციური სისუსტეების შესამცირებლად. როდესაც ხდება მსესხებლის კლასიფიცირება „საყურადღებოს“ კატეგორიაში, იგი გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე. თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის რომელიმე ზემოთ აღწერილი მაჩვენებელი გამოვლინდება, ფინანსური ინსტრუმენტი გადავა მე-2 სტადიაზე. ფინანსური აქტივი შეიძლება დაუბრუნდეს 1-ელ სტადიას, თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებლები აღარ ფიქსირდება.

37. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ორ მიდგომას მიმართავს ინდივიდუალურ შეფასებას და კოლექტიურ შეფასებას. ინდივიდუალური შეფასება ძირითადად გამოიყენება მე-2 და მე-3 სტადიების ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლებისთვის. გარდა ამისა, ჯგუფმა შეიძლება თვითნებურად აირჩიოს გარკვეული კრედიტის მოცულობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ინდივიდუალურად შეფასებისთვის, ჯგუფის საკრედიტო რისკის მართვის ან ანდერაიტინგის დეპარტამენტების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

ჯგუფი დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდს იყენებს ინდივიდუალური შეფასებით ამოსაღები თანხის დასადგენად. ამოღებადი თანხის ზუსტი შეფასების უზრუნველსაყოფად ჯგუფმა შეიძლება მიმართოს სცენარული ანალიზის მიდგომას. სცენარები შეიძლება განისაზღვროს ინდივიდუალური მსესხებლის სპეციფიკური ინფორმაციისა და სამომავლო პროგნოზის, მსესხებლის საქმიანობის სფეროს ან უზრუნველყოფის საგნის ღირებულების ცვლილების მიხედვით. სცენარული ანალიზის შემთხვევაში, ჯგუფი ახდენს თითოეული სცენარისთვის ამოღებადი თანხის პროგნოზირებას და აფასებს შესაბამის ზარალებს. საბოლოო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება, როგორც თითოეულ სცენარში მოსალოდნელი ზარალების საშუალო შეწონილი, რომელიც შეიწონება სცენარის დადგომის ალბათობით.

არამნიშვნელოვანი და არაგაუფასურებული მნიშვნელოვანი მსესხებლებისთვის ჯგუფი კოლექტიურად აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. კოლექტიური შეფასებისა და რისკის პარამეტრების განსაზღვრის მიზნებისთვის, კრედიტი იყოფა რისკის ერთგვაროვან ჯგუფებად, მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ჯგუფის საკრედიტო რისკის საერთო მახასიათებლებში, სხვებთან ერთად, შედის: სტადია (1-ელი, მე-2 ან მე-3 სტადია), კონტრაჰენტის ტიპი (ფიზიკური თუ იურიდიული პირი), პროდუქტის ტიპი, რეიტინგი (გარე ან შიდა), ვადაგადაცილების სტატუსი, რესტრუქტურიზაციის სტატუსი, დეფოლტის კატეგორიაში ყოფნის თვეების რაოდენობა ან სხვა მახასიათებლები, რომლებმაც შეიძლება განასხვაონ გარკვეული ქვესეგმენტები რისკის პარამეტრის შეფასების მიზნებისთვის. ჯგუფების რაოდენობა განსხვავდება სხვადასხვა პროდუქტის/სეგმენტის მიხედვით, პორტფელის სპეციფიკიდან და თითოეულ ჯგუფში მონაცემების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე. კოლექტიური მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო რისკის შემდეგი პარამეტრების სიმრავლის ჯამი: დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება. დეფოლტის ალბათობა და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში, რომლებიც განისაზღვრება ქვემოთ მოცემული განმარტების მიხედვით და დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო რისკის პარამეტრების გამოთვლის მთავარი პრინციპებია:

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მოცულობას ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დადგომის მომენტისთვის. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პარამეტრი, რომელიც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მიზნით, დროზეა დამოკიდებული, ანუ ჯგუფი უშვებს პარამეტრის სხვადასხვა სიდიდის გამოყენებას მომდევნო დროით პერიოდებზე კრედიტის ოდენობის არსებობის მანძილზე. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების ასეთი სტრუქტურა გამოიყენება ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელიც მიეკუთვნება პირველ და მეორე სტადიებს. მესამე სტადიის ფინანსური ინსტრუმენტების და დეფოლტის სიტუაციაში მყოფი შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების ვექტორი შედგება ერთი ელემენტისგან, სადაც მიმდინარე დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება ერთადერთი სიდიდეა. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება სხვადასხვანაირად განისაზღვრება სახელშეკრულებო დაფარვის გრაფიკის მქონე ამორტიზებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის და განახლებადი ინსტრუმენტებისთვის. ამორტიზებადი პროდუქტების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება გამოითვლება ძირითადი თანხის და პროცენტის სახელშეკრულებო დაფარვების გათვალისწინებით 12-თვიანი ვადის განმავლობაში 1-ელ სტადიაში განაწილებული ინსტრუმენტებისთვის და მთლიანი არსებობის ვადის განმავლობაში დანარჩენი ინსტრუმენტებისთვის. იგი დამატებით კორექტირდება, რათა ასახოს წინასწარ გადახდების გამო კრედიტის ოდენობის შემცირების ეფექტი – კერძოდ, სრულად წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტი. სრულად წინსწრებით დაფარვის განაკვეთის პარამეტრი წარმოადგენს იმის

37. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

ალბათობას, რომ ფინანსური ინსტრუმენტი სრულად დაიფარება წინასწარ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დაფარვის ვადამდე. სრულად წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტის გამოთვლის მიზნებისთვის, ჯგუფი ითვალისწინებს დაფარვის ვადამდე სრულად გადახდილი ხელშეკრულებების ისტორიულ მონაცემებს.

დეფოლტის ალბათობა

დეფოლტის ალბათობის პარამეტრი აღწერს ინსტრუმენტის დეფოლტის დადგომის ალბათობას გარკვეული დროის პერიოდში. იგი აფასებს იმის ალბათობას, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების დაფარვას. დეფოლტის ალბათობის პარამეტრი დროზეა დამოკიდებულია (ანუ აქვს კონკრეტული ვადიანობის სტრუქტურა) და ვრცელდება ყველა მოქმედ (არადეფოლტირებულ) ხელშეკრულებაზე. მხედველობაში მიიღება კლიენტების სხვადასხვა სეგმენტის სპეციფიკური ხასიათი, რომლებისთვისაც დეფოლტის ალბათობა განისაზღვრება, ასევე უნიკალური მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებენ მათ მიდრეკილებას დეფოლტისკენ და დეფოლტის ალბათობა მოდელირდება სხვადასხვაგვარად საცალო და მიკრო სეგმენტებისა და კორპორატიული და მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტებისთვის. დეფოლტის ალბათობის შეფასების მიდგომა ასევე დიფერენცირებულია სხვადასხვა დროის მონაკვეთისთვის და დამატებით კორექტირდება ამ პერიოდისთვის პროგნოზირებული მაკროეკონომიკური ცვლადების მოსალოდნელი გავლენის მიხედვით (იხილეთ „საპროგნოზო ინფორმაციის“ თავი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლაში მაკროეკონომიკური მოლოდინების ჩართვის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის). საპროგნოზო ინფორმაციის კორექტირება დეფოლტის ალბათობაზე გამოიყენება სამწლიანი პერიოდისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ მაკროეკონომიკურ პროგნოზებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა შეიძლება უფრო გრძელ ვადას მოიცავდეს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად ორი ტიპის დეფოლტის ალბათობა გამოიყენება: 12-თვიანი და არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა. არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში დამდგარი დეფოლტის ალბათობის შეფასებას და იგი წარმოადგენს 12-თვიანი ზღვრული დეფოლტის ალბათობების ჯამს ინსტრუმენტის ვადის განმავლობაში. ჯგუფი დეფოლტის ალბათობის მოდელისთვის, როგორც წესი, მიმართავს რაოდენობაზე დაყრდნობილ მიდგომას, თუმცა არაერთგვაროვანი პორტფელების შემთხვევაში გამოიყენება რისკით შეწონილი მიდგომა. ჯგუფი იყენებს სხვადასხვა სტატისტიკურ მეთოდს, როგორიცაა 12-თვიანი დეფოლტის ალბათობების ექსტრაპოლაცია მიგრაციის მატრიცების საფუძველზე, არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის მრუდის შედგენა დეფოლტის ისტორიული მონაცემების საფუძველზე და გრძელვადიანი დეფოლტის ალბათობის თანდათანობითი თანხვედრა დეფოლტის გრძელვადიან მაჩვენებელთან.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში

დეფოლტის შემთხვევაში ზარალის პარამეტრი წარმოადგენს კრედიტის მოცულობის წილს, რომელიც სამუდამოდ (აუნაზღაურებლად) დაიკარგება, თუ მსესხებელი აღმოჩნდება დეფოლტის სიტუაციაში. რაც შეეხება პირველი სტადიისა და მეორე სტადიის ფინანსური ინსტრუმენტებს, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ფასდება თითოეული პერიოდისთვის ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე და ასახავს მოსალოდნელი დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების წილს ამ პერიოდისთვის, რომლის ამოღება არ მოხდება ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში დეფოლტის თარიღის შემდეგ. რაც შეეხება მესამე სტადიის ფინანსურ ინსტრუმენტებს, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების წილს საანგარიშგებო თარიღისთვის, რომლის ამოღება არ მოხდება ამ ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასება განსხვავდება კონტრაჰენტის ტიპის, სეგმენტის, პროდუქტის ტიპის, სეკურიტიზაციის დონის და ისტორიული ემპირიული მონაცემების არსებობის მიხედვით. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის ზოგადი შეფასების პროცესი, რომელსაც ჯგუფი იყენებს, ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ კრედიტის დეფოლტის შემდეგ ორი ურთიერთგამომრიცხავი სცენარი შესაძლებელია. კრედიტი ან ტოვებს დეფოლტის მდგომარეობას (დეფოლტის გამოსწორების სცენარი) ან არ ტოვებს დეფოლტის მდგომარეობას და დაექვემდებარება ამოღების პროცესს (არაგამოსწორების სცენარი). შეფასების პროცესში გათვალისწინებულია იმის ალბათობა, რომ კრედიტი კვლავ განიცდის დეფოლტს გამოსწორების სცენარში. რისკის პარამეტრები, რომლებიც ორივე სცენარს ეხება, ანუ გამოსწორების და ამოღების მაჩვენებლები, ფასდება მიგრაციის მატრიცების მიდგომით, სადაც რისკის ჯგუფები განისაზღვრება დეფოლტის სიტუაციაში ყოფნის თანმიმდევრული თვეების მიხედვით. ჯგუფი

37. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

დეფოლტის შემთხვევაში ზარალის თითოეული პორტფელისთვის განსაზღვრავს ამოღების დროის მონაკვეთს, დეფოლტის თარიღიდან, რომლის შემდეგაც არსებითი ამოღებები ნავარაუდევი არ არის. თანხების ამოღების ვადა განისაზღვრება მონაცემების ანალიზით და ექსპერტის განსჯით. გარკვეული პორტფელებისთვის, ზოგადი მიდგომის ალტერნატიული ვერსიები შეიძლება იქნეს გამოყენებული ემპირიული მონაცემების შეზღუდულობის გამო. მნიშვნელოვანი კორპორატიული კრედიტების შემთხვევაში, ჯგუფი მიმართავს დეფოლტის შემთხვევაში ზარალის მოდელირების მეთოდს, რომელიც ეყრდნობა ისტორიული დეფოლტებიდან რეალიზებულ ამოღებებს, დაკორექტირებულს ინდივიდუალურად შეფასებული, დეფოლტის სიტუაციაში მყოფი კრედიტების სამომავლო ამოღებების აპროქსიმაციით. მცირე და საშუალო საწარმოებისა და არამნიშვნელოვანი კორპორატიული მსესხებლების დეფოლტის შემთხვევაში ზარალის მოდელირების მიზნით, ჯგუფი აფასებს პირდაპირ უზრუნველყოფის საგნის ანაზღაურებად ღირებულებას და უშვებს, რომ ფულადი სახსრების ამოღება არ არის მოსალოდნელი. უზრუნველყოფის საგნიდან ანაზღაურებადი ღირებულების შესაფასებლად ჯგუფი იყენებს შესაბამის შემცირებას, რომელიც განისაზღვრება უზრუნველყოფის სხვადასხვა ტიპისთვის და ახდენს მათ დისკონტირებას ეფექტური საპროცენტო განაკვეთით რეალიზაციის პერიოდზე. გარდა ამისა, ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ისტორიული მონაცემების მონაკვეთი უნდა გამოიყენოს ამოღებების მოდელირებისთვის.

საპროგნოზო ინფორმაცია

მიუკერძოებელი, ალბათობით შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მოითხოვს მასში გონივრული დანახარჯით ან ძალისხმევით მოპოვებული საპროგნოზო ინფორმაციის ჩართვას. საპროგნოზო ინფორმაციის მიზნებისთვის, ჯგუფი სამ მაკრო სცენარს განსაზღვრავს. სცენარები განისაზღვრება, როგორც საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის საბაზო (ყველაზე უფრო სავარაუდო), ოპტიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უკეთესი) და პესიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უარესი) სცენარები. საბაზისო მაკროეკონომიკური სცენარის მისაღებად, ჯგუფი ითვალისწინებს პროგნოზებს სხვადასხვა გარე წყაროდან – საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ასევე სხვა საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებები – რათა უზრუნველყოს საბაზრო მოლოდინების კონსენსუსი. ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები განისაზღვრება ჯგუფის მაკროეკონომიკური განყოფილების მიერ შემუშავებული სისტემით.

ჯგუფი იყენებს სტატისტიკურ მოდელებს და სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ფაქტორებს შორის ისტორიულ ურთიერთქმედებას და დეფოლტზე დაკვირვებებს, რათა გააკეთოს საპროგნოზო კორექტირებები. იმ შემთხვევაში, თუ ეს მოდელები არ იძლევა გონივრულ შედეგებს სტატისტიკური ან ბიზნესის თვალსაზრისით, ჯგუფმა შეიძლება გამოიყენოს ექსპერტის განსჯა ან მიმართოს ალტერნატიულ მეთოდს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი იყენებს იმავე მიდგომებს, რომლებსაც იყენებდა 2021 წლის 31 დეკემბრისთვის. ჯგუფი სტატისტიკურ მოდელებზე დაყრდნობით აკეთებს საპროგნოზო კორექტირებებს ყველა სეგმენტში, კორპორატიულის გარდა. კორპორატიულ სეგმენტში მსესხებლის დონეზე ამომწურავი ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და უმნიშვნელო სტატისტიკური მოდელების გამო, ჯგუფი მიმართავს სტრეს-ტესტებს. საბაზო, ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს მიენიჭა 50%, 25% და 25% ალბათობა, შესაბამისად.

საპროგნოზო ინფორმაცია ჩართულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ შეფასებაში.

მოდელის მართვა და გადამოწმება

ჯგუფი რეგულარულად გადაამოწმებს თავის მეთოდოლოგიას და დაშვებებს, რომ შეამციროს ყოველგვარი სხვაობა წინასწარ შეფასებულ და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის. ასეთი უკუტესტირება ტარდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ. უკუტესტირების პროცესის ფარგლებში ჯგუფი აფასებს რისკის პარამეტრების ფაქტობრივ რეალიზაციას და მათ შესაბამისობას მოდელის წინასწარ შეფასებებთან. გარდა ამისა, უკუტესტირების პროცესში ასევე ხდება სტადიებად დაყოფის კრიტერიუმების გაანალიზება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის უკუტესტირების შედეგები ეცნობება ჯგუფის ხელმძღვანელობას და, უფლებამოსილ პირებს შორის შემდგარი განხილვების შედეგად, მოდელების და დაშვებების დასახვეწი შემდგომი ნაბიჯები განისაზღვრება.

37. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

რისკის მართვა

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაუფასურების მოდელები შემუშავდა შიდა საკრედიტო რისკის მართვის განყოფილების მიერ გარე კონსულტანტების მონაწილეობით. განყოფილება მოდელების მეშვეობით ყოველთვიურად გამოითვლის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. ისინი ასევე პასუხისმგებლები არიან მოდელის უკუტესტირებაზე, ანალიზსა და მართვაზე.

ეკონომიკურ სცენარებს და ალბათობის წონებს ამზადებს მაკრო-ფინანსური ანალიზის განყოფილება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებული ყველა დაშვება, მოდელირების შემდგომი კორექტირებებისა და მოდელირებული შედეგის ზრდის ჩათვლით, გადის შემოწმებისა და დამტკიცების პროცესს:

- მთავარი ეკონომისტი გადაამოწმებს და ამტკიცებს საპროგნოზო სცენარებს და შესაბამის წონებს;
- შიდა რეზერვების კომიტეტი რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას გამოყენებული ვარაუდებისა და განსჯის მართებულობას, ასევე მოდელირების შემდგომ კორექტირებებს და მოდელირებული შედეგის ზრდას; შიდა კომიტეტში შედიან საწარმოს რისკის მართვის, პორტფელის საკრედიტო რისკის მართვის განყოფილებების უფროსები და რისკების დირექტორი, რომელიც საბოლოოდ ამტკიცებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შედეგებს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

კლიმატის რისკი. ჯგუფის ყველაზე მსხვილი ოპერაციები თავს იყრის საქართველოში, შესაბამისად, ხელმძღვანელობა კლიმატის რისკის მიმოხილვას ახდენს საქართველოს პოზიციიდან. საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში მოცემულია სხვადასხვა პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლებსაც თიბისი ბანკმა დააყრდნო პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების პოტენციური გავლენის განსაზღვრა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე. გარდამავლობის (მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის) რისკების და ფიზიკური (კლიმატის ცვლილების ზემოქმედების ფიზიკური გამოვლინებების) რისკების პოტენციური გავლენა რომ შევაჯამოთ, გარდამავლობის რისკები საქართველოში დაბალია, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკის დიდი ნაწილი უკავია ვაჭრობას და მომსახურებას და საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიაში წარმოდგენილი პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებები, საერთო ჯამში მცირე გავლენას მოახდენს ეკონომიკის სექტორებზე, განსაკუთრებით მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში. საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია ითვალისწინებს, რომ საქართველო გარდამავალი და მზარდი ეკონომიკა და ამიტომ სახელმწიფოს სტრატეგიაა არ დააბრკოლოს მშპ-ის ზრდა პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებებით, არამედ, პირიქით, საჭიროების შემთხვევაში, მხარი დაუჭიროს უმტკივნეულო გადასვლას მწვანე ეკონომიკაზე. აღსანიშნავია, რომ მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებზეც ყველაზე მეტად მოქმედებს გარდამავლობის რისკები მთელ მსოფლიოში, როგორიცაა ნედლი ნავთობის, ბუნებრივი აირის და ლითონის მადნების მოპოვება, კოქსის და გადამუშავებული ნავთობპროდუქტების წარმოება მინიმალურად არის საქართველოში წარმოდგენილი, რის გამოც გარდამავალი ღონისძიებების საერთო გავლენა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეკონომიკურ ზრდაზე დაბალია. თავისი პორტფელის კლიმატთან დაკავშირებული რისკების უკეთ გასააზრებლად ბანკმა ჩაატარა მაღალი დონის სექტორული რისკის შეფასება, ვინაიდან სხვადასხვა სექტორი შეიძლება მოწყვლადი იყოს კლიმატთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკის მიმართ დროის სხვადასხვა მონაკვეთში. სასესხო პორტფელის ვადიანობის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ აქტივების უდიდესი ნაწილი განაწილებულია დროის მონაკვეთებზე, რომლებიც ბევრად უფრო ხანმოკლეა, ვიდრე დრო, რომლის განმავლობაშიც მატერიალიზდება კლიმატური ცვლილების გავლენები საქართველოში. ეს განსაკუთრებით ეხება ფიზიკურ რისკებს. აქედან გამომდინარე, ბანკს არ მოუხდენია უშუალოდ კლიმატის რისკთან დაკავშირებული რეზერვების დონის რამენაირი კორექტირება. მეორე მხრივ, კლიმატთან დაკავშირებული იმ რისკების გააზრება, რომლებსაც უფრო გრძელვადიანი შედეგი აქვს, უნდა გაუმჯობესდეს მომდევნო წლებში, ამიტომ თუ ბანკს ხელთ ექნება დამაჯერებელი მიგნებები და დასკვნები, იგი კიდევ უფრო დახვეწავს მიდგომას კლიმატის რისკისთვის დარეზერვებისადმი. ამასთან დაკავშირებით, მოდელირების შემდგომი კორექტირებები ან მოდელირებული შედეგის ზრდა ბუღალტრულად არ გატარებულა 2021 წელს.

კლიმატთან დაკავშირებული რისკების და გატარებული ღონისძიებების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია წარმოდგენილია წლიური ანგარიშის მნიშვნელოვანი არსებული და ახალი რისკების თავში.

37. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

რისკის გეოგრაფიული კონცენტრაცია. აქტივები, ვალდებულებები, საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები და ვალდებულების შესრულების გარანტიები ზოგადად გეოგრაფიულ რეგიონებზე ნაწილდებოდა იმისდა მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში მდებარეობდა კონტრაჰენტი. ოფშორული კომპანიებისთვის გადასახდელი ან მათგან მისაღები მიმდინარე ნაშთები, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება ქართულ კონტრაჰენტებს, გაერთიანებულია სათაურ „საქართველოს“ ქვეშ. ნაღდი ფული სალაროში და შენობები და აღჭურვილობა განაწილებულია იმ ქვეყნის მიხედვით, რომლებშიც ისინი ფიზიკურად მდებარეობას.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია გეოგრაფიული კონცენტრაცია დაფუძნების ქვეყნის მიხედვით. ეთგოს და არა-ეთგოს რეზიდენტი მომხმარებლებისთვის, ასევე ქართველი მომხმარებლებისთვის, გადასახდელი სესხები და ავანსები გამოშვებულია იმ საწარმოებისთვის, რომელთა უმრავლესობაც მდებარეობს და საქმიანობს საქართველოში.

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ დაფუძნების ქვეყნების მიხედვით:

ათას ლარში	საქართველო	ეგთო	არა-ეთგო	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	987,932	593,004	14,524	**1,595,460**
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	26,174	16,033	30	**42,237**
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	2,086,113	-	-	**2,086,113**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	16,104,160	126,415	316,610	**16,547,185**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	1,440,168	496,377	1,651	**1,938,196**
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	246,328	-	6,012	**252,340**
სხვა ფინანსური აქტივები	439,224	2,749	234	**442,207**
ფინანსური აქტივები, სულ	**21,330,099**	**1,234,578**	**339,061**	**22,903,738**
არაფინანსური აქტივები	1,131,337		4,437	**1,135,774**
სულ აქტივები	**22,461,436**	**1,234,578**	**343,498**	**24,039,512**
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,325,363	1,612,336	46,376	**2,984,075**
მომხმარებელთა ანგარიშები	12,805,769	1,029,719	1,048,657	**14,884,145**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,578,050	-	5,649	**1,583,699**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	120,343	270	7	**120,620**
საიჯარო ვალდებულებები	56,253	-	269	**56,522**
სუბორდინირებული ვალი	109,427	357,834	156,386	**623,647**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**15,995,205**	**3,000,159**	**1,257,344**	**20,252,708**
არაფინანსური ვალდებულებები	194,364	-	2,385	**196,749**
სულ ვალდებულებები	**16,189,569**	**3,000,159**	**1,259,729**	**20,449,457**
წმინდა საბალანსო პოზიცია	**6,271,867**	**(1,765,581)**	**(916,231)**	**3,590,055**
ვალდებულების შესრულების გარანტია	724,710	675,323	165,661	**1,565,694**
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	2,178,835	4,197	12,317	**2,195,349**

37. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ დაფუძნების ქვეყნების მიხედვით:

ათას ლარში	საქართველო	ეგთო	არა-ეთგო	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	906,270	686,110	9,219	**1,601,599**
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	6,638	13,052	–	**19,690**
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	2,098,506	–	–	**2,098,506**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	14,111,683	131,066	351,520	**14,594,269**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	1,206,673	318,682	1,913	**1,527,268**
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები	1,059,946	–	–	**1,059,946**
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	270,632	–	346	**270,978**
სხვა ფინანსური აქტივები	156,866	3,976	160	**161,002**
ფინანსური აქტივები, სულ	**19,817,214**	**1,152,886**	**363,158**	**21,333,258**
არაფინანსური აქტივები	1,060,212	433	5,059	**1,065,704**
სულ აქტივები	**20,877,426**	**1,153,319**	**368,217**	**22,398,962**
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	2,362,648	2,110,307	12,918	**4,485,873**
მომხმარებელთა ანგარიშები	10,709,378	911,146	1,013,771	**12,634,295**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,419,513	–	–	**1,419,513**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	210,887	340	15	**211,242**
საიჯარო ვალდებულებები	52,923	–	1,665	**54,588**
სუბორდინირებული ვალი	115,394	390,941	166,405	**672,740**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**14,870,743**	**3,412,734**	**1,194,774**	**19,478,251**
არაფინანსური ვალდებულებები	86,100	59	4,372	**90,531**
სულ ვალდებულებები	**14,956,843**	**3,412,793**	**1,199,146**	**19,568,782**
წმინდა საბალანსო პოზიცია	**5,920,583**	**(2,259,474)**	**(830,929)**	**2,830,180**
ვალდებულების შესრულების გარანტია	745,511	746,871	258,659	**1,751,041**
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	1,868,011	4,678	8,627	**1,881,316**

37. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ დაფუძნების ქვეყნების მიხედვით:

ათას ლარში	საქართველო	ეგთო	არა-ეთგო	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	692,905	287,063	14,511	**994,479**
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	3,530	12,067	–	**15,597**
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	1,591,829	–	–	**1,591,829**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	11,775,027	166,155	408,217	**12,349,399**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	985,293	–	–	**985,293**
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები	1,021,568	–	–	**1,021,568**
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	255,596	–	1,064	**256,660**
სხვა ფინანსური აქტივები	113,535	1,431	245	**115,211**
ფინანსური აქტივები, სულ	**16,439,283**	**466,716**	**424,037**	**17,330,036**
არაფინანსური აქტივები	921,821	27	3,726	**925,574**
სულ აქტივები	**17,361,104**	**466,743**	**427,763**	**18,255,610**
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,813,684	1,744,130	36,087	**3,593,901**
მომხმარებელთა ანგარიშები	8,469,206	733,778	909,018	**10,112,002**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,213,598	–	–	**1,213,598**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	96,081	316	9	**96,406**
საიჯარო ვალდებულებები	59,316	–	–	**59,316**
სუბორდინირებული ვალი	100,993	343,861	146,181	**591,035**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**11,752,878**	**2,822,085**	**1,091,295**	**15,666,258**
არაფინანსური ვალდებულებები	100,081	829	5,296	**106,206**
სულ ვალდებულებები	**11,852,959**	**2,822,914**	**1,096,591**	**15,772,464**
წმინდა საბალანსო პოზიცია	**5,508,145**	**(2,356,171)**	**(668,828)**	**2,483,146**
ვალდებულების შესრულების გარანტია	603,910	232,328	622,646	**1,458,884**
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	1,485,032	4,476	11,459	**1,500,967**

საბაზრო რისკი. ჯგუფი ეთანხმება ბაზელის კომიტეტს, რომელიც საბაზრო რისკს განმარტავს, როგორც ბალანსურ და გარებალანსურ პოზიციებზე ზარალის რისკს, რომელსაც განაპირობებს საბაზრო ფასების მერყეობა. რისკი ძირითადად შედგება (ა) სავაჭრო პორტფელში საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტებისა და აქციებისთვის დამახასიათებელი რისკებისგან და (ბ) სავალუტო რისკისგან და სასაქონლო რისკისგან მთელი ბანკის მასშტაბით. ბანკის სტრატეგია გულისხმობს სავაჭრო პორტფელის საქმიანობაში ან სასაქონლო ინვესტიციებში მონაწილეობის მიღებას. შესაბამისად, ბანკის საბაზრო რისკის ზემოქმედება შემოსაზღვრულია სავალუტო რისკით რომელიც წარმოიქმნება სტრუქტურული, არა-სავაჭრო (არასპეკულაციური) მიზნით წარმოებული ოპერაციებით.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკს იწვევს პოტენციური ცვლილება უცხოური ვალუტების გაცვლით კურსებში, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულებაზე. რისკის მიზეზია ღია სავალუტო პოზიციები, რომლებიც წარმოიქმნება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეუსაბამობების გამო. სებ-ის მოთხოვნით, ბანკს ევალება ბალანსური და მთლიანი აგრეგირებული (გარებალანსურის ჩათვლით) ღია სავალუტო პოზიციების მონიტორინგი და ამ უკანასკნელის შენარჩუნება ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20%-ის ოდენობით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა შეინარჩუნა აგრეგირებული ღია სავალუტო პოზიცია საზედამხედველო კაპიტალის 0.5%-ის ოდენობით (2020 წ. 3.4%; 2019 წ.: 0.5%). აქტივ-პასივების მართვის

37. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

კომიტეტს დაწესებული აქვს რისკის დონის ლიმიტები ვალუტების მიხედვით და ასევე აგრეგირებული რისკის პოზიციების ლიმიტები, რომლებიც უფრო კონსერვატიულია, ვიდრე სებ-ის მიერ დაწესებული ლიმიტები. ბანკის მხრიდან ამ ლიმიტების დაცვა ყოველდღე კონტროლდება ხაზინისა და ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტების უფროსების მიერ.

2018 წლის 13 აგვისტოს სებ-მა შემოიღო ახალი რეგულაცია ღია სავალუტო პოზიციის გაანგარიშების წესში შესული ცვლილებების თაობაზე. ამ რეგულაციის მიხედვით, 2019 წლის მარტიდან უცხოური ვალუტის საბალანსო აქტივებისთვის განკუთვნილი რეზერვები ეტაპობრივად გამოიქვითებოდა ღია სავალუტო პოზიციის გაანგარიშების მიზნებისთვის. კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად სებ-მა შემოიღო კონტრციკლური ზომა ღია სავალუტო პოზიციის მოთხოვნებთან დაკავშირებით: შეაჩერა სპეციალური რეზერვების ეტაპობრივი დანერგვა, რის სრულად დანერგვაც 2022 წლის ივლისისთვის არის დაგეგმილი.

სავალუტო რისკის მართვა ხდება საბაზრო რისკის მართვის პოლიტიკის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის სავალუტო კურსის რისკის მოცულობა საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის. ღია სავალუტო პოზიციის მართვისას ჯგუფი მხედველობაში იღებს ანარიცხების იმ ნაწილს, რომლებიც გამოხატულია აშშ დოლარში, ევროში და სხვა ვალუტებში. სავალუტო სვოპის დეპოზიტების საერთო თანხა შესულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში. აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოყვანილი მთლიანი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ამოცნობა საბალანსო უწყისზე ან ლიკვიდურობის რისკის მართვის ცხრილებში შეუძლებელია, რადგან იქ წარმოდგენილია საერთო სავალუტო სვოპების წმინდა ოდენობა.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *ათას ლარში*	**ფულადი ფინანსური აქტივები**	**ფულადი ფინანსური ვალდებულებები**	**წარმოებული ინსტრუმენტები**	**ნეტო პოზიცია**
ქართული ლარი	10,245,525	7,430,412	(339)	2,814,774
აშშ დოლარი	8,088,897	10,991,513	2,914,442	11,826
ევრო	4,420,441	1,686,875	(2,725,047)	8,519
სხვა	148,875	143,908	(39)	4,928
სულ	**22,903,738**	**20,252,708**	**189,017**	**2,840,047**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *ათას ლარში*	**ფულადი ფინანსური აქტივები**	**ფულადი ფინანსური ვალდებულებები**	**წარმოებული ინსტრუმენტები**	**ნეტო პოზიცია**
ქართული ლარი	8,730,317	7,166,701	224,700	1,788,316
აშშ დოლარი	7,990,323	10,872,233	2,861,675	(20,235)
ევრო	4,555,906	1,316,382	(3,237,938)	1,586
სხვა	56,712	122,935	61,163	(5,060)
სულ	**21,333,258**	**19,478,251**	**(90,400)**	**1,764,607**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *ათას ლარში*	**ფულადი ფინანსური აქტივები**	**ფულადი ფინანსური ვალდებულებები**	**წარმოებული ინსტრუმენტები**	**ნეტო პოზიცია**
ქართული ლარი	7,479,851	5,760,987	(96,378)	1,622,486
აშშ დოლარი	6,827,012	8,765,374	1,950,510	12,148
ევრო	2,968,554	1,036,267	(1,924,856)	7,431
სხვა	54,619	103,630	56,133	7,122
სულ	**17,330,036**	**15,666,258**	**(14,591)**	**1,649,187**

37. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

აშშ დოლარის 20%-ით გამყარება (20%-ით გაუფასურება) ჯგუფის მოგებას ან ზარალს და საკუთარ კაპიტალს გაზრდიდა 2021 წელს 2,365 ათასი ლარით (შეამცირებდა 2,365 ათასი ლარით). ევროს 20%-ით გამყარება (20%-ით გაუფასურება) ჯგუფის მოგებას ან ზარალს და საკუთარ კაპიტალს გაზრდიდა 2021 წელს 1,704 ათასი ლარით (შეამცირებდა 1,704 ათასი ლარით).

აშშ დოლარის 20%-ით გამყარება (20%-ით გაუფასურება) ჯგუფის მოგებას ან ზარალს და საკუთარ კაპიტალს შეამცირებდა 2020 წელს 4,047 ათასი ლარით (გაზრდიდა 4,047 ათასი ლარით). ევროს 20%-ით გამყარება (20%-ით გაუფასურება) ჯგუფის მოგებას ან ზარალს და საკუთარ კაპიტალს გაზრდიდა 2020 წელს 317 ათასი ლარით (შეამცირებდა 317 ათასი ლარით).

აშშ დოლარის 20%-ით გამყარება (20%-ით გაუფასურება) ჯგუფის მოგებას ან ზარალს და საკუთარ კაპიტალს გაზრდიდა 2019 წელს 2,430 ათასი ლარით (შეამცირებდა 2,430 ათასი ლარით). ევროს 20%-ით გამყარება (20%-ით გაუფასურება) ჯგუფის მოგებას ან ზარალს და საკუთარ კაპიტალს გაზრდიდა 2019 წელს 1,486 ათასი ლარით (შეამცირებდა 1,486 ათასი ლარით).

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკს წარმოქმნის საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილებები, რომლებსაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებაზე ან სამომავლო ფულად ნაკადებზე. ეს რისკი შეიძლება წარმოშვეს აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობების, ასევე ამ აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების მახასიათებლების გამო.

ბანკის ანაბრების უმეტესობა და სესხების ნაწილი ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთშია, ხოლო ბანკის ნასესხები სახსრების ნაწილს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი აქვს. საჭიროების შემთხვევაში ბანკი ასევე იყენებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირების ინსტრუმენტებს საპროცენტო განაკვეთის რისკის შესამცირებლად. გარდა ამისა, ბანკის მსესხებლებზე გაცემული სესხები შეიცავს პირობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, დააკორექტიროს სესხის საპროცენტო განაკვეთი საპროცენტო განაკვეთის არასახარბიელო მერყეობის შემთხვევაში, რითაც მცირდება საპროცენტო განაკვეთის რისკი. ხელმძღვანელობას ასევე მიაჩნია, რომ ბანკის საპროცენტო განაკვეთის მარჟები გონივრულ ბუფერს ქმნის საპროცენტო განაკვეთის არასახარბიელო შესაძლო მერყეობის ეფექტის შესასუსტებლად.

ჯგუფი საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართავად მიმართავს დახვეწილ სისტემას, რისთვისაც განსაზღვრავს რისკის სათანადო დასაშვებ დონეებს, ახდენს მათთან შესაბამისობის მონიტორინგს და ამზადებს პროგნოზებს. 2020 წლის სექტემბრიდან სებ-მა დანერგა რეგულაცია საპროცენტო განაკვეთის რისკის შესახებ და დააწესა კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების მგრძნობელობის ზღვარი სებ-ის პირველადი კაპიტალის 15%-ის ოდენობით. სებ-ის საპროცენტო განაკვეთის რისკის მეთოდოლოგიის მთავარი პრინციპები და დაშვებები შეესაბამება ბაზელის სტანდარტებს და ევროპის საბანკო უწყების სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც შემუშავდა საპროცენტო განაკვეთის რისკი მართვის მიზნით. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკი შესაბამისობაში იყო კაპიტალის ეკონომიკური ღირებულება = 2.9% მარეგულირებლის მოთხოვნასთან. სებ-ის სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით, წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთის პარალელური ცვლილების სცენარების მიხედვით ნარჩუნდება მონიტორინგის მიზნით, ხოლო კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების მგრძნობელობა გამოითვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების 6 წინასწარ განსაზღვრული სტრესული სცენარის მიხედვით და ყველაზე უარესი სცენარის შედეგებისთვის გამოიყენება ლიმიტი.

საპროცენტო განაკვეთის რისკს მართავს ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტი და მონიტორინგს ახდენს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი, რომელიც განსაზღვრავს საპროცენტო განაკვეთის რისკის ეფექტურად მართვისთვის საჭირო ნაბიჯებს და აკონტროლებს მათ განხორციელებას. საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის და შესაბამისი ანგარიშგების მთავარი ასპექტები პერიოდულად წარედგინება დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და რისკის კომიტეტს.

სებ-ის საპროცენტო განაკვეთის რისკის რეგულაციის და ევროპის საბანკო უწყების 2018 წლის სახელმძღვანელო მითითებების მთავარი დაშვებების თანახმად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო განაკვეთები 200 საბაზისო პუნქტით მაღალი რომ ყოფილიყო, ყველა დანარჩენი ცვლადის მუდმივობის პირობით, მოგება იქნებოდა 129 მილიონი ლარით მეტი, ძირითადად, ცვალებადი პროცენტის მქონე აქტივებზე უფრო მაღალი საპროცენტო შემოსავლის შედეგად. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საპროცენტო განაკვეთები 200 საბაზისო პუნქტით დაბალი რომ

37. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

ყოფილიყო, ყველა დანარჩენი ცვლადის მუდმივობის პირობით, წლის მოგება 40 მილიონი ლარით ნაკლები იქნებოდა, ძირითადად ცვალებადი პროცენტის მქონე აქტივებზე უფრო დაბალი საპროცენტო შემოსავლის შედეგად (2020 წ.: 31 მილიონი ლარი).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო განაკვეთები 200 საბაზისო პუნქტით დაბალი რომ ყოფილიყო, ყველა დანარჩენი ცვლადის მუდმივობის პირობით, სხვა სრული შემოსავალი იქნებოდა 57.0 მილიონი ლარით მეტი (2020 წ.: 24.0 მილიონი ლარი; 2019 წ.: 9.4 მილიონი ლარი), რისი მიზეზიც იქნებოდა ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, და გამოსყიდული მოთხოვნების სამართლიანი ღირებულების ზრდა. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო განაკვეთები 200 საბაზისო პუნქტით მაღალი რომ ყოფილიყო, ყველა დანარჩენი ცვლადის მუდმივობის პირობით, სხვა სრული შემოსავალი იქნებოდა 60.8 მილიონი ლარით ნაკლები (2020 წ.: 35 მილიონი ლარი; 2019 წ.: 9.1 მილიონი ლარი), რისი მიზეზიც იქნებოდა ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სამართლიანი ღირებულების შემცირება.

